ეროვნული ბიბლიოთეკა

K 391/5

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ИСКУССТВА

С. В. БАРНАВЕЛИ

# ГРУЗИНСКИЕ ЗНАМЕНА

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ — 1953

9(c922)(001) + 7(c)(=99962.1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ს. ბარნაველი

# ქართული დროშები

223

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი — 1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. ჩუბინაშვილი

ტექრედაქტორი ა. თოდუა
მხატვარი ლ. შერვაშიძე
კორექტორები ელ. ბათიაშვილი
ო. გიორგაძე
გამომშვები ნ. ავალიანი

გადაეცა წარმოებას 20.8.52. ხელმოწ. დასაბეჭდად 10.6.53. ქაღალდ.
ზომა 60×92 1/8.ქაღალდ. ფურც. 9,125.
საბეჭდ. ფურც. 18,25. სააღრ.-საგამომც. ფურც. 16,12, საავტ. 15,94.
შეკვ. № 1458. უე 03856. ტირაჟი 1000.

ფასი 12 მ. 60 კ.
ყდა 2 მ.

სულ 14 მ. 60 კ.

სპეც-2000
შემოწმებულია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობის სტამბა თბილისი, ა. წერეთლის ქ., 3/5

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . .

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . 1

I. ქართული დროშები უძველეს ხანიდან საქართველოს გაერთიანებამდე . . . . . . . . . . 4

II. გაერთიანებული სამეფოს ქართული დროშები 10

- სამეფო გორგასლიანი დროშა . . . . . . . . . . 15
- მეფის მცველთა დროშები . . . . . . . . . . 20
- კვირიკეს დროშა . . . . . . . . . . . . . 20
- ამილახვრიანთ საომარი დროშა . . . . . . . . . 21
- რუსუდან დედოფლის დროშაკი . . . . . . . . 23
- სვანეთის დროშა „ლომი“ . . . . . . . . . . 27
- სამეფო ლაბარუმები . . . . . . . . . . . . 32
- ლაბარუმები ნაკიფარის (ზ. სვანეთი) ეკლესიიდან „ჯგრაგ“ . . . . . . . . . . . . . . 32
- ლაბარუმი კვირიკეს და ივლიტას ეკლესიიდან (ზ. სვანეთი) . . . . . . . . . . . . . . 33
- ლაბარუბი სოფ. სეტიდან . . . . . . . . . . 34
- ლაბარუმი სოფ. ხონჭიორიდან (რაჭა) . . . . . . . 34
- სოფ. ჩუკულის (ქვ. სვანეთი) ლაბარუმი . . . . . . 37
- გერის წმ. გიორგის ეკლესიის დროშა . . . . . . . 38
- დროშა-ჯვრები . . . . . . . . . . . . . . 38

III. ქართული დროშები საქართველოს სამეფოებად დაყოფის შემდეგ (XVI—XVIII საუკუნეებისა) . . . . . . . . . . . . . . . . 42

- ქისიყის დროშა . . . . . . . . . . . . . . 52
- ვახტანგ VI დროშა . . . . . . . . . . . . 53
- სოლომონ I-ის დროშა . . . . . . . . . . . . 58
- სამეფო დროშის თავი ახალციხის მუზეუმში . . . . 59
- „დროშა საუფლისწულო“ გიორგი XIII-ისა . . . . 59
- პაპუა მოურავის დროშა . . . . . . . . . . . 64
- იულონ ბატონიშვილის დროშა . . . . . . . . . 67
- საომარი დროშები სოფ. გერის ეკლესიიდან . . . . 67
- გურიის ერისთავის დროშა . . . . . . . . . . 68
- ნაკურალეშის წმ. გიორგის დროშის ალამი . . . . . 69
- მჭადი-ჯვრის დროშები . . . . . . . . . . . 69
- მუხრან-ბატონის დროშა . . . . . . . . . . . 71
- მაღალაძიანთ ეკლესიის დროშა . . . . . . . . . 72

დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . 73

ლექსიკონი . . . . . . . . . . . . . . . . 75

ლექსიკონში გამოყენებული შემოკლებანი . . 105

ტაბულები . . . . . . . . . . . . . . . . 107

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტაბულების სია


I ქერქუკის საბეჭდავები დროშების გამოხატულებებით.
მზის გამოხატულება სიპარას რელიეფიდან.

II ასურული დროშები.
ყაზბეგში განათხარი დროშა.

III მეფის მცველთა დროშები (საქართვ. მუზეუმის ხელნაწერის H 1665 მინიატურებიდან).
დროშა ცხენოსნის ხელში (რელიეფი წებელდიდან).

IV ამილახვრიანთ საომარი დროშა.

V რუსუდან დედოფლის დროშაკი.

VI რუსუდან დედოფლის დროშაკი (მეორე მხარე).

VII სვანეთის დროშა „ლომი“.
სვანეთის დროშა „ლომი“ (დეტალი).

VIII სვანეთის დროშის „ლომი“-ს შუბის პირი.

IX სვანეთის დროშის „ლომი“-ს შუბის პირი (მეორე მხარე).

X სამეფო ლაბარუმი (ბეთანიის ფრესკა).

XI სამეფო ლაბარუმი (ყინცვისის ფრესკა).
ლაბარუმები ნაკიფარის ეკლესიიდან.

XII ლაბარუმი კვირიკეს ეკლესიიდან.
ლაბარუმი სოფ. ხონჭიორიდან.

XIII ლაბარუმი სოფ. ხონჭიორიდან (მეორე მხარე).

XIV ლაბარუმი ბეთლემიდან.
ლაბარუმი სოფ. ჩუკულიდან.

XV გერის წმ. გიორგის ეკლესიის დროშა.

XVI სამთავისის დროშა-ჯვარი.
სამთავისის დროშა-ჯვარი (დეტალი).

XVII ვახტანგ VI დროშა.
სამეფო დროშის თავი.

XVIII ვახტანგ VI დროშა (მეორე მხარე).

XIX ქისიყის დროშის თავი.

XX სოლომონ I-ის დროშა და მისი დეტალი.

XXI დროშა საუფლისწულო გიორგი XIII-ისა (ხატის ბუდეში).

XXII დროშა საუფლისწულო გიორგი XIII-ისა.

XXIII პაპუა მოურავის დროშა.

XXIV პაპუა მოურავის დროშა (დეტალი).
პაპუა მოურავის დროშის თავი,

XXV გურიის ერისთავის დროშა.
დროშა ნაკურალეშიდან.

XXVI მჭადიჯვრის დროშა და მისი ბუნი.
მჭადიჯვრის მეორე დროშა.

XXVII მუხრან-ბატონის დროშა.

XXVIII მუხრან-ბატონის დროშა (მეორე მხარე).

XXIX მაღალაძიანთ დროშა.


## ტაბულებზე წარმოდგენილი ფოტოსურათები:

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა:— ტაბ. III$_1$, IV, XIV$_1$, XV, XVI, XIX, XX, XXIII, XXIV, XXVI, XXIX (ლ. სკლიფასოვსკის გადაღებული); XVII, XVIII$_2$, XXI, XXII, XXV$_1$, (გ. ბარტიშევსკისა); VII$_2$, XI$_2$, XII$_1$ (ვახტ. ცინცაძისა).

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა:— ტაბ. V, VI, VII$_1$, VIII, IX, X, XI$_1$, XIV$_2$, (გადაღებული დიმ. ერმაკოვისა); XII$_2$, XIII (თედო კჲუნესი, ექ. თაყაიშვილის ექსპედიციიდან).

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა — ტაბ. XVIII$_1$.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა — ტაბულა XXV$_2$.

სხვადასხვა გამოცემებიდან — ტაბ. I$_{1-4}$, — G. Contenau „Les tablettes de Kerkouk“, Paris, 1926; ტაბ. I$_5$ და II$_{1-2}$—Fr. Sarre „Die altorientalischen Feldzeichen mit besonderer Berücksichtigung eines unveröffentlichten Stückes (Beiträge zur alten Geschichte, 3 Band, Heft 3, Leipzig 1903; ტაბ. II$_3$ — Tallgren „Caucasian monuments“ (Eurasia Septentrionalis Antiqua, V, Helsinki 1930); ტაბ. III$_2$ — П. Уварова „Христианские памятники“ (Материалы по археологии Кавказа, IV; ტაბ. XXVII და XXVIII — E. Такаишвили „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, вып. III, Тифлис, 1907.

---

# წინასიტყვაობა

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს და მთლიანად საბჭოთა კავშირს, აქვს თავისი დროშა. დროშა არის სახელმწიფოს სიმბოლო, მისი სუვერენობის ნიშანი, დიდი საპატიო როლის მქონე საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობაში როგორც მშვიდობიანი შრომის პირობებში, ისე საბრძოლო ვითარებაში.

მეცხრამეტე საუკუნის დიდმა მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ დროშის დიდ მნიშვნელობას უძღვნა შემდეგი სიტყვები: დროშას „ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის—არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი...სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“ (ილია ჭავჭავაძე. თხზულ., ტომი XI, ტფილისი 1928).

საქართველოს მიერ რუსეთის მფარველობის მიღების აქტი მან გამოხატა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ძველი დროშის გადაცემა რუსეთისათვის.

ძველი ქართული დროშები, მრავალმეტყველი დოკუმენტები ქართველი ხალხის წარსული ცხოვრების სხვადასხვა ეტაპისა, ხალხის ძვირფასი მემკვიდრეობა, შესწავლილ იქნა მუზეუმებში და სხვა საცავებში.

ლიტერატურული წყაროების კვლევამ გადმოშალა საყურადღებო ტერმინები დროშების შესახებ.

მასალა მდიდარი აღმოჩნდა. ყოველი ახალი ექსპედიცია იძლევა ახალ-ახალ ცნობებს. ძირითადი მასალა შეძლებისდაგვარად შესწავლილია.

ფაქტიურმა მასალამ და ისტორიულმა წყაროებმა მოგვცა შესაძლებლობა აღგვედგინა უძველესი, ჩვენამდე არ მოღწეული ქართული დროშების სახეც, „ვინაიდან როგორიც უნდა იყოს კულტურის ნგრევა,—მისი ამოშლა ისტორიული ცხოვრებიდან არ შეიძლება, მისი აღდგენა ძნელი იქნება, მაგრამ არასოდეს არავითარი ნგრევა არ მიგვიყვანს იქამდე, რომ ეს კულტურა სავსებით გაქრეს. თავის ამა თუ იმ ნაწილში ამა თუ იმ მატერიალურ ნაშთებში ამ კულტურის მოსპობა შეუძლებელია“. (ვ. ი. ლენინი „მოხსენება პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და სახელწოდების შეცვლის შესახებ“ 1918 წ. 8 მარტს, თხზულებანი, ტომი 27, გამოცემა IV).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

დროშები მატერიალური კულტურის იმ საყურადღებო საგანთ წარმოადგენენ, რომელთა როლი უძველეს დროიდან ჩვენს დრომდე ცოცხალია. დროშის მნიშვნელობა ძველს საქართველოში ძალიან დიდი და მრავალგვარია: იგი არის ძალაუფლების გამომხატველი, სამხედრო საქმეში ჯარის ნაწილებისა და სარდლების განმასხვავებელი ნიშანი, აგრეთვე სხვა სპეციფიკურ საბრძოლო დანიშნულებათა მქონეც; ამას გარდა ზეიმთა მონაწილეა და საკულტო საგანიც.

ქართული დროშების შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც ქართველი ერი წინა აზიის უძველეს ერთაგანია და დროშების ქრონოლოგიური არე ძალიან დიდია.

დროშების ისტორიისათვის დიდად საინტერესოა აგრეთვე, რომ უკვე ძლიერ შორეულ ხანიდან ქართველ ტომებს ვხედავთ ცხოველ ურთიერთობაში ერთი მხრივ მახლობელ კულტურულ აღმოსავლეთთან[1], ხოლო მეორე მხრივ დასავლეთთანაც — ჯერ ეგეის კულტურის მატარებელ ხალხებთან[2], შემდეგ ბერძნულ ახალშენებთან, უფრო გვიან კი ბიზანტიასთან, რუსეთსა და დასავლეთ ევროპასთან.

ბოლო წლების გათხრები წერენ საქართველოს ისტორიის უძველეს ფურცლებს და უსათუოდ მოგვცემენ ცნობებს დროშებზედაც. შესაძლოა, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუზეუმებში, იმ დროშების გარდა, რომლებიც შესწავლილია, აღმოჩნდეს კიდევ ახალი დროშები.

განსაკუთრებით მოსალოდნელია მათი აღმოჩენა ზემო სვანეთში. ამ მხრივაც იგი საქართველოს განსაცვიფრებელი კუთხეა, რამდენადაც მოგვცა უნიკალური დროშები.

ზოგიერთი დროშის (ხონჭიორის, ლაბარუმის, რუსუდანის დროშაკის და სხვ.) შესწავლა შესაძლო შეიქნა მხოლოდ ფოტოების მიხედვით, რადგან თვით ეს დროშები ამჟამად ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ, ქართული ოქრომჭედლობის მთელი დიდი მემკვიდრეობის დამუშავებამდე, ზოგიერთი დროშის დათარიღება მხოლოდ სავარაუდოა.

რა ტერმინი იხმარებოდა საქართველოში, ძველ ხანაში, დროშის აღსანიშნავად, ჯერჯერობით არა ჩანს. ტერმინი „დ რ ო შ ა“ ქართულ ორიგინალურ ტექსტებში პირველად შატბერდისეულ წმ. ნინოს ცხორებაში გვხვდება[1].

„დროშა“-ს განმარტებაში ს. ორბელიანს მოყვანილი აქვს სიტყვა „დრაუჟი“: „დ რ ო შ ა — დრაუჟი, მწყობრთ ნიშანი (ლართაგან B), ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი“.

დ რ ო შ ა და დ რ ა უ ჟ ი სხვადასხვა ფონეტიკური სახეა ერთი და იმავე სიტყვისა.

დ რ ა უ ჟ ი ც გვხვდება ძველ ტექსტებში (მაგალითად, აპოკრიფში: „საკითხავი ვნებისათჳს და სიკუდილისა მოსაჴსენებელი მ̃ცხ̃ვრისა ჩ̃ენისა ი̃სჳ ქე̃სი...“, რომელიც გადაწერილი აქვს ივანე ჯავახიშვილს სინას მთაზე[2]). აპოკრიფის შემცველ სხვა ხელნაწერში («Рукоп. Церковн. Музея грузинского экзархата в Тифлисе, № 70»[3]) გვხვდება „დრაუჟი“-ს ოდნავ განსხვავებული სახე: დ რ ა ო ჟ ი, დ რ ო ჟ ი. ხელნაწერი დაახლოებით XIII საუკუნისაა[4]. მასში რამდენჯერმე იხმარება ტერმინი „დ რ ა უ ჟ ი“ და ერთხელ „დ რ ო შ ა“-ც. აგრეთვე დროშის ტარის აღსანიშნავად იხმარება: „ძელნი“ დრაუჟთანი, ხოლო ერთხელ, იმ წინადადებაში, რომელშიაც „დროშა“ არის ნახსენები, „ძელი“-ს მაგივრად — „ბუნი“-ც.

„დ რ ა უ ჟ ი“-ც და დ რ ო შ ა“-ც ფაჰლაურიდანაა („...neupers. diräfš, mittelpers. drafš, avestisch. drafša“[5]).

XII საუკუნისათვის ვხვდებით ტერმინს „დროშაკი“[6]. შესაძლოა, იგი იხმარებოდა დროშათა განსაზღვრულ

[1] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 10; მისივე, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, „საქ. მუზ. მოამბე“, XII B, თბილისი, 1944, გვ. 300.

[2] Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях груз. культуры, გვ. 307.

[1] Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, II, Тифлис, 1906—1912, გვ. 751.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 194.

[3] Записки Вост. Отдел. Русск. Археол. О-ва, т. XVII вып. I, გვ. 024.

[4] იქვე, გვ. 0 24.

[5] F r i e d r i c h S a r r e, Die altorientalischen Feldzeichen mit besonderer Berücksichtigung eines unveröffentlichten Stückes („Beiträge zur alten Geschichte“, 3 Band, Heft 3, Leipzig, 1903, გვ. 354).

[6] წარწერა გიორგი III-ის დის, რუსუდან დედოფლის დროშაზე, იხ. ქვემოთ.

ტიპისათვის. ტერმინი „დროშა“ ფორმით „დროშაკ“ — იხმარებოდა სომხურში, „დროშ“-ასთან ერთად[1].

სხვა ტერმინთაგან საქართველოში იხმარებოდა ტერმინი „ბ ა ვ რ ა ყ ი“. საბა ორბელიანის განმარტებით „ბავრაყი“ სამღვდელო (ეკლესიის) დროშა არის.

ტერმინი გვხვდება XVIII—XIX საუკუნეების ძეგლებში. რამდენადაც იგი საეკლესიო საგნებს ეხება, თითქოს გაცილებით ძველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სათანადო მასალები ამისთვის არ ჩანს.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის ორივე ტერმინი — „დროშა“ და „ბავრაყი“ თანაბრად იხმარება საერო დროშათათვისაც: „დღისით მზე იყო მეწინავე სარდალი და ღამით მთოვარე, ესენი მეფის ერეკლის გამარჯვებულს დროშას წინ უძღოდენ: ...ვის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბავრაყი“[2].

„ბავრაყი“-ს ფონეტიკურად ოდნავ შეცვლილი სახე „ბორაყი“, „ბოვრაყაი“ კვლავ XVIII საუკუნეში გვხვდება (აქაც ავ მარცვალს ენაცვლება ო, როგორც სიტყვაში „დროშა“ (დრაუში || დროში).

ამავე ტერმინის სახესხვაობა უნდა იყოს „ბოყერი“, ჩაწერილი ლაბარუმისათვის ქვემო სვანეთში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ[3].

ბავრაყი ფონეტიკურად დაკავშირებულია ტერმინთან: „ბ ა ი რ ა ღ ი“ ან „ბ ა ი რ ა ხ ი“, რომელიც თურქულ ტერმინად ითვლება: بيراق[4].

ქართულ ტექსტებში ტერმინი „ბაირაღი“-ც XVIII—XIX საუკუნეებში გვხვდება.

თურქული ტერმინია „ს ა ნ ჯ ა ხ“ ( سنجاق ) დროშა[5], გვხვდება სვანურ ხალხურ პოეზიაში[6]. სვანეთში გავრცელებულია სხვა ტერმინებიც: დროშა (დურშა) და ბაირაღი.

დროშის ერთ-ერთი სახის აღსანიშნავად ზემო სვანეთში შენახულია ქ ა რ თ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ი: ლ ო მ ი (ლ ე მ), რომელიც შუა საუკუნეებშიცაა დამოწმებული.

საისტორიო მასალების მონაცემების ნიადაგზე, აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის შესანიშნავ ნაშრომში ძველი სახელმწიფო დროშის შესახებ იძლევა დაკვირვებებს დ რ ო შ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინებზე. კერძოდ, დროშის ტილოზე (ს. ორბელიანით „ლარი“), ე. წ. „ალამზე“ აკად. ჯავახიშვილი წერს: „ქამთააღმწერელს ნათქვამი აქვს: თოლაქდემურ ალვიდა ქედსა და ალაბა ალამი რამე სხვა დროშისა“... ეს ტერმი-

1 იხ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს ლექსიკონი. სომხური ტერმინების გაცნობაში დამეხმარა პროფ. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე.

2 სოლ. ლ ი ო ნ ი ძ ე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ღირსისა... (პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, ტფილისი, 1936, გვ. 54).

3 ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 117.

4 Enzyklopedie des Islam.

5 Dr. Julius Theodor Zenker, Türkisch-arabisch persisches Handwörterbuch, Leipzig, 1876.

6 სვანური პოეზია, თბილისი, 1939, გვ. 64, 162, 164.

ნი შემდეგშიაც ჩვეულებრივ იხმარებოდა. „ალამი“ ქართული სიტყვა არ არის, არამედ არაბული „ [illegible] “ (და არა სპარსული, როგორც შეცდომით ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში აქვს ნათქვამი), რომელიც არაბულად ნიშანსა და დროშას ჰნიშნავდა. ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს სიტყვით, ა ლ ა მ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ა დ ქ ა რ თ უ ლ ა დ დროშის ტილოს თითქო „სამკრე ზორტი“ უნდა ჰრქმეოდეს (იხ. ლექსიკ. „ალამი“), მაგრამ არა ჩანს, რა წყაროებზეა ეს ცნობა დამყარებული“[1].

„ალამი“-ს განმარტებაში ს. ორბელიანს მოცემული უნდა ჰქონდეს სიტყვის ორი მნიშვნელობა: 1. ალამი — სამკრე ზორტი; 2. ალამი—ნიშანი დროშისა, შუბთა და მისთანათა. მეორე მნიშვნელობაში დასახელებულია კიდევ ერთი ტერმინი დროშისათვის: ნ ი შ ა ნ ი. ამ ტერმინს ს. ორბელიანი იმეორებს „დროშის“ განმარტებაშიც: „დროშა—დრაუში, მწყობრთ ნ ი შ ა ნ ი (+ ლართაგან B), ფერად-ფერადი“... აქაც ნიშანს აქვს ალმის მნიშვნელობა. ნიშანი სპარსული სიტყვაა: نشان — Lanze, an deren Spitze ein Rossschweif befestigt ist, Standarte, Fahne“[2].

აღსანიშნავია, რომ „ალამი“-ს მნიშვნელობა, როგორც ს ა მ კ რ ე ზორტისა, ხელმეორედაა აღნიშნული ს. ორბელიანის მიერვე, როდესაც იგი განმარტავს სიტყვას „ალმედად“: „ალმედად — მკარიღლივ“ (ამირანდარეჯ.)“.

ს. ორბელიანის ამ განმარტების სისწორე დასტურდება სპარსული დროშის ისტორიიდან: აქ ვხედავთ კავშირს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ დ რ ო შ ა ს ა და ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ვ ე ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ს ა მ ხ რ ე ს—„თირაზ“-ს შორის.

„გვიანდელი ომაჲადები ხმარობდნენ თეთრ დროშას. გარდა ამისა ადრეული ხალიფები ხმარობდნენ ისლამისათვის ესოდენ დამახასიათებელ საპატიო ნიშანს, თირაზს. იგი შედგება წარწერიდან, რომელიც შეიცავს მფლობელის სახელს ჩვეულებრივ მისი ფორმულიართან ერთად, ხშირად შეერთებულს კეთილის მომასწავლებელ გამოთქმებთან და ღვთისნიერ ფრაზებთან. იგი ორნამენტალურად ამოქარგულია ტანსაცმელზე. ზოგჯერ ასევე იყო გამოყენებული რომელიმე ინსიგნია“:

„The later Umayyads used a white flag. Moreover early Chalifs employed the badge of honour so characteristic of Islam, the ṭirāz. This consists of an inscription including the name of the sovereign, usually with his protocol and often combined with expressions of good omen and pious phrases, worked ornamentally into a garment. Sometimes certain insignia were used as well“[3]).

ტერმინი „ზორტი“, ნახმარი ალმის განსამარტავად ს. ორბელიანის მიერ, გვხვდება დროშისათვის XVIII

1 ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. 2, ტფილისი, 1929, გვ. 208.

2 Zenker, Handwörterbuch.

3 Phyllis Ackerman, Standards, banners and badges („A Survey of Persian Art“, III, London and New York, 1939, გვ. 2773).

საუკუნის ბოლოსაც სოლომონ ლეონიძის ნაწარმოებებში, მაგრამ აქ იგი ალმის ნაწილს, შესაძლოა ენებისავით წაკერებულ ბაბთებს, უნდა ნიშნავდეს: „რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა“[1].

თუშეთში ზორტის მაგიერ იხმარება ტერმინი „სალტა“: „თუშური ხატის დროშა თეთრი მიტკლისაა, ოთხკუთხედია და სამ ყურზე მიკერებული აქვს წითელი გრძელი სალტა“[2].

ლეონიძისვე ტექსტი გვაძლევს ახალ ტერმინს: „დროშის კალთები“..

დროშას ჰქონდა აგრეთვე „ყავი“[3] და ტარი, რომელსაც „ბუნი“[4]-ც ერქვა.

ტერმინი „ბუნი“ ფაჰლაურიდან მომდინარეობს.

ტერმინი „ბუნი“ სვანეთში, მაგ. ეწერში, დროშას აღნიშნავს: „დროშები გვაქვს: შესწირავენ ჯოხებს. აქვთ

---

1 სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ერეკულეს ღირსისა, გვ. 55.

2 ს. მაკალათია, თუშეთი, ტფილისი, 1933, გვ. 197.

3 ივანე ჯავახიშვილი, ქართ, სამართ. ისტ., II, ნაკვ. 2, გვ. 208.

4 იქვე, გვ. 208.

ბოლო (ჩასასობი), თავზე რგვალი და გარდი-გარდმო ხვ-ნაჭერი (ე. ი. ქსოვილი) არა აქვთ. ამას მთლიანად ბუნს ვეძახით“.

დროშის ტარისთვის კიდევ ერთი ტერმინი გამოქვეყნებულია ვ. ბარდაველიძის მიერ: „ტანი“, მთლიანად კი „ალვის ტანი“[1]. საფიქრებელია, რომ ტერმინის თავდაპირველი სახე იყო: ალმის ტანი ან ტარი.

დროშას ჰქონდა აგრეთვე „ბუდე“-ც[2].

ქართულ საისტორიო მწერლობაში, ეპიგრაფიკასა და ფოლკლორში მრავალი სხვა საყურადღებო ტერმინია შენახული, რომელიც დროშის ნაწილებს ან მის სხვა მხარეებს ეხება. ზოგზე ნათქვამი იქნება თვით ამ ნაშრომში, ზოგზე კი იხილე თანდართული ლექსიკონი.

---

შესწავლის მიზნით დროშები დაყოფილია სამ ჯგუფად: I—დროშები უძველეს ხანიდან საქართველოს გაერთიანებამდე; II—დროშები გაერთიანებული საქართველოს დროისა (X—XV საუკ.) და III—დროშები სამეფოებად დაყოფის დროისა (XVI—XVIII საუკ.).

---

1 **В. В. Бардавелидве, Земельные владения древнегрузинских святилищ, Сов. Этнография, № 1, 1949, გვ. 99.**

2 ივანე ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., II, ნაკვ. 2, გვ. 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I

## ქართული დროშები უძველეს ხანიდან საქართველოს გაერთიანებამდე

უძველეს ქართულ დროშებზე ცნობებს იძლევა არქეოლოგიური გათხრები, ხოლო VI საუკუნიდან ახ. წ. — საისტორიო წერილობითი წყაროები.

ეს საკითხი დაკავშირებულია ურთულეს და საინტერესო საკითხთან ქართველი ტომების ცხოვრების შესახებ.

ქართველი ტომები წინა აზიის იმ მკვიდრ ხალხთა ოჯახში შედიან, რომელსაც „ხეთურ-იბერული“[1], „იაფეტური“, „აზიანიკური“ და სხვ. ეწოდება.

III ათასეულიდან ხეთურ-იბერულ ტომებს ვხედავთ როგორც კავკასიის ტერიტორიაზე, ისე მცირე აზიასა და ჩრდ. მესოპოტამიაში[2].

II ათასეულში განსაკუთრებულად ძლიერი სამეფოები შექმნილი აქვთ ხეთურ-იბერულ ტომებს: მესოპოტამიაში — ხურიტებს, მცირე აზიაში — ხეთებს[3].

II ათასეულის ბოლოსთვის და I ათასეულის პირველი ნახევრისათვის ცნობები გვაქვს ქართველი ტომების — ტაბალების, მუსკებისა და კოლხების სამეფოებზე: „ტაბალებს სწორედ ის მიწები ეჭირათ, რომელსაც შემდეგ დიდ კაპადუკიას ეძახდნენ ხოლმე“[4]. რაც შეეხება მუსკებს, „ხორსაბადის დიდ წარწერიდანა ჩანს, რომ მარტო ერთს მუსკების მეფეს მიტას სამი ქვეყანა ჰქონია სამფლობელოდ... ერთ დროს ფრიგიის მიწა-წყალიც მუსკებს უნდა ჰკუთნებოდათ“[5]. კოლხების, „ანუ კასკების ქვეყანა მუსკების და მილიდდუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ უნდა დებულიყო. აღმოსავლეთით-კი ურარტუს ანუ ვანის სამეფო იქნებოდა სამზღვრად“[6].

ამ პერიოდში ასურელთა და სხვ. შემოსევათა გამო ეცემა ხეთებისა და სუბარების ძლიერება, ეცემა ურარტუს სამეფოც, რომელიც თავის კულტურით ხეთურ-სუბარულ სამყაროს მიეკუთვნებოდა[7].

პირველი ათასეულის მეორე ნახევრისათვის ქართველი ტომები, რომლებსაც მეორე ათასეულში წინა აზიაში დიდი ტერიტორია ეჭირათ, მომწყვდეულნი არიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ამიერ-კავკასიის საზღვრებში[1].

სპარსეთის გაძლიერების შედეგად, ქართველი ტომების ნაწილი V საუკუნეში ძვ. წ. აქემენიანთა სამეფოს მორჩილებაშია[2].

VI საუკუნისათვის ძვ. წელთაღრ. არის წერილობითი ცნობები თვით საქართველოს ტერიტორიაზე კოლხეთის სამეფოს არსებობის შესახებ[3].

პირველ საუკუნეში ძვ. წელთაღრ. იბერიაში, რომელიც ამ დროისათვის ძლიერ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს[4] წარმოადგენს, შემოიჭრნენ რომაელები, და ამიერიდან იწყება მათი მნიშვნელოვანი როლი საქართველოში.

IV საუკუნეში საქართველოში ოფიციალურ სარწმუნოებად ქრისტიანობა გამოცხადდა.

სასანიანთა გამეფებიდან სპარსელები მძაფრ ბრძოლებს აწარმოებენ ჯერ რომაელებთან, ხოლო შემდეგ ბიზანტიელებთან საქართველოს დაპყრობისათვის. საქართველოს სამეფოები თავგამოდებით იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის ორივე სახელმწიფოსთან (ზოგჯერ იყენებენ მოწინააღმდეგეთა ქიშპობას), მაგრამ უმეტეს წილად მათ სიუზერენობას სცნობენ[5].

VI საუკუნის პირველ მეოთხედში სპარსეთი იპყრობს ქართლს, ხოლო საუკუნის ბოლოს ქართლი ნაწილობრივ ბიზანტიელების ხელშია.

VII საუკუნეში არაბთა შემოსევათა შედეგად საქართველო მთლიანად არაბთა ხელში გადადის[6] და თითქმის ორასი წელიწადი მათ „მძლავრებასა ქვეშე“ არის.

VIII საუკუნეში საქართველოს განაპირა კუთხეები იკრებენ ღონეს, ძლიერდებიან. წარმოიშვა ახალი ფეოდალური სამთავროები კახეთისა, აფხაზეთისა და ტაოკლარჯეთისა. იმთავითვე იწყება მათი ბრძოლა პირველო-

---

1 „საქართველოს ისტორია“, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციით, თბილისი, 1946 წ. გვ. 20.

2 ი ქ ვ ე, გვ. 20.

3 ი ქ ვ ე, გვ. 21; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, ენიმკის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 668.

4 ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფილისი, 1913, გვ. 37.

5 ი ქ ვ ე, გვ. 37—38.

6 ი ქ ვ ე, გვ. 38.

7 საქართველოს ისტორია, გვ. 35—37.

---

1 ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფილისი 1913, გვ. 38—39, „საქართველოს ისტორია“, გვ. 57.

2 ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფილისი, 1928, გვ. 1.

3 „საქართველოს ისტორია“, გვ. 56.

4 ი ქ ვ ე, გვ. 76.

5 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფ. 1913, გვ. 180, 222 და სხვ.

6 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფილისი, 1913, გვ. 343, 349.

ბისა და გაერთიანებისათვის[1]. ახალი სამთავროები ბრძოლაში კვლავ იყენებენ ხან არაბებს, ხან ბიზანტიას, სარგებლობენ მათი ქიშპობით თავიანთ გასაძლიერებლად[2].

აღებული დროის დიდ მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ხანისათვის ძირითადად მოხაზულია ნივთიერი კულტურის მთავარი ეტაპები: ენეოლითური ხანა, ძველი ბრინჯაოს ხანა, შუა ბრინჯაოს ხანა, რკინისა და ბრინჯაოს ხანა.

პირველი ათასეულის დამლევისათვის (ძვ. წელთ.) საქართველოში განვითარებულია საქალაქო ცხოვრება და ვაჭრობა. ბარში მონათმფლობელობას აქვს ადგილი, მთაში—თემურ წესწყობილებას[3]. ასევეა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ხოლო პირველი ათასეულის პირველი ნახევრის ბოლოსთვის მონათმფლობელობას სცვლის ფეოდალიზმი[4], რომელსაც პერიოდის ბოლოსათვის სრული განვითარება აქვს მოპოვებული[5].

---

რამდენადაც ძლიერ შორეულ ხანაში ქართველი ტომები ცხოვრობდნენ წინა აზიის მოწინავე ხალხთა ცხოვრებით, სხვა საერთო მხარეთა შორის, ქართველ ტომებს სუმერების, ბაბილონელების და ასურელების მსგავსად უნდა ჰქონოდათ დროშებიც, მშობლიურ კულტთან დაკავშირებული, გამარჯვების მომტანი და დამლოცველი გამოხატულებებით.

ეს მოსაზრება დასტურდება განათხარი მასალებით და, ნაწილობრივ, შენახული დროშებითაც. როგორც ჩანს, *უძველესი ხანის დროშები უკავშირდებიან წინა აზიის დროშებს ფორმების, მასალისა და სიმბოლოების მხრივ.* ძირითადად, ქართულ დროშებზე ნაყოფიერების ღვთაებათა და მზის სიმბოლოებს ვხედავთ.

არქეოლოგიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში განათხარ იმ მასალათა შორის, რომლებიც პრეისტორიულ ხანას მიეკუთვნება, ზოგიერთი საგანი დროშის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში, რომლებიც პროფ. კუფტინის მიერ დათარიღებულია მეორე ათასეულის ნახევრით ძველი წელთაღრ. და რომელთა ინვენტარი სუმერის კულტურასთან ნათესაობას ამტკიცებს, მოიპოვება, თითქოს, დროშის რაღაც სამკაული, „მრგვალი ბალთები (ტაბ. C III), აგრეთვე სხვადასხვა სიდიდის მილები (ტაბ. XCVIII), რომლებშიც ჩასმული იყო ჯოხები და ფუნჯები..., კონუსური ფორმის დოლები, ფუნჯების დასამაგრებელი ნაჩვრეტებით...(ესენი), საფიქრებელია,

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფილისი, 1913, გვ. 367—370 და სხვ.

2 იქვე, გვ. 394.

3 „საქართველოს ისტორია", გვ. 74, 76.

4 იქვე, გვ. 89.

5 იქვე, გვ. 149.

ემსახურებოდა სამარხის ბუტაფორულ შემკობას, კერძოდ, ალბათ, შტანდარტისას, როგორც შეიძლება ვიმსჯელოთ ამ საგნების ყორღანში № XV ურთიერთთან დალაგების მიხედვით (ტაბ. LXVI)"[1].

ამ აზრის სასარგებლოდ შესაძლოა ლაპარაკობდეს დოლების ორნამენტი (კონცენტრული წრეები) და ლომების გამოხატულებანი, რომლებიც მზის სიმბოლოებს წარმოადგენენ ჩვეულებრივ, ხოლო ეს სიმბოლოები ქართული დროშებისათვის ჩვეულია.

საინტერესოა, რომ ათასეულ წელთა განმავლობაში დროშებზე ათავსებდნენ საღვთო ხასიათის გამოხატულებებს, რომლებსაც შესატყვისი გამოხატულებანი წარმართობაში მოეპოვება (მაგ., წმ. გიორგი სცვლის გილგამეშს და სხვ.). ამ მხრივ საინტერესოა სუბარების მიწა-წყალზე აღმოცენებულ გლიპტიკის (ქერქუკის[2] გლიპტიკა) გამოხატულებანი, რომლებიც დროშებს უნდა წარმოადგენდნენ: მთელ რიგს გემმებზედ (მეორე ათასეულით ძვ. წ. თარიღდება) სიმეტრიულად დაყენებულ ორი გრიფონის, ორი ჯიხვის, თუ ორი რაღაც ფანტასტიკურ, ადამიანის მსგავს არსებათა შორის ვხედავთ ტარზე დაყენებულ მზის დისკოს[3]. მზის დისკო სხვადასხვა სახით არის: ის ხან კონცენტრულ წრეთაგან არის შემდგარი, ხან შუაგულში პატარა წრე ანდა ჯვარი აქვს ჩახატული, ხან წრის მოედანი დაყოფილია ნახევარ-რკალებად. რომლებშიც პატარა წრეებია ჩასმული, ანდა წრის მოედანი სექტორებად არის დაყოფილი (იხ. ტაბულა I).

ეს გამოხატულებანი ტარზე დაყენებულ მზისა, თითქოს, ილუსტრაციას წარმოადგენენ ქართულ გამოთქმებისათვის: „მზებუნიობა", ანდა „მზე ტარზე დგას" და, ალბათ, შესატყვის წარმოდგენათაგან მომდინარეობენ.

აღნიშნულ კომპოზიციებში შესაძლოა დავინახოთ ქრისტეს ამაღლების გამოხატულებათა პროტოტიპები. საქართველოში ამ გამოხატულებებს მიეკუთვნება ადრეულ ძეგლებზე გამოხატული რელიეფები: მცხეთის ჯვრის რელიეფი[4], მარტვილის რელიეფი[5] და სხვ.

ვგონებ, მზის ამ სახის სუბარული დროშებიდან უნდა მომდინარეობდეს ასურული დროშების ერთი სახე (დისკოს ფორმისა), რომელიც შესწავლილი აქვს Fr. Sarre-ს[6] (იხ. ტაბულა II). ამავე დროშების ძირითადი სახის განგრძობაა დროშების გამოხატულებები, რომლებსაც ვხედავთ მემორიალურ სტელებზე[7], შუა საუკუნეების

1 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941 г. გვ. 98.

2 „Nachweislich subaräisch gesprochen wurde in der Gegend des heutigen Samarra, Altun, Küprü, Kerkuk, Erbil und Ninive" (M. Oppenheim, „Tell-Halaf", Leipzig, 1931, გვ. 48).

3 G. Contenau, Les tablettes de Kerkouk, Paris, 1926, Empreintes, №№ 95, 94, 93, 92, 128.

4 გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, ტფილისი, 1936, გვ. 112.

5 იქვე, ტაბ. IV.

6 Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, fig. 5, 6. გვ. 337, 338.

7 Г. Н. Чубинашвили, Болнисский сион. Тбилиси, 1940, გვ. 93.

და გვიან საუკუნეების ქართული სამარი დროშები (რუსუდანის დროშაკი და მუხრან-ბატონის დროშა), რომლებიც მზის სხივებითაა მოცული.

გვიანი ბრინჯაოსა და რკინის პირველად შემოღების ხანაში ჩნდება საქართველოს ნიადაგში საგნები, რომლებსაც დროშების დასადგმელად სთვლიან[1]. ეს საგნები საკმაოდ ხშირია სამთავროს სამაროვანის მეომართა ინვენტარში: ეს არის ირმის რქის ძირის ნაწილი. მასში მრგვალი ნახვრეტი არის გაკეთებული. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს საგანი წარმოადგენდეს შუბის გასასწორებელ ხელსაწყოს[2].

ამავე დროს მიაკუთვნებს პროფ. შ. ამირანაშვილი[3] თეთრი-წყაროს (აღბულაღის) რელიეფს მეომრის გამოხატულებით.

პროფ. ამირანაშვილი მეომრის ზურგით მყოფ გამოხატულებას შუბის ფორმის დროშებად სთვლის[4].

ქართული დროშების კავშირი მცირე აზიის და, კერძოდ, კაპადუკიის დროშებთან სრული სიცხადით თავს იჩენს თვით საქართველოს ნიადაგში, ყაზბეგში განათხარ საგნებში, რომლებიც თარიღდება პირველი ათასეულის პირველი ნახევრით და რომლებსაც ტალგრენი დროშებს უახლოებს. ეს არის ბრინჯაოდან გაკეთებული გამოხატულებანი ღვთაებისა, რომელიც ხარის რქებზეა შემდგარი. ხარის რქები რამდენიმე წყებად არის ერთმანეთზე დამაგრებული. საგნის ქვემო ნაწილზე დაკიდულია რკინის ენებიანი ბრინჯაოს ზარები. ღვთაებას ხელში ჩაქუჩი უჭირავს[5]. ტალგრენი ამ საგანს (ტაბ. II) უპირისპირებს ასურულ და კაპადუკიურ დროშებს.

ტალგრენის მოსაზრება შეიძლება დამტკიცდეს მით, რომ ყაზბეგის ამ საგანს აქვს საერთო მხარეები ამავე დროის (პირველი ათასეულის პირველი ნახევარი) ასურულ და აგრეთვე ლურისტანში ნაპოვნ დროშებთანაც.

ღვთაების პოსტამენტად ასურულ დროშებზედ არის ხარები[6], ლურისტანის დროშებზე—ჯიხვების რქები[7]. ხოლო ყაზბეგის დროშებზედაც ღვთაება შემდგარია ხარის რქებზედ.

ასურული დროშების ღვთაება მზის სიმბოლოებთან არის დაკავშირებული და ბუნების ძალთა ღვთაებად არის მიჩნეული Sarre-ს მიერ[8].

ლურისტანის დროშებზედ გამოხატულია გილგამეში, რომელიც კვლავ მზის კულტთან არის დაკავშირებული. კაპადუკიის დროშებზედაც მსგავსი კომპოზიციაა[1].

ყაზბეგის ღვთაება დაკავშირებულია მჭედლობასთან[2], ხოლო მჭედლობასთან დაკავშირებულია ამირანიც[3], ე. ი. ქართული ღვთაება მითრა[4] — მზისა და ბუნების ნაყოფიერების ღვთაება.

ყაზბეგის საგანს დროშებთან აახლოებს ზარებიც — აღმოსავლეთ საქართველოს მთის დროშების ჩვეულებრივი სამკაული, რომელსაც აქვს თავისი საგანგებო ფუნქციაც: „ხუცი აიღებს დროშას, სამჯერ ავადმყოფს ქალს დროშის ჟღარუნით შემოუვლის“[5].

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აქემენიანთა შესატყვის დროს და შემდეგაც (მაგ., მე-3 საუკ. ძვ. წ.) საქართველოს ნიადაგზე იყო ისეთივე სახის დროშები, როგორც სპარსეთში, კერძოდ ისეთი, რომელთა ალამი სწორკუთხედს წარმოადგენდა[6], მასზე ჯვარედინად გადახაზული ნიშანი იყო (მზის სიმბოლო)[7]. ძირითადად ასეთი ფორმისა იყო შემდგომ ეპოქათა ლაბარუმები. ამ სახემ ევროპაში ჩვენ დრომდე მოაღწია, საქართველოში კი ვხედავთ მას მთიულთა დროშებზე.

რანაირი დროშები იყო ქართულ სახელმწიფოებში შემდგომ ხანაში, ე. ი. ელინისტურ დროს, არა ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ განაგრძობდა არსებობას წინა ხანის სახის დროშები. ხოლო კოლხეთის დროშებზე, შესაძლოა, გამოხატული იყო იგივე ემბლემები, რომლებიც ცნობილია კოლხურ ფულებიდან: ლომი, ლომის თავი, ხარის თავი, ხარისთავა ადამიანი — ღვთაება და ქალის სურათი, რომელსაც კოლხეთის დედოფლის პორტრეტად ვთვლი. ამ ემბლემათაგან ლომი და ხარი მზის კულტთან არის დაკავშირებული.

უფრო ხელშესახებია ჩვენი წარმოდგენა ქართულ დროშებზე რომაელების საქართველოში შემოსვლის დროიდან. ამ დროსაც საქართველოში ლაბარუმის სახის დროშები უნდა ხმარებული-

[1] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 67.

[3] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1944, გვ. 59.

[4] იქვე, გვ. 59.

[5] A. M. Tallgren, Caucasian monuments („Eurasia Septentrionalis Antiqua“ V. Helsinki, 1930, გვ. 122, fig. 12).

[6] Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, Fig. 7.

[7] „A Survey of Persian Art“, Oxford, London, New-York, v. IV, Pl. 40, 41.

[8] Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, გვ. 341.

[1] Rostovtzeff, Iranians and Greeks in South Russia, Oxford, 1922. Pl. II, B.

[2] შ. ამირანაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., I, თბ., 1944, გვ. 68.

[3] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 159.

[5] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1935, გვ. 241.

[6] Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, გვ. 348—350.

[7] A. Roes, Greek geometric Art, its symbolism and orygin, Haarlem, Oxford, London, გვ. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო — ანალოგია I—II საუკ. ჩვენი წელთაღრ. სკვითურ დროშებთან[1].

დროშების ერთ-ერთი სახე უნდა ყოფილიყო ცხოველის ფორმის დროშები. სვანეთის მთებში შენახულია ამგვარი დროშა „ლომი“. იგი ემსგავსება, როგორც ეს კ. ტრევერს აქვს აღნიშნული[2], პართების, სარმატების და სკვითების გველეშაპის სახის დროშებს. ეს დროშა ქართველებისათვის უცხო არ იყო, რადგან სარმატები ქართველების მონათესავენი იყვნენ. როგორც აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, სარმატები ეწოდებოდა ჩრდილოეთ-კავკასიის სინდურ-ღილღურ-ლეგურ ტომებს[3], ხოლო ქართველთა, სინდ-ღილღვ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ. მონათესავე ენას გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ[4]. სვანურ დროშა „ლომზე“ საუბარი იქნება შემდეგ, როდესაც შევეხებით ეპოქას, რომლიდანაც გვაქვს საბუთებში შენახული ამ დროშის სახელი და რომლიდანაც გვაქვს შენახული თვით დროშის თავიც.

ზემოაღნიშნული გველეშაპის სახის დროშები სკვითებისაგან, პართებისა და სარმატებისაგან გადიღეს რომაელებმა და სპარსელებმა. მათ ჯარებში III—IV საუკუნეებში და შემდეგაც გავრცელებული იყო ეს ნიშნები[5].

IV—VII საუკუნეებში ცხოველების სახის დროშების არსებობა საქართველოშიც უნდა ვიგულისხმოთ. ამას ამტკიცებს არა მხოლოდ ის, რომ ეს დროშები განაგრძობენ არსებობას შემდეგშიაც და შენახულია ჩვენს დრომდე, არამედ ისიც, რომ ამ დროს საქართველოში მძლავრად ჩანს ეგრეთ წოდებული სასანური სტილის ბეჭედი. სასანური სტილის ქართულ თავისებურ სახეს ვხედავთ ხელოვნებაში — შენობათა დეკორში[6], ოქრომჭედლობის დარგში, გლიპტიკაში, ნუმიზმატიკაში. სასანურ სტილს ვხედავთ ყოფა-ცხოვრების საგნებში და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა დროშების საკითხისათვის, სამხედრო სფეროშიც. ჯუანშერის თხზულებას, რომელიც XI საუკუნით არის დათარიღებული[7], შერჩენილი აქვს ცნობა, რომელიც უკანასკნელ მოსაზრებას ადასტურებს. ეს არის ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალმა შეჰქმნა „ჩაბალახი ოქროსი და გამოსუა წინათ მგელი და უკანით ლომი“[1].

როგორც ჯუანშერის ისტორიის ერთი სპარსული წინადადებიდან ირკვევა, მუზარადი მხოლოდ მგლისთავიანი იყო[2]. ვახტანგ გორგასალის ჩაბალახის პარალელს ვპოვებთ შუა აზიის მეფეების და სპარსელ სასანიანთა მეფეების თავსაბურავებში, რომელთა შესახებ მკვლევარ ა. ბორისოვს მოჰყავს შემდეგი ცნობები:

„ჩინეთის ისტორიკოსები — მაგრამ მხოლოდ IV საუკუნის ბოლოდან (ჩვენი წელთაღრიცხვით) — იუწყებიან,რომ შუა აზიის მეფეთა საყდრებს და გვირგვინებს აქვთ ფრინველების, ცხოველების და თევზების სახე. ასეთ გვირგვინებს ჩვენ ვპოვებთ სასანურ ნუმიზმატიკაშიც (მესამე საუკუნის ბოლო—მეოთხე საუკუნის დასაწყისი). ამიანე მარცელინის ცნობის თანახმად, შაბურ II-ს (309—379) ამიდის გარემოცვის დროს ეხურა მუზარადი ცხვრის თავის სახისა“[3].

ა. ბორისოვის აზრით, ეს გვირგვინები მომდინარეობენ პარსიდან, რომელიც იყო „ძველი ირანული ტრადიციების აკვანი და ახალი დინასტიის სამშობლო“[4]. შესაძლოა, ტრადიცია უფრო ძველიც იყო.

ცხადია, რომ ცხოველების გამოხატულებანი სხვადასხვა ემბლემას წარმოადგენდნენ.

საყურადღებოა, რომ ზემოაწერილ მუზარადებზე გამოხატულების მოთავსების ჩვეულებას მოუღწევია მე-18 საუკუნემდე: თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა... გიორგისასა და აგრეთვე ყოველთა ზედა საჭურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა“[5].

სწორედ სასანიანთა ხანისათვის გვაქვს ცნობები ქართული სამეფო დროშის შესახებ.

ეს იყო განთქმული „გორგასლიანი“ დროშა. ამ დროშაზედაც საუბარი იქნება, როდესაც გაერთიანებული საქართველოს სამეფოს დროშებს შევეხებით, რადგან გორგასლიან დროშაზე შერჩენილია ცნობები მხოლოდ XII საუკუნის ქართულ წყაროებში, თუმცა ერთი ცნობა კი უფრო ადრინდელ თხზულებიდანაა აღებული.

იმის შემდეგ, რაც IV საუკუნიდან საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იყო აღიარებული, ცხადია, ადრეული ქრისტიანული ხელოვნება, და შემდეგ ბიზანტიური ხელოვნება, თავის მძლავრ კვალს დაასვამდა ქართულ დროშებს გამოხატულებათა მხრივ,— რამდენადაც საქართველოში ვხედავთ შესატყვისს, ოღონდ მთლად თავისებურ ხელოვნებას. სამწუხაროდ, რეალიები შერჩენილი არ არის.

---

1 ამ დროშებზე იხ. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, გვ. 353, შენიშვნა, და Rostovtzeff, Iranians and Greeks in South Russia, Pl. XXIX.

2 К. В. Тревер, Серебряное навершие сасанидского штандарта (Гос. Эрмитаж. Труды Отдела Востока, III, Ленинград, 1940, გვ. 177).

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 624.

4 იქვე, გვ. 622.

5 К. В. Тревер, Серебряное навершие сасанидского штандарта, გვ. 177—179.

6 გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, ტფილისი, 1936, გვ. 45.

7 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტ. მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 186—187.

---

1 „ანასეული ქართ. ცხოვ.“, თბილისი, 1942, გვ. 121.

2 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 188.

3 А. Я. Борисов, К истолкованию изображений на Бияйских оссуариях (Труды Отд. Ист. культ. и искусства Востока, II, Ленинград, 1940, გვ. 38).

4 იქვე, გვ. 38.

5 თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, სპბ, 1848, გვ. 19.

ალებული პერიოდისათვის გვაქვს ცნობები დასავლეთ საქართველოს დროშებზედ, VI საუკუნის ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის თხზულებაში. მასში ვერ ვპოვებთ დროშის აღწერილობას, მაგრამ იგი საგულისხმოა, რამდენადაც იძლევა დროშის ერთ-ერთ როლს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ გაერთიანებული საქართველოს დროსაც და შემდეგაც. ეს არის დროშების მონაწილეობა სახალხო ზეიმში: როდესაც ბიზანტიის კეისარმა ლაზიკის მეფედ წათე დაამტკიცა და „წათემ... ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში,... ლაზები... გახარებულნი იმით, რომ როგორც იქმნა გადარჩენ უბედურებას, მიაცილებდენ მას ჩამწკრივებულნი: ყოველგნით საყვირების ხმა ისმოდა, და დ რ ო შ ე ბ ი ი ყ ო მ ა ღ ლ ა ა მ ა რ თ უ ლ ი“[1].

საქართველოს ცხოვრების შემდეგ ეტაპზე, როდესაც გაჩაღებული იყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, დროშის ეს როლი დასტურდება წმ. ნინოს ცხოვრებით, რომელიც თუმცა მოთავსებულია X საუკუნის შატბერდისეულ კრებულში, მაგრამ დაწერილი უნდა იყოს უფრო ადრე:

„საქართველოს განმანათლებელის ცხორება იმ დროს (X ს.) არ არის დაწერილი, როდესაც შატბერდისეული კრებული შეუდგენიათ: ამ დროს იგი მხოლოდ გადაკეთებული უნდა იყოს... წ~ა ნინოს ც~ა იმ სახით, როგორადაც იგი შატბერდისეულ ხელნაწერშია შენახული, უფრო IX საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, ვიდრე X-ში“[2].

ცხორებაში მოკლედ, მაგრამ მშვენივრად აღწერილია დღესასწაულზე გამოსული ხალხი. ზეიმს დროშათა სიმრავლეც გამოხატავს:

„აღივსნეს მთანი იგი დროშაითა და ერითა ვ~ა ყუავილითა“[3]. ამავე სიტყვებით ასწერს ჭელიშისეული ცხორება[4].

საფიქრებელია, დროშებით მოზეიმე ხალხის სურათი უფრო ადრინდელ ცნობას ემყარება. ყოველ შემთხვევაში, წ~ა ნინოს ცხორება სანდო წყაროდ ჩანს ქართლის ყოფა-ცხოვრების წარმოსადგენად თვით ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარების დროისათვის. დღესასწაულის აღწერილობის სხვა ადგილი ამ მოსაზრებას ადასტურებს: რა წამს ხალხით მოფენილ ქუჩებში გაისმის ხმა, რომ დედოფალი უნდა გამობრძანდეს, ხალხი გაიფანტება. მხოლოდ მაშინ, როდესაც დედოფალი გაივლის, ხალხი ისევ გამოდის და ზეიმით უხვდება მეფეს:

„გამოვიდა ერი ურიცხოი ვ~ა ყვავილოსნნი და ვ~ა

1 „გეორგიკა“ — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტფილისი, 1936 (ბერძნ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა). უკანასკნელი სიტყვა დაბეჭდილში არის: აფრიალებული. აქ შეცვლილია თვით პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მითითებით.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძვ. ქართ., საისტ. მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 94, 101.

3 Е. Т а к а й ш в и л и, Опис. рукописей О-ва распростр. грамотн., II, Тифлис, გვ. 751.

4 ი ქ ვ ე, გვ. 751 (ჭელიშის ც~ა).

ჟამსცა ჟამმან, სივლტოლაჲ და მიდამომალვაჲ იყო ყოვლისა კაცის~ჲ და შეივლტოდა ყ~ი კაცი საქართველსა ქუჩაშე, რ~ გამოსადმევიდოდა ნანა დეუფალი: და ვ~ა განვლო ნანა დედოფალმან, მაშინღა ნელიადნელიად გამოვიდოდა ყ~ი ერი. და შეამკვეს ფოლოცი ყ~ი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლითა, და იწყო ყ~ნ ერმან ქებად მეფისა. და მაშინ გამოვიდა მირეან მეფჱ თუალთ შეუდგამითა ხილვითა“[1]. დაახლოებით იგივე წერია ჭელიშის ცხ~აში, განსხვავებანი მაინც არის.

მაშასადამე, მეფე და დედოფალი ცალ-ცალკე გამოდიან ზეიმზე. დედოფლის გამოსვლის წინ იწყება ხალხის დამალვა.

ეს სურათი ძველი აღმოსავლური ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სურათია. არაბეთშიც ასე ყოფილა მოწყობილი ზემო ფენის ქალების ქუჩაში გამოსვლა[2]. საქართველოში ეს მოვლენა არაბთა გავლენას არ უნდა მიეწერებოდეს, რადგან ქალის განცალკევების ანალოგიური მდგომარეობა IV—V საუკუნეში სხვა წყაროებიდანაც ირკვევა. თუმცა ძველ საქართველოში ქალის უფლებრივი მდგომარეობა მაღალი ჩანს, მაგრამ მისი ყოფის განცალკევების ნიშნები მაინც ცხადია; მაგალითად, V საუკუნეში, „სტუმრებთან და წვეულობის დროს, თურმე, დედაკაცები და მამაკაცები ცალ-ცალკე სჭამდნენ პურსა, თუნდაც რომ სტუმრად მახლობელი ნათესავი ყოფილიყო; როცა, მაგალითად, ვარსქენს ძმა და რძალი ეწვივნენ და ვარსქენსა სურდა საერთოდ გაემართა სადილი, მისმა ცოლმა შუშანიკმა აღშფოთებით უპასუხა: „ოდეს ყოფილარს აქამომდე თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური“-ო“[3].

მსგავს ნიშნებს უფრო ადრე, IV საუკუნეში, ვპოვებთ: ქრისტიანობას საქართველოში კაცებს მეფე უქადაგებს, ქალებს — დედოფალი:

„კაცებს სწამთ მეფის წყალობით, ქალებს — დედოფლის წყალობით“ (რუფინუსის ცნობა)[4].

ეს განცალკევება ქალებისა შესაძლოა უფრო შორეული ეპოქიდან იყო დამკვიდრებული. ხეთებში, მაგალითად, სადაც ქალის უფლებრივი მდგომარეობა მაღალი

1 ი ქ ვ ე, გვ. 751 (შატბერდის. ც~ა).

2 „Я человек из чистильщиков и работаю на скотобойне и отвожу кровь и грязь на свалки. И случилось мне в один день из дней итти с моим ослом, который был нагружен, и я увидел, что люди бегут, и один из них сказал мне: зайди в этот переулок, чтобы тебя не убили—и я спросил:—что это люди бегут?—И кто-то из слуг сказал мне:—это харим какого-то вельможи, и евнухи отгоняют перед ним людей с дороги и бьют всех людей, ни с кем не считаясь.—И я зашел с ослом в проулок,... и стоял, ожидая, пока толпа разойдется, и я увидел евнухов с палками в руках, и с ними около тридцати женщин“... („Книга тысячи и одной ночи“, IV, Академия, 1933, „Рассказ о чистильщике и женщине“, გვ. 55).

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 234.

4 „Известия древних писателей о Скифии и Кавказе“, II, вып. 2, СПб, 1906, გვ. 365.

იყო, სასახლის ქალს კაცი ვერ შეჰხედავდა: დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა:

„Suppiluliuma explique au nouveau roi... pourquoi son predécésseur Mariya finit de façon malheureuse: „Prends bien garde aux femmes du palais. De quelque femme du palais qu'il s'agisse, ne l'approche pas, ne lui parle pas. Que ton serviteur ou ta servante ne l'approche pas, prends y bien garde! Quand une femme du palais se promène, prends garde à son chemin et détourne-t' en! Le cas d'une femme du palais est un cas grave. Qui était Mariya et pourquoi est-il mort. N'avait-il pas rencontré une femme du palais, ne l'avait-il pas regardée? Or le père de ma majesté solaire l'aperçut d'une fenêtre et lui dit: „Pourquoi as tu regardé cette femme?“ Et c'est pour cela que Mariya périt. Un cas qui a causé la mort d'un homme mérite que tu y prennes garde“ [1].

ეს გადახვევა, გამოწვეული წმ. ნინოს ცˊის ზემომოყვანილი ადგილის (დროშებზე) დამოწმების საჭიროებით, მიგვითითებს, რა სიმდიდრის შემცველია ეს ცˊა, ჯერ კიდევ არასავსებით შესწავლილი მხატვრული სიტყვისა და სხვა მხარეების მხრივაც.

ამავე ხანისათვის, ე. ი. როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა გაერთიანებისათვის, ჩვენ შენახული გვაქვს კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობა, რომელიც ქართული დროშების მეორე მნიშვნელოვან როლზე — ძალა-უფლების გამოხატვა — მიგვითითებს: როდესაც ქართველი მთავარი ვისიმე მფარველობას სცნობდა, მფარველის დროშას აღმართავდა თავის სამფლობელოს ცენტრალურ პუნქტზე. ასე მოიქცა პატრიკიოზი აშოტ კისკასი. გურგენ მაგისტროსის მტრობით მან გადასწყვიტა და გადასცა არტანუჯის ციხე რომანოზ კეისარს (920—944); როდესაც კეისრის მოციქულმა ციხე ჩაიბარა, არტანუჯის ციხის ზღუდეზე კეისრის დროშა აატრიალეს[1].

ძალა-უფლების გადასვლა და, საზოგადოდ, ძალა-უფლების გამოხატვა დროშის საშუალებით საქართველოს ცხოვრების მთელ მანძილზე სრულდებოდა, როგორც დავინახავთ შემდეგში. კონსტანტინე პორფიროგენეტის ზემომოყვანილ ცნობიდან ირკვევა, რომ საქართველოს ციხეებზე დროშები იყო ამართული.

როგორც ვხედავთ, ქართული ძველი დროშების სახის დასადგენად, უმეტეს წილად, საქმე გვაქვს ჰიპოთეზებთან, მაგრამ ჰიპოთეზები დასტურდება მით, რომ შემდგომ საუკუნეთა მანძილზე განსაცვიფრებლად ცოცხლობს ამ ძველი, ძირითადად აღმოსავლური, დროშების ტრადიცია, ფორმებისა და სიმბოლოების თუ მნიშვნელობის მხრივ, თუმცა ყოველი ახალი ეტაპი თავის ბეჭედს ასვამს დროშას. დროშების გარკვეულ ნაწილზე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრადიცია ხეთურ-სუბარულიბერულია.

---

[1] G. Contenau, La civilisation des Hittites et des Mitanniens, Paris, 1934, გვ. 174.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 394; Константин Багрянородный, Об управлении государством (Извест. Госуд. Акад. Ист. Матер. Культуры, вып. 91, Москва—Ленинград, 1934, გვ. 33).

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

## გაერთიანებული სამეფოს ქართული დროშები

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ძირითადად დამთავრდა ბაგრატ III-ის გამეფებით.

გაერთიანებული საქართველოს არსებობის 500 წლის მანძილზე სამეფოს მდგომარეობა ცვალებადი იყო. XI-XII საუკუნეებში ძლიერება ძირითადად აღმავლობით მიმდინარეობდა. გაერთიანებამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო. საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოთაგანი შეიქმნა. ბრძოლა ფეოდალებთან დამთავრდა უკანასკნელთა დამორჩილებით. განმტკიცდა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა[1]. პოლიტიკურ და ეკონომიურ სიძლიერეს თან ახლდა კულტურის გაფურჩქვნა მძლავრი ტემპებით[2].

XIII საუკუნიდან მონღოლთა ურდოებმა მრავალჯერ გადაქელეს საქართველო[3]. ამას საბედისწერო შედეგი მოჰყვა: მოსახლეობა ძლიერ შემცირდა[4], მწვავე ეკონომიურ გაჭირვებამ იჩინა თავი[5], შინაგანი რღვევა სწრაფი ნაბიჯით წარემართა. კულტურა დაქვეითდა. ქართულ შემოქმედების სულს მოესპო გასაქანი[6]. საქართველო მძლავრად ებრძოდა დაქვეითებას. იყო გამარჯვების მომენტები, ქვეყანა სულს მოითქვამდა[7], მაგრამ ეს მომენტები ხანგრძლივი არ იყო.

გაერთიანებულ სამეფოს (X—XV საუკ.) დროშებზედ ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვხვდება ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში. რომელიმე ისტორიული ამბავის მოთხრობის დროს ისტორიკოსი გაკვრით ახსენებს დროშას, ზოგჯერ ორი-სამი სიტყვით ახასიათებს და არ ჩერდება უფრო დეტალურ აღწერილობაზედ. ასევეა უცხოელ ისტორიკოსთა თუ მოგზაურთა თხზულებებში.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფილისი, 1913, გვ. 640—643.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 643—648.

3 იქვე, III, თბილისი, 1941, გვ. 17, 185, 192, 193, 195, 199, 208, 210, 212.

4 იქვე, IV, ტფილისი, 1924, გვ. 185.

5 იქვე, III, გვ. 7, 8, 60—69, 78—79.

6 გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი, 1936, გვ. 134.

7 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 28—33.

ქართველი ისტორიკოსის სიტყვები ზოგჯერ იძლევ ერთ-ორ შტრიხს დროშის დასახასიათებლად ჩვენამდ არ მოღწეულ რაღაც თხზულებიდან.

სხვა აგრეთვე დაკარგულ ისტორიულ თხზულებებშ (გიორგი ბრწყინვალის მეფობის ისტორია და სხვ.) დრო შების ხსენება აუცილებლად იქნებოდა.

მოკლე ცნობებს დროშების შესახებ ვპოვებთ სახელ მწიფო სამართლის ძეგლებში: „მეფის კურთხევის წესი“ „ჴელმწიფის კარის გარიგება“[2], უკანასკნელებში მოც მულია ცნობები მხოლოდ მეფის დროშების შესახებ. ცნობები ძალიან მოკლეა. უნდა გავიხსენოთ, რომ „კარ გარიგების“ ხელნაწერს 62 გვერდი აკლია[3], და, რადგანა სამეფო სასახლის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე ძეგლ დაწვრილებით მოგვითხრობს — ეხება ეს მეფის ჩაც მას, საბუთის დაბეჭდვას თუ სხვ., — ამის ანალოგი უნდა ვიფიქროთ, რომ, შესაძლოა, დაკარგულ ნაწილშ იყო აღწერილობა როგორც მეფის დროშებისა, ისე სხ თანამდებობის პირთა დროშებისა, ცნობები მეფის რეზ დენციაზე დროშის ამართვის შესახებ და სხვ.

განსაკუთრებით ძვირფას მასალას იძლევა თვით შერ ჩენილი დროშები, თუმცა ამ დროის მრავალრიცხოვ დროშათაგან ჩვენამდე თითო-ოროლამ მოაღწია. ასევ მცირედ არის შერჩენილი დროშების გამოხატულებან აღებული დროის ქართულ მხატვრობაში.

შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დრო შა განხილული აქვს აკადემ. ივანე ჯავახიშვილს „ქართუ ლი სამართლის ისტორია“-ში[4], მრავალი ძვირფასი ცნო ბის მოცემით.

---

გაერთიანებულ საქართველოს ხანაში დროშა ძალ უფლების ერთ-ერთ ნიშანთაგანს წარმოადგენდა. რო გორც აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, ს ხელმწიფო დროშა იგივე „დროშა სამეფო“ იყო. სხვ

1 „მეფის კურთხევის წესი“ (ს. კაკაბაძის გამოც.), ტფილ სი, 1913, გვ. 5.

2 პროფ. ექ. თაყაიშვილი, „ჴელმწიფის კარის გარიგებ ტფილისი, 1920.

3 იქვე, გვ. II.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ ნი II, ნაკვ. 2, ტფილისი, 1929, გვ. 206—212.

სამეფო ძალა-უფლების ნიშნებთან ერთად იგი მეფისაგან ტახტის მემკვიდრეზედ გადადიოდა[1].

სახელმწიფო სამეფო დროშის გარდა იყო მეფის პირადი დროშებიც, როგორც ეს დაასკვნა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ვახტანგ ბატონიშვილის ცნობაზე დამყარებით: „სახელმწიფო დროშას ეწოდებოდა აგრეთვე „დროშა სეფე“... „სეფე დროშა“ ორგვარი ყოფილა: ერთი იყო „დიადი დროშა“, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიტანდნენ ხოლმე,—მეორე კიდევ პატარა დროშა, რომელიც, ალბათ, სანიადაგოდ სახმარებლად იქმნებოდა. ამიტომაც უნდა იყოს, რომ, ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით, საქართველოში „მხედართ-მთავართა მათ აქვნდისთ დროშა თვითო და მეფესა ორი“-ო (ისტორიებრი აღწერა, გვ. 3). ცხადია, „დიდი დროშა“ ანუ „სეფე დროშა“ საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული დროშა უნდა ყოფილიყო, პატარა კი პირადად მეფისა...“[2].

ბიზანტიაშიც სახელმწიფო დროშების გარდა იყო იმპერატორის პირადი დროშაც:

„Au temps d'Andronic III un voyageur arrivant dans le pays de Byzance, voyait sur les murs de chaque ville byzantine une bannière à couleurs fermes qui portait ce que nous pouvons nommer „le blason de Paléologues“ et ce blason des monarques devenait (comme partout au Moyen Age) une éspèce de drapeau national. Cette bannière était hissée sur les tours des villes fortifiées, sur les mâts des vaisseaux de commerce, elle était aussi la bannière de guerre.

Ce dernier fait nous est bien attesté par Codinus. Dans son ouvrage il nous décrit douze bannières impériales... portant diverses images saintes et autres: l'archistratège (st. Michel), st. Georges à cheval, st. Démétrius, Procopios et Théodore, le basileus à cheval et des dragons. Ce sont sans doute les bannières de divers corps d'armée, qui comme les régiments russes jusqu'au dernier temps avaient chaqun un drapeau individuel, le plus souvent avec des icones saintes. Codinus décrit six paires de ces drapeaux.

Mais devant tous ces drapeaux pairs (φλαμουλα) se tient l'écuyer impérial tenant le divellion, qui n'est qu'un ...et l'écu de l'empereur; derrière ce divellion sont placés les bannières des despotes, des archontes et des hauts officiers.

Si l'empereur est en campagne ou ailleurs, le divellion le précède toujours. Codinus ne nous décrit pas le divellion, cette bannière impériale par exellence, mais nous pouvons penser, qu'elle portait justement la croix“ [3].

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 207.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 208.

3 A. V. Solovjev, Les emblèmes héraldiques de Byzance et les slaves (Seminarium Kondakovianum, VII, Praha, 1935, გვ. 157).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საქართველოს მეფის სასახლეზე დროშა იყო ამართული (და არა ერთი), ჩანს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობიდან[1].

სამეფო დროშების გარდა იყო დროშები კარის მოხელეთა (ამირსპასალარისა), საქართველოს სხვადასხვა კუთხის მმართველებისა, საქართველოს მეფის ჯარისა, მეფის მცველთა, საეკლესიო დროშები, საქართველოს ყმადნაფიცი სახელმწიფოების დროშები.

ისევე, როგორც თანადროულ ბიზანტიაში (იხ. ზემოთ), საქართველოშიც ქალაქების კედლებზე, ციხეებზე, გემებზე დროშები უნდა ყოფილიყო ამართული. დასაყრდენს ამისათვის იძლევა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა, რომ წინა პერიოდში არტანუჯის ციხეზე დროშა იყო ამართული (იხ. ზემოთ), ხოლო თვით ქართული მასალებით იგივე დასტურდება გემებისათვის. ასე იყო თვით მეკობრეთა გემებზე: „გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა“[2].

ამ დროშებშიც ზოგი ძალა-უფლების გამომხატველი იყო. XV საუკუნის „ძეგლი ერისთავთა“[3] (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე) მოწმობს, რომ ერისთავებს მეფეთაგან ეძლეოდათ დროშები თანამდებობასთან ერთად. თვით ცნობა, რომ ქსნის ერისთავებს დროშა ბიზანტიის კეისარ ჲუსტინიანესაგან მიეცა, შეთხზული ჩანს.

როგორც წინა ხანაში, დროშას აქვს მეორე როლიც: მონაწილეობა საზეიმო შემთხვევებში: მეფის კურთხევის დროს, მეფის საზეიმო გამოსვლების დროს, ალლუმში და სხვ.

დროშები მონაწილეობდა ასპარეზობის დროსაც: „სცემდეს ბუკსა და დაბდაფსა, წამოაყენეს დროშანი მრავალნი და ზმა იყო დიადი“[4].

საყურადღებოა „ამირან-დარეჯანიანში“ სურათი გარემოცულ ქალაქისა, რომელიც ზეიმით უხვდება მეშველად მისულ ჯარს: „აცნობეს დედოფალსა მისვლა ჩვენი, და შეიქმნა მას ქალაქსა შიგან ზმა დიადი, და წამოაყენეს ზედან მებუკე და მედაბდაფენი, და გამართეს დროშანი მრავალფერნი, და სცემდეს ზარსა“...[5]

გაშლილი დროშებით შედიოდნენ ქართველები იერუსალიმში[6].

დროშით მიდიოდა საქორწილო პროცესია ჯრუჭის მეორე სახარების ხელნაწერის (საქ. მუზ. H 1667.) ერთ-ერთი მინიატურის (გვ. 64 r .) მიხედვით.

---

1 „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“, გამოსცა ივანე ჯავახიშვილმა. ტფილისი, 1927, გვ. 16.

2 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სახელმწიფო უნივ. გამოც., თბილისი, 1937, 215 (1037 ტაეპი).

3 ძეგლი ერისთავთა (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი II, ტფილისი, 1897, გვ. 4).

4 „ამირან-დარეჯანიანი“, ტფილისი, 1896, გვ. 250; 1939 წლ. გამოცემაში, გვ. 175, მცირეოდენი განსხვავებით.

5 იქვე, გვ. 244; 1939 გამოცემაში, გვ. 172 (მცირე განსხვავებით).

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, ტფილისი, 1928, გვ. 210.

განსაკუთრებით ცოცხლად ჩანს დ რ ო შ ე ბ ი ს რ ო- ლ ი ჯ ა რ შ ი: ლაშქრობის დროს მეფეს მიჰქონდა თან თავისი სახელმწიფო დროშა, როგორც მთავარსარდალს. თუ თვითონ ომში არ მიდიოდა, დროშა გადაეცემოდა ამირსპასალარს[1].

მსგავს სურათებს ვხედავთ „ვეფხისტყაოსანში", რომელიც საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამხატველია, როგორც ეს დაამტკიცა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა და ამით გადაჭრა საკითხი „ვეფხისტყაოსანი"-ს ორიგინალობის შესახებ:

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა...
ალლუმი ვნახე....
ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა,
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა"[2].

ლაშქრის ამაყი სვლის სიმბოლო არის ამართული სამეფო დროშა, რომელიც საფარს არ საჭიროებს:

„დროშა მისი აიმართა, წინა არა აიფარა"[3].

საინტერესოა, რომ მოკავშირეთა დროშები ერთმანეთის „შენატყუბია"[4], ვარიანტით: ერთად „ჰყუდია"[5].

ჯარში მრავალი სხვა დროშა უნდა ყოფილიყო. სტეფანოზ ორბელიანის მოწმობით, საქართველოს ამირსპასალარის განკარგულებაში იყო 12 დროშა. თვითეულ დროშაში შედიოდა 1 000 კაცი[6].

შესატყვისი ცნობა თამარის ისტორიკოსს ეკუთვნის: „გუზან, პირველითგანვე წარმწყმედელი თავისაჲ, აწცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთაჲ, წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა, და სამძივარი სხვთა აზნაურისშვილებითა... და მოეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი და კალმახელნი... და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შვილისა შაჰარმენის ლაშქრითა მოსლვაჲ... დალაცათუ ლ ა შ ქ ა რ- დ ი დ ნ ი ი ყ ვ ნ ე ს დ ა პ ა ტ რ ო ნ ნ ი ა თ ო რ მ ე- ტ ი ს ა დ რ ო შ ი ს ა ნ ი, და ესენი მცირენი,... შეიბნეს"[7].

უნდა დავასკვნათ, რომ თვითეულს ამ სადროშოს და თვითეული კუთხის ჯარსაც თავისი დროშა უნდა ჰქონოდა. ერისთავის ჯარი ბრძოლაში წასვლისას წარიძღვანებდა ხოლმე დროშას: „წარიძღვანეს დროშა და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელთ გარეთნი და ყოველი მიმდგომი მათი"[8].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I, გვ. 148.

[2] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, გვ. 84, 85.

[3] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, გვ. 325 (1597 ტაეპი).

[4] იქვე, გვ. 328 (1607 ტაეპი).

[5] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 258 (ტაეპი 1683).

[6] ***Պատմութիւն նահանգին Սիսական.*** **თბილისი, 1910, გვ 378; Stéphan Orbélian, L' Histoire de la Siounie, SPB, 1864, გვ. 215 (ბროსეს თარგმანი).**

[7] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (აკად. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით), თბილისი, 1941, გვ. 96.

[8] ძეგლი ერისთავთა, გვ. 9.

ჯარის ნაწილსვე შეადგენდა მეფის მცველთა რაზმა თავიანთი დროშებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

საქართველოს მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს ლ ა შ- ქ ა რ შ ი ც ამ დროს დროშები დიდ როლს თამაშობდნენ აქაც, როგორც აუცილებელი სამხედრო ნიშნები სარდლობისა და მთლიანობისათვის.

ვისრამიანი მხატვრულად აგვიწერს სპარსულ ჯარს: „ჰაერი ტყესა ჰგუანდა შუბისა და დროშისა სიმრავლითა, ქუეყანა ნაძუისა ტყესა ჰგუანდა მრავალფერისა დროშისაგან; ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი"[1].

ქართველ ისტორიკოსთა ნაწერებში საქართველოს მოწინააღმდეგეთა ლაშქრებმაც ჰპოვეს ანარეკლი თავიანთ დროშებითურთ: მტრის დროშის დაცემისკენ მოუწოდებს ჯარს გიორგი III, რომ მტრის ბანაკი დაამარცხოს: „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უსწრაფეს ვუხეთქნეთ დ რ ო შ ი ს-მ ქ ო ნ ე ს ა და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი... ვითარ იხილეს დროშაჲ დაცემული მკლავითა აქილიანითა... იჯუმიეს სივლტოლაჲ ძალისაებრ ჰუნეთთაჲსა"[2].

მონღოლთა ომში ჩვენ ვხედავთ სამხედრო ხერხს — ალამის შეცვლას, მტრის შეცდომაში შეყვანის მიზნით[3].

საქართველოში, თამარის დროს, დამარცხებულ მოწინააღმდეგეს ხალხს უჩვენებენ მის დროშებთან ერთად: „განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუალა ტუირთითა, ცხენი ყუალა შეკაზმული, ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თუის-თუისითა დ რ ო შ ი თ ა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომიშემდგომად. გააწყუეს კარითგან ქალაქისათა ჭევამდე გლდანისა ტყუე ყოველი"[4].

აწერილია გამარჯვების გამოც მოწყობილი დარბაზობა, მტრის დროშების შეტანით: „ამისა შემდგომად შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი, და შევიდა თამარ და დავით ვ̃ა მზისა შარავანდედი მიფენითა, და შეიღეს დროშა ნუქარდინისი, შეიყუანეს პირველად ე[რ]ზინკელი, და მერმე სხვანი იგი წარჩინებულნი მოიყუანნა, რომელი სთნდეს, წინაშე თჳსსა თამარს"[5]...

XII—XIII საუკუნეში საქართველოს მეფეები დამარცხებული მტრის ძალა-უფლების ნიშნებს და სხვ. სწირავდნენ ხატებს. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა შესწირა მტრის მანიაკი, ხოლო თამარმა, მისივე მიბაძვით, ხალიფას დროშა ხახულის ხატსა: „დროშაჲ იგი ხალიფაჲსი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარ

---

[1] ვისრამიანი, ტფილისი, 1938, გვ. 24.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 59.

[3] ჟამთააღმწერელის თხზულება (მარიამისეული ქთრალ. ცხოვრ. გვ. 709).

[4] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, თბილისი, 1944, გვ. 22.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 29.

გზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისა... ესე იამბიკოჲ... აღწერა:

„...მე თამარ...
ხალიფაჲს დროშაჲ თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ სჯულთ-მოძღურისა ღაზოდ
მოძღუნილი“[1].

ეს დროშა გამარჯვების საწინდრად, ღაზოდ, გამოგზავნილი იყო ხალიფას მიერ მაჰმადიანთა ლაშქრისათვის: „წარმოეგზავნა ხალიფას დროშაჲ მისი... რომლისა თავსა ზედა იყო ოქროჲ ათასის ხალიფურისაჲ[2].

როგორც ჩანს, დროშის თავი ოქროსი იყო.

იოანე ბატონიშვილი „კალმასობა“-ში, რაღაც ცნობების თანახმად, ასე ასწერს ამ დროშას: „ბაღდადისა ხალიფამანცა წარმოუვლინა მხედარნი და დროშაჲ თვისი, რ~ლსა ზედა ეწერა ყურანთაგან ლოცვანი, და მამადისა ოქროსა ჭელი ზედან იყო შუბის მაგიერ, რომელ მხილველთა ამა ბავრაყისათა თათართა დიდად განიხარეს და დაიდვეს გულსა თვისსა უეჭველად ძლევისა შემოსვა...[3] თამარმა ბრძანა იმა ჴალიფისა ბავრაყისა მოღება[4], ხ~ ბავრაყსა ზედა ბრძანა წარწერად ამა იამბიკოთა...[5].

თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა იამბიკოთა წარწერის შესახებ საყურადღებოა. ამ დროის მაჰმადიანურ დროშებზე მიღებული იყო არაბული წარწერები. შენახულია ხალიფების ალმოჰადების დროშა. იგი წაართვა მავრებს კასტილიის მეფემ ალფონს VI-მ 1212 წელს ბრძოლაში. დროშა ნაკერია ოქროთი და ფერადი აბრეშუმით, შემკულია არაბული ორნამენტებით, დანაწევრებულია ფართე ზოლებად. მათ შორის მოთავსებულია წვრილი ორნამენტი და არაბული წარწერები[6].

მტრის დამარცხების გაღრმავება იქნებოდა მაჰმადიანთა საღვთო დროშაზე ყურანის წარწერათა მაგიერ, ან მათ გვერდით, საქართველოს მეფის, ისიც ქალის მიერ, ქრისტიანული ლოცვის—ვედრება ღვთისმშობლისადმი—მოთავსება, თუმცა წარწერებით შემკობა დროშის სტილს შეეფარდებოდა.

აღებული ხანის წყაროებში გვაქვს ცნობები მხოლოდ სამხედრო მედროშეთა შესახებ: მათ ვხედავთ მეფის მცველთა რაზმში XV საუკუნის ფსალმუნის მინიატურაზე. მათი ჩაცმულობა ჩვეულებრივი მეომრების ჩაცმულობისაგან არ განირჩევა. თამარ მეფის ისტორიკოსი ერთხელ აღნიშნავს გიორგი III-ის მოწინააღმდეგის ჯარში დროშის მქონესა[7], ე. ი. იმას, ვისაც ბრძოლის დროს დროშა ეჭირა. იოანე ბატონიშვილი „კალმასობა“-ში — არა ჩანს, რა წყაროებზე დამყარებით, — წერს, რომ დავით აღმაშენებელმა განაწესნა „მოხელენი“ და მათ შორის „ბავრაყისა მეფისა უხუცესი“[1].

დროშის როლი საღვთო საგნისა, რომელიც უძველეს დროიდან მას აქვს მიკუთვნებული და რომელიც დამოკიდებულია დროშაზე აღბეჭდილ საღვთო გამოხატულებისაგან, ამ დროსაც ნათელია. გარდა დროშა-ტროფეებისა, ღვთაებას სხვა დროშებსაც სწირავდნენ, ისევე, როგორც სხვა საღვთო ხასიათის საგნებს. ეს ცალკეული მოვლენა არ არის, რადგან გვაქვს რამდენიმე მაგალითი: შეწირვა დროშისა რუსუდან დედოფლის მიერ, კოპასძის მიერ, გარაყანისძის მიერ. ეს ჩვეულება შემდგომ საუკუნეებშიც ძლიერ იყო განვითარებული. დროშების შეწირვა ძველ აღმოსავლურ ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს: სირიის III საუკუნის ახალი წელთაღ. ტაძარში შენახულია წარწერა დროშის შეწირვის შესახებ[2].

---

საჭიროა სხვადასხვა წყაროების მონაცემთა შეერთება, რომ ძველი დროშების სახე აღვადგინოთ. შესაძლებელი ხდება რამდენიმე სახის დადგენა:

1. დროშები, რომლების ალამი ქსოვილისა იყო. იგი დამაგრებული იყო ბუნის სიგრძეზე. ალმის ზემოდან ბუნზე გაკეთებული იყო დროშის თავი. ასეთ დროშებს მიეკუთვნებოდა, საფიქრებელია, დიდი სამეფო გორგასლიანი დროშა, ასეთივე იყო მეფის მცველთა დროშები.

2. დროშები, რომლებიც შესდგებოდა ბუნზე დამაგრებულ ლითონის დისკოსაგან. დისკოს ორივე მხარეზე მოთავსებული იყო გამოხატულება. ეს დროშები საომარ დროშებს წარმოადგენდნენ.

3. ცხოველის სახის დროშები: ქსოვილიდან გაკეთებული ცხოველი, დამაგრებული ბუნზე. ბუნს აქვს მიმაგრებული დროშის თავი. ასეთ დროშებიდან ჩვენამდე მოაღწია სვანეთის დროშამ („ლომმა“).

4. ლაბარუმები სამეფო და საეკლესიო: ოთხკუთხედი ან ხუთკუთხედი ფირფიტაა, რომელიც გარდიგარდმო დამაგრებულია ბუნზე. შენახული ლაბარუმები ან ლითონ გადაკრულია (გამოხატულებიანია), ან ხისაა, ხატჩადგმული. სამეფო ლაბარუმებზე შემკულობის გარდა რაიმე გამოხატულება არა ჩანს.

5. დროშა-ჯვრები — საეკლესიო დროშები, რომლებიც წარმოადგენენ ბუნზე დამაგრებულ ჯვარს.

რაც შეეხება ალმების ფერს, სახელმწიფო გორგასლიანი დროშის ალამი თეთრი იყო, ნიშანი მასზე (გამოხატულება) — წითელი. თეთრივე იყო მეფის მცველთა დროშების ალმები. ამირსპასალარის ალამი წითელი იყო, ხოლო ნიშანი მასზე იყო თეთრი.

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 109—110.

2 იქვე, გვ. 104.

3 საქ. მუზ. ხელნაწერი № H 2134, გვ. 636 r.

4 იქვე, გვ. 641 r.

5 იქვე, გვ. 641 r.

6 Н. Н. Соболев, Очерки по истории украшения тканей Москва—Ленинград, 1934, გვ. 213, სურ. 128.

7 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 59.

1 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა (საქ. სახ. მუზ. ხელნაწერი H 2134, გვ. 610. v).

2 Du Mesnil du Boisson, L'Etendard d'Athargates et Hadad à Doura-Europos (Revue des arts asiatiques, Annales du musée Guimet, t. XI, № 2, 1937, Juin, გვ. 75—78).

კვირიკეს დროშის ალამი (სვანეთი) ოქროსფერია. ასეთივე იყო იგი თავდაპირველად თუ არა, არა ჩანს. იმის გარდა, რომ ალმების ფერები თანამდებობასთან იყო დაკავშირებული, მათ სხვა სიმბოლიური მნიშვნელობაც ჰქონდათ, რაც მტკიცდება ჟამთააღმწერელის თხზულებიდან: მეწამული ფერი, მაგალითად, ნიშნავდა გამარჯვებას მტრებზე:

„მოვიდა სულტანი სპითა საზარელითა... აქათ თათართა განაწყვეს რაზმი... დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამღვრელობასა მტერთასა...“[1]

ფორმის მხრივ ალმები სწორკუთხედია (მეფის მცველთა დროშები) და აქვთ ვიწრო ზორტები, ზოგის სწორკუთხედი ორი სამკუთხა ფორმის კალთით მთავრდება (დროშა წმინდანის ხელში)[2]. იხ. ტაბულა III.

დროშის თავები ძირითადად ჯვრის ფორმისა იყო (კვირიკეს დროშის თავი). დროშის თავის მეორე ფორმა იყო შუბის პირი. „ქელმწიფის კარის გარიგება“-ში ვკითხულობთ: „შუბი სეფე ალმითა“[3]. შუბის პირის ფორმა აქვს სვანეთის დროშის („ლომის“) თავს. იგი ვერცხლისაა, მაშასადამე, საზეიმო შემთხვევებისათვის განკუთვნილია და არა საბრძოლოდ. შუბის პირის ფორმისებურია ამილახვრიანთ დროშის თავი.

სხვა ფორმისაა მეფის მცველთა დროშების თავები: ეს ხუთკუთხედი ფიგურაა, გიორგი III-ის (იხ. ბეთანიის ფრესკა) ლაბარუმის მსგავსი.

სამწერობელის ფორმის დროშის თავს თუ დროშას ვხედავთ აფხაზურ რელიეფზე წმინდანის გამოხატულებით[4].

კვირიკეს დროშას ჯვრის ქვემოდან გაკეთებული აქვს წახნაგებული ბუშტი.

ამ ხანის ოთხთო-ოროლა ბუნმა მოაღწია ჩვენამდე. ესენი მხოლოდ ხისაა, ან ხისა ვერცხლგადაკრული. მათ შორის გვხვდება როგორც სადა, ისე ორნამენტირებულიც.

მეფის მცველთა დროშის ბუნები შემკულია მსხვილი ფუნჯებით, რაც ძველი აღმოსავლური ჩვეულების გაგრძელებას წარმოადგენს.

გამოხატულებებს ვხედავთ როგორც თვით დროშებზე, ისე მათ თავებზე. უმთავრესად ეს გამოხატულებანი საღვთო ხასიათისაა: წარმოადგენენ ღვთისმშობელს ყრმით, იესო ქრისტეს, მთავარანგელოზს, ადგილობრივ წმინდანს (წმ. იონა ლატარისა) და სხვ.

შუა საუკუნეების პოლონელ მოგზაურს კოტოვიჩს მოეპოვება ცნობა, რომ სამხედრო დროშებზე წმ. გიორგის გამოხატავდნენ ხოლმე[1]. ამ ცნობას მხარს უჭერენ თანამედროვეთა სხვა მოწმობებიც, მაგ., სამხედრო შეძახილის შესახებ ბრძოლაში. ეს შეძახილი სწორედ ამ წმინდანის სახელს წარმოადგენდა. ამის შესახებ პლატონ იოსელიანს მოყვანილი აქვს ძველებური ფრანგული ლექსი ჯვაროსანთა ომების მწერლის გოტიე დე მეცის მოთხრობიდან „Roman de la mappemonde“:

Celle gent son boin crestien,
Et ont ànom georgien,
Car S. Georges crient toujours
En bataille, et es estours
Contre paien; et si l'auroent,
Sur tous autres et l'honnourent“ [2].

წმ. გიორგი გამოხატულია სვანეთის „ლომის“ დროშის თავზე, გერის ეკლესიის დროშაზე. იგი ან ქვეითია, ან ცხენოსანი. თუ ცხენოსანია, ის ან გველეშაპს ჰგმირავს შუბით, ან წარმართ მეფეს. წმ. გიორგის სახით კვლავ გვევლინება ძველი წარმართული ღვთაება, რომელსაც ქვეყნის ნაყოფიერება აბარია და ებრძვის ბნელს.

---

დროშებმა ასახეს გაერთიანებული საქართველოს ხელოვნების განვითარების გზები. შერჩენილი ეგზემპლარების მიხედვით შეიძლება თვალყური მივადევნოთ მის მთავარ ეტაპებს.

გაფურჩქვნის ხანიდან შერჩენილია ოქრომჭედლობის საუკეთესო ნივთთაგანი, — გიორგი III-ის დის, რუსუდან დედოფლის, შეკვეთით გაკეთებული დროშაკი. პლასტიკური სხეულის შექმნასა და შინაგანი განცდის გამოხატვაში მასში გამომჟღავნებულია XI საუკუნის მიღწევანი, რომელნიც კვლავ გვიჩვენებენ დიდ წინსვლას დასავლეთი ევროპის თანადროულ ქანდაკების დარგთან შედარებით[3]. ორნამენტის სფეროში მასში უნაკლოდ წარმოდგენილია ეპოქის ძიებანი: აშორება სქემატიურობისა, გადალახვა მკაცრი ერთგვაროვნებისა, თავისუფალი შემოქმედებისკენ გზის გაკაფვის სურვილი. ამ დროის დამახასიათებელ ორნამენტს — იშხანის და მარტვილის ჯვრების პალმეტებისებურ ბოლოებისას — ვხედავთ აქაც. სვანური ხალხური სახელოსნოების შემოქმედებაც წარმოდგენილია კვირიკეს და ივლიტას ეკლესიის ლაბარუმის (წმ. გიორგის გამოხატულებიანი) სახით.

---

[1] ჟამთააღმწერელის თხზულება (ქართ. ცხოვ. ბროსეს გამოც.), სანკტპეტერბურღი, 1849, გვ. 363.

[2] გამოხატულება ქვის ფილაზე, ნაპოვნი აფხაზეთში იხ. П. С **Уварова, Христианские памятники (Материалы по археологии Кавказа, IV—1894), გვ. 20, სურ. 9).**

[3] პროფ. ექ. თაყაიშვილი, ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. 9—10.

[4] **Уварова, МАК, IV, გვ. 20, სურ. 9.**

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტორ., II, ნაკვ. 2, გვ. 210 („ქართველები (გეორგიანები) გიორგი მთავარმოწამეს (რომლის სახელიც თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული) უაღრეს თაყვანსა სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც (პატრონადაც) მიაჩნიათ (ადიდებენ) და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ ხოლმეო“).

[2] **Платон Иосселиани, Описание г. Душета, Тифлис 1860, გვ. 20.**

[3] გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იშხანიდან, საქ. მუზ. მოამბე, VI, ტფილისი, 1931, გვ. 309; მისივე, მოხსენება სახ. უნივერსიტეტში 1942 წელს ცაგერის ღვთისმშობლის ხატის შესახებ.

ხელოვნების გაყინვის პერიოდს მიეკუთვნება გერიელესიის დროშაკი მისი სქემატურობით, სიმშრალით, პლასტიკურობის დაკარგვით, მძაფრი ხაზობრივობით, რომელიც შეერთებულია დაუხელოვნებულობასთან.

რუსუდანის დროშაკის მაგალითიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლითონის დროშები და დროშის თავები ზოგჯერ საუკეთესო ოქრომქანდაკებელთა ნამუშევარი უნდა ყოფილიყო.

უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ალმების მოხატვა თუ მოქარგვა საუკეთესო ოსტატებს ევალებოდა.

ისტორიკოსების მიერ აღნიშნული დიდი რაოდენობა სადროშოებისა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში იქნებოდნენ დროშების დამმზადებელი სპეციალური ოსტატები.

რუსეთში უფრო გვიან ხანაში (XVII საუკ.) სამეფო სასახლესთან იყო მოწყობილი სადროშო სახელოსნოები. ამ სახელოსნოების ნაწარმოებნი მეფის ალექსი მიხეილისძის დროს მხატვრობის მხრივ საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით 1654 წლის დროშები. ისინი არ ჩამოუვარდებოდნენ ხატების მხატვართა საუკეთესო ნაწარმოებთ[1].

საქართველოში სახელმწიფო ხასიათის დროშების სახე, ფერები და, ალბათ, გამოხატულებანიც, აგრეთვე დროშის თავების ფორმა, განსაზღვრული იყო მეფეთა ბრძანებით (სტეფანოზ ორბელიანის ცნობები მეფისა და ამირსპასალარის დროშების შესახებ, იბნ-ალასირის ცნობა საქართველოს ყმად-ნაფიც სახელმწიფოს დროშის თავის შესახებ. იხ. ქვემოთ).

დროშების დამზადება ხდებოდა სხვადასხვა პირთა შეკვეთითაც; დედოფალი რუსუდანი იღვწის დროშაკის დამზადებისათვის, მონასტრის წინამძღვარი კოპასძე ამზადებინებს ერთობილი სვანეთის დროშას.

უნდა ვიფიქროთ,რომ საქართველოს სამეფო არქივებში ინახებოდა მეფეთა განკარგულებანი და სხვა მასალები დროშების დამზადების შესახებ, ისევე როგორც ეს შენახული ყოფილა და შერჩენილია მოსკოვის საბჭრო პალატის არქივში.

საქართველოში სახელმწიფო ზრუნავდა საბუთების დაცვაზე. აკად. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, დასავლეთ საქართველოში არქივები უკვე პროკოპი კესარიელის დროს მოიპოვებოდა, სტეფანოზ ორბელიანს აქვს ცნობა საქართველოს დედაქალაქის დავთარხანის შესახებ XIII საუკუნეში, დავთარხანები არსებობდა XVIII საუკუნეშიც.

უნდა დავუმატოთ, რომ არსებობდა საეკლესიო არქივებიც (იხ. საბა ნინოწმიდელის ანდერძის ცნობა).

საზოგადოდ, ძველ საქართველოში წესიერ აღრიცხვას და საბუთების შედგენას დიდი ტრადიცია ჰქონდა: გარდა მოსახლეობის აღრიცხვის, საშემოსავლო და სხვა დავთრებისა, იყო დავთრები თვითეული სავაზიროს ქონების ფარგლებში.

საყურადღებოა, რომ სამეფო საბჭრო საწყობშიც ყოველწლიურად სდგებოდა აღრიცხვის ფურცელი: „ამილახორი, მეაბჯრეთ უხუცესი, ზარდახნის უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახან[ს] შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ და საანგარიშო გოდორსა შიგან ჩასდებს“[1].

დამარცხებული მტრის დროშები და სხვა დროშები სწორედ, ალბათ, იარაღის სხვადასხვა საწყობებში ინახებოდა, რამდენადაც სამეფო დროშის შესანახი ადგილი XIV საუკუნეში იყო ცალკე ზარდხანა (იარაღის საწყობი), რომელშიც მხოლოდ პირადი იარაღი ინახებოდა მეფისა. ალბათ, ზარდხანებში აღირიცხებოდა ახლად შემოსული დროშები, ამოიშლებოდა დროშები, რომლებიც გაუქმდა, დაძველდა ან აღარ დაბრუნდა ომიდან. მეფის მუდმივი ჯარის სხვადასხვა ნაწილებს აქედან უნდა მისცემოდა დროშები. XIV საუკუნეში ზარდხანას ჰყავდა სპეციალური მოლარე, მწიგნობარი.

## სამეფო გორგასლიანი დროშა

სამეფო დროშას XII—XIV საუკუნეთა თხზულებებში უწოდებენ საქართველოს ძლევამოსილ მეფეთა სახელებს: გორგასლიანს, დავითიანს (ე. ი. დავით აღმაშენებელისას), ბაგრატოანურს (ე. ი. ბაგრატ III-ისას). ის ჩნდება ისტორიულ თხზულებათა ფურცლებზედ საქართველოს გაერთიანების ხანაში. ყოველი შტრიხი, დაკავშირებული მასთან, დიდად მნიშვნელოვანია და მასთან ძალიან საყურადღებოდ გადახლართულია სამეფოს ბედი.

აკად. ივანე ჯავახიშვილი სიფრთხილით უდგება ცნობას, რომ დროშა გორგასლიანი იყო: „....თუ მრავალგვარი და ხანგრძლივი პოლიტიკური უკუღმართობის გამო, რომელიც აღმოს. საქართველოს ვახტანგ გორგასლის შემდგომ თავს დაატყდა, ადვილი დასაჯერებელი არ არის, რომ დამოუკიდებლობის ისეთი სიმბოლო, როგორიც სახელმწიფო დროშაა, მტრების კლანჭებს გადაჰრჩენოდეს, ის ცნობა მაინც სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ თამარ მეფის დროს და შემდეგშიაც საქართველოს სახელმწიფო დროშა ბაგრატისა (ალბათ III-ის) და დავით აღმაშენებლის ნაქონები დროშა იყო“[2].

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იძლევა აბუბაქრ ათაბაგზე გალაშქრების აღწერილობაში ბრძოლის ერთს ეპიზოდს, რომელშიაც ჩვენ ვხედავთ მეფის დავით სოსლანის რაზმს დროშითურთ და ვპოვებთ პირდაპირ ცნობას, რომ მეფის დროშა მართლაც ვახტანგ გორგასალის ლაშქრობათა მონაწილე იყო — „სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკობდა“: „მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი და დ რ ო შ ა ჲ ი გ ი გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი, რო-

[1] Л. Яковлев, Русские старинные знамена, Москва, 1865 (Дополнение к III отделению Древностей Российского государства, გვ. 19—20).

[1] პროფ. ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ჴელმწიფის კარის გარიგება, ტფილისი, 1920, გვ. 9.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 207.

მელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკდებოდა“[1].

ეს ცნობა მეორდება შევსებულს ქართლის ცხოვრებაში, რომელიც აშკარა სიყვარულით უმატებს: „მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ“[2].

ეს შესანიშნავი ცნობა დროშის შესახებ ჩვენ წინ გადაშლის რაღაც ფურცლებს დაკარგული საისტორიო თხზულებისა ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ, შესაძლოა, იმას, რომლის ნიადაგზეა აღმოცენებული XI საუკუნეში ჯუანშერის „ზღაპრულ-რაინდული“ ნაწარმოები. როგორც ჩანს, თამარის პირველი ისტორიკოსის დროსაც ეს ნაწარმოები ჯერაც არსებულა.

თვით ჯუანშერის ისტორიაში სინდეთში გალაშქრების ამბავი სრულიად არ არის დაკავშირებული საქართველოს სამეფო დროშასთან, დროშა ამ თხზულებაში არ არის ნახსენები.

ეს ცნობა მოწოდებული ისეთი სანდო ისტორიკოსის მიერ, როგორიც არის თამარის პირველი ისტორიკოსი, საგულისხმოა სხვა მხრივაც, იგი მოგვითხრობს სახელმწიფო ალამის თეთრ ფერზე: „დროშა მოსპეტაკდებოდა“.

დროშის თეთრ ფერზე გვაწვდის ცნობას XIII საუკუნის ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი სივნიეთის ისტორიაში:

„*Զի սահման էր թագաւորին սպիտակ լինել վառն և կարմիր նշան ունել. հրամայեցին սոցա* (ორბელთა) *կարմիր ունել զվառն դրօշին և սպիտակ նշան։*“)[3].

სივნიეთის ისტორიის თარგმანში მ. ბროსე ამ ტექსტის შემდეგ გაგებას იძლევა:

„Mais comme l'étiquette attribuait aux rois la flamme blanche sur un drapeau écarlate, on leur (ორბელთა) avait ordonné de porter la flamme écarlate sur un étendard blanc“[4].

ე. ი. მეფეებს ჰქონდათ თეთრი ალამი წითელ დროშაზე, ხოლო ამირსპასალარს წითელი ალამი თეთრ დროშაზე.

აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილის თარგმანი ამ ადგილისა სხვაობს ბროსეს თარგმანისაგან: „წესად იყო, რომ ხელმწიფის დროშას ბუნი თეთრი უნდა ჰქონოდა, ხოლო ალამი წითელი, ხოლო მათ (ე. ი. ორბელიანი, რომელთაც საქართველოში ამირსპასალარის თანამდებობა ჰქონდათ ხოლმე), ებრძანათ, რომ დროშის ბუნი წითელი ჰქონოდათ, ალამიკი თეთრი[5].

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 107.

2 თამარ მეფის ისტორია (ქართლ. ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 307).

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 209.

4 **Stéphan. Orbèlian, L'Histoire de la Siounie, 1864,** გვ. **215.**

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 209.

რადგან აკად. ჯავახიშვილისა და აკად. ბროსეს თარგმანში სხვადასხვაგვარად გაგებულია დროშის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები: **վառ** და **նշան** და რადგან საჭირო იყო თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობების შეთანხმება სტეფანოზ ორბელიანის მოწმობასთან, მივმართე პროფ. ილია აბულაძეს ტერმინების დაზუსტებისათვის. აჭარიანის ლექსიკონის მიხედვით აღმოჩნდა, რომ **վառ** ეწოდება დროშის იმ ნაწილს, რომელიც ქსოვილისაგან იყო გაკეთებული, ე. ი. ალამს. სიტყვა **նշան** გამოხატულების აღმნიშვნელი გამოდის.

აქედან სტეფანოზ ორბელიანის ცნობა შემდეგნაირად უნდა იყოს გაგებული: წესად იყო, რომ ხელმწიფის ალამი თეთრი უნდა ყოფილიყო, ხოლო ნიშანი წითელი, ხოლო ორბელთა ნაბრძანები ჰქონდათ, რომ დროშის ალამი წითელი ჰქონოდათ, ხოლო ნიშანი მასზე თეთრი.

იმის შესახებ, თუ რა ყოფილა საქართველოს სახელმწიფო დროშაზე გამოხატული, აკად. ივანე ჯავახიშვილი წერს: „რა-კი მე-XIII ს. დამლევის ისტორიკოსს სტ. ორბელიანს საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამის წ˜ა გიორგის სახით მოხატულობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მე-XI—XIII სს-შიც იყო ალამზე წ˜ა გიორგის სახე გამოყვანილი, თუ ეს მერმინდელი დანართია“[1].

არც შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაურის კოტოვიჩის ცნობა, რომ ქართველების სამხედრო დროშებზედ, ჩვეულებრივ, წმინდა გიორგი იყო დახატული[2], არ გულისხმობს, რომ ასევე იყო სამეფო გორგასლიან დროშაზედაც. სამეფო სხვა დროშების მიმართ, შესაძლოა, ეს სამართლიანი ყოფილიყოს. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომ „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა... გიორგისასა“, XII საუკუნისათვის მართლდება, რამდენადაც გიორგი III-ის ბეჭედზე წმინდა გიორგი ყოფილა გამოხატული. ვახუშტი ბატონიშვილსაც საქართველოს ღერბზე ცხენოსანი წმ. გიორგი ჰყავს დახატული (ამის შესახებ ქვემოთ).

(ინტერესს არ არის მოკლებული იოანე ბატონიშვილის მიერ მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელის გერბზე „ცხენი რქოსანი“ იყო გამოხატული. იგი არ წერს, ეს გამოხატულება დროშაზე იყო თუ საბეჭდავზე: „ღერბსა ამა მეფისასა შეჰსძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოვა თვით მეფემან, მიმავალმან მარტომ ტფილისიდგან ქუთაის[ს] საშენებელად... იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შ˜ა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან... აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა... ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაის და მუნიდგან ქართლს და ქართლიდგან კახეთს“[3]. ამ ცნობას ერთგვარი ანგარიში

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, გვ. 211.

2 იქვე, 209—210.

3 კალმასობა, საქ. მუზ. ხელნაწერი № H 2134, გვ. 473r.

უნდა გაეწიოს, შესაძლოა, აქ იგულისხმება გამოხატულება გორგასლიანი დროშისა, და ამ გამოხატულებამ გამოიწვია ლეგენდაც. სასანურ ბეჭდებზე არაიშვიათია ცხენისა, თუ ცხენისმაგვარ რაღაც ფრთოსანი არსების გამოხატვა, ზოგჯერ იგი თითქოს რქოსანიც არის (იხ. სურათები ნაშრომში: „Sassanidische Siegelsteine“ №№ 1388, 1393)[1].

აკად. ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს ის გარემოებაც, რომ „საქართველოს დროშას ალამი მილურსმული კი არ ჰქონია, არამედ მიბმული. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ როდესაც ქართველთა მხედრობა მეფის წინამძღოლობით ომში გაემგზავრა, „აბეს დროშა სვიანად ჯმარებული“-ო... ხელმწიფის კარის გარიგებაშიაც ნათქვამია: განცხადება დღეს რომ დარბაზობა უნდა მომხდარიყო, ამისთვის „დიდი დროშა აბან“[2].

დროშის აბმა ქართულ ფოლკლორში გვხვდება: „გუდან შეიტყო, იწამა ღვთითა და ღვთის შობლითაო, ადგა, აბა დროშაი ლაღის გუდანის ჯვრისაო“[3].

---

„ქადაგობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჯვარიო:
საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო;
სამი აბან დროშაი, სამსავ შააბან ზარიო...“[4]

აბმა დროშისა ახლაც ცოცხალია ივრის ფშავლებში:

„დროშა, რომლითაც ხატიონნი პროცესიას წინ მოუძღოდნენ, სახელდახელოდ გააკეთეს თამარის ხატიდან ლაშარში წამოსვლის წინ. თამარისადმი შეწირული ფერადი (თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი) „საკადრისები“, რომლებიც თამარის ხატის გალავანში ხეების ტოტებზე ეკიდა, ჩამოხსნეს, დროშის ტარზე აბეს, შემდეგ ტარს ზემოდან ჩამოჰკიდეს და თავზე ოქროსფრად მოელვარე ლითონის ჯვარი დაამაგრეს. ასე გაჩნდა ლაშარობაზე ხატის დროშა“[5].

ძალიან საგულისხმო მოსაზრებას გამოსთქვამს აკად. ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფო დროშის თავის მოყვანილობის შესახებ: „საქართველოს სახელმწიფო დროშის თავის მოყვანილობის შესახებაც მოიპოვება ცნობები. საფიქრებელია, რომ XII ს. მაინც ქართულ ეროვნულ დროშას თავზე ჯვარი უნდა ჰქონოდა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ არაბ მემატიანის იბნ-ალასირის სიტყვით თამარ მეფის დროს არზრუმის მბრძანებელს, რომელიც საქართველოს მეფის ყმად-ნაფიცი იყო და მის ნაწყალობევ საპატიო სამოსლით იმოსებოდა, ქართველებმა ისეთი დროშა გააკეთებინეს, რომელსაც თავზე ჯვარი ამკობდაო (დეფრემერი, Frag. გვ. 489—490). თუ ქართველები თავიანთ ყმად-ნაფიცს ანუ ვასალს დროშის თავზე ჯვარს აკეთებინებდენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ თვით ქართველებსაც სახელმწიფო დროშის თავზე ჯვარი ჰქონიათ... ჯერ კიდევ.... თეიმურაზ I დროს „კახთა ბატონის დროშის თავი ბროლის ჯვარი ყოფილა“[1].

მაგრამ შესაძლოა, სხვაგვარი დროშის თავიც ყოფილიყო. XIV საუკუნის ცნობით, მაგალითად, ერთ-ერთი სამეფო დროშის თავს შუბის პირიც წარმოადგენდა: „შუბი სეფე ალმითა“ მოხსენებულია „კარის გარიგებაში“[2].

სახელმწიფო გორგასლიანი დროშა, იგივე „დროშა სამეფო“, სხვა სამეფო ძალა-უფლების ნიშნებთან ერთად მეფისაგან ტახტის მემკვიდრეზედ გადადიოდა[3].

სახელმწიფო დროშა მონაწილეობას იღებდა სამეფოს ყველა მნიშვნელოვან საზეიმო მომენტში. როგორც სამეფო ხელისუფლების ნიშანთაგანს, მას მტკიცედ გარკვეული როლი ჰქონდა მეფის კურთხევის განგებაში: „დასცეს საყუირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთუის, და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მისთანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა“[4].

(საყურადღებოა დროშის ძლევამოსილების ეს მხატვრული გამოთქმა. ბასილი ეზოს მოძღვარი სხვაგანაც მიმართავს ამგვარ შედარებას, როდესაც უნდა აღნიშნოს სიხარული თამარის დაბადების გამო: „იწყო მობერვად ნიავმან ამოანმან“[5]. როგორც ჩანს, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსისათვის მშობლიურია, ან ჩვეულია ზღვა და ზღვით მოგზაურობა).

XIII საუკუნეში, როდესაც მეფე კურთხევისათვის ეკლესიაში მიდიოდა, პროცესიის წინ მიჰქონდათ ზარი მეფეთა და შემდგომად დროშა და შუბი[6].

ეს ზარი, რომელიც წინ უძღვის სამეფო დროშას, მოგვაგონებს აღმოს. საქ. მთის დროშების ზარებს, მაგრამ მთაში ზარი ცალკე არ მისდევს დროშას, არამედ — მიბმულია.

---

[1] Horn und Steindorf, „Sassanidische Siegelsteine“ („Mitteilungen aus den orientalischen Sammlungen des staatlichen Museums zu Berlin“, Heft IV, 1891).

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგ. II, ნაკვ. 2, გვ. 209.

[3] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. ტფილისი, 1937, გვ. 35, ჩაწერილი ხევსურეთში, 1876.

[4] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931 წ. გვ. 73.

[5] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, ენიმკის მოამბე, XI, თბილისი, 1941, გვ. 134—135.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტორ., წიგ. II, ნაკვ. 2, გვ. 211 (დაბეჭდილია შეცდომით „ბრძოლის ჯვარი“).

[2] „ჴელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 9—10.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 207.

[4] ბასილი ეზოს მოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოც. ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1944, გვ. 13.

[5] იქვე, გვ. 13.

[6] „მეფის კურთხევის წესი“ (ს. კაკაბაძის გამოც.), ტფილისი, 1913, გვ. ...

შერჩენილი გვაქვს უფრო ახლო ანალოგია: მთიულეთში ერთ-ერთი საზეიმო პროცესიის დროს სათემო ხატთან და დროშასთან ერთად ცალკე ზარებიც მიაქვთ ხოლმე: ზეგარდობას (5—10 აგვისტო) „დეკანოზები სათემო ხატსა და დროშას დუმაცხოს წმ. გიორგის ეკლესიიდან გამოასვენებენ და „სამღვთო მაღალის“ წვერზე ავლენ. წინ მეზარეები მიუძღვით, რომლებიც ორ ფუთიან ზარებს მხრებით ეზიდებიან. მეზარე ბიჭები ამას ნებაყოფლობით ასრულებენ იმ რწმენით, რომ ხატივითომც იმ წელიწადს მათი მწყალობელი იქნება. მეზარეებმა მხრების შეუცვლელად და ზარების განუწყვეტელ რეკით ეს ზარები მაღალ წვერზე უნდა აიტანონ. ამ სამღვთო მაღალზე დეკანოზები ორი დღე-ღამე რჩებიან, ლოცულობენ და შემდეგ ზარების რეკით და სიმღერა-ფერხულით ისევ დუმაცხოს ეკლესიაში ჩამოვლენ“[1], და სხ.

დროშის ზარები იტალიაშიც იყო მიღებული მეთერთმეტე საუკუნეში: „Garrocio... italienischer Fahnenwagen mit Glocke (martinella) und dem Stadtbanner vom XI. Jahrhundert“[2].

სამეფო დიდი დროშა გამოჰქონდათ აგრეთვე მეფის სხვა საზეიმო გამოსვლებში, მაგალითად, წყალკურთხევაზე მისი წასვლის დროს; წყალკურთხევის შემდეგ პროცესია მიდიოდა ეკლესიაში. მეფის ეკლესიაში ყოფნის დროს, დროშა ეკლესიის კარს იდგა. როდესაც მეფე ეკლესიიდან ბრუნდებოდა, მას კვლავ ახლდა გაშლილი დროშა, რომელსაც კარის შესავალს ქვეშ დასდგამდნენ. შემდეგ ხდებოდა დარბაზობა და „დიდი დროშა კარის შემოსავალს“ იდგა[3].

სახელმწიფო დროშის განსაკუთრებული როლი ჩანს ლაშქრობათა დროს. ვახტანგ გორგასალს თავისი დროშა ჰქონია თან სინდეთში. პირდაპირი ცნობა გვაქვს, რომ დავით აღმაშენებელს ლაშქრობაში მიჰქონდა ეს დროშა. აბდულ მესიას ავტორი წერს:

„გორგასლიანი,
დავითიანი
დროშა იახლის
მსრველად მტერთათვის“[4].

ეს დროშა სწორედ ძლევამოსილ ლაშქრობათა გამო ითვლებოდა „ბედნიერად“: „დროშა ბედნიერად ჭმარებული“. თვით დავით აღმაშენებელი უწოდებს მას სვიანს თავის ანდერძში: „მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა... მივეც (მემკვიდრეს დიმიტრის) დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“[1]. ჟამთააღმწერელიც სამეფო დროშას უწოდებს „სვიანს ბრძოლათა შინა“[2], ხოლო, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბასილი ეზოს მოძღვარი სთვლიდა მას დროშად, რომელიც არაოდეს იყო მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა.

გაერთიანებული საქართველოს დროშის ისტორია ასახავს ამ სამეფოს ისტორიას. ქართველთა სამეფოს ძლიერების შერყევა მთლიანად გადაექსოვა დროშის თავგადასავალს. გიორგი ლაშას დროს მონღოლთა ურდოების ტალღები პირველად შეეხნენ საქართველოს მიწას. ქართველები დამარცხდნენ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო იმ ძლევამოსილების შემდეგ, რომელიც წინა მეფეების დროს უცვლელად თან სდევდა ქართველთა ლაშქრობას.

ჟამთააღმწერელით ეს დამარცხება, რომლის სიმბოლოდ იყო უკუქცევა დავითიანის დროშისა, იყო შეტრიალება ქართველთა სვიანობისა — პირველი დამარცხება, რომელსაც მოჰყვა სხვა საბედისწერო დამარცხებანი. ამ ადგილას განსაკუთრებით მკვეთრია ჟამთააღმწერლის, ჩვეულებრივადაც საინტერესო თხრობის ოსტატის, ენა: „იქმნა უკუქცევა სვესვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა... აქა ჟამამდე სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო აქა ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა, ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“[3].

შემდეგშიც სამეფო გორგასლიანი დროშის ბედი ასახავდა საქართველოს ისტორიის მსვლელობას. მეფის პოლიტიკის სისუსტე, დიდ მოხელე ფეოდალთა ურჩება, მათი ინტერესების დაუმორჩილებლობა ქვეყნის საერთო საქმისათვის სამეფო დროშის ისტორიაშიც ჩაიქსოვა: ხვარაზმელებთან საბრძოლველად რუსუდან დედოფალმა ლაშქარი ჩააბარა ივანე ათაბაგს (რომელიც ამირსპასალარიც იყო) და უბოძა სეფე დროშა. ბრძოლის დროს ივანე ათაბაგი, წინამბრძოლთა ახალციხელთა შურით, არ ჩაერია ომში, ბრძოლა წაგებულ იქმნა, რასაც მოჰყვა საქართველოს რბევა, „საქართველოს მოსპოლვა“[4].

ამ დამარცხების შემდეგ რუსუდან დედოფალმა ხვარაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლებში სეფე დროშა აღარ „წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისათვის“[5].

---

1 ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930, გვ. 158.

2 August Demmin, Die Kriegswaffen, Leipzig, 1893, გვ. 689.

3 „ჴელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 2 და 16.

4 Н. Марр, Древне-грузинские одописцы, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПб, 1902. გვ. ქა.

---

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 51.

2 ჟამთააღმწერლის თხზულ. (მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 561).

3 მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, გვ 560—561.

4 ჟამთააღმწერლის ისტორია (მარიამის. „ქართლ. ცხოვრება“, გვ. 566—570).

5 იქვე, გვ. 588.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამთააღმწერლის შემდეგ დიდი ხნით წყდება ქართველ ისტორიკოსთა შენახულ თხზულებებში საქართველოს სეფე დროშის ხსენება.

სხვა ცნობების გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ, რუსუდან მეფის ბრძანებით, დიდი სამეფო დროშა დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო გადატანილი და ის არ მოჰყვა იმ ხანძარში, რომელშიც დაიღუპა ქალაქი თბილისი და „თვთ პალატი და ისანნი" მონღოლთა მოახლოების დროს[1]. ამის ნიშნებს იძლევა „კარის გარიგება". აკად. ექვთ. თაყაიშვილის გამოკვლევით, „კარის გარიგება" უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის დროს (1318—1346)[2]. ძეგლი შედგენილია იმ დროს, როდესაც საქართველო განუყოფელი იყო და ერთ მეფეს ემორჩილებოდა. ძეგლის შედგენის ადგილი არის დასავლეთი საქართველო"[3]. სხვა საყურადღებო დასკვნა, რომელიც გამოჰყავს აკად. ექვთ. თაყაიშვილს „კარის გარიგების" ტექსტის საფუძველზე, არის ის, რომ ძეგლი დაწერილია ან გელათში, ან გელათის მახლობლად ქუთაისში, სადაც ამ დროს მეფის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო[4]. ამ დასკვნიდან შეიძლება ძვირფასი შედეგი მივიღოთ, რომ მთლიანი სამეფოს ქონება, რომელზედაც „კარის გარიგებაში" არის ლაპარაკი (სალარო, საჭურჭლე, ზარდხანა და სხვ.), დასავლეთ საქართველოში ინახებოდა XIV საუკ. პირველ ნახევარში. ხოლო ზარდახანაში, „ყოველგვარ აბჯარ-იარაღის და სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობში"[5] ინახებოდა საქართველოს მთლიანი სამეფოს „დიდი სამეფო დროშა" და „შუბი სეფე ალმითა".

როგორც ნათქვამი იყო, „დიდი დროშა" იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ცერემონიებში სამეფო კარზედ და, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფედ დალოცვაშიც ვახტანგ II-ისა (დავით ნარინის ძისა) და კონსტანტინესი (ვახტანგ II-ის ძმისა, რომელიც მეფობდა ვახტანგის შემდეგ), ხოლო ეს დალოცვა, „კარის გარიგების" სიტყვით, მომხდარა ქუთაისში[6].

საქართველოს სამეფოებად დაყოფის შემდეგ, როგორც ირკვევა, თვითეულ სამეფოს საკუთარი დროშა ჰქონდა. გვაქვს ცნობები იმერეთის მეფის დროშაზე, კახთა მეფის დროშაზე, ხოლო საქართველოს ამ დიდ დროშაზედ არაფერი ისმის. მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთში გადასახლებული ქართული ბატონიშვილების დავითისა და ბაგრატის ნაწერებში, კვლავ ჩნდება ეს დროშა დავით აღმაშენებლისა. ორივე ისტორიკოსი ახსენებს მას ახალციხის ბრძოლაში.

დავით ბატონიშვილი წერს: „ხოლო წელსა 1811 მოიკრიბნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი... მოადგა ახალციხესა... იძლივნენ რუსნი და ამერ-იმერნი, და მიუღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბაირაყი დავით აღმაშენებელისა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა, მით რამეთუ კერძოსა ძლით იმერთასა იძლივნენ რუსნი"[1].

ასეა ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვითაც: „ხოლო წელსა 1810, ნოემბრის 5 წარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოისა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობელად მხედრობითა თვისითა და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელნიცა ახლდა თანა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა... მიეტევნენ ციხესა ზედა იმერნი... იძლივნენ და წარუღეს ოსმალთა იმერთა დროშაჲ წ~ისა დავით მეფისა აღმაშენებელისა"[2] (ამგვარად, შესაძლოა ოსმალეთში აღმოჩნდეს ეს დროშა).

ეს ცნობები გვაფიქრებინებენ, რომ „კარის გარიგება"-ში შესაძლოა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის დროშა.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, დროშა გორგასლიანი თამარის მეფობის დროს ჯერ კიდევ არსებობდა. როდესაც მონღოლებმა გიორგი ლაშა დაამარცხეს, მოხდა გორგასლიანი დროშის „უკუქცევა", მაგრამ არა წართმევა. უსვეობა გრძელდებოდა მთელი XIII საუკუნე, — ჟამთააღმწერლის ტექსტის თანახმად,—„ვიდრე ჟამამდე ჩვენდა". ეს ნიშნავს— გიორგი ბრწყინვალის დრომდე, რადგან ჟამთააღმწერელი ცხოვრობდა ამ დროს (შესაძლოა, უფრო გვიანაც), როგორც გამორკვეულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ[3].

ეს იყო, ცხადია, დიდ გამარჯვებათა პერიოდი და, შესაძლოა, გამოთქმა „ვიდრე ჟამამდე ჩვენდა" გულისხმობს, რომ დროშას სვიანობა დაუბრუნდა.

„კარის გარიგება"-ში „დიდ დროშას" ეპიტეტი არ ახლავს, მაგრამ ძეგლის შედგენის დრო იგივე გიორგი ბრწყინვალის დრო არის და ამიტომ დიდი სამეფო დროშა იგივე „დავითიანი და გორგასლიანი" უნდა იყოს.

---

1 ჟამთააღმწერლის ისტორია „ქართლის ცხოვრება", ბროსეს გამოც., გვ. 360.

2 „ჴელმწიფის კარის გარიგება", წინასიტყვაობა, გვ. VIII.

3 იქვე, გვ. VIII, IX.

4 იქვე, გვ. X.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტორ., წიგნი II, ნაკვ. 1, გვ. 155.

6 „ჴელმწიფის კარის გარიგება", გვ. VI.

1 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია (დავით ბატონიშვილი „ახალი ისტორია", ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა"), თბილისი, 1941, გვ. 38.

2 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა (დავით ბატონიშვილი „ახალი ისტორია", ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა", თბილისი, 1941, გვ. 114).

3 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 248.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ძნელია გადაწყვეტა, დროშა, მოხსენებული ბაგრატ და დავით ბატონიშვილების მიერ, არის თუ არა „დროშა გორგასლიანი“ და არა პირადი დროშა დავით აღმაშენებლისა.

## მეფის მცველთა დროშები

მეფის მცველთა დროშებს ჩვენ ვხედავთ ხელნაწერი ფსალმუნის (საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერი H 1665) მინიატურებზე, ისეთებზე, რომელთა სიუჟეტი აღებულია ბიბლიიდან, მაგრამ გარემო მოცემულია საქართველოს განვითარებული შუა საუკუნების ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე. ეს გარემოება აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა და გამოიყენა საქართველოს მატერიალური კულტურის თუ მუსიკის საკითხების დადგენისათვის.

ხელნაწერი XV საუკუნისა არის, როგორც, პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის შემდგომ, დაამტკიცა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ იროდიონ სონღულაშვილმა[1].

მინიატურებზე (გვერდები 191v, 191r, 199r, 199v 207v, 208r) ჩვენ ვხედავთ მეფეს ან კარავში ბანაკად ყოფნის დროს, ან სალაშქროდ მიმავალს. მას ყოველთვის ახლავს მცველები, ქვეითნი ან ცხენოსანნი. მცველთა შორის ჩანან მედროშეები. განსაკუთრებული რამე ნიშანი მედროშეს არა აქვს არც ერთს შემთხვევაში. დროშები ძირითადად ერთნაირია (ტაბ. III). დროშის ა ლ ა მ ი დამაგრებულია ბუნის სიგრძეზე, სწორკუთხედს წარმოადგენს. იგი თეთრი ქსოვილისაა, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან სახელმწიფო მთავარი ალამიც ამ დროს თეთრია. რით არის ალამი ბუნზე დამაგრებული, არა ჩანს. ქსოვილი გადაჭიმულივით არის, არავითარი ნაოჭი ზედ არ ეტყობა. ალამს სამი მხრიდან (ბუნის მხრის გარდა) მოვლებული აქვს ოქროსფერი არშია. იგი შავი ფერის ხაზებით დასერილია რომბებად. არის სხვაც, ამ დროისათვის ჩვეულებრივი ორნამენტი: ტალღისებური ხაზი, რომლის ყოველ ამოზნექილში სამ ან მეტფურცლიანი ყლორტია. არის მთლად თეთრი ალმებიც.

ალამზე ვხედავთ არაბულის მსგავს ასოებს ერთ, ორ, ან სამ სტრიქონად. წარწერები დროშებზე მეორდება, ერთნაირები ჩანს. აქ საქმე გვაქვს თითქოს არაბული წარწერის სტილიზაციასთან და არა ნამდვილ წარწერასთან.

ბუნის საწინააღმდეგო მხრიდან ალამს აქვს სამი ზორტი, ცეცხლის ალისებურად გაზნექილი (ეს ყველა დროშაზე ჩანს, გარდა 191r გვერდზე გამოხატული დროშისა, მაგრამ აქ დროშა წიგნის ფურცლის კიდესაა მიახლოებული და ამიტომ მხატვარმა აღარ დაასრულა იგი).

ალამი დიდი ზომის არ არის. ზორტებიანად იგი ან ადამიანის თავის ტოლია, ან $1^1/_2$-ჯერ დიდი. ასევე მცირე ზომისაა დროშა ცხენოსანი წმინდანისა, რომლის გამოხატულება ამოკვეთილია ქვაზედ (ტაბ. III) და რომელსაც სტილისტიკური ნიშნების მიხედვით უვაროვა მიაკუთვნებს XII—XIII საუკუნ. უვაროვა დასძენს, რომ გამოხატულება უფრო აღმოსავლურის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ბიზანტიურის[1].

მეფის მცველთა დ რ ო შ ე ბ ი ს თ ა ვ ე ბ ი ორნაირია. ზოგი შუბის პირს წარმოადგენს. ეს შუბის პირი სრულიად ისეთივეა, როგორც სხვა შუბის პირები, რომლებიც დროშასთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, აქ გვაქვს „შუბი ალმითა“, რომელიც ჩვეულებრივია შემდგომ საუკუნეებშიც.

მეორე ტიპის დროშის თავს წარმოადგენს ოქროს ფირფიტა, რომლის ზემო მხარე სწორკუთხედია, ქვემო მხარე კი წვეტით თავდება. ფიგურის კონტურები შიგნიდან ხაზგასმულია შავით.

ფსალმუნის ყველა დროშის ბ უ ნ ე ბ ი თეთრია. საყურადღებო მოვლენას შეადგენს მსხვილი ფ უ ნ ჯ ი ც, რომელიც მიმაგრებულია ზედ ბუნზე. თითქოს იქმნება შთაბეჭდილება, რომ დროშის ბუნი გატარებულია ამ ფუნჯის შიგნიდან. ფუნჯი დიდი ზომისაა, შავი ფერისაა; თავი ოქროსფერი აქვს, აგრეთვე მისამაგრებელი ნაწილიც. სურათზე ირკვევა ფუნჯის ძაფებიც. ფუნჯები აკავშირებენ ფსალმუნის დროშებს ძველ აღმოსავლურ სამხედრო ნიშნებთან[2]. გვიანი ქართული დროშების (მე-18 საუკუნ.) კალთებსაც ფუნჯები ამკობენ.

მეფის მცველთა დროშები სამეფო დროშებს უნდა მიეკუთვნოს.

## კვირიკეს დროშა

ზემო სვანეთში, კვირიკეს და ივლიტას ეკლესიაში შენახულია კვირიკეს შუა საუკუნეების დროშა. სვანები ახლა მხოლოდ მას აღნიშნავენ ტერმინით „დ უ რ შ ა ̈ ი (დ რ ო შ ა), სხვა დროშებს კი ბაირაღებს უწოდებენ: „ბაირაღი უბრალოა, ეს კი წელიწადში ერთხელ გამოდის „ა ხ ა ლ კ ვ ი რ ა ს“ (ა ღ დ გ ო მ ი ს შ ე მ დ ე გ პ ი რ ვ ე ლ კ ვ ი რ ა ს), როდესაც „კ ვ ი რ ი კ ე ს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი ა, კ ვ ი რ ი ა“. ხალხი გამოირჩევს ერთ კაცს, რომელიც დიდი ნდობით და გავლენით სარგებლობს, და მას გამოაქვს „კვირიკეს დურშაი“.

გრ. ხარძიანის მიერ მოცემულ (1946 წ. აგვისტოს) ამ მოკლე ცნობების მიხედვით, თითქოს, შესაძლოა წმ. კვირიკეს დაკავშირება კვირიასთან, ე. ი. ქართველთა და, საზოგადოდ, აზიანელთა ძირითად კულტთან ქვეყნის ნაყოფიერების ღვთაებისა. კვირიკეს ლეგენდის პერსონაჟები (დედა და ყრმა, წამებული შვილი) პარალელებს ჰპოვებენ აღმოსავლური წარმართობიდან მომდინარე კულტის ზოგიერთ მხარეში.

---

1 მოხსენება წაკითხულია მეტეხის ხელოვნების მუზეუმში 1945 წელს.

1 ქვის ფილა ნაპოვნია ეკლესიაში (სუხუმიდან 23 ვერსის მოშორებით), იხ. Уварова, Христианские памятники, Материалы по археологии Кавказа, т. IV, 1894, გვ. 20, სურ. 9.

2 Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen (Fig. 5, 6, 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშას შერჩენილი აქვს ყველა ელემენტი: დროშის თავი, ალამი, ბუნი. ალამი ყვითელი მდარე ფარჩისაა. ერთი მხარე ბრჭყვიალაა, მეორე ბუნდი. ქსოვილი სადაა, ეხლა ნაგლეჯილაა 60 სმ სიგრძისა.

ბუნი, მასრიანად, 2 მ 63 სმ სიგრძისაა. უბრალოდ არის გათლილი. ორგან გატეხილია და შეხვეული.

დროშის თავი ჩასმულია ვერცხლის ბუშტში, ბუშტი კი ვერცხლის მასრაში, რომელიც ჩამოცმულია ბუნზე.

ბუშტის ორი ჰემისფერა ჰორიზონტალურ ხაზზეა შეერთებული. ბუშტი წახნაგებულია, წახნაგების შეერთების ზოლზე დაშტრიხულია ჩაჭრით ზევიდან.

დროშის თავი ვერცხლის ჯვარს წარმოადგენს. მისი სიგრძე — 31,5 სმ, სიგანე — 28 სმ, სისქე — 1 სმ.

პალმეტებით შემკული ჯვრის შტოების ბოლოები დროშის ჯვარს მიაკუთვნებენ, დაახლოებით, X—XI საუკუნეებს[1]. ჯვარი ორნამენტირებულია, შემკულია აყიყით. ოთხივე შტოზე დაკრულია შტამპით გამოყვანილი გამოხატულება წმ. კვირიკესი.

კვირიკეს ამ გამოხატულებას ახსენებს აკად. გ. ჩუბინაშვილი, როდესაც იკვლევს შუა საუკუნეების (XI—XIII) სვანეთის კვირიკეს ხატებს[2].

## ამილახვრიანთ საომარი დროშა

ეპოქის დასასრულს მიეკუთვნება „ამილახვრიანთ საომარი დროშა“ (ტაბულა IV. საქ. ხელოვნების მუზეუმი, ქ. № 259). კატალოგში შემდეგი ჩანაწერია: „ამილახვრიანთ ოთხი საომარი დროშიდან დარჩენილი დროშა, უქსოვილოდ, დაზიანებული; დროშას თავზე აქვს შუბის მაგვარი ხე, შეჭედილი ვერცხლით. აქვე აბია მას მცირე ზარი. ტარს ბოლო ნაწილი მოტეხილი და დაკარგული აქვს. სიგრძე დარჩენილი ნაწილისა — 171 სმ“.

ალმის ნაშთი დახვეულია ბუნზე და კანაფით არის მასზე დამაგრებული. იგი ოქროსფერი ყანაოზისაა. ადგილ-ადგილ შერჩენილია მოაგურისფრო-ოქროსფერი თავდაპირველი ფერი. არავითარი გამოხატულება მასზედ არ არის.

ქსოვილზე მუქი ლაქებია. ქსოვილის გარდა ბუნზევე შემოხვეულია ოქროსფრად დაფერილი თითბრის ძაფებიდან მოქსოვილი ზონრების ნაგლეჯები—როგორც ჩანს, ეს ალამის სამკაულის ნაშთი იყო. ერთი ზონარი ვიწროა, მეორე—განიერი, მესამე—ფოჩიანი. ფოჩიანი ზონრის ქვემოდან ბუნზე დახვეულია უბრალო სქელი ტილო.

დროშის ბუნი ხისაა. იყო თუ არა შეღებილი, არა ჩანს, ბოლო მოტეხილი აქვს. უდროშისთავოდ 163 სმ უდრის. დიამეტრი $3^1/_2$ სანტიმეტრამდეა. ორ სხვა ალაგსაც ტარი გატეხილია და დამაგრებულია წებოწასმული ქაღალდით, რომელზედაც კანაფია შემოხვეული. ერთი ასეთი მოტეხილთაგანი მოდის დროშის თავთან, მასზეა სწორედ ალმის ნაშთი შემოხვეული. ის ლაქები, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ამ წებოიანი ქაღალდისაგან არის. ალმის მოხსნის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ბუნის ზემო ნაწილში სიგრძეზე არის ამოჭრილი სწორკუთხი გრძელი ბუდე. შიგ ჩასმული იყო ხის ფირფიტა, რომლის ზემო ზედაპირსა და გვერდებზე გადაკრულია ვერცხლის ფურცელი. მასზე შტამპის ტექნიკით გაკეთებულია სპირალისებურ ელემენტიანი ორნამენტი. ვერცხლის ფურცელი მთლიანად შავად არის დასევადებული. ფირფიტის ნაწილი, რომელიც ჩანს ქაღალდიდან $12^1/_2$ სმ სიგრძისაა, სიგანე — $1^1/_2$ სმ.

დროშის თავთან დაკიდებულია საყურადღებო ნაწილი დროშისა — ზარი. ზარი სპილენძისაა, პატარა (სიმაღლე 3 სმ, დიამ.—3,17 სმ). იგი ახალი დროისაა. დროშის ზარი მთიულთა დროშებს უკეთდებოდა ბოლო დრომდე. ეთნოგრაფთა ცნობებით და ფოლკლორის მასალებით, იგი აუცილებელი კუთვნილებაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დროშებისა.

დროშის თავის ფორმა შუბის პირის ფორმით არის ნაკარნახევი, არასწორი რომბისებურია. მისი სიგრძე უდრის 9,5 სმ, სიგანე 7,7 სმ, სისქე — 0,08 სმ. მასალა არის ხე, რომელზედაც გადაკრულია თითო ვერცხლის ფურცელი წინა მხრიდან და ზურგის მხრიდან. ვერცხლის ფურცლები სამკუთხედის ფორმისაა, არ შეეფერებიან დროშის თავის ფორმას, ამიტომ ფურცლების ნაპირების ზედმეტი ნაწილები შემოკეცილია და ჩატანებული ერთიმეორის ქვეშ[1].

ვერცხლის ფურცლებზე შტამპის ტექნიკით გამოყვანილია გამოხატულება (ტაბულა IV).

ოსტატის წინაშე იდგა ამოცანა სამკუთხედისებური ფორმის მოედნის შემკობისა.

ამოცანა საინტერესოდაა გადაჭრილი: ორივე ზედაპირი სხვადასხვანაირად არის შესრულებული. ერთს ზედაპირზე სამკუთხედში მოთავსებულია სწორკუთხედი, მეორეში—წრე. სამკუთხედის ნაპირები ორივე მხარეს შემკულია ორნამენტირებული ჩარჩოთი, რომელიც შიგნითა მხრისაკენ საზღვრულია გრეხილით. ჩარჩოს ორნამენტი ორივე მხარეზე ერთნაირია. მის ელემენტს წარმოადგენს გულისებურად მორკალური შტო, რომელიც სამყურა ბალახისებური სახითაა თუ ყვავილით დამთავრებული. ყვავილი ხან თავდაღმაა, ხან აღმა ერთმანეთის მონაცვლეობით. ღერო ამ ელემენტებს არ აერთებს. ეს სახე განვითარებულ შუა საუკუნეებში გვხვდება, რთული და უფრო შემკული ფორმით. აქ პლას-

---

1 გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იშხანიდან („საქ. მუზ. მოამბე“, VI ტფილისი, 1931, გვ. 300, 306).

2 Г. Н. Чубинашвили, Изображение св. Квирика в грузинской чеканке, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 123.

---

1 უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც შეკეთებას ჰქონდა ადგილი, რადგან ვერცხლის ფურცლების აშია გადადის წიბოებზე, ადგილიდან დაძრული ჩანს.

ტიკურობა მარტივად ხაზობრივობით არის შეცვლილი. წრეში, მედალიონში ამობურცვით გამოხატულია ტოტი, რომელიც მოზნექილია, მედალიონის მიმართულებას მისდევს. მისი რკალი დიდი ყვავილით მთავრდება. რკალის დასაწყისში ზის ფრინველი პროფილში მარჯვნივ. თავის მოყვანილობით და ნისკარტით იგი ფარშევანგს ჰგავს. მთლიანად კომპოზიცია საინტერესოა: საინტერესოა განცალკევებით მოცემული ცალყვავილიანი ტოტი, მოხდენილია მოხაზულობა ფრინველისა თითქოს დაძაბული სმენის პოზაში. საკმაოდ ნაზია და აზიზი ამართული ფრთის ხაზები, გაწვდილი კისერი.

მედალიონის ძლიერად მორკალული ღერო, დამთავრებული ყვავილით, უფრო გვიან საუკუნეებში (XVII საუკ.) გვხვდება, როდესაც დიდი, მსხვილთავიანი ყვავილი ღეროზე განმარტოებით მოცემული დომინანტია რაპორტში ან თანაბარია რაპორტის ფრინველის ან პეპელისა[1].

განვითარებულ შუა საუკუნეებში ცხოველი თუ ფრინველი ყურადღების ღერძია, რაც უკვე მისი სიდიდით (განსაკუთრებით თავისა) და პროპორციებით მცენარესთან შედარებით მჟღავნდება (იხ., მაგალითად, კერამიკის ნიმუშები)[2].

მაგრამ კომპოზიციის მოთავსება წრეში განვითარებულ შუა საუკუნეებისათვისაც არის დამახასიათებელი და აღებული პერიოდის ბოლო საუკუნეებშიც ასევეა. მაგ., XIV საუკუნეში, კერამიკულ საგანზე ვხედავთ ფრინველის გამოხატულებას წრეში მცენარის ყლორტებს შორის[3]. კომპოზიციის სრულქმნილი სახეები შერჩენილია შუა საუკუნეების ხელოვნების გაფურჩქვნის დროიდან (XII საუკ.), მაგალითად, ლუსტრიან კერამიკულ ორ ჰურჰელზე, რეჲდან. ერთზე ფარშევანგია გამოხატული წრეში. წრის კონტურს ოსტატურადასდევს ფრინველის გაშლილი ბოლო[4]. ფარშევანგი ისეთივე პატარათავიანია, როგორც ამილახვრიანთ დროშის თავის ფრინველი. მეორე ჰურჰელზე[5] რაღაც სხვა ფრინველია დიდთავა. მსხვილფოთლება მცენარეული ორნამენტი მოხდენილად მიიმართება წრის მიმართულებასთან შეფარდებით.

ამილახვრიანთ დროშის თავზე ასეთ დახვეწილობას ელემენტების შესრულებაში ვერ ვხედავთ. ყვავილის ღერო თუმცა მისდევს წრის კონტურს, მაგრამ არამოხდენილადაა მოზნექილი, დაუდევრად, ისე როგორც ეს ჩვეულია გვიან საუკუნეებისათვის, მაგ., სოფ. ქვემო-ჭალის ჯვრის (საქ. ხელოვნების მუზეუმი) გამოხატულებათათვის.

XVI საუკუნის ხელოვნებასთან ახლოა და ქართულს[6] და სპარსულ სახეებს მოგვაგონებს ყვავილი წაგრძელებული შუა ფურცლითა და გულით, ღეროსთან ახლო[1]. მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისშიაც ჩანს იგი, 1300 წლის სპარსულ ხელნაწერში[2]. უფრო სეფიანთა დროის მინიატურების ხოხობს გვაგონებს ეს ფრინველი (იხ. აგრეთვე ფარშევანგი ბაქარის ფულზე)[3].

ამგვარად, ეს კომპოზიცია, როგორც ჩანს, შესაძლოა მიეკუთვნოს განვითარებულ შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებზე გარდამავალ ხანას.

მეორე ზედაპირზე სამკუთხედ ორნამენტირებულ ჩარჩოში ზის სწორკუთხედი ხატი, ისიც ორნამენტირებულ ჩარჩოში. ხატის ჩარჩოს ორნამენტის ელემენტს შეადგენს გულისებური ფიგურა. მასში მოთავსებულია სამფურცლიანი ყვავილისებური სახე, რომლის ქვედა, ღეროსებური ნაწილი გახსნილია, და მისგან გამომავალი ხაზები ირკალება და ერთდება მის ზემოდან. ახლო პარალელს ვხედავთ XIII საუკუნის კერამიკაზე რეჲდან[4].

ეს გულისებური ელემენტები, მოცემული დაპირისპირებით, შეადგენენ ჩარჩოს აშიას. სადაც ესენი წვეტებით ხვდებიან ერთმანეთს, აქეთ-იქით თითო მორჩი აქვთ გამოშვერილი.

ყრმიანი ღვთისმშობელი ³/₄-ით არის მოცემული. ორივე გამოხატულებანი მთლად ამობურცულ ზოლებად არის ნაქცევი. პარალელს ასეთი მანერისათვის ვხედავთ სოფ. ქვემო ჭალის ჯვარზე გამოხატულ ყრმიან ღვთისმშობლისვე ხატზე. ჯვარი XV საუკუნით თარიღდება მასზე მოთავსებული წარწერის მიხედვით[5].

მაგრამ დროშის ხატზე ნაკეცები მოცემულია მკაცრი, კეთილშობილი პარალელებით, მჟღავნდება კლასიკური ტრადიცია.

ხატი მოგრძოა. მასში მოთავსებული გამოხატულებაც მოგრძოდ არის აზიდული.

როგორც ვხედავთ, დროშის თავის ორივე მხარის კომპოზიციებს საკმაო მოხდენილობა ახასიათებს. საინტერესოდაა მოცემული სწორკუთხედის ხაზების შეხვედრა სამკუთხედის ხაზებთან, ასევე წრის ჩაწერაც სამკუთხედის ფუძის მხრისაკენ.

ორივე შემთხვევაში მწვერვალისაკენ მეტი თავისუფალი ადგილია დატოვებული, არის მოცემული კონტრასტი მონაკვეთის სიგლუვისა ორნამენტალურ დატვირთულ ოლეებთან და შტრიხებით მდიდარ ცენტრალურ ფიგურებთან შედარებით.

მთლიანად დროშის თავის შემკულობა კარგადაა მოფიქრებული, მაგრამ ეპოქის (XIV—XV საუკ.) შესრულების დამახასიათებელი დაუდევრობა ატყვია დაღად.

დროშის თავის ღვთისმშობლის ხატი და მისი ჩარჩო გაკეთებულია სწორედ იმავე შტამპით, რომლითაც გაკე-

---

1 „A Survey of Persian Art“, Pl. 1100 B, 1065.
2 იქვე, Pl 608 B.
3 იქვე, Pl 729 A.
4 იქვე, Pl 635 A.
5 იქვე, Pl 635 B.
6 შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები 1590—1600 წლისა.

---

1 „A Survey of Persian Art“, Pl. 1202.
2 იქვე, Pl. 821 A.
3 „საქართველოს ისტორია“, გვ. 368.
4 „A Survey of Persian Art“, Pl. 746 B.
5 M. Brosset, Voyage archéologique en Transcaucasie, Sixième Rapport, გვ. 117, 118.

თებულია საქ. ხელოვნების მუზეუმის ჯვრის № ქ. 294 სამი ხატი. ეს ხატები უფრო ძლიერ არის დაძეკილი, უარესად შენახულია, ნაკლებ მკაფიოა, ვიდრე დროშის თავის ხატი (ღვთისმშობლისა და ქრისტეს გამოკლებით).

ჯვარზე არის წარწერა, რომელიც ჯვრის გამკეთებელს ოქრომჭედელ ავთანდილს ასახელებს:

1. დილს
2. ქ:. მე: მამეწარს:. შვილმ
3. ა: გიგოამ ჩემის: ამხ
4. [ნ] კებით: გავაკეთებინეთ
5. მე:. ოქრომჭედელს:. ავთნ

პირველი სტრიქონის „დილს“ ბოლო სტრიქონს უნდა მიემატოს. წარწერა პალეოგრაფიულად, თითქოს, XVIII საუკუნის ბოლოთი უნდა დათარიღდეს, თვით შტამპი კი გაცილებით უფრო ძველია.

ქვემო ჭალის ჯვრის ხატის ანალოგიით საფიქრებელია, რომ დროშის თავის ხატის შტამპი XV საუკუნით თარიღდება. ამავე ჯვრის სხვადასხვა რეგისტრების ორნამენტულ ჩარჩოებთანაც ჰპოვებს ანალოგიას დროშის თავის სამკუთხედების ჩარჩოები: ორნამენტის იგივე რყეული, არათანაბარი, სიმტკიცეს მოკლებული, ღარიბი ხაზები, რომლებიც უგულოდ შესრულებული ნამუშევრის შთაბეჭდილებას ქმნიან, აგრეთვე ჩარჩოს ყვავილების გამოხატვა მხოლოდ კონტურების ბრტყელი ხაზით. ფრინველიანი კომპოზიციის ტექნიკური შესრულებაც ასევე ხასიათდება.

შესაძლოა, ეს იმ დროშის თავია, რომელიც, ისტორიული წყაროების მიხედვით, ჰქონდა ზევდგინიძეს ამილახორის თანამდებობასთან ერთად: „ჩვენ... მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ... წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... მას ჟამსა ოდეს ამილახორნი სულკურთხეულნი მამა-ბიძანი თქვენი წესისაებრ ამიერ სოფლით გარდაჴდეს, თქვენ ჩ ვ ე ნ გ ა ნ დ ა მ ა მ ა - პ ა პ ა თ ა ნ ა თ ე ს ა ვ თ ა ჩ ვ ე ნ თ ა გ ა ნ ნ ა ბ ო ძ ე ბ ი დ რ ო შ ა დ ა ჴ მ ა ლ ი მ ო გ უ ა რ თ ვ ი... ჩ ვ ე ნ შ ე გ ი წ ყ ა ლ ე თ დ ა გ ი ბ ო ძ ე თ მ კ ვ ი დ რ ი ნ ა თ ე ს ა ვ თ ა თ ქ ვ ე ნ თ ა ნ ა ქ ო ნ ი დ რ ო შ ა ა მ ი ლ ა ხ რ ო ბ ი ს ა...[1]

### რუსუდან დედოფლის დროშაკი

გაერთიანებული საქართველოს ძლიერების ხანიდან ძალიან საყურადღებო ფორმის დროშა ყოფილა შერჩენილი XIX საუკუნეშიაც. ეს არის რუსუდან დედოფლის დროშაკი, რომელიც დიმიტრი ბაქრაძეს უნახავს 1873 წელს სოფ. ჭანიეთის (გურია) ეკლესიაში. სად არის ამ ჟამად დროშა, გაურკვეველია. საბედნიეროდ, არსებობს ერმაკოვის მიერ გადაღებული დროშის ფოტოგრაფიული სურათი. მასზე მიმითითა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა (ერმაკოვის ფოტოზე შეცდომით აღნიშნულია,

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ გამოცემული სიგელი 1656 წლისა (იხ. „საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ“. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 258).

რომ იგი ხატს წარმოადგენს და ჭანიეთის მაგიერ ჯიანეთი წერია).

დიმიტრი ბაქრაძეს მოჰყავს ცნობები ამ დროშაზე:

«Между образами церкви Дчаниетской (ჭანიეთი) в честь архангелов особенное внимание обращает на себя древний образ богоматери в серебро-позолоченном окладе, с мелкою резьбою по каймам» (შემდეგ მოჰყავს წარწერა). «Образ этот, как видно, надевался на древко для ношения в виде хоругви, может быть, пред войском и в крестных ходах. Неизвестно какой он пожертвован церкви. Видно только, что он... случайно попал в Дчаниети...»[1]

როგორც ბაქრაძის აღწერილობიდან ირკვევა, დროშაკის მასალა მოოქროვილი ვერცხლი ყოფილა.

დროშაკი შედგება ორი მრგვალი ფირფიტისაგან, რომლებიც ერთმანეთზეა დამაგრებული (ტაბულა V და VI).

დროშაკის ერთს მხარეზე, ცენტრში, მოთავსებულია გამოხატულება ღვთისმშობლისა ყრმითურთ, მეორეზე—საყდარზე მჯდომ იესო ქრისტესი.

ორივე მრგვალი ფირფიტის ზედაპირი წრეთა სისტემას წარმოადგენენ.

გლუვი წრიული ზედაპირი, რომელზედაც ქრისტეს გამოხატულებაა, შემორკალულია გრეხილით—თოკისებური რელიეფური ორნამენტით. ამ რკალს გარედან სალტედ აქვს მოვლებული ოლე, შემკული სტილიზებული მცენარეული რელიეფური ორნამენტით. ხოლო ამ ოლეს შემოსალტული აქვს გლუვი ვიწრო ოლე, რომელიც განსაზღვრულ, თანაბარ მანძილებზე ქმნის კილოებს.

ეს კილოები პერიფერიისაკენ არის მიმართული. თვითეული გლუვი კილო შეიცავს კუწუბს. ერთმანეთთან მიჯრილი, ნუშის გულის მოყვანილობის კუწუბები (მომრგვალებული ნაწილი ქვემოთაა, კუთხე გარეთკენ) წრედ არის მოვლებული და ამით მთავრდება წრეების სისტემა.

კუწუბების მწვერვალებზე ჩანს ლითონის წვრილი მრგვალთავიანი ლურსმნები, რომლებიც ერთმანეთზე ამაგრებენ ფირფიტებს.

ზედაპირი, რომელზედაც ღვთისმშობელია გამოხატული, განსხვავებულია: ეს წრეც გლუვია, მაგრამ უფრო მცირე დიამეტრისაა. წრეს კვლავ გარს ერტყმის რელიეფური გრეხილი რკალი, მაგრამ ამის შემდეგ ევლება ოთხ ხვეულისაგან შემდგარი სპირალური გლუვი, ბრტყელი ოლე, რომელზედაც ამოჭრილია რუსუდან დედოფლის ასომთავრული წარწერა. თვითეული ასო ამოკვეთილია ზედაპირიდან, საჭრისით გაკეთებული 2 ხაზით. სტრიქონები ერთმანეთისაგან რელიეფური ზოლითაა განცალკევებული.

ზოლი ხაზგასმულია ზემოდან საჭრისით გავლებული ხაზებით (2 ხაზი ზოლის აქეთ-იქით).

ეს სპირალი წინა ფირფიტაზე არ არის და ამის გამო ქრისტეს გამოხატულებიანი მედალიონი უფრო დიდია.

[1] Д. М. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878, გვ. 102, 103.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განსხვავების გარეშე რკალთა თანამიმდევრობა ორივე ფირფიტაზე ერთგვარია. ეს ფირფიტაც, პირველის მსგავსად, კუწუბების გვირგვინითაა დამთავრებული.

დამახასიათებელია დროშაკის ის ოლე, რომელიც შემკულია მცენარეულ-სტილიზებული ორნამენტით. მთელი ორნამენტი არის სისტემა გადაბმული წრეებისა. თვითეული წრე ძირითადად ჰგავს მეორეს, მაგრამ განირჩევა დეტალებში. ორნამენტი რელიეფურია, მოცემულია წვრილად დაწერტილ არეზე. მოხდენილი ღერო ორჯერ ევლება ფოთოლს. ღეროდან განშტოებულია წვრილი, მოკლე ხვეული ყლორტები, ანდა ზოგჯერ ფოთლები, მოცემული დაკეცით, პროფილში. ეს ფოთლები, რომლებიც სუროს ფოთლებს გვაგონებს, ისეთივეა, როგორც ფოთოლი, რომელიც იწყებს თვითეული წრის ღეროს ხვეულებს.

ამ პრინციპზევეა აგებული ორნამენტული წრეები, რომლებითაც შემკულია კუწუბების არე. მათი რიგები მოხდენილად არის დაჯგუფებული. აქ შედარებით მეტი თავისუფლებაა და გამრავლება ელემენტებისა—წრეებისა. კუწუბის არე ამობურცულია (ქვემო ოლესთან განსხვავებით), და ესეც თავისებურ ეფექტს ქმნის. არე აქაც წვრილად დაწერტილია.

ყველგან ორნამენტში ჩანს სიზუსტე, სიმკვეთრე სურათისა, ნატიფი მოხდენილობა ღეროსი და ფურცლებისა, სილამაზე გლუვი ზოლებისა და მტკიცე, არააღრეული ზნექა რთული და ნებიერი ხვეულებისა, თვისება, რომელიც აღნიშნულია ამ დროის ოქრომჭედლობის დარგის ძეგლებისათვის პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ.

ოლეს ეს ორნამენტი ცნობილია XI—XII საუკუნეების ოქრომჭედლობაში. მას ვხედავთ აბულასანის ხატის ჩარჩოებზედაც[1], მის სახესხვაობას ბექა ოპიზარის ნამუშევარზე[2]. იქაც ჩარჩოს ელემენტი წრეა, მაგრამ ელემენტში ხაზი გასმული აქვს ფოთოლს, აქ-კი ფოთოლი პატარაა, მისი როლი დაჩრდილულია.

ერთი დამახასიათებელი თვისება დროშაკის ორნამენტისა: ხვეულთა წრეების რიგს გადასჭრის ძალიან ნებიერად, ძალიან შემმართებით, ზოგჯერ ზედ გადავლით, ზოგჯერ წრის გულში გაყრით, მცენარის ღერო. იგი ტალღისებურად, ზოგჯერ სწორედაც, მიიმართება. ამ მცენარის ღეროს სითამამეს (წრეების შუაზედ გადაჭრა) შეიძლება შეედაროს მხოლოდ სამთავროს ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის დეკორატიული კამარის ხაზის სითამამე[3].

ეს შტრიხი არის ბექა ოპიზარის ანჩის ხატის ჩარჩოს შემკულობაშიც, მაგრამ არა იმდენად მკვეთრად. იქ ხაზი მორიდებულად გვერდს უვლის ცენტრს.

ასეთი, როგორც დროშაკის ოლეზეა, არც სხვა ძეგლზედ მეგულება. ამ ხერხით ხელოვანი, თითქოს, ცდილობს დაარღვიოს წრეების მიმდევრობის მონოტონობა (თუმცა თვით ამ წრეების აღნაგობა არ მეორდება).

[1] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, Тифлис, 1905, სურათი 69 გვერდზე.

[2] შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, ტფილისი 1937 წ. ტაბ. II, III და სხვ.

[3] ამ კამარის შესახებ: Ренэ Шмерлинг, Самтавро-памятник XI века („ქართული ხელოვნება“, თბილისი, 1942, გვ. 55).

ანჩის ხატის წრიული ელემენტები, შედარებით დროშაკის ასეთსავე ორნამენტთან, უფრო მტკიცეა, უფრო მკაფიოა, მასში უფრო მეტია სიმეტრია ხვეულებისა და სხვა დეტალების განლაგებაში.

ეპოქის (XI—XII საუკ.) გემოვნებას უპასუხებს კუწუბები. მუხრანის ბატონის დროშის მიხედვით (ტაბ. XXVIII) შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ კუწუბები სტილიზაციაა სხივებისა. ამ აზრის დასაყრდენს ძველ აღმოსავლურ დროშებშიც ვპოვებთ, მაგრამ მუხრანის ბატონის დროშაზე სხივები წრის შიგნით არის, აქ კი წრეს გარედაა გასული.

კუწუბები საყვარელი მოტივია ამ დროის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესამკობად (იკორთის ტაძარი და უფრო ადრე სამთავისის ტაძარი)[1]. ვხედავთ მას ოქრომჭედლობაში[2] და აგრეთვე ხელნაწერების დეკორშიც[3]. დამახასიათებელია ეპოქისათვის აგრეთვე ორნამენტის მოცემა ამობურცულ არეზედ[4].

რაც შეეხება რელიეფებს, ქრისტეს გამოხატულება, მოცემული გლუვ არეზე, მიბჯენილია ნიმბის კიდით წრის ჩარჩოს ზემო კიდეზე, ხოლო ფეხების დასადგმელი ბალიშით თუ პატარა სკამით ჩარჩოს ქვემო კიდეზე. თავისუფალია არე მხოლოდ გამოხატულების მარცხნივ და მარჯვნივ, მაგრამ აქაც ამოკვეთილია დიდრონი ასოები: [Ⴈ]Ⴑ̃Ⴍ ✝ ̃Ⴂ. ასოები ზემო ზედაპირის მხრიდან ამოჭრილი ჩანს საჭრისით, ორ-ორი ხაზით.

ფიგურის ამგვარი მოთავსება არეზე ჩვეულებრივია ამ დროს (იხ. ბექა ოპიზარის მიერ გამოქანდაკებული იესოს გამოხატულება წყაროსთავის სახარების ყდაზე, იოანე ნათლისმცემლის გამოხატულება ანჩის ხატის მოჭედილობაზე და აგრეთვე სხვა ნამუშევარნი ბექა ოპიზარისა)[5].

იესოს ფიგურა შესრულებული ჩანს მაღალი რელიეფით. გამოხატულების მოთავსებაში არის მისწრაფება სიმეტრიისადმი: იგი სწორედ შუაზეა მოთავსებული. წარწერებიც აქეთ-იქით თანაბრადაა განწყობილი. სრულიად ერთნაირად გამოწეულია მუთაქის ფოჩებიანი ბოლოები. ამ ბოლოებს უპასუხებს სავარძლის ზურგის ზემო კიდის აქეთ-იქითა შვერილები შუბის პირის ფორმისა. ასეთივე სიმეტრია ჩანს ტანსაცმლის ხშირ ნაოჭებში. ნაოჭების ლამაზი წყობა პირობითია. იგი გვაგონებს ამ

[1] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი, 1936, გვ. 132.

[2] გ. ჩუბინაშვილი, იშხანის 973 წლის ჯვარი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, ტაბ. IX, X.

[3] რენე შმერლინგის მოხსენება ქართული ხელნაწერების შესახებ, წაკითხული ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

[4] Ренэ Шмерлинг, Самтавро—памятник XI века, გვ. 56—57.

[5] შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, ტფილისი, 1937, ტაბ. I, VII, VIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ ბექას სხვა ნამუშევართ. ლითონისებურია და სქემატიური მუთაქის ქსოვილის ნაოჭების წყობა.

პროპორციულია ქრისტეს ფიგურა. ქრისტეს სახეც შესრულებულია ამ დროის კარგი ნიმუშების ყაიდაზე. საინტერესოა თმების დამუშავება თითქმის სწორი, ოდნავ ტალღისებური ხაზებით. თმა თითქოს მოფუშულია შუბლზე (როგორც იოანე ნათლისმცემელს აქვს ანჩის ხატზე — ბექას ნამუშევარ ნაწილში).

დამახასიათებელია საყდარიც ქრისტესი. იგი XII—XIII საუკუნის მინიატურების და ფრესკების საყდართა ტიპისაა[1].

საყდარი მკაცრი ფრონტალობით არის მოცემული, მოოჭვილია სწორკუთხად და მრგვალად ნათალ ძვირფასი თვლებით, რომელთა რიგები მსხვილ მარგალიტთა წყებით არიან ერთი მეორისაგან განცალკევებულნი. ძვირფასი თვლების ეს ფორმა და ჩარჩო იგივეა, რაც გიორგი III-ის და თამარ მეფის საზეიმო ტანსაცმელზე (ბეთანიის ფრესკები).

ძვირფასი თვლები ოქროს ნაჭედობით არის გამოხატული, მათი ფერი არ გამოირჩევა (ისევე, როგორც ეს არის მთავარ-არგელოზთა ტანსაცმელზე ბექა ოპიზარის მიერ გაკეთებულ ანჩის ხატზედ). მინიატურებზე[2] ეს შემკულობა მოცემულია ფერადებით, რაც ამტკიცებს, რომ აქ, მართლა, ძვირფასი თვლებია გამოხატული.

იესოს ეს გამოხატულება გავრცელებული ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ეს ითქმის სვანეთზე. სვანეთის ხატებზე ხშირად ვხედავთ ამ კომპოზიციას, ოღონდ ყოველთვის სწორკუთხედს ჩარჩოში. იხ., მაგალითად, ერმაკოვის ფოტო №№ 17261, 17249, 17352, 17360 (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოტოლაბორატორიის ალბომი № 55/51).

წრე, რომელშიაც მოთავსებულია ღვთისმშობლის გამოხატულება, უფრო პატარაა. ღვთისმშობელი იმავე მასშტაბითაა მოცემული, როგორც ქრისტე წინა ფირფიტაზე, მაგრამ მთელი ტანით არ არის გამოხატული.

ღვთისმშობლის ნიმბის ჩარჩო აქაც აღწევს წრის კიდეს (გრეხილს), მაგრამ საყურადღებოა, რომ ქვემო კიდე მთავრდება ჩარჩომდე მოულოდნელად, მრუდე ხაზით, რომელიც ჩარჩოს არ ეხება, არამედ მისი პარალელურია.

მსგავს შტრიხს ვხედავთ ხახულის ხატის (გელათი) მინანქრის მედალიონზე[3]. აქაც გამოხატულება ღვთისმშობლისა ყრმითურთ მთავრდება კიდემდე, მასთან პარალელური ხაზით.

ასევე მთავრდება ღვთისმშობლის გამოხატულება მინანქრის ხატზეც[4].

1 ტარიელ ხერხეულიძე, ავეჯი ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბილისი, 1941, ტაბ. IX, XIX.

2 საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი ფსალმუნი XV საუკუნისა, № H 1665, გვ. 206, 235.

3 **Н. Кондаков, Иконография Богоматери, II, Петроград, 1915, გვ. 263, სურ. 143.**

4 იქვე, გვ. 365, სურ. 210

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლოა, დედანი უნდა ვეძიოთ იმ საბეჭდავებში, რომლებზედაც ღვთისმშობელია გამოხატული დ[illegible]ლების ანაბეჭდზე საბეჭდავის კიდის ქვემოთ დარჩენილია კიდევ არე[1] (ანდა ხომ არ არის აქ ნახევარმთვარის გამოხატულების ნაშთი).

ღვთისმშობლის აღნაგობა პროპორციულია ისევე, როგორც ქრისტესი. სახეების მოყვანილობა ნატიფია. სახის ნაკვთები უფრო რბილი მოხაზულობისაა. ბუნებრივად არის მოცემული ღვთისმშობლის პოზა, მისი თავის დახრა ყრმა ქრისტესკენ, მისთვის მიხვეული მარცხენა ხელის მოძრაობა. ამაში ყველგან ჩანს მართლაც მქანდაკებელის ხელი. კარგია ღვთისმშობლის ახალგაზრდული, ფაქიზი სახის გამომეტყველებაც.

მაგრამ მეტისმეტად პირობითია ღვთისმშობლის ტანსაცმლის ნაკეცები. არა ჩანს ქსოვილის სილბოც. განსაკუთრებით მშრალი და არაბუნებრივად შესრულებულია ამ მხრივ მარცხენა სახელო.

მსგავსი გამოხატულება ღვთისმშობლისა გვაქვს ბერთას სახარების მოჭედილობაში, ტანისამოსის გადმოცემის მსგავსი ტექნიკით[2].

ამგვარად, მთელი რიგი სტილისტიკური მომენტებისა ქართული ოქრომჭედლობის გაფურჩქვნის ხანაზე მიგვითითებს.

ეპოქაში გამეფებულს საზეიმო სტილს — მისწრაფებას მდიდარი შემკულობისაკენ—უპასუხებს დროშაკის მორთულობა: რელიეფური მცენარეულ-ორნამენტიანი ოლეები, რომლებიც კონტრასტს ქმნიან გლუვ, სადა ოლეებთან, გრეხილები, მცენარეული ხლართების შემცველი ნუშის გულისებური ამობურცული ფარები, გვირგვინად მოდებული დროშისათვის, ცენტრში გლუვ არეზე მოთავსებული ქანდაკებები—ეს ჭარბ სამკაულად მოცემულია ძეგლზე.

ფოტოგრაფიული სურათის გადაღების დროსთვის დროშა ძალიან ყოფილა დაზიანებული. კუწუბებიდან შერჩენილი იყო მხოლოდ 5 ცალი (სულ უნდა ყოფილიყო 18-მდე).

ფირფიტები ასცლია ერთიმეორეს და ლურსმნებით დაუმაგრებიათ. აღარ იყო შერჩენილი აღარც ტარზე ჩამოსაცმელი ლულაც. ფირფიტები დახეთქილ იყო და დასამაგრებლად ლითონის 3 საკერებელი ჰქონია დადებული. 2 საკერებელს დაუფარია წარწერის ნაწილი. ლითონის ნაჭრების დამაგრების დროს ჯერ შესაძლო ყოფილა მათ მიერ დაფარული წარწერის ნაწილების წაკითხვა, ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილი ჯერ კიდევ ყოფილა. შემკეთებელს ამოუფხაჭნია დანაკლისი სიტყვები საკერებლებზედ.

1 მაგ., იხ. იქვე, გვ. 107, სურათი: 35, 36, 37; გვ. 130, სურ. 51; გვ. 383, სურ. 221.

2 შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, ტაბ., XXIX.

წარწერა ასახელებს დროშის შემწირველს, რუსუდან დედოფალს.

დიმიტრი ბაქრაძის წაკითხვით:

**✝ ႫႤ: ႫႤႴႧႠ ႫႤႴႱႠ ႣႨႫႲႰႱ... ႪႫႬ ႣႠ ႱႭႪႲႠႬႧႠ ႣႨႣႧႠ... ႪႡႨႧ ႩႭႠႪႣႠ... ႪႨႬ ႣႠ ႣႠ... ႠႬ ႫႤႴႨႱႠ Ⴂ-ႢႱႫ-Ⴌ ႰႭ-ႪႨႱႠ ႡႰႻႠႬႡႨႧႠ: ႥႨႫႭႵႫႤႣႤ ႣႰႭႸႠႩႨ: ႤႱႤ: ႥႨ... ႠႫႨႱႨႱႠ Ⴑ... ႪႭႴႪႭႡႠႱႠ: ႸႬႠ: ႫႧႨႱႠ: ႢႬႷႭႴႨႱႠ: ႻႪႨႧ: ႫႠ-ႾႭჃႪႬႨ: ႥႨႪႫႤႬ: ႱႭჃႪႨႱႠ: ႢႠႱႠႪႤႥႬႤႪႠႣ[1] ႾႭႪႭ: ႠႼ ႱႤႱႬႣ: ႫႧႣႠ ႤႱႤ ႸႬႣ: ႸႤႥႱႼႨႰႤ ႵႤ ႱႲႷႭႠႭ ႶႧႱႭ: ႣႤႣႭႴႪႫႬ ႰႱႣႠႬ:.**

ტრანსლიტერაციით მხედრულზე და ქარაგმების გახსნით:

„ქ მე: მეფეთა მეფისა დიმიტრის [ასუ]ლმან და სულტანთა დიდთა [სძ]ლობით კუალად... ლინ და და[მ]ან მეფისა გიორგისამან, რომლისა ბრძანებითა ვიმოქმედე: დროშაკი: ესე ვი[ღუაწე] ამისისა ს... ლოფლობასა შინა, მათისა განყოფისა ძლით მახუილნი: ვილმენ: სულისა: გასალევენლად ხოლო: აწ საჴსენად მათდა ესე შენდა: შევსწირე ქრისტე სიტყუაო ღმრთისაო დედოფალმან რუსუდან“.

აზრი მთლიანად გასაგები არ არის წარწერების დაზიანების გამო. წარწერის ნაწილი წაუკითხავი რჩება.

როგორც დიმ. ბაქრაძე სამართლიანად ასკვნის, დროშაკის შემკვეთელი ყოფილა რუსუდანი, გიორგი III-ის და, დიმიტრი მეფის ასული.

წარწერიდან ჩანს, რომ რუსუდანი ჩივის რაღაც „განყოფას“, რომლის გამო „მახუილნი ილმო სულისა გასალევენლად“, ხოლო გიორგი მეფის სულის „საჴსენად“ დროშაკი შესწირა.

რუსუდანის შემწირველობითი მოღვაწეობა, შეკვეთა ოქრომჭედლურ ნაწარმოებთა შეწირვის მიზნით, ფხოტრერის ხატის წარწერიდანაც ირკვევა: ხატისათვის „ნივთნი“ შემზადებული ყოფილა გიორგი III-ის დის, რუსუდანის მიერ, მაგრამ რადგან მას არ დასცალდა, ხატი სრულუყვია, დაუსრულებინებია, მის გაზრდილს რუსუდანსვე, გიორგი III-ის ასულს. წარწერა რამდენჯერმე გამოცემული. მისი ტექსტი საბოლოოდ დადგენილია ადგილზევე აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ[2], ხოლო პროფ. ვ. დონდუას მიერ მოცემულია სწორი გაგება წარწერისა[3].

ამგვარად, ფხოტრერის ხატი უფრო გვიანია, ვიდრე ჭანიეთის დროშაკი, იგი გაკეთებულია გიორგი III-ის დის რუსუდანის სიკვდილის შემდეგ. უფრო გვიანი თარიღი ფხოტრერის ხატის ჩარჩოს შემზადებისა, შესაძლოა, არის მიზეზი, რომ იმისი შემკულობა უფრო მშრალია, უფრო უსიცოცხლო, ვიდრე დროშაკისა.

1 საჭიროა: გასალევნელად.

2 ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 413—414.

3 ვ. დ ო ნ დ უ ა, თამარ მეფის და რუსუდან, ენიმკის მოამბე, № 5—6, 1940, გვ. 325—326.

აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, 1946 წლის 19 იანვარს, კამათში ჩემი მოხსენების „საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დროის დროშები“-ს ირგვლივ, გამოსთქვა აზრი, რომ სტილისტიკური ნიშნების მიხედვით დროშაკი XI საუკუნის ნიმუშებიდან მომდინარეობს.

როდესაც 1745 წელს თეიმურაზ II ქართლის მეფედ ეკურთხა, მისი ბრძანებით შექმნეს დროშები, „ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო“[1]. ერთ-ერთი ამ დროშათაგანი, მუხრან-ბატონის დროშა, როგორც ფოტოგრაფიული სურათები გვიჩვენებს, ძირითადად, რუსუდანის დროშაკისებურია. ორივე ეს დროშა შექმნილია თავიანთი დროის სტილისა და მოთხოვნილებების მიხედვით, ამასთანავე ორივენი არიან ძველი აღმოსავლური დროშების თვისებათა მატარებელნი, მათი მემკვიდრენი.

დროშის მ რ გ ვ ა ლ ი ფ ო რ მ ა ა ს უ რ უ ლ ი დ რ ო შ ე ბ ი ს ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ფ ო რ მ ა ა (ტაბულა II). Sarre-ს აზრით, ეს ფორმა ასურული დროშების მიერ მიღებულია ძველ ბაბილონური დროშებისაგან[2] და მ ზ ი ს დ ი ს კ ო ს ფორმას გამოხატავს. ძველ აღმოსავლურ მრგვალ დროშებზედ ვხედავთ მზის სხივების დაახლოებით ისეთსავე გამოხატულებას, როგორიც არის სიპარას რელიეფზე (ტაბულა I, ქვემოთ) და ბაბილონის სხვა ძეგლებზედ[3].

René Dussaud-ს აზრით ის მრგვალი დროშები, რომლებსაც Sarre ძველ-ბაბილონურად სთვლიდა, ლურისტანისა უნდა იყოს და ასურული გავლენის მატარებელია: **„They are to be attributed to Luristan, but are clearly related to contemporary Assyrian standards“[4].**

როგორც პირველ ნაწილში გვქონდა ნათქვამი, შესაძლოა, უფრო ადრე, ვიდრე ასურეთში, ამ დროშების ძირითადი ფორმა სუბართა ქვეყანაში მოიპოვებოდა. ამას გვაფიქრებინებს ქერქუკის საბეჭდავების გამოხატულებანი (იხ. ტაბულა I).

სიპარას რელიეფის და სხვ. მზის დისკო შემდგარია კონცენტრულ წრეთა სისტემისაგან, და მზის სხივები ზოგი სწორედ მიიმართება, ზოგი ტალღისებურად, ერთმანეთის მონაცვლეობით. ასევეა მუხრან-ბატონის დროშაზედაც. უფრო ადრე მზის ასეთსავე სხივებს ვხედავთ ვახტანგ VI-ის 1711 წლის დროშაზე (ტაბულა XVIII და XIX). ამ დროს დასავლეთ ევროპაშიაც სხვადასხვა ემბლემებზე ასეთ სხივებს გამოხატავენ, მაგრამ თავდაპირველად მათ აღმოსავლეთში ვხვდებით.

როგორც ნათქვამი იყო, სხივთა შესატყვისი უნდა იყოს რუსუდანის დროშაკის კუწუბები.

1 პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი: ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ., 1854, გვ. 383.

2 Fr. S a r r e, Die altorientalischen Feldzeichen, გვ. 365, 371.

3 ი ქ ვ ე, გვ. 339.

4 René D u s s a u d, The bronzes of Luristan („A Survey of Persian Art“, I, გვ. 263); იხ. მისივე, Ceinture en bronze du Luristan („Syria“, t. $XV_2$, Paris, 1934).

ოლეთაგან შექმნილ წრეში გამოხატულების მოთავსება შუა საუკუნეების გემოვნებას ეთანხმება[1].

შესაძლოა, რუსუდანის დროშაკის ბუნზე ქსოვილიც იყო მიმაგრებული, ასეა, მაგალითად, XII—XIII ს. რელიეფზე: სამწერობლის მსგავს დროშას ალამი უბია[2]. (ტაბულა III, ქვემოთ).

ამგვარად, რუსუდანის დროშაკის სახით შერჩენილია ძველი აღმოსავლური ტრადიციის განმგრძობი, დიდად მნიშვნელოვანი დროშა, თავის დროის (XII საუკუნის ბოლო) ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოები, XI საუკუნის ნიმუშის განმმეორებელი.

იგი სამარ დროშებს უნდა მიეკუთვნოს, როგორც ამას ვნახავთ მუხრანის ბატონის დროშის მაგალითიდან (იხ. ქვემოთ).

## სვანეთის დროშა „ლომი“

გაერთიანებულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთავარ დროშათაგან ვიცნობთ ზემო სვანეთის „ერთობილი ხევის დროშას“, ე. წ. „ლომს“ (ტაბულა VII).

ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, სვანეთის ეს დროშაც იყო ძალაუფლების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო.

ძალაუფლების ნიშანთა შორის დროშა, რამდენადაც იგი სამხედრო ძალაუფლებასთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება სვანეთის მაგალითით მტკიცდება. სვანეთის ხევის უფროსს, რომლის ხელში XIV—XV საუკუნეებში იყო ერთობილი სვანეთის დროშა—ლომი, ეწოდებოდა დროშის სახელიდან ნაწარმოები სახელი „მელომე“.

დროშა ამ შემთხვევაში გამოდის ნიშანი არჩევითი ხელისუფლისა, რადგან ამ დროს, სვანეთის საბუთების თანახმად, მელომის თანამდებობა არჩევითია, თუმცა ირჩევენ ერთი გვარის წევრთა შორის: „ჩუენ [ერ]თობილმან ლალვერს და უშქულს (შუამან) ჴევმან... თავადვითა შენისა გუარისა [ . . . .] სა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენ[ოთ...]“[3]. მელომე განსაკუთრებით საპატიო თანამდებობის პირია. იგი მედროშე არ არის მხოლოდ, იგი ითვლება ჴ ე ვ ი ს მ ა მ ა დ, მისი მეუღლე — ჴ ე ვ ი ს დ ე დ ა დ, რამდენადაც ისინი ხევს და, რაც ძლიერ საყურადღებოა, თვით სეტის მოწამესაც, ე. ი. წმ. გიორგის, იშველიებდნენ ხოლმე: „დაგიწერე და მოგაჴსენე დაწერილი ეს თქუენ თავად მთავარმოწამესა და ერთობილსა ჴევსა მე ვახთანგიანმან ბენდე და ჩემმან ცოლმან მარიამ... მას ჟამსა, ოდეს ჩემითა ნებითა მთავარ-მოწამე სეტისა და ერთობილი [ჴე]ვი გიშვილე“[4].

1 იხ. X—XI საუკუნის ქსოვილი წიგნში: **Н. Н. Соболев, Очерки по истории украшения тканей, Москва—Ленинград, 1934**, გვ. 72, სურ. 28.

2 **Уварова, Христианские памятники**, გვ. 20, სურ. 9.

3 „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, II, თბილისი, 1941, გვ. 6

4 იქვე, გვ. 6—7.

„დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ თქუენ ვახთაგიანსა ბენდანსა და შენსა ცოლსა მარიამსა ჩუენ [ერ]თობილმან ლალვერს და უშქულს (შუამან) ჴევმან... მას ჟამსა, ოდეს შენითა ნებითა მთავარ მოწამე სეტისა და ერთობილი ჴევი გვიშვილე. [აწ] ვითა ეგრე შვილებულსა გუმართებს, ეგრე საპატი[ოდ ჩუენცა] შენი პატივი გავათაოთ“[1].

თუ მელომეს ვისთანმე აქვს შუღლი, პასუხის გამცემია მთელი ჴევი:

„ვისც წაეკიდო, რაც იმას საქმე მოჰყვ[ე]ს[1], იმის პირი და პასუხისა გამცემი და გარდამ [ . . . ლე] [ . . . . . ] ჴევი ვართ“[2].

მელომის წინააღმდეგობა არ ეპატიება მამისაგან შვილს, ძმისაგან ძმასა:

„ვისც წაეკიდო... შენი საქმე არ ვის ვათნიოთ, არ მამამან შვილ[სა, არცა ძმამან] ძმასა“[3].

თუ მელომეს რამე გაუჭირდებოდა, ლომი უნდა მიეტანა ხალხში:

„ოდესც დაგეჭიროს, ლომი [მოიტანო]...“[4].

უნდა დავასკვნათ აგრეთვე, რომ ჴევის ლაშქარი მის განკარგულებაშია, რადგან ლაშქრის შეკრება მის ხელთ იყო:

„რაი ლომი და მოლაშქერე მოვიდეს, რომელიცა ჴევი ანუ სოფელი არ მოჰყვეს მისითა აბჯრითა, იმა ჴეუსა და სოფელსა მიუჴდეთ ჩვენ ერთობილი ჴევი“[5].

ასეთი იყო მელომის დიდ უფლებანი. რაც შეეხება ვალდებულებებს, საბუთებში ჩანს მისი უფრო ქონებრივი ხასიათის ვალდებულებანი — მისი ქონება ჴევის ქონებად ითვლება:

„მას ჟამსა ოდეს ჩემითა ნებითა მთავარ-მოწამე სეტისა და ერთობილი [ჴე]ვი გიშვილე, დაგათუალე ჩემი სახლი, მამულ-ეკლესიანი, მ[- -] ვარი ტყე და ველი, მთა და ბარი, უძრავი და მოძრავი, უძებარი და საძებარი, ყ[ოვე]ლისა კაცისაგან უცილობლად“[6].

ეს ცნობები თავისუფალი სვანეთის ისტორიიდან ძალიან საგულისხმოა, ხოლო მელომე ძველი დროის მცხეთის მამასახლისების შესატყვისი ჩანს[7].

სვანეთის ლომის სახის დროშა ჩვენ დროსაც განაგრძობს არსებობას, და, საფიქრებელია, იგი მოდის ღრმა წარსულიდან. კ. ტრევერი სვანეთის დროშას მიაკუთვნებს[8] დრაკონის სახის დროშებს, რომლებიც მეორე საუკუნეში ახალი წ. ჰქონდა პართელებს, სკვითებსა და სარმატებს.

1 „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, II, გვ. 6.

2 „ გვ. 6.

3 „ გვ. 6.

4 „ გვ. 5.

5 „ გვ. 5.

6 იქვე, გვ. 6—7.

7 იხ. იქვე, გვ. 6 (სიგელის სათაური გაკეთებულია გამომცემლის პ. ინგოროყვას მიერ).

8 **К. В. Тревер**, Серебряное навершие сасанидского штандарта (Труды отдела истории культуры и искусства Востока, III, Ленинград, 1940, გვ. 176).

ამ ხალხთა დროშებს აწერენ მე-2 საუკუნის რომაელი ისტორიკოსები, ხოლო გამოხატულებანი მოცემულია ტრაიანეს და მარკ ავრელიუსის სვეტების რელიეფებზე მეორე საუკუნეშივე ახალი წ. ეს ცნობები მომყავს მათი დამმუშავებლის კ. ტრევერის ნაშრომის მიხედვით:

ლუკიანეთი, „ერთი ისტორიკოსი ფიქრობდა, რომ ეს დროშები „ცოცხალი გველებია სპარსეთიდან, რომელიც იბერიის ცოტა მოშორებით არის. ამ გველებს პართელები აბამენ გრძელ ჯოხებზე და მაღლა უჭირავთ, რომ შორიდან შიშის ზარი დააწიონ“[1].

არიანეთი „სკვითების საომარი ნიშნები გ ვ ე ლ ე შ აპ ე ბ ი ა, რომლებიც ფრიალებენ ბუნებზე... მათ ჰკერავენ ფერად ნაჭრებისაგან. თავი და მთელი ტანი კუდამდე გველისებური უკეთდებათ, რაც შეიძლება საშინელი... როცა ცხენები დგანან, ხედავ მხოლოდ ძირს დაშვებულ ფერად ნაკუწებს, მაგრამ ქარის მოძრაობისაგან იბერებიან, დასახელებულ ცხოველებს ემსგავსებიან, ხოლო სწრაფი მოძრაობის დროს სისინსაც კი გამოიღებენ... ეს ნიშნები არამხოლოდ შესახედავადაა სასიამოვნო, თუ შიშის ზარის მომგვრელი, არამედ სასარგებლოცაა იერიშის გარკვევისათვის და იმისათვისაც, რომ რაზმები ერთმანეთს არ ესხმოდნენ თავს“[2]

„ლუკიანეს და არიანეს თანადროული რელიეფები, მოთავსებული ტრაიანეს სვეტზე რომში, ამ ცნობებს ავსებენ. მათზე დაკების ხელში გამოხატულია შტანდარტები: ისინი შესდგებიან ბუნთაგან, რომლებზედაც მიმაგრებულია ზღაპრული ცხოველის თავი (როგორც ეტყობა ლითონისა)... კოპიჭი აქვს ცხვირზე, პირდაღრენილია... თავს მიმაგრებული აქვს ქსოვილის შეკერილი მორჩებიანი ტანი... (ტაბ. IV) ამავე სვეტის მეორე რელიეფზე, სადაც გამარჯვების ქალ-ღმერთია გამოსახული, ტროფეებს შორის არის გველეშაპის თავებიანი შტანდარტები (ტაბ. V). რომის მეორე სვეტზე (მარკ ავრელიუსის სვეტი), რომელიც მეორე საუკუნის ნახევარსვე მიეკუთვნება, არის რელიეფი, რომელზედაც სარმატებზე გამარჯვების გამომხატველ ტროფეებს შორის... ასეთივე შტანდარტებია... (ტაბ. № VI)“[3]. „ტრაიანეს სვეტის რელიეფიდან ჩანს, რომ „გველეშაპის თავი ჩადგმული იყო, საფიქრებელია, ლითონის რგოლში, რომელზედაც მიკერებული იყო ცხოველის აბრეშუმის ტანი (ნახ. 1)“[4].

გველეშაპის სახის დროშები განაგრძობენ არსებობას შემდეგ საუკუნეებშიაც; პართთაგან, სკვითებისა და სარმატებისაგან ისინი გადიღეს რომაელებმა. IV საუკუნეს ეხება ამიანე მარცელინის მონათხრობი ასეთი დროშების შესახებ. სასანიანთა მეფეებმაც შემოიღეს პართული გველეშაპის ფორმის დროშები[5].

---

[1] К. В. Тревер, იქვე, გვ. 174.

[2] იქვე, გვ. 174—175.

[3] იქვე, გვ. 175.

[4] იქვე, გვ. 175.

[5] იქვე, გვ. 177—179.

განვითარებულ შუა საუკუნეებში გველეშაპის სახის დროშა განაგრძობს არსებობას ბიზანტიასა[1] და დასავლეთ ევროპაში[2].

უნდა ყოფილიყო ესენი საქართველოშიც. სვანეთში შერჩენილი ლომის სახის დროშა XIV—XV საუკუნეებშიც არსებობდა და ერქვა მას ისე, როგორც ეხლა, „ლომი“.

ბარტოლომეი მას უწოდებს „სვანეთის ხალხის დიდ დროშას“, „Большое знамя сванетского народа“[6]. XIV—XV საუკუნეებში ლომი ერთობილი სვანეთის დროშა იყო, მას მთელი სვანეთი უნდა შესდგომოდა (იხ. ზემოთ).

ლომი ამჟამად ინახება მესტიის მუზეუმში, სეტში.

სვანური დროშა „ლომი“ იმ სახით, რომლითაც იმან მე-19—20 საუკუნემდე მოაღწია, თუმცა სარმატულ და სკვითურ-პართული ტიპისაა, მაგრამ მაინც თავისებურია.

ლომის ეხლანდელი პირისახე შეკერილია და ნაწილობრივ მოქარგული: შუბლზე ორი ჯვარი აქვს დაკერებული, ვერცხლისფერ ზონრიდან გაკეთებული (ჯვრები ერთი მეორის ზემოდან არის მოთავსებული). ყურები ჩაკერებული აქვს, ალბათ აიცქვიტება ჰაერისაგან. ვერცხლისფერ ზონრის ორმაგი ზოლი აღნიშნავს ცხვირს და ოვალურად ირკალება თვალების მოსახაზავად. ნესტოების ადგილას დაკერებულია წითელი ოთხკუთხი ნაჭერი. გუგა მოქარგულია ყავისფერი ძაფით იმგვარად, რომ ამობურცულია. მის გარშემო მოვარდისფრო რკალია (თვალის თეთრ აპკს გამოხატავს). მისი ფერი თითქოს გახუნებული წითელია, ან რომელიმე ფერადი ძაფის განაყონი.

უვაროვას სიტყვით, ლომი წარმოდგენილია დაღრენილი პირით, რომელშიც ჩადგმულია ვერცხლის ენა და კბილები[4].

ეს პირი ლომისა ამჟამადაც არსებობს (ტაბულა VII). ის საკმაოდ რთულად არის მოწყობილი: გაკეთებულია ვერცხლის 6 მილიმეტრის სიგანის მასივურ მავთულისა-

---

[1] „Свидетельство [Псевдо] Георгия Колина.. о принесении (в праздник рождества Х-ва к императору в пал: ты), воинских знамен... Если в первом случае на знамени и был изображен св. Георгий копный... во втором случае, очевидно, просто разумеется знамя с драконом или в форме дракона“ (Я. Смирнов, Устюжское изваяние св. Георгия Московск. больш. успенского собора, „Древности. Труды имп. Московск. Арх. О-ва“, XXV, Москва, 1916).

[2] იხ. სურათი (II bis და II-te), 690 გვ. წიგნში: August Demmin, Die Kriegswaffen, Leipzig, 1893, იქვე, ტექსტი: II bis. Deutsches Drachen-Feldzeichen vom 9. Jahrhundert, welches sichtlich dem römischen von den Parthern entlehnten anguis und draco, Schlangen oder Drachenfeldzeichen der römischen Kohorte nachgebildet ist“. იხ. ოქროს ფსალმუნის მინიატურის პირი წიგნში: Schlumberger, Un empereur byzantin au dixième siècle (Paris, 1890, გვ. 615). Demmin-ის წიგნშივე იხ. გველეშაპის ფორმის ფრანგული დროშა XIII საუკ., გვ. 692 № 15 (II-$^1/_2$).

[3] Бартоломей, Поездка в Вольную Сванетию в 1853 г. გვ. 50.

[4] Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию. „Материалы по археологии Кавказа“, X, გვ. 132.

გან, რომელიც ერთი მხრიდან ამობურცულია, მეორიდან—ბრტყელი; დაღრენილი პირი შედგება ზედა და ქვედა ყბებიდან. ზედა ყბის მავთული გახვრეტილია. მასში გატარებულია ვერცხლის პატარა ჩხირი, რომლის აქეთ-იქით ჩამოცმულია ქვედა ყბის წყვილი ყულფი. ამის წყალობით ქვედა ყბა იძვრის.

ამ ყულფებზე ვერცხლის მავთულებია დამაგრებული მათზე, როგორც ჩანს, ენა ყოფილა, რომელიც ეხლა დაკარგულია. ქვედა ყბაზე შერჩენილია ვერცხლის სამკუთხა კბილები. ექვთ. თაყაიშვილი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ „ლომის ფიგურა იყო ჩამოსხმული ვერცხლიდან“[1] მთლიანად: „წარწერის შინაარსი ცხადჰყოფს, რომ ასეთი ლომის ქანდაკება არსებულა“[2].

წარწერაში (იხ. ქვემოთ) ნახსენებია მხოლოდ „ლომი და დროშის თავი დროშითურთ“[3]. მაგრამ ეს ძალიან საინტერესო მოსაზრებაა პატივცემულ აკადემიკოსისა, რადგან საფიქრებელია, რომ შუა საუკუნეებში არსებობდა ლომის ნაქანდაკევი თ ა ვ ი. სვანეთის საისტორიო საბუთებში, რომელიც შედგენილია სწორედ ს ე ტ შ ი და საეკლესიო ქონების აღრიცხვას ეხება, ვკითხულობთ: „აუწერეთ ზე მთავარ მოწამისა ხატები. ორმოცდაშვიდმეტი ხატი ყოველი უფროს და უმცროსი. ერთი ლომისა თავი“[4]. საბუთი გამომცემლის, პავლე ინგოროყვას მიერ დათარიღებულია XIV საუკ. ბოლოთი — XV საუკუნის დასაწყისით.

შესაძლოა, ლომის თავი იყო იმ ტიპისა, როგორიც ჰქონდა სარმატთა და სკვითთა დროშებს (იხ. ტრევერის ზემოდასახელებული ნაშრომი).

ამჟამად ლომის თავი იისფერი ტილოს ჩანაჭევით არის მიბმული ბუნზე.

ლომის სხეული შეკერილია ყვითელი აბრეშუმისაგან, მთლიანად ლომის სიგრძე არის 2 მ და 24 სმ, უკუდოდ 1 მ, 25 სმ. ტორებისა და კუდის ადგილას ჩაგდებული აქვს ხიშტაკები. წინ, ტორების დასაწყისში ვერცხლისფერი ზონრის ჯვრებია დაკერებული.

უნდა აღინიშნოს მისწრაფება ყოველგვარად შეენახათ ტრადიციული „ლომი“ და მისი ნაწილები, რის გამო ლომის სხეულს დრო და დრო განაახლებენ ხოლმე; ბარტოლომეის დროს დროშა დაფლეთილი იყო, უვაროვას დროს—ახლად შეკერილი, ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს—კვლავ ახალი. იგი წერს: „უვაროვას დროს ის (ლომი) აბრეშუმის მატერიიდან იყო გაკეთებული; ჩვენ დროს კი სულ უბრალო, ბამბის ყვითელი მატერიიდან იყო შეკერილი... მაგრამ ჩვენ მოვიკითხეთ წინანდელი დროშაც, ვნახეთ და ჩამოვიტანეთ ტფილისში და გადავეცით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. მუზეუმს“[5] (ამჟამად „ლომი“ არის გამოფენილი საქ. სახელმწ.

---

[1] ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 272.

[2] ი ქ ვ ე გვ. 274.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 273.

[4] „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, გვ. 56.

[5] ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 272.

მუზეუმის საეთნოგრაფიო გამოფენაზე—სვანეთის [illegible]ბაზი).

საყურადღებოა, რომ ლომის დაფლეთილი სხეული არ გადაუგდიათ, არამედ შეუნახიათ, როგორც სიწმინდე.

შემდეგშიც შეიცვალა, განახლდა ლომის სხეული. კოვალევსკის სიტყვით, მის სვანეთში მისვლამდე სამი წლის წინათ ლომის სხეული ახლად შეკერილი იყო ივდით ჯაფარიძის მიერ[1].

ეხლა ლომს ჯერ ისევ კოვალევსკის მიერ ნახული სხეული აქვს. ქვედა ყბის ქვემოდან ამოქარგული აქვს წარწერა: „აღათი ჯაფარიძის ასლი“. ამგვარად კოვალევსკის ცნობა, რომ ლომზე შუბის პირის წარწერაა ამოქარგული[2], არ მართლდება.

აღათი ჯაფარიძე და ივდით ჯაფარიძე, მოხსენებული კოვალევსკის მიერ, დები არიან, 1946 წელს აღათი მულახში ცხოვრობდა, ივდითი — მესტიაში (სეტში). ამ ორი დის შეკერილია ლომი. ივდით ჯაფარიძე ვინახულეთ 1946 წლის ექსპედიციის წევრებმა. გვიამბო, რომ „ლომი“-ს შეკერვის დროს მათ აიღეს ძველი ფორმა (დაადეს ლომზე ქსოვილი და ისე გამოსჭრეს). ჯვრები ძველი ლომიდან არის გადმოტანილი.

დროშის თავი — შუბის პირი უვაროვას მიერ ნახვის დროს ლომისაგან განცალკევებული იყო. ეხლაც ცალკე ინახება მესტიის მუზეუმში. დროშის თავი ეხლა სხვაგვარია: ბუნის წვერზე ჩამოცმულია სპილენძის წაკვეთილი კონუსისებური მასრა (6 სმ სიგრძით, დიამეტრი — 2,4 სმ. წვერისაკენ). მასრის ქვემოდან დამაგრებულია „ლემი“-ს თავი, ხოლო მის შემდეგ ბუნზე გაკეთებულია სპილენძის ბუშტი. იგი ორი ნახევრისაგან (ზემოდან და ქვემოდან) შედგება. ესენი ეხლა დაშორებულია ერთმანეთისაგან, და მათ შუა ჩანს რაღაც ქეჩა, რომლითაც ბუშტი გამოტენილია. ბუშტის დიამეტრი — 6 სმ.

შუბის პირის ფორმა დროშის თავისათვის უკვე ძველ აღმოსავლურ დროშებზე გვხვდება[3], და შემდეგშიც ხშირია. „კარის გარიგებაში“ მოხსენებულია „შუბი სეფე ალმითა“.

ლომის შუბის პირი (ტაბულა VIII და IX) შედგება ორი მოოქროვილი ვერცხლის ფურცლისაგან, რომლებიც პატარა ლურსმნებით არის ერთმანეთზე დამაგრებული. ერთი ლურსმანი შერჩენილია შუბის წვერზე, იონა ლატარის წარწერის ზემოდან. შუბის მეორე მხარეზე ნაჩვრეტი არის უფრო ზემოთ.

შუბის პირი სიგრძეზე შუა ნაწილში ამობურცულია. აქ ბუნის წვერის გასაყრელი ადგილი იქნებოდა. იგი გარედან ხაზგასმულია სწორე ჩაჭრილი ხაზებით.

ხეტარზე ჩამოსაცმელ მასრიდან — ქვემო ნაწილიდან, რომელზედაც წერდა ექვთ. თაყაიშვილი, აღარაფერია დარჩენილი. წვერთანაც ნაწილი მოტეხილია. წვერ-

---

[1] Борис Ковалевский, Страна снегов и башень, 1930, გვ. 120.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 120.

[3] Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, გვ. 339, 340.

თან და ცოტა ქვემოთაც შუბი გაბზარულია გაღუნვის გამო. არის ნაკეცებიც.

ვერცხლის ფურცლები სქელია. შუბის პირი მთლიანად განიერია და მასიური.

გლუვი, ამობურცული ლულა შუბის პირის სიგრძეზედ ფართოვდება ქვემოთკენ. ის არის კომპოზიციის ღერძი. მის აქეთ-იქით ჭედვით გამოყვანილია ფიგურები: მარცხნივ — იონა ლატარისა, მარჯვნივ — წმ. გიორგი სეტისა. იონას ფიგურა და მისი სახე ამ ღერძისაკენ არის მიქცეული, მისკენვე მიმართულია იონას ნახევრად აპყრობილი ხელებიც. წმ. გიორგი-კი ფრონტალურად არის დაყენებული.

შუბის პირის კონტურთან, რომელიც ვიწროა წვერისაკენ და ქვემოთკენ თანდათან ფართოვდება, შეთანხმებულია კომპოზიცია: ზემოთკენ ჯერ მოთავსებულია ფიგურული დეკორატიული ქარაგმები წმინდანების აღმნიშვნელ წარწერებზე; შემდეგ ქვემოთკენ — თვით ეს ასომთავრული წარწერები („წჲ: იონა ლტჰ҃ისა“; „წ҃ჲ გ҃ი სეტისა“), რომლის სტრიქონები, რაც უფრო დაბლა ჩადის, უფრო მეტს ასოებს შეიცავს და მეტს ადგილს იჭერს; წარწერების ქვემოთ — თვით წმინდანების ფიგურებია. შუბის პირის გაფართოვება ხდება მათ გაწეულ იდაყვებთან, ხოლო უფრო ქვემოთ — წმ. გიორგის საწვიმრის კიდის და დადგმული ფარის ხარჯზე.

შუბის მეორე მხარეზე, ღერძის მარცხნივ, მოთავსებულია დროშის შემწირველის დიდი წარწერა, მარჯვნივ—გამოხატულება ულრის მთავარანგელოზისა, ხოლო მის თავით წარწერა: „მთავარანგელოზი: ულრისა“. აქაც სტრიქონების ასოების რიცხვი შუბის კონტურთან შეფარდებით მატულობს და კლებულობს.

კომპოზიცია საიშვიათოა, რადგან სხვა ამგვარად შემკული შუბის პირი არ არის შენახული.

ფოტო ვერ გადმოგვცემს ნაწარმოების სიძვირფასეს და ძალას.

ორნამენტირებული ქარაგმები, ასოების გადაბმა და მათი შემკობა გაფურჩქვნის ხანისაა. ასოები შემკულია წვეტებით ან ორმაგი ფოთლის მსგავს სახეებით. ასოები ძალიან ჰგავს მესტიის მუზეუმშივე შენახულ ინასარიძიანთ ხატის, — აკად. თაყაიშვილის მიერ XII—XIII საუკ. დათარიღებული ტრიპტიქის — ასოებს.

საინტერესოა კომპოზიცია მითაც, რომ მასში წარმოდგენილია ერთობილი (გაერთიანებული) სვანეთის ყველაზე მნიშვნელოვან წმინდანების კრებული. მათი შერჩევაც საინტერესოა: ორი მეომარი, საომარ რომაულ ტანისამოსში — წმ. გიორგი შუბით და ფარით, მთავარანგელოზი ამოწვდილი ხმლით. იონა ლატარისა თავის მნიშვნელობით ნაწილობრივ დაკავშირებულია, ისევე როგორც წმ. გიორგი, ქვეყნის ნაყოფიერების ძველ წარმართულ ღვთაებებთან, რომლებიც ინთქმებოდნენ მიწისაგან, გველეშაპისაგან თუ წყლისაგან, რომ ხელახლად აღორძინებულიყვნენ.

თვით ლომის დაკავშირება მზესთან ძველ აღმოსავლეთში უძველესი ხანიდან მოდის, და დროშა-ლომის მნიშვნელობაც არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური იყო წარსულში, არამედ სხვაგვარიც—ის იყო მოსავალთანაც დაკავშირებული[1]. მისი გამოტანა ხდებოდა ელიშობას (მესტიის მუზეუმის თანამშრომლის სები გულედანის სიტყვით, ელიშობა არის ელიისა და წმ. გიორგის დღე, დარ-ავდართან დაკავშირებული).

ივდით ჯაფარიძის (სეტი) ცნობებითაც ეს სრულიად მკაფიოა: „ხიდამდე ლომს სამჯერ გააჭენებდენ, თუ ლომიანი ცხენი გაასწრებს, ეს კარგია მოსავლისათვის“.

ადიშში (ზ. სვანეთი) შერჩენილი თქმულებაც მესტიაში შენახულ დროშის „ლომი“-ს შესახებ ამ მხარეზე მიგვითითებს. ამ თქმულებით დროშა „ლომი“ ნამდვილი ლომის ტყავია: „მესტიის ლომი გოშთელანების მოკლული ლომია. ის ლომი იყო მესტიის მთაზე. ხალხი რომ მიდიოდა, მეიტოტავდა—ილლია დიდი ჰქონდა, ფრთები ჰქონდა—მიჰქონდა ქვაბში, სჭამდა. შეხვდა თემბილ გოშთელანი. ვერ მოკლა,მკვდრების ქვეშ შემძვრალიყო თემბილ. ლომს დაეძინა (ეს სულ მაგალითია — დიდი საინტერესო სიტყვა—იცოდეს!). ადგა თემბილ და შტიკი შემოკრა თვალში. ახლა მაღალზეა თურმე. რა ქნას? გადმოხტეს? — მოკვდება. ახლა გაატყავა და ტყავი ჩაიცვა. რგვალად გაატყავა,როგორც საკუპროდ ვამზადებთ. გადმოხტა ზევიდან და ჯიშტზე (ნიადაგ რომ მთის თოვლია) ჩამოფრინდა, დაჯდა, როგორც ფრინველი. ტყავი წამოიღო, და ლომი გააკეთეს მესტიაში. გოშთელანები ცხოვრობენ მესტიაში. ეს ლ ო მ ი ვ ე ფ ხ ი ს(?) ტყავია:

„თემბილო ფაშთი გოშთელან,
სივდი ჯიფაშ და ვოფხვის დაგრა“
(თემბილ ნაქები გოშთელანი,
შენ დაგიჩემია ვეფხვის სიკვდილი)“.

(ნაამბობია ადიშის მცხოვრების გიორგი ალმაიზის-ძე ავალიანის მიერ. 1947 წლის აგვისტო).

თქმულება ძალიან ძველი ჩანს. ბრძოლა გმირისა ლომთან (იგივე ბრძოლა გმირისა ურჩხულთან) ძველი აღმოსავლეთის სიუჟეტთაგანია და გვხვდება სუმერის უძველეს ხელოვნებაში.

ფრთოსანი ლომი ქართულ წარმართობის წარმოდგენათა წრეს მიეკუთვნება. როგორც ასეთს, მას ვხედავ აგრეთვე ბოლნისის V საუკუნის სიონზე[1].

ორივე მხარე შუბის პირისა ერთი ოსტატის მიერ არის შესრულებული. დამახასიათებელია, რომ სახეების გამოყვანაში სრულიად არ არის სილბო: ისინი დაჭიმულია, ძალიან მსხვილი ლაწვის ძვლები აქვთ, ძლიერ ჩაღრმავებული ყბები, თვალების ჭრილები მსხვილად არის მოცემული, თვალები თითქოს გადმოცვენაზეა.

სხეულები სისწორით არ არის მოდელირებული. სრულიად არაბუნებრივად მიიმართება მთავარანგელოზის სხეულის კონტურის ტალღისებური ხაზი.

---

1 ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლ. ექსპ. ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 275 (შანშიევის ცნობის მიხედვით).

1 Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Болнисский Сион, Тбилиси, 1940, გვ. 158.

წმინდანთა პოზები, ჩაცმულობანი XI—XII საუკუნის ნიმუშებს გვაგონებს. ტანსაცმელის ნაოჭები ზევიდან ჩაჭრილი ხაზითაა ნამუშევარი.

ნიმბების არეს ორნამენტი დაწერტვით არის შესრულებული. ორნამენტი მცენარისებურია, ყლორტების ხვეულებს წარმოადგენს. ფარზე, რომლის კონტური ჯუმათის წმ. გიორგის ფარის კონტურისებურია[1], ისეთივე ორნამენტია, როგორც ნიმბებზე, და დაწერტვითაა მოცემული.

მსგავსად არის გაკეთებული ანჩისხატის შიგნითა კარების მოჭედილობაზე (XIV საუკ.) ნათლისღების სცენაში არეს ნაწილი, ორნამენტიც იგივეა. თუმცა ქვაზე, მაგრამ ასევე წერტილებით და ასეთივე ორნამენტით შესრულებულია წმინდანის ნიმბი შუა საუკუნეების რელიეფზე, რომელსაც XIV საუკუნით ათარიღებენ (ხახანაშვილი)[2].

ანგელოზის ფრთები სტილიზებულია. ფრთების დასაწყისში ერთიმეორეზე დასმული წრეებია. თვითეული წრე ცენტრში ჩაჩრუტნულია, და ამ ჩუჩრუტანას ერთის მხრიდან ჩაჭრილი ხაზების ნახევარ-წრე ევლება მარაოსავით. ფრთის ზემო ნაწილს ოლე საზღვრავს, რომელიც შესდგება გამწკრივებულ პატარა წრეებისაგან, მათ შუაგულში წერტილებია. ფრთების ბოლოები შესდგება ვიწრო გრძელ ტალღოვან ზოლებისაგან, რომლებიც გეზადაა დაშტრიხული.

შუბზე მოთავსებული შემწირველის წარწერა აკად. ექვთ. თაყაიშვილის მიერ არის მართებულად წაკითხული[3]. წინა გამომცემელთა[4] მიერ ქარაგმების გახსნა სწორედ არ იყო მოცემული.

ეს წარწერა ჩამოგრძელებულია თავიდან ბოლომდე:

+
ႳႡႤ
ႣႬႨႤ
ႰႬ:Ⴖ´Ⴋ
ႧႬ:ႤႰႧႭ
ႡႨႪႱႠ:Ⴝ
ႤႥႱႠ:ႡႤ
ႣႬႨႤႰႱႠ:
ႱႳႬႧႨႱႠႱႠ:
ႪႭႫႨ:ႣႠ ႣႰ
ႸႨႱ ႧႠႥႨ:
ႣႰႸႨႧႳႰႧ
Ⴙ:ႤႫ ႣႨႣႨႱႠ:
ႫႭႬႱႲႰႱႠ:
ႼႬႻႱႠ[5]: Ⴂ´ႢႪ
ႩႭႮႱႻႨႱႠ
ႢႠႬ:ႫႭჄ
ႱႤႬႤႡ
ႳႪႨ

ქარაგმების გახსნით და ტრანსლიტერაციით მხედრულზე (ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვა): „ქ. უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ჭევსა ბედნიერისა სუანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ, ჩემ დიდისა მონასტრისა წინამძღურისა გრიგოლ კოპასძისაგან მოჴსენებული“.

კოპასძეთა გვარი, აღნიშნული წარწერაში, გვხდება სამცხე-საათაბაგოს წარჩინებულთა სიაში[1], სვანეთში-კი ლესგუნის წმ. ელიას ხატზეც. ჯერ 1931 წელს კოპაძენი ამ შუბის მცველებად ითვლებოდნენ პროფ. გ. ჩუბინაშვილის ცნობით.

რომელ დროშაზეა წარწერაში ლაპარაკი, არა ჩანს— ცალკეა მოხსენებული დროშა, ცალკე—ლომი. შესაძლოა, ლომის გარდა შეწირული იყო ლითონის დროშაც ისეთივე ფორმისა, როგორიც არის რუსუდანის დროშაკი. იქნებ იმისაგან დარჩენილია ვერცხლის ნაჭედი ვიწრო ფირფიტა (იხ. ფოტო), რომელიც, აშკარაა, შემდეგშია შემოხვეული ტარზე. ფირფიტის ორნამენტი XII—XIII საუკ. უნდა მიეკუთვნებოდეს (ამჟამად აღარ არის შერჩენილი).

ლომის ეხლანდელი ბუნი უბრალო ხეა, ცუდად გათლილი, კოჟიჟებიანი. ძირი სწორედ აქვს გადათლილი, მთავრდება ბრტყელი წრით და არა წვეტით. ბუნი დაუმოკლებიათ, რომ ელექტრონის მავთულებს არ მოსდებოდა მედროშის ხელში. (აღათი ჯაფარიძის ცნობით).

ამ ნაწილში ბუნს ტყავის თასმა აქვს შემოხვეული, მითი ამაგრებენ მას მხედრის ფეხსა და უზანგზე.

ტერმინი „მელომე“ სვანეთში აღარ გვხვდება. ელიშობას ლომი უჭირავს ერთ-ერთ „ლელჯგრაგუ“-თაგანს. ასე ჰქვიან ოთხ გვარს: რატიანს, ლიგურიანს, მჭედლიანს, ფალიანს (ცნობები ბესლან ფალიანისა. სეტი). ძველად ლომის დამჭერელნი ჯაფარიძეები იყვნენ. მათ ლელჯგრაგუ არ ერქვათ. ლელჯგრაგუ ნიშნავს ეკლესიის მომვლელს. 10—12 ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას გაჭენებაში. ერთს ეჭირა ლომი, მეორე დამხმარედ იყო. მგლოვიარე ჯაფარიძე ჯირითში ცხენზე არ შეჯდებოდა. ასეთ შემთხვევაში მისი შემცვლელნი ჩართულანები იყვნენ ან მოლოზნები (ჯაფარიძე ივდით, სეტი).

როგორც ვხედავთ, სვანურ ლომს ჩვენს დრომდე თავის მნიშვნელობა სავსებით არ დაუკარგავს, ხოლო წარსულში მას დიდი როლი ჰქონდა.

იგი უნიკალურ დროშას წარმოადგენს.

[1] Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятников древности, სურათი 51.

[2] Уварова, Христианские памятники, табл. XVI, გვ. 40.

[3] ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგ. მოგზაურ. ლეჩხ-სვანეთში, გვ. 273, 274.

[4] იქვე, გვ. 274.

[5] ექვთ. თაყაიშვილი, გამოცემაში: ႼႬႻႱႠ

[1] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, გვ. 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეფო ლაბარუმები

საქართველოში ლაბარუმების გამოხატულებანი გვაქვს სამეფო ძალაუფლების განსაკუთრებული ძლიერების ხანიდან. ბიზანტიის მრავალრიცხოვან ძეგლებზე ხშირადაა გამოხატული იმპერატორები ლაბარუმით ხელში.

სინას მთაზე ინახებოდა ხატი, რომელზედაც გამოხატული იყო ბაგრატიონი, როგორც ჩანს, ლაბარუმით ხელში. ვ. ბენეშევიჩის აზრით, ეს ბაგრატიონი დავით აღმაშენებელია[1]. უსპენსკის აღწერილობით, მას ხელში უჭირავს „რაღაც დროშა, მოოჭვილი ძვირფასი თვლებით უჯრა-უჯრა. იგი გვაგონებს ებრაელ მღვდელ-მთავართა ეფუდს. ხოლო ბაგრატიონებს თავიანთი ჩამომავლობა დავითისა და სოლომონისაგან გამოჰყავთ“[2]. XIII საუკუნის ცნობილ ძეგლებზედაც, ბეთანიის ფრესკაზედ, ვხედავთ სამეფო საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილს მეფე გიორგი III-ს, რომელსაც უჭირავს ხელში ბიზანტიის იმპერატორის ლაბარუმის მსგავსი ინსიგნია (ტაბულა X), ლაბარუმის სახის სკიპტრა.

საქართველოს მეფის ამ ინსიგნიას მაინც განსხვავებული ფორმა აქვს: იგი სწორკუთხედი კი არ არის, როგორც უმეტეს შემთხვევებში ბიზანტიური ლაბარუმებია, არამედ ხუთკუთხედია: ზემო ნაწილი სწორკუთხედია, ქვემო — სამკუთხედი. ქვემო ნაწილს წიბოები ოდნავ შეზნექილი აქვს. ინსიგნიის ფორმა დაკავშირებულია ქართულ დროშებთან, რადგან ამ ფორმისაა დროშების თავები მეფის მცველთა ხელში ქართულ მინიატურაში (ფსალმუნი H 1065). იხ. ზემოთ (ტაბულა III).

(ტრაპიზონის იმპერატორების ლაბარუმის ფორმა ბიზანტიის იმპერატორთა ლაბარუმის ფორმებს მისდევს).

საყურადღებოა, რომ სვანეთში ს. ნაკიფარში შენახულა შესატყვისი ფორმის საეკლესიო ლაბარუმი (იხ. ქვემოთ).

ლაბარუმი ბეთანიის ფრესკაზე შემკულია 2 მსხვილი ძვირფასი თვლით და მარგალიტებით. ისევე, როგორც გიორგი მეფის, თამარ მეფის და ლაშა-გიორგის ტანსაცმელზე ამავე ფრესკაზე, მარგალიტი დამაგრებულია რაღაც შავ სალტეზე. ეს მარგალიტებიანი სალტე ევლება ხუთკუთხედის კიდეებს. ასეთივე სალტე გადაჭიმულია ხუთკუთხედის ზედაპირის შუა ნაწილზე. ყოველ კუთხეზე დაკიდებულია მარგალიტებისაგანვე შემდგარი საკიდრები ჯვრის ფორმისა, კვლავ შავ სალტეებზე დამაგრებული. ბუნი მოწითალოა, როგორც გიორგი III ბ[illegible] ორნამენტს მასზე ვერ ვხედავთ.

გიორგი III ლაბარუმი ყინცვისის ფრესკაზე (XII—XIII საუკ.) განსხვავებული ფორმისაა (ტაბულა XI). იგი წარმოადგენს ფირფიტას, რომლის ზემო და ქვემო ნაწილები სწორკუთხედებია. ზემო ნაწილი ვიწრო და გრძელია ქვემოზე. ლაბარუმის შუაზე გამოყოფილია ოქროსფერი ოთხკუთხედი (ზემოთკენ კიდეს ებჯინება). სამი მხრიდან მას მოვლებული აქვს ოქროსფერი ფირფიტა, შემკული დიდი, ოთხკუთხა, ძვირფასი ცისფერი თვლებით და მარგალიტებით. ჯვრის ფორმის მარგალიტის საკიდრები დაკიდულია ორ-ორი თითო მხარეზე, მარგალიტისვე ძეწკვებით. ბუნი აგურისფერია, სადა.

ორივე ფრესკაზე ლაბარუმის ფერი შეწყობილია მეფის ტანსაცმლის ფერთან ან გამოხატულების არესთან.

ბიზანტიის იმპერატორების ლაბარუმებთან შედარებით ქართველი მეფის ლაბარუმი (ანდა ლაბარუმის მსგავსი სკიპტრა) უფრო მცირე ზომისაა.

## ლაბარუმები ნაკიფარის (ზ. სვანეთი) ეკლესიიდან „ჯგრაგ“

ნაკიფარის წმ. გიორგის („ჯგრაგ“) ეკლესიის დასავლეთ გალერეაში იდვა ლაბარუმის ხასიათის ეს დროშა (ტაბულა XI, ქვემოთ, მარცხენა მხარე) 1946 წლის ზაფხულს. ეკლესიის მომვლელს, 70 წლის ალექსი ხაჭოანს არ ახსოვდა, რომ როდისმე ღვდელმსახურების დროს ეს ნივთი ეხმარათ, არც იცოდა მისი დანიშნულება.

ნივთი ხიდან არის გამოკვეთილი, ზევითა მხარე სწორკუთხაა, თანდათან განიერდება ქვემოთკენ და ბოლოვდება მორგვალებულ გვერდებიან სამკუთხედით, რომელიც შემდეგ ტარში გადადის. ტარიდან მცირე ნაშთი-ღა არის შერჩენილი. ნივთის წინა ზედაპირზე ამოკვეთილია სწორკუთხედი ბუდე ხატის ჩასადგმელად. ამჟამად ეს ბუდე ცარიელია. მის გარშემო შექმნილი ჩარჩო მარტივადაა ორნამენტირებული: ზემო მხარე ჯვარედინი ფიგურებით, გვერდები — კუწუბებით, ქვემო მხარე — კუთხედ ოლეებით, რომლებიც შემკულია რომბებით და აგრეთვე გრეხილისებურ და კავებისებურ სახეებით. კუთხედ ოლეებს შორის ფართო ღარებია.

ზემო მხარეზე ამართულია იმავე ნაჭრიდან გამოკვეთილი მასიური ჯვარი, რომლის ზემო შტო ზევითკენ ფართოვდება, გვერდითი შტოები კი სწორკუთხედია. ჯვარიც ორნამენტირებულია რომბებით და ჯვარედინი ფიგურებით.

ეს საგანი ფორმით უახლოვდება, როგორც ნათქვამი იყო, მეფე გიორგი III ლაბარუმს (ბეთანიის ფრესკა),

[1] В. Бенешевич, Изображение грузинского царя Давида Строителя на иконе синайского монастыря, Христианский Восток, т. I, вып. 1, С. Петербург, 1912, გვ. 64.

[2] იქვე, გვ. 63.

ან დროშის ხუთკუთხედ თავს დავითნის H 1065 მინიატურებიდან.

ლაბარუმის სიგრძე ტარამდე—51 სმ
" სიგანე —26 სმ
" სისქე — 4 სმ.

ეკლესიის იმავე გალერეაში აღმოჩნდა ხის მეორე ლაბარუმიც (ტაბულა XI, ქვემოთ, მარჯვენა მხარე). იგი მოგრძო სწორკუთხედს წარმოადგენს. ზევითა და ქვევითა მხარეები ოდნავ მომრგვალებულია, ქვევითა უფრო მეტად. ლაბარუმს ზემოდან ჯვარი არა აქვს და, ეტყობა, არცა ჰქონია. ქვემოთკენ ჩარჩო გადადის განიერ ტარში, რომელშიც ამოღრმავებულია ჯვრის ფორმის ბუდე. როგორც ჩანს, ოდესღაც მასში ჯვარი იყო ჩასმული.

ზემო ზედაპირის შუა ნაწილში ოთხკუთხედი ბუდეა ამოკვეთილი ხატისათვის.

ჩარჩო შემკულია რომბებით, რომლებიც შედგენილია ჩაჭრილი ხაზებით და კუწუბებით. მთლიანად ჩარჩო ძალიან უსწორ-მასწოროდ არის გათლილი და ნამუშევარიც.

ფიცარი დაფარული იყო მტვრის სქელი ფენით. სრულიად არ იგრძნობოდა არავითარი გამოხატულება, მაგრამ გადაწმენდის შემდეგ გამოჩნდა მშვენიერი ძველებური ხატი. ბუდე არ არის ამ ხატისათვის განკუთვნილი, იგი გაცილებით დიდია ხატზე, რომელიც ამიტომ ვერ გამოდგება ლაბარუმის დასათარიღებლად.

არც ეს ნივთი უხმარიათ ეკლესიაში, მისი მომვლელის ალექსი ხაჭოიანის ხსოვნაში, არც დანიშნულება იყო ცნობილი. ორივე ნივთი იდვა ეკლესიის იმ ნაწილში, რომელიც არ იხურება, და გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ სვანები, ძირითადად, პატივისცემით ეპყრობიან სიძველეებს.

საგნის ფორმა კვლავ შუა საუკუნეების ლაბარუმებზე მიგვითითებს. მსგავს ორნამენტს ვხედავთ XIV საუკუნის სპარსულ მინიატურაზე, იქაც ხის საგანზე, კარზე[1], თუმცა, უნდა ითქვას, ორნამენტი რომელიმე ეპოქისათვის ვერ იქმნება მიკუთვნებული, მისი მეტისმეტი სისადავის გამო.

ლაბარუმის სიგრძე — 42 სმ
სიგანე — 35 სმ
სისქე — 9,5 სმ
ტარის ნაშთის სიგრძე — 47 სმ.

ქართული დროშის ფორმის ისტორიისათვის ამ ორივე ნივთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

### ლაბარუმი კვირიკეს და ივლიტას ეკლესიიდან (ზ. სვანეთში)

სხვა შესანიშნავ ნივთებთან ერთად, ზემო სვანეთში, კალაში, კვირიკეს და ივლიტას ეკლესიაში შენახულია ლაბარუმის სახის დროშაც. იგი წარმოადგენს ტარიან სწორკუთხედ ფიცარს, რომლის ერთ მხარეზე გადაკრულია ვერცხლის ფურცელი ცხენოსანი წმ. გიორგის გამოხატულებით (ტაბულა XII).

[1] „A Survey of Persian Art", V, Pl. 836 B,

ლაბარუმის ფორმა უდგება შუა საუკუნეების ხატების მთავარ-ანგელოზთა ლაბარუმების ფორმას. სიგრძე ლაბარუმისა —20,3 სმ, სიგანე—26,7 სმ, სისქე—1,5 სმ, ტარის სიგრძე — 19 სმ, სიგანე — 3 სმ.

ვერცხლის ფურცელი მთლიანია, საკმაოდ სქელი. ტარი მოკლეა, მოტეხილი არა აქვს.

ლაბარუმის ზურგზე დაკრულია სახეებიანი ყვითელი აბრეშუმი. ასეთივე ნაჭერი შემოკერებულია ბუნზე. შესაძლოა, ეს ნაშთია ალმისა.

აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ლაბარუმი უნახავს 1910 წლის ექსპედიციის დროს (ფოტო 17283), მას თვლის XVIII—XIX საუკუნის ნამუშევრად[1]. როგორც 1910 წელში გადაღებული ფოტოდან ჩანს, მის დროს ლაბარუმს ბუნი არა ჰქონია.

ლაბარუმის ოთხკუთხი ჩარჩო შემკულია ბურცულებით, რომლებიც ორ პარალელურ წყებად არის განლაგებული. პირველი (ცენტრის მიმართ) წყება შემკულია რელიეფურ ნახევარ-რკალებით, რომლებიც რიტმულად თხზილია ერთმანეთში.

ლაბარუმის ცენტრში მოთავსებულია წმ. გიორგის გამოხატულება, რომელსაც საკუთარი ოთხკუთხი ჩარჩო აქვს, შემდგარი კვლავ მარგალიტისებურ ბურცულებისაგან. ჩარჩოსაგან მოშორებით, მარცხნივ და მარჯვნივ თითო გამოხატულებაა მდგომარე მეომრისა შუბით ხელში.

კომპოზიციის ზემოდან და ქვემოდან მსხვილი რკალების თითო წყებაა. რკალები რელიეფური ხაზითაა შესრულებული. ცენტრში რელიეფური წერტილი აქვთ.

საყურადღებოა წმ. გიორგის გამოხატულება. ეს არის ნამდვილი პრიმიტივი, რომელშიც არც პერსპექტივის ცოდნა, არც მოდელირება სხეულისა არ მოიპოვება, ვერც კონტურების სისწორეს ან სილამაზეს ვხედავთ.

ცხენი პროფილშია გამოხატული, მკვეთრად გაღუნული თავით. სახე წმინდა გიორგისა კი, რომელიც ცხენზე ზის, მთლიანად en-face არის მოცემული, არაბუნებრივად. ოსტატს გულუბრყვილოდ ცხენის უნაგირი გაშლილად წარმოუდგენია და არა პროფილში. მთლიანად ცხენის აღკაზმულობა გულმოდგინედ არის დამუშავებული, რაც პრიმიტიული ოსტატისათვის დამახასიათებელიც არის. ცხენის ფეხთ ქვეშ გაწრთხმულია მეფე, რომელიც წმ. გიორგის გაუგმირია ჯვრისთავიანი შუბით.

შესრულების მხრივ მსგავსი გამოხატულება არა ერთხელ გვხვდება სვანურ ხატებზე, ხოლო ყველაზე მკაფიოდ, დამახასიათებელი სტილისტიკურ თვისებების ნათლად გამოვლინებით, კვირიკეს და ივლიტას ხატზე, კვირიკეს ეკლესიაში (ზ. სვანეთი). როგორც პროფ. გ. ჩუბინაშვილმა დაამტკიცა ამ ხატის მაგალითზე, სვანეთში ეპოქის მოწინავე ოსტატების ნამუშევარი შეთავსებულია ხელოსნურ სახელოსნოებიდან გამოსულ ნაწარმოებებთან, „სკულპტურული და ხელოვნების მაღალ-

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 200.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრულ ნაწარმოებთა გვერდით არის პრიმიტიული მხატვრული მიმდინარეობა“[1].

კვირიკე და ივლიტას ხატი XI საუკუნით დათარიღებულია პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ[2], ასევე თარიღდება ლაბარუმიც. ლაბარუმის ორნამენტი ამ დროსვე ადასტურებს, რადგან ნახევარ-წრეებით შემკობის მოტივი სწორედ XI საუკუნეში გვხვდება, არა მარტო სვანეთის ხატებზე.

წრეებით შემკობა ძალიან საყურადღებოა და დამახასიათებელი. შეიძლება ეს მოტივი უფრო ძველიც იყოს, ხოლო შესატყვისად უნდა ჩაითვალოს ბურცულები შემოქმედის ფირფიტაზე.

## ლაბარუმი სოფ. სეტიდან

მესტიის მუზეუმში ინახება ხის ლაბარუმი (№ სმმ 131). ხე წაბლისფერია. ლაბარუმი სწორკუთხაა, საკმაოდ უსწორმასწორო გვერდებით. ერთი მხარე ბრტყელია, ორნამენტირებულია ჩაჭრილი ხაზებისგან შემდგარ რომბებით, რომელთა შუაგულში ცერად ამოკვეთილია ორ-ორი სამკუთხედი. სწორკუთხედის შუაზე დაკრულია ხის ბრტყელი ჯვარი, რომელიც ტარის ზემო ნაწილზედაც გადადის. ჯვარიც ორნამენტირებულია რომბებით. ჯვრის შტოებისათვის ლაბარუმზე დატოვებულია სადა ადგილები შესატყვისი ფორმისა. შტოები ბოლოებისაკენ განიერდება.

ლაბარუმის მეორე მხარე სხვაგვარად არის გამართული: ფართო ოთხკუთხი ჩარჩო, რომელიც კვლავ რომბებითაა ორნამენტირებული, მოიცავს „ხატს“. ხატის სიბრტყე ჩაღრმავებით არის მოცემული, კიდეების ცერად ჩაჭრით. ხატის არე სადაა. ცენტრში ექვსწვერა მნათობია „სოლომონის ბეჭდისებური“, ოღონდ წრით შუაგულში. მას ოთხ მხარეს ხუთწვერიანი მნათობები აქვს მორტყმული.

ლაბარუმის წიბოები ორნამენტირებულია კუწუბებით. ზემო წიბოში შვიდი ღრმა ნახვრეტია გაურკვეველი დანიშნულებისა.

ლაბარუმის ტარზე გარდიგარდმო ფიცრის ნაჭერია, ოდნავ მოღუნული ქვემოთკენ. ტარის ზემო ნაწილი განიერია, ორნამენტირებულია დაუხელოვნებელი ხელით, ისევე როგორც მთელი ლაბარუმი. ქვემოთკენ ტარი სადაა, ალაგ-ალაგ ჭდეები აქვს დასმული.

ლაბარუმის მთელი სიგრძე ტარიანად 1მ 40 სმ უდრის, ტარი 1 მ 26.5 სმ: ლაბარუმის (თავის) სიგრძე — 13 სმ, სიგანე—10,5 სმ, სისქე—2,5 სმ, გარდი-გარდმო ფიცრის ნაჭრის სიგრძე—8,2 სმ.

სწორედ ეს გარდი-გარდმო ხის ნაჭერი აახლოებს ლაბარუმს IV საუკუნის რომის საიმპერატორო ლაბარუმთან[3].

---

[1] თეზისები გ. ჩუბინაშვილის მოხსენებისა „X — XIII საუკ. სვანური საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ“ (საქ. სსრ მეცნ. აკად. სამეცნ. სესია, მიძღვნილი საბჭ. საქართველოს 25 წლისთავისათვის, 1946, 26/II—2/III).

[2] დასახელებული მოხსენება.

[3] შეად. ლაბარუმი წიგნში: **August Demmin, Die Kriegswaffen, Leipzig, 1893, გვ. 688, სურ. 8.**

---

სეტის ლაბარუმი ხალხური სახელოსნოს ნაწარმოებია. საყურადღებოა თავისი ორიგინალური ხატით.

## ლაბარუმი სოფ. ხონჭიორიდან (რაჭა)

ცნობები სოფ. ხონჭიორის ეკლესიის ლაბარუმის შესახებ მოთავსებულია „საქართველოს მუზეუმის მოამბე“-ში, V, 1930 წ.[1] იგი მოხსენებულია როგორც „დასამწყალობელი ხატი“. სად არის ამჟამად, გამოურკვეველია. ლაბარუმი (ტაბულა XII, XIII წარმოადგენს მოგრძო, ბრტყელ, ხუთკუთხედისებურს (ზემო მხარე—სწორკუთხედი, ქვემო—მომრგვალებული სამკუთხედი) ფირფიტას, რომელიც დამაგრებულია ტარზე[2]. ტარის ზემო ნაწილს ოვალური ბრტყელი მედალიონი ამშვენებს.

ლაბარუმის სიგრძე ტარიანად 45,5 სმ უდრის, სიგანე — 11 სმ[3].

ფირფიტაზე, ოვალზე და ტარზე ჭედური ვერცხლის ფურცელია გადაკრული. ეხლა ვერცხლი შერჩენილია მედალიონის მხოლოდ ერთ მხარეზე; ხუთკუთხედის იმ მხარეს, სადაც ჯვარცმაა წარმოდგენილი, აკლია საკმაოდ დიდი ნაწილი და მის მაგიერ შეფენილია ვერცხლის სადა ფურცელი.

ლაბარუმის ორივე მხარეზე მოთავსებულია გამოხატულებანი.

ერთ მხარეზე ვხედავთ საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელს ყრმითურთ. ხატს აქვს ჩარჩო, რომლის შიგნითა და გარეთა კიდეები რელიეფურად დაშტრიხულია. ჩარჩოს შიგნითა კიდე სწორკუთხედია, გარეთა-კი მომრგვალებულია გვერდებში, ხუთკუთხედის ფორმას მისდევს.

ჩარჩოზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა. იგი იწყება ჩარჩოს ზემო ნაწილში, გადადის მის მარცხენა მხარეზე და გრძელდება მარჯვენა მხარეს:

Ⴂ̃ႷႬႱႻ Ⴑ⁝ ႫႨႵ Ⴊ

| | |
|---|---|
| Ⴚ̃Ⴑ | Ⴘ̃Ⴊ |
| Ⴢ̃Ⴍ | ႭႬ |
| Ⴇ | |
| Ⴄ | Ⴇ |
| ႬႪ | Ⴄ |
| | Ⴖ |
| | [ႣႬ] |

ქარაგმების გახსნით და მხედრული ტრანსკრიპციით წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „გარაყანისძეს ⁝ მიქელს ცოდვანი შეუნდვ[ნეს] ღმერთმან“. უკანასკნელი ორი ასო დაბეჭდილში[4] არ არის, მაგრამ მათი კვალი, თითქოს, ჩანს ჩარჩოს ქვემო ნაწილში, ორნამენტის მარჯვენა მხარეს.

ასოების მოხაზულობა XIV საუკუნის ასოებისას უახლოვდება.

---

[1] იხ. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, გვ. 183

[2] ყაზბეგის მიდამოში, ლეგენდარულ „ბეთლემში“ — გამოქვაბულის ეკლესია — აღმოჩნდა ასეთივე ფორმის ლაბარუმი (ტაბულა XIV)

[3] „რაჭის ისტორიული ძეგლები“, გვ. 183.

[4] იქვე, გვ. 183.

ჩარჩოს ზემო ნაწილში გამოყოფილია ორი ვერტიკალური ხაზით კვადრატული ადგილი, რომელსაც ნალურსმი ეტყობა. აქ, შესაძლოა, იყო ჯვრისებური დამღა ისევე, როგორც ჩარჩოს ქვემო ნაწილში ანდა ჩუკულის ლაბარუმზე( იხ. ქვემოთ).

ჩარჩოს ქვედა ნაწილის ორნამენტალური ოლე ძალიან პრიმიტიულად არის შესრულებული, უბრალო ჩანაჭდევების მსგავსად. ორნამენტი წარმოადგენს გადაბმულ ნალისებურ სახეებს. თვითეულში რელიეფური სიმრგვალეა. ხაზების მიმდინარეობა აბნეულია, უსწორმასწორო. ორნამენტში შესაძლოა იყოს გამოხმაურება ცნობილი ორნამენტისა, რომელსაც ვხედავთ, მაგალითად, რაჭის ძვლის ტრიპტიქონზე[1], ანდა მაცხოვრის უფრო გვიანდელ (დაახლოებით XIII საუკ-ის დასაწყისის) ხატზე ფხოტრერიდან[2].

ორნამენტალურ ოლეს ქვემოდან ჯვრისებური ფიგურაა (დამღა). მისი კონტურები გეზად დაშტრიხულია. ფოტოს გადაღების დროს დამღიდან მეტი არაფერი იყო შერჩენილი.

ჩარჩოს არე დაწერტვით არის მოცემული. დაწერტვა შორი-შორია, ვერტიკალებად არ ჩამოსდევს, როგორც ამას ვხედავთ ბექა ოპიზარის ანჩის ხატში და გაფურჩქვნის პერიოდის სხვა ნაწარმოებებში, ძირითადად, არამედ ხან ასოების კონტურებს მისდევს, ხან იმ მონაკვეთებისას, რომლებიც სტრიქონების მიერაა შექმნილი. საზოგადოდ, დაწერტვა არეულად, ულამაზოდ არის განწყობილი.

ასევე დაწერტილია ღვთისმშობლის ხატის არეც.

ღვთისმშობლის გამოხატულება მიეკუთვნება ბიზანტიის იკონოგრაფიის კომპოზიციათა იმ ტიპს, როდესაც ღვთისმშობელს ყრმა უზის მუხლებზე პირდაპირ თავის წინ[3].

ღვთისმშობლისა და ყრმის ნიმბების კიდეები დაშტრიხულია, ხოლო მათი სხეული და ტანსაცმელი მთლად ნაჭდევია შტრიხებად, რომლებიც ნაკეცებისაგან წარმოსდგნენ, აქ კი დაკარგული აქვთ პლასტიკური სახე და ლოღიკური მიმდინარეობა. მათი გარდატეხანი სრულიად არ მისდევენ სხეულის ნაკვთებს, ვერც დეკორატიულებად ჩაითვლებიან, რადგან მოხდენილობისა და სისწორის ნასახიც მათში არ მოიპოვება. ასევე უსწორ-მასწოროა შარავანდედები. ულამაზო ხაზებით დასერილია ღვთისმშობლის საყდარი, მრუდე ფეხებიანი.

ეს უსწორ-მასწორობა, დაყვანა ხაზების გროვამდე გვხვდება ქართ. ოქრომჭედლობის დაცემის ხანისათვის, XIV საუკუნისათვის.

ლაბარუმის მეორე მხარეზე ჩარჩო შედგენილია ბურცულების ხაზებით. ხატის ცენტრი უჭირავს მსხვილშტოებიან ჯვარს, რომელზედაც მიმსჭვალულია იესო ქრისტე. ჯვრის კიდეები მოხაზულია წვრილი ბურცულების ორმაგი ხაზით. ამ ხაზებს შუა მსხვილი ბურცულებისაგან შემდგარი ხაზია. ყველა კუთხე შემკულია მსხვილი ბურცულით.

ჯვრისათვის არეს შეადგენს დაწერტილ ზედაპირზე რეგისტრებად მოცემული ასომთავრული წარწერა. იგი იწყება მარცხნივ, ჩასდევს ქვეითამდე და გადადის მარჯვენა მხარეს, მაგრამ აქ მისი ნაწილი-ღაა შერჩენილი (სტრიქონებს შორის რელიეფური ხაზებია):

Ⴟ҃ႺႭ
Ⴕ҃ႲႱ
Ⴂ҃ႰႱႭ
Ⴂ҃ႨႰႢ
ႻႰႱ

Ⴂ҃ႰႱႺ
Ⴍ҃ႣႬႧ

ტრანსლიტერაციით მხედრულზე და ქარაგმების გახსნით: „ჯვარცმაო ქრისტესო, გარაყანი[ს]ძეს გიორგის[1] ცოდვანი [შეუნდვენ ღმერთმან][2].

როგორც ჩანს, ლაბარუმი შეწირულია გარაყანიძის მიერ. ეს გვარი რაჭის სხვა წარწერებშიაც გვხვდება[3]. ერთ-ერთი წარწერათაგანი პალეოგრაფიულად XIV—XV სს. მიეკუთვნება[4].

ლაბარუმის ჯვარცმის ხატის ასოები ისეთივეა, როგორც წინა მხარისა, ე. ი. ღვთისმშობლის ხატის ასოები.

ქრისტეს პოზა, მისი თავის დახრა, სახის მწუხარე გამომეტყველება, — რომელიც მიღებულია წარბების პათეტიკური ახრით, მოკუმული ტუჩების კუთხის დაწევით, — მისდევს შუა საუკუნეებში გამომუშავებულ ტრაფარეტს. ქრისტეს ერთადერთი შენახული მკლავი დაზიანების გამო ცოტა ადგილ-შენაცვლებულია. სხეული გადმოცემულია პრიმიტიულად და დაუდევრადაც. პრიმიტიულია კონტურები, მოდელირება სრულიად არ არის, ნეკნების მიმართულება არაბუნებრივია.

საბლარდნელი ქსოვილის ნაკეცები პირობითია და არ ეფარდება სხეულს.

შარავანდედის ზემოდან გამოხატულია თანაბარმკლავებიანი ჯვარი ქართული წარწერით:

Ⴀ
ႿႥႺႫ
ႥႱ

(არს ჯვარცმ[ა])?

ლაბარუმის მედალიონის ცენტრში, საფიქრებელია, ძვირფასი თვალი იყო ჩასმული. ფოტოს გადაღების დროს დარჩენილი იყო მისი სწორკუთხედი ბუდე, შემკული წვრილი ბურცულების ხაზებისაგან.

მედალიონის ჩარჩოს ოლეც ასეთ წვრილ ბურცულებისაგან შედგება. თვალის ოთხივე მხარეს მოთავსებუ-

[1] G. Tschubinaschwili, Ein Elfenbeintryptichon aus Ratscha, საქ. მუზ. მოამბე, VIII, ტაბ. III, არკაზე.

[2] იხ. ჩარჩოს ბორდიური XXXIX ტაბულაზე წიგნში: შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი.

[3] Н. П. Кондаков, Иконография богоматери. Связи греческой и русской иконописи с итальянской живописью раннего Возрождения, СПб, 1910, გვ. 26.

[1] შესაძლოა: გრიგოლს. იხ. „რაჭის ისტორიული ძეგლები," გვ. 183

[2] იხ. „რაჭის ისტორიული ძეგლები", გვ. 183.

[3] „რაჭის ისტორიული ძეგლები", 181.

[4] იქვე, გვ. 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია თითო დიდრონი, რთული ფოთოლი, რომლის ღერო რკალსა ქმნის მის გარშემო.

ფოთოლი დანაწევრებულია შუაზე ამართული ვერტიკალით, რომელიც მთავრდება მცირე ოვალისებური სახით. ვერტიკალის აქეთ-იქით გეზად მიიმართება მორჩისებური ნაწილები, რომლებიც კვლავ წვრილი ოვალებით მთავრდება. მორჩების ქვემოდან ვხედავთ ნუშის გულისებურ ნაწილებს. ღეროდან გამოდის თითქმის ნახევრად დაკეცილი ფოთლები.

დიდ ფოთლებს შორის არეს ავსებენ კვლავ საინტერესო მოხდენილი ფორმის ფოთლები.

ამ ფოთლების აღნაგობის გაგებას იძლევა XII—XIII საუკუნეთა ოქრომჭედლური ორნამენტი. თუ შევადარებთ ფხოტრერის ხატის ჩარჩოს მარჯვენა მხარის[1] ფოთლებს (ავიღოთ ზემოდან მეორე), ვნახავთ მსგავს ელემენტებს: შუაში ამართულია ყვავილის ბუტკოსებური მორჩი, აქეთ-იქიდან სხვა მორჩებია, დამთავრებული წვრილი ხვეული ფურცლებით, მაგრამ ელემენტების გამარტივებას, მათი აზრის ვერ გაგებას ვხედავთ რაჭული ლაბარუმის მედალიონში.

ფხოტრერის ხატისვე ჩარჩოს მარცხენა მხარის ფოთოლი[2] განმარტებას გვაძლევს მედალიონის ფოთლების ქვედა რელიეფურ ნაწილებისათვის: ესენი გაგებულია და მოცემულია რაჭულ ლაბარუმზე, როგორც დამოუკიდებელი ფოთლები (თუმცა, უნდა ითქვას, ეს გაუგებრობით შექმნილი ფოთლები საკმაოდ მოხდენილი მოხაზულობისაა).

მთავარია, რომ ფოთლის სკულპტურული შესრულება, რომელსაც ადგილი აქვს XII საუკუნის ანჩის ხატზე, აღარ არსებობს. ფოთლის სიცოცხლე მხოლოდ შინაგანი განაწევრებისა და გარეგანი კონტურების ხაზებით-ღა ისაზღვრება სიბრტყეზე.

ბუნის ჭედური სამოსი ისევეა ორნამენტირებული ზედა, მცირე ნაწილში, როგორც მედალიონი.

ბუნის სამოსის დანარჩენი ნაწილი, რომელიც ფოტოზე ჩანს, სხვაგვარია. მის ორნამენტის ელემენტს შეადგენს ფოთოლი, მოთავსებული ორ ოვალურ ვიწრო რკალში. ერთი რკალი მეორეშია ჩასმული. მათ შორის რკალადვეა გავლებული გარდიგარდმოდ დაშტრიხული ვიწრო ოლე. ეს ოვალები წარმოშობილია ფოთლის ღეროდან, მაგრამ პირველი ოვალის კავშირი ფოთოლთან თითქმის გაწყვეტილია, მეორისა-კი — მთლიანად, ის შეკრულ რკალს წარმოადგენს. პირვანდელ რამბაზე მიგვითითებს წვრილი მორჩები, რომლებიც კავებსავით ჰყვება მათ და რომლებიც მთლად უსიცოცხლოა, ძველ აზრსაც მოკლებული. ბუნის ქვედა ნაწილის ფოთლების შინაგანი დანაწევრება სხვაგვარია, მედალიონის ფოთლებთან შედარებით. ეს დიდი ფოთლები იყოფა ფართო, მოგრძო ნაწილებად, რომელთა კონტურების ხაზებიც და

[1] იხ. ტაბულა XXXIX, წიგნში: შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი.

[2] იქვე, ტაბ. XXXIX, ზემოდან მეორე ფოთოლი.

ძარღვებიც მინიატურული, ფაქიზი, ხშირი შტრიხებით არის დაფარული.

აქ უკეთესად არის შენახული ფოთლის პირვანდელი ფორმა. ფოთლის სხეულის რელიეფით მოცემა დარღვეული თითქმის არ არის.

ეს იმ ტიპის ფოთლებია, რომლებსაც ვხედავთ ფხოტრერის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს მარცხენა მხარეზე[1].

ბუნის ფოთლები მთლიანად ფარავენ ზედაპირს, ვერტიკალებად განწყობილნი ერთმანეთს მისდევენ.

მედალიონის და ბუნის სამოსის ტექნიკა განსხვავებულია ხატების ტექნიკისაგან. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მათი არე დაწერტილია, მაგრამ დაწერტვა იქ, სადაც იგი არ არის მოცემული სპეციალურ ორნამენტალურ ოლეებად (მაგალითად, რკალებს შუა), ანდა ორნამენტალურ მონაკვეთებად (ფოთლების ნაწილებს შორის), შესრულებულია ძალიან ნაზად, წვრილად, არაღრმად, თითქმის შეუმჩნევლად, ისე ახლო-ახლო, რომ შექმნილია ბუნდი, წვრილმარცვლოვანი ტყავისებური ზედაპირი. იგი დიდ როლს თამაშობს მხედველობითი შთაბეჭდილების შექმნისათვის. ლითონს, თითქოს, ენიჭება სილბო, ხავერდოვნება( ასეა ფოტოზე).

მეორე საყურადღებო ხერხია ის, რომ ფოთლების ღეროების დაშტრიხვა ხდება მეტად წვრილი, ფაქიზი ხაზებით, რომლებიც ძალიან მჭიდრო პარალელებადაა ჩაყოლებული.

ასევე დაშტრიხულია ფოთლების ნაკეცები და დამანაწევრებელი ხაზები, ზოგჯერ კი ფოთლის კონტურების ხაზებიც.

განსაკუთრებული ფაქიზი დაშტრიხვა მოქარგვის შთაბეჭდილებას ქმნის.

ამას ემატება ბუნის გლუვი, ფოთლებისებური ნაწილების, რომლებიც ტალღისებურად ნაქანდაკევია, აბრეშუმისებური ელვარება, და მთელი ორნამენტირება ხალიჩისებურ იერს იღებს.

თუმცა რაჭული ლაბარუმის თავი ოქრომჭედლობის დაცემის ნიშნების მატარებელია, მისი ხაზები მერყევი და უგულისყუროა, მაგრამ ტარი ლაბარუმისა საინტერესო და ძვირფასი ნამუშევარია. ლაბარუმის თავის ხუთკუთხედისებური ფორმა დაკავშირებულია შუა საუკუნეების სხვა ლაბარუმების ფორმასთან.

მთლიანად რაჭული ლაბარუმის აღნაგობა განსაკუთრებით მოხდენილს, ფეხმაღალ სასმისს ან წერწეტად ამართულ ზამბახისებურ ყვავილს მოგვაგონებს.

ფართო და დაუტვირთავი ოლეები და მოფიქრებული სისადავე ჯვარცმის არისა იძლევიან მშვენიერ კონტრასტს მედალიონისა და ბუნის ხალიჩისებურად აყვავებულ ზედაპირთან. მედალიონის ცენტრის ძვირფასი თვალი (რომელიც ეხლა დაკარგულია) საინტერესო გამმის გამამდიდრებელი იქნებოდა.

რაჭული ლაბარუმი ხელოვნების საყურადღებო სა-

[1] იქვე, ტაბ. XXXIX, ზემოდან მეორე ფურცელი.

განს წარმოადგენს. იგი შეიძლება XIII—XIV საუკუნით დათარიღდეს.

### სოფ. ჩუკულის (ქვ. სვანეთი) ლაბარუმი

სოფ. ჩუკულის ეკლესიის ლაბარუმი (ტაბულა XIV) ნახული აქვს უვაროვას 1895 წელს[1], ხოლო ექვთ. თაყაიშვილს 1910 წელს[2]. ლაბარუმს იგი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, „ბ ო ყ ე რ ს“ უწოდებს.

ლაბარუმის თავი წარმოადგენს ხის ფირფიტას. იგი მოგრძო ბრტყელ სწორკუთხედისებურია, მხოლოდ ქვემო კუთხეები მომრგვალებულია. მის ქვემოთ ბუნზე დამაგრებულია ტრაპეციისებური ბრტყელი მომრგვალებული მედალიონი.

გრძელი ბუნის ზომა დაახლოებით 3 მეტრს აღწევს[3].

ფირფიტასა და მედალიონზე ორივე მხრიდან გადაკრულია ვერცხლის ჭედური ფურცელი. ეს ვერცხლის ფურცელი ძალიან დაზიანებულია ნაპირებში.

ვერცხლივე ჰქონია გადაკრული ბუნს, მაგრამ, როგორც ჩანს ფოტო სურათზე[4], იგი ძალიან დაზიანებული იყო სურათის გადაღების დროს.

ლაბარუმის ერთ მხარეზე ყოფილა ჯვარცმის გამოხატულება, მეორეზე — ღვთისმშობლისა. გვაქვს სურათი მხოლოდ ამ მეორე მხარისა.

ლაბარუმის თავს, რომელზედაც ეს ხატია მოთავსებული, ოთხმხრივ უვლის ორნამენტირებული ჩარჩო. მისი გარეთა კიდიდან არაფერია დარჩენილი, ხოლო შინაგანი კიდე მსხვილი ბურცულებისაგან შემდგარ ძეწკვს წარმოადგენს. ჩარჩოს ორნამენტს შეადგენს ტალღისებური, სიგრძეზე ღარივით ჩაღრმავებული ფართო ზოლი. თვითეულ ზნექილში ბურცულია მოთავსებული, ოდნავ ზემოდან ჩაჩრუტნული, როგორც ვაშლი. ორნამენტის არე დაწერტილია. წერტილების რიგები ზნექილების მიმართულებას მისდევს.

დაწერტილია გამოხატულების არეც. აქაც წერტილები ვერტიკალებად კი არ ჩამოსდევს, როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად, ანჩის ხატის XII საუკ. ჩარჩოზე, არამედ გამოხატულების სხვადასხვა ნაწილების კონტურებს მიყვება.

გამოხატულება წარმოადგენს საყდარზე მჯდომ ღვთისმშობელს ყრმითურთ. იესო ღვთისმშობლის კალთაში ზის ისევე, როგორც ეს არის ხონჭიორის ლაბარუმის ხატზე. მისი მარჯვენა ხელი ამართულია კურთხევისათვის.

არც ღვთისმშობელს, არც ყრმას შარავანდედი არ ადგია. სახეები პრიმიტიულადაა გაკეთებული, ჭედვით და საჭრისის მიშველიებით. ღვთისმშობლის შუბლიც კი დაუწერტია ხელოსანს. ტანისამოსის ნაკეცებს წესზე არ მიჰყვება სხეულის ნაწილებს, ვერც შესრულების მხრივაა ეს ნაკეცები წესიერი — ეს არის ულამაზო ხაზების რიგები.

ღვთისმშობლის თავის აქეთ-იქით, ოდნავ უფრო მომაღლოდ, ჯვარისებური სახეებია—დამღები. მათში მოთავსებულია ბერძნული წარწერები, მაგრამ ადგილ-შენაცვლებით: პირველში —ΘV, მეორეში: MP. გლუვ ზოლზე, რომელიც სიგანეზეა გადავლებული, ღვთისმშობლის მხრების არეზე, ქართული შესატყვისი ასომთავრული წარწერაა: Ⴢ~Ⴢ ႶႧ~Ⴑ (ე. ი. დედა ღვთისა). ასოები ჩაღრმავებით არის გაკეთებული.

ლაბარუმის თავის ქვემოთ, ტრაპეციისებურ მომრგვალებულ ფირფიტაზე სხვა სამსტრიქონიანი წარწერაა. ორ-ორი ხაზი, დაუდევრად და უსწორ-მასწოროდ გავლებული, დაწერტვით შემკული, აცალკევებს სტრიქონებს ერთმანეთისაგან. წარწერები გლუვ არეზეა მოთავსებული. ასოები მოგრძო ფორმისაა, დაუდევრად, არათანაბრად შესრულებული, ამობურცვით. მათ ამკობს წვრილი, მჭიდრო დაშტრიხვა გარდიგარდმოდ.

წარწერა ასომთავრულია:

ႫႭႠႸႤ჻ႪႱႠ
ႢႳႰႤႨႱ჻ႢႳႫႠ჻
ႿႤ჻Ⴃ჻ႠႺႾ~ႥႬႤ჻

ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვით: „მოჰშელსა გურეის გაუმარჯვე და აცხოვნე“.

წაკითხვას აკად. თაყაიშვილი დასძენს განმარტებას: „მოაში...ადგილია, სასაშის მახლობლად[1].

მთლიანად ლაბარუმის კომპოზიცია ტლანქია: ტლანქია გამოხატულება, მედალიონი წარწერებით. განსაკუთრებით დამღუპველია კომპოზიციისათვის უხეში დაწერტვა. ის ეჩოთირება თვალს, შეაქვს ულამაზო, დაუწყნარებლობის და აშლის ელემენტები. გლუვი ზედაპირების გამოყოფის მაგიერ ის, პირიქით, ჩრდილავს მათ.

ლაბარუმის ღვთისმშობლის ხატს დიდი მსგავსება აქვს რაჭული (სოფ. ხონჭიორის) ლაბარუმის ღვთისმშობლის ხატთან. ძალიან ბევრი საერთოა კონტურებში (თუმცა არასავსებით), პოზებში, სახეებში, ტანსაცმელის ნაოჭებში. ერთნაირ პრინციპზეა აგებული წარწერები ღვთისმშობლის ზურგით და ჯვრის ფორმის დამღები ბერძნული წარწერებით (აქაც გადასმით). უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე ხატი საერთო ნიმუშიდან მომდინარეობს, ოღონდ ჩუკულის ლაბარუმზე ვერ ვხედავთ შარავანდედებს, ჯვრისებურ მედალიონს ლაბარუმის ქვედა ნაწილში და სხვ. განსხვავებულია ხატის ჩარჩოც. ხატი უფრო გვიანაა შესრულებული, ხონჭიორის ხატთან შედარებით.

---

[1] Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию „Матер. по Археологии Кавказа“, Москва, 1904, გვ. 133 და ტაბ. XXX, 51 სურ.

[2] ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმსვანეთში, 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 117—118.

[3] Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, გვ. 133.

[4] Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, ტაბ. XXX, 51 სურ.

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმსვანეთში, გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუქულის ლაბარუმის ჩარჩოს ვაშლისებური ელემენტი ანალოგიას ჰპოვებს სხვა ოქრომჭედლურ ნაწარმოებთან, რომელნიც მეცნიერ იაკ. სმირნოვის მიერ დათარიღებულია „თათრობის დროით“ („времен татарщины“)[1].

ამ მოტივს ვხედავთ ანჩის ხატის კარის შიგნითა მხარის ორნამენტზედაც XIV საუკ.[2].

ესევე მოტივია ამ ხატის კარის გარეთა მხარეზედაც (XVII საუკ.), რომელიც ბევრ ხაზულებში XIV საუკუნის კარის წაბაძულობით ჩანს გაკეთებული.

მთლიანად ლაბარუმის აღნაგობა მოკლებულია მოხდენილობას. იგი ოქრომჭედლობის დაცემის ხანისაა, შესაძლოა, XIV საუკუნისა.

## გერის წმ. გიორგის ეკლესიის დროშა

გერის წმ. გიორგის ეკლესიის დროშა ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სეიფში.

იგი უნდა მიეკუთვნოს ლაბარუმის ფორმის დროშებს. წარმოადგენს ტარით სატარებელ ხატს (ტაბულა XV). ხატი ორივე მხრიდან ვერცხლით არის მოჭედილი. ხის ტარს (ტაბულა XV, ქვემოთ), ზემოთ და ქვემოთ, გადაკრული აქვს ვერცხლის სამოსი: შუაში ტარი სამოსიდან თავისუფალია. ზემო ნაწილის სამოსი გლუვია ქვემო—შტამპის ტექნიკით გაკეთებული ორნამენტითაა დაფარული.

ხატი მოგრძოა, ოთკუთხი. წიბოები მცირედ შეზნექილი აქვს, რითაც ემსგავსება ლაბარუმებს, რომლებიც ხატებზე გამოხატულია მთავარ-ანგელოზთა ხელში, და აგრეთვე მჭადისჯვარის დროშების ბუნთა ფიგურებს (იხ. ქვემოთ, III ნაწილში). ხატის ორივე მხარეს წმ. გიორგის გამოხატულებაა მოთავსებული. ესენი თითქმის იდენტურია. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ მასში, რომ ერთ-ერთ მხარეზე წმ. გიორგი გველეშაპს ჰკლავს, მეორეზე — გვირგვინოსან მეფეს.

საინტერესოა, რომ საწვიმრის ტრადიციული გაფრიალებული კალთა ოსტატს ფრთისებურად აქვს მოცემული. კალთა მიემგვანება XI—XII საუკუნ. ფრთების გამოხატულებას იმით, რომ ფრთის შუა ნაწილზე თითქოს ზოლი არის გადაჭერილი. პარალელისთვის შეიძლება დავასახელოთ განსაკუთრებით ერთი გამოხატულება კერამიკულ ჭურჭელზე რეჲდან[3]. ამ ჭურჭელზე ფრთა მთლიანად მსგავსია.

მაგრამ წმ. გიორგის მთელ გამოხატულებაში ჩანს დაკარგვა პლასტიკურობისა, რომელიც XI საუკუნის ტორევტიკის საგნებს ახასიათებდა. სახე და სხეული მოდელირებული არ არის, თანაბარ სიბრტყითაა მოცემული. ხაზები და კონტურები სილამაზეს და მოქნილობას მოკლებულია. დამახასიათებელია მთელი ტანსაცმლის სწორე პარალელებით დაშტრიხვა, რაც ნაკეცებიდან უნდა იყოს წარმომდგარი და რაც ახლა თავისებურ ხვრხს შეადგენს.

გველეშაპისთვის პარალელს ვხედავთ XIV საუკუნის შორენკეცზე[1].

განვითარებულ შუა საუკუნეებზე მიგვითითებს განგმირული მეფის დამახასიათებელი სამწვერიანი ვიწრო გვირგვინი. მისი შუაწვერი ამაღლებულია, ასეთს ვხედავთ ბრინჯაოს სარკეზე, რომელიც XI—XIV საუკუნეებით თარიღდება[2].

ტარის ორნამენტიანი სამოსის რაპორტს წარმოადგენს ტალღოვანი მოხაზულობის მედალიონი, რომლის გულში ოთხფურცლიანი ჯვარია და მის ცენტრში გადაჯვარედინებულია, რაც წარმოადგენს პროფილში მოცემული ფურცლების ღეროებს. სწორედ ეს სახე გვხვდება ერთი შენაკრები ხატის ქვედა ბორდჲურზე[3]. ამ ხატისათვის მოსავს გულმოდგინედ შეუკრებია ოქრომჭედლურ საგანთა ნაწილები. აქ გვხვდება გვიანიც, მაგრამ გვხვდება საუკეთესოდ, XI საუკუნისათვის დამახასიათებელი ტექნიკით შესრულებული ანგელოზის თავიც. ბუნის რაპორტისათვის პარალელები XV საუკუნის დასაწყისისათვის მოიძებნება სპარსულ მინიატურებში[4].

ამგვარად, გერის ეკლესიის დროშის სახით გვაქვს განვითარებული შუა საუკუნეების ნიმუში, რომელშიც ჩანს ქართული და ირანული ხელოვნების საერთო ზოგიერთი ხაზული.

## დროშა-ჯვრები

როგორც ბელიაევის გამოკვლევიდან ჩანს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიაში ჯვრები დროშების როლს ასრულებდნენ, ე. ი. იყო დროშები საკუთრივ ჯვარის ფორმისა:

„დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიებში იყვნენ საგანგებო მსახურნი, რომლებსაც ეწოდებოდათ „ჯვრის მტვირთველები“ და რომლებსაც ეჭირათ ჯვარი ლიტანიების დროს. დასავლეთი ეკლესია მათ უწოდებდა „დრაკონარიებს“ (დრაკონარიები—საკუთრივ, მტვირთველები გველეშაპების გამოხატულებებიან დროშებისა“[5]).

(მეტის-მეტად საგულისხმოა სიახლოვე ჯვრისა და დრაკონის ცნებებისა).

გამოხატულებებზე ბიზანტიის იმპერატორების ხელში ხშირად ვხედავთ მაღალ ბუნზე დამაგრებულ ჯვრებს. რადგანაც ამ ჯვრების ადგილი ლაბარუმებს უჭირავს არა ნაკლებ ხშირად, ამითაც მტკიცდება ამ ორი საგნის ერთი კატეგორიისათვის მიკუთვნება. მაგალითები მრავალია:

1) იმპერატორ არკადიუსის (395—408 წწ.) ფული:

---

1 იხ. შესავალი წერილი წიგნისათვის „Восточное серебро“ СПб, 1909, გვ. 5, სურ. 298.

2 იხ. ორნამენტი ტაბ. $XXI_2$ წიგნში: შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი.

3 „A Survey of Persian Art“, Pl. 745 A.

---

1 იქვე, Pl. 727 A.

2 იქვე, Pl, 1302 H.

3 Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятников в некоторых храмах и монастырях Грузии, სურ. 56.

4 „A Survey of Persian Art“, Pl. 860, 1410 წლით დათარიღებული მინიატურა.

5 Беляев, Byzantina. Богомольные выходы византийских царей, СПб, 1906, გვ. 116—117. (იხ. ჯვრები და ჯვრის მტვირთველები ვატიკანის მენოლოგიის მინიატურებში, იქვე, გვ. 116—117).

იმპერატორი ლაბარუმით ხელში, მის ფერხთით — ტყვე.

2) იმპერატორ მარკიანუსის (450—457 წწ.) სოლიდი: იმპერატორი გრძელ-ბუნიან (მიწამდე) ჯვრით ხელში. იმპერატორს ფეხი დაუბჯენია ტყვეზე[1].

3) ნიკიფორ III (XI საუკუნის Coislin-ის ხელნაწერის მინიატურა) ხელში ლაბარუმი უჭირავს.

4) მანუილ მეორე პალეოლოგს ხელში უჭირავს გრძელბუნიანი ჯვარი[2] და სხვ.

საქართველოში არსებობდა ჯვრის მტვირთველების თანამდებობა[3]. საგანგებო ჯვრის მტვირთველი იმყოფებოდა სამეფო ლაშქარში.

ქართველ ისტორიკოსთა ცნობების საფუძველზე ამ ჯვრის მნიშვნელობის განცალკევება, გათიშვა დროშის მნიშვნელობისაგან ძნელია, როგორც ჩანს ქვემომოყვანილ ადგილებიდან: XI საუკუნის ისტორიკოსი აგვიწერს ქართველი ჯარის ომში გასვლის წინა საგულისხმო მომენტს: „მაშინ გარდამოჴდა მეფე ვახტანგ ეტლთაგან და თქუა... „აწ დამდაბლდა სილაღე სპარსთა, მ ო ი ყ ვ ა ნ ე თ ჯ უ ა რ ი დ ა წ ა რ ვ ი ძ ღ უ ა ნ ო თ, რათა რომლითა გუძლევენ, მითვე იძლივნენ... და მოიყვანა პეტრე მღდელმან ჯუარი.. და ქადაგი ჴმობდა ძლიერად: „რომელმან არა თაყუანის-სცეს ჯუარსა, მოკუედინ“. და მოვიდოდეს ყოველნი, თაყუანის სცემდეს და დადგებოდეს წინაშე ჯუარსა. ხოლო ბორზო მოვაკანელმან მეფემან თქუა: „არა დაუტეობ ნათელსა შემწველსა და არა თაყუანის-ვსცემ ძელსა“... და სცა მას ლახუარი ჯონბერ სპასპეტმან და დაეცა მძორი მისი...“[4]

მოყვანილი ტექსტი საყურადღებო მომენტებს შეიცავს: საომარი ეტლი, ქადაგის ჴმობა ჯარში, სცენები, რომლებიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სცენებს გვაგონებს. ხოლო რაც უფრო დრო გადის, იმდენად უფრო ირკვევა ჯუანშერის ცნობების მნიშვნელობა: ჯუანშერის ცნობებზე ნაწილობრივი დამყარებით აკად. ივანე ჯავახიშვილი გვიხატავს ვახტანგ გორგასალის დროის სარწმუნოებრივ ბრძოლის სურათს საქართველოში[5].

ლაშქრის მიერ ჯვრის თაყვანისცემა უაღრესად საყურადღებოა. შესაძლოა ჯვარი ქართულ ლაშქარს წარმართობის დროინდელ ემბლემათაგან ჰქონდა დამკვიდრებული[6]. ვახტანგ გორგასალის ჯარის მთხვევა ჯვარზე უნდა გავიგოთ, როგორც სურვილი საერთო დროშის ქვეშ ბრძოლისა, ჯარის ერთსულოვნების ნიშანი.

თამარ მეფის დროსაც სალაშქროდ წასვლის წინ ჯარი ემთხვევა ჯვარს: თამარ მეფემ „...უბ[რ]ძანა თჳსთა სპათა ყოველთა შესხდომა, და თჳთ განვიდა უმაღლესსა ადგილსა, სადათ ყოველთა ხედვიდა... მერმე მოიყუანნა წინაშე თჳსსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათ[ა] თჳთ[ო]ეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდასა ჯუარსა და თაყუანის ცემდენ, და შეემთხუეოდიან... ერთითა ჴელითა თჳთ მას ეპყრა ძელი ჯვარისა, ხ~ ერთითა ეზოსმოძღვარსა ბასილის და ჯ ვ ა რ ი ს მ ტ ვ ი რ თ ვ ე ლ ს ა...[1]

ჯვრის როლი ჩანს არა მხოლოდ სალაშქროდ გამგზავრების წინ, არამედ ბრძოლის დაწყების წინაც:

„შევიდეს უკუე ქუეყანად მათდა და იხილნეს განძას და შამქორს საშუალ მდგომნი, რომელნი სიმრავლითა უმეტეს იყუნეს რიცხუსა, ვითარცა მკალნი“.

„მყის გარდავიდეს ცხენთაგან ყოველნი, თაყუანის სცეს ღ~თსა და წმიდასა ჯუარსა ევედრნეს ცრემლითა, და, ვითარ არწივთა, მიმართეს და, ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს...“[2]

მე-18 საუკუნეშიც ტრადიცია გრძელდება[3].

საეპისკოპოზოებსაც ჰქონიათ ჯვრის სახის დროშები. ასეთ საეკლესიო დროშებს მიეკუთვნება სამთავისის ეპისკოპოზის დროშა, რომელსაც ალ. ხახანაშვილი თ ა ვ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა შ ი დ რ ო შ ა-ჯ ვ ა რ ს უ წ ო დ ე ბ ს[4].

სამთავისის საეპისკოპოზოს ეს ჯვარი ამჟამად საქ. ხელოვნების მუზეუმში ინახება (შიფრი: ქ. 274. იხ. ტაბულა XVII). წარწერა, მოთავსებული ჯვრის ზურგზე, ტერმინს „დროშა-ჯვარი“ არ შეიცავს:



---

[1] И. И. Толстой, Византийские монеты, Альбом, таб. 2, № 49; таб. 7, № 16.

[2] Ebersolt. Les arts somptuaires de Byzance, Paris, 1923, გვ. 91, fig. 43; გვ. 119, fig. 56.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I, თბილისი, 1928, გვ. 156, 158.

[4] „ანასეული ქართლის ცხოვრება“ თბილისი, 1942, გვ. 116—117.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფილისი, 1928, გვ. 309, და სხვ.

[6] საყურადღებოა, მაგალითად, რომ ხევსურული ფოლკლორული მასალებით ჯვარი წმ. გიორგის სახეს წარმოადგენს. „წმინდა გიორგი გწყალობდას, სახე მაგისი ჯვარია“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, „ქართული ხალხური პოეზია“, I, ხევსურული“, 104 გვ.).

[1] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ უ ა რ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 20—21.

[3] იხ. ო მ ა ნ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, მეფობა ირაკლი მეორისა („ქართლის ცხოვრება“ ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ, 1854), გვ. 485—586.

[4] А. Х а х а н о в, Экспедиции на Кавказ 1892, 1893, 1895, „Матер. по археолог. Кавказа“, VII, გვ. 46.

ქ:. ჩვენ;.
ამის:. გ´მო
სკიპტრის:. მპყრობელმ´ნ
მეფეთ: მ´ფმ´ნ:. პ´ტრ
ონმ´ნ:· ალე
ქ´სნდრე: მ
ოვაჭედინე:. წინ´მძღვარი:. ესე:. ცხ´რბი
სა:. ჩემისა: პ´ტს´ნი:. ჯ´რი:. სამთავისა:. წ´რ
სამ´რთებელად:.
მ-ფბისა:. ჩმისა:.
ძეთა:. ჩ-მთა:.
სადღეგრძე
ლოდ:. და:.
ცოდვათ
ა:. ჩემთა:.
შესანდობელად:.

XVII საუკუნის საბუთიდან ჩანს, რომ ალ. ხახანაშვილის მიერ აღწერილი ჯვარი მართლაც „დროშა"-დ იწოდებოდა:

„წყალობითა ღმრთისათა კათალიკოზი ქართლისა ამილახვარისძე ნიკოლაოზ, დავსდებთ საუკუნოდ მოხსენებასა ნეტართა და ღვთისა მსახურთა მეფეთასა, რომელთაცა ინებეს შეწირვად ეკკლესიისა სამთავისისა ხატისა ღვთაებისათვის და მაზედა მჯდომარისა ზოსიმე სამთავნელისა ნეტარმან მეფემან გიორგი, მამამან ალექსანდრე მეფისამან, უსიტყვი სოფელი მამული დიდი, ნაქონი დიმიტრი ბაგრატიონისა: რომლისა სახელი იყავნ კურთხეულ: ხოლო შეუდგა ალექსანდრე კეთილსა კვალსა მამისა თვისისა გიორგი მეფისასა... და შექმნა ჯვარი დროშად წინამძღვარი ცხოვრებისა და წამმართებელი მეფობისა თვისისა, პატივად და წინასამძღლოდ დიდისა მღვდელმთავრისა დროშად სამთავისის ეპისკოპოზისა..."[1]

ალ. ხახანაშვილი თვლის, რომ საბუთში მოხსენებულია „გიორგი მე-VIII (გარდაიცვ. 1469) და ძე მისი ალექსანდრე"[2].

დასკვნა სამართლიანია, მაგრამ სამთავისის დროშაჯვრის წარწერის გამოქვეყნებისას ალ. ხახანაშვილს ეს ცნობა არ გამოუყენებია და ალექსანდრე მეფე ალექსანდრე პირველად უცვნია[3].

სამთავისის ჯვრის ფორმის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ „დროშა-ჯვრებზე": ჯვარცმის ქანდაკებიანი ჯვარი დამაგრებულია გრძელ ტარზე. ჯვრის ქვემოდან ტარზე ჩამოცმულია „სიონი".

სიონზე რელიეფური გამოხატულებანია ღვთისმშობლისა, ქრისტესი, იოანესი და მთავარ-ანგელოზისა.

ტარი ვერცხლის ფურცლითაა დაფარული, რამდენიმე მკლავად იყოფა, მათ შუა ვერცხლისვე ბურთებია. ტარის სიგრძე — 138 სმ (ჯვრამდე), ჯვრისა — 27 სმ. ტარი თავდება რკინის წვეტიანი „ფეხით"[1], რომლითაც დროშა ჩაესმებოდა ხოლმე მიწაში. [illegible] ვხედავთ გვიანდელი დროშების შენახულ ტარებზედაც.

1 ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 38.

2 იქვე, გვ. 38, შენიშვნა.

3 А. Хаханов, Экспедиции на Кавказ, 1892, 1893 и 1895 გვ. 46.

დროშა-ჯვრები ლაბარუმის სახეობას უნდა წარმოადგენდეს.

როგორც კათოლიკოზ ნიკოლოზის საბუთიდან ჩანს, ასეთ ჯვარს წინსაძღოლი ეწოდებოდა. ასეთი ჯვარი იხსენიება სვეტიცხოვლის XVIII საუკ. სიგელებშიც. ჯუანშერის თხზულებაში ვკითხულობთ სამეფო ლაშქრის ჯვრის შესახებ შესატყვის გამოთქმას: „წარძღუანებითა ჯუარისა... რომელი მოცემულ არს წინამძღურად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა[2]... მოიყვანეთ ჯუარი და წარვიძღუანოთ, რათა... იძლივნენ"[3].

წინსაძღოლმა ჯვრებმა საკმაო რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. საქართველოს ზოგიერთი ტაძრისა თუ მონასტრის სიძველეთა სია, შედგენილი ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის მიერ[4], ამას ამტკიცებს. დასახელებულ სიაში ეს ჯვრები თარიღდება XI—XVIII საუკუნეებით.

პროფ. გ. ჩუბინაშვილს ცალკე ნაშრომი მიძღვნილი აქვს იშხანის ჯვრისათვის (X საუკ.). პარალელურად განხილულია მარტვილის ჯვარი[5]. ამ ორი ჯვრის მაგალითზე ვხედავთ, რომ საწინამძღვრო ჯვრები თავ-თავიანთი დროის ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებს წარმოადგენდნენ და განსაკუთრებულად საზეიმოდ ირთვებოდნენ[6].

ტერმინი ჯვრის ამ სახეობის აღსანიშნავად გვხვდება თვით იშხანის ჯვარზე: „ქ. ძელო ცხოვრებისაო, წინამძღუარ და მფარველ ექმენ ილარიონ ებისკოპოსსა"[7].

სამთავისის დროშა-ჯვარი მიეკუთვნება XV საუკუნის მეორე ნახევარს, როდესაც საქართველო თუმცა დაშლილია სამეფოებად, მაგრამ ძველი ტრადიციები მასში ჯერ ცოცხლობს. ცოცხალია ისინი პოლიტიკაში: თვითეულ სამეფოს მფლობელს არ დაჰშრეტია პრეტენზიები მთელ საქართველოს დაუფლებისა. ძველი ტრადიციები განაგრძობს არსებობას ლიტერატურაშიც და ხელოვნებაშიც. პროფ. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით: „მე-15 საუკუნეში ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი გონება მიპყრობილია არა გაგრძელებაზე, არა შემდეგ მხატვრულ შემოქმედე-

1 ეს ტერმინები სვეტიცხოვლის ერთ-ერთ სიგელის ტექსტში გვხვდება: „ქ. წინასაძღოლი ჯვარი ოქროსი თავისის სანაწილით ოქროთ დაფერილი, და ხელსაჭერი ჯოხი და ფეხი თავისის ბურთებით, ჯვარს წვრილი თვლები უსხედს, ზოგი იაგუნდი და ზოგი ფირუზი" (А. Натроев, Мцхет и его собор Свэти-Цховели, Тифлис, 1901, დამატება, გვ. VIII, 1788 წლ. სიგელი).

2 ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 96.

3 იქვე, გვ. 116.

4 Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб 1890, გვ. 36 (№№ 14, 16); გვ. 70 (№№ 5, 6); გვ. 92 (№ 13); გვ. 110 (№ 4); გვ. 117 (№ 6); გვ. 131 (№ 24).

5 პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იშხანიდან „საქართველოს მუზეუმის მოამბე", VI, ტფილისი, 1931, გვ. 296—314.

6 იქვე, გვ. 300, 301, 302 და სხვ.

7 იქვე, გვ. 304.

ბაზე, არამედ მხოლოდ ქვეყნის მთელი განადგურებული კულტურული სიმდიდრის ნამცეცების მოკრეფაზე“.[1] სამთავისის ჯვრის ჯვარცმის გამოხატულებაში ვხედავთ განგრძობას იმავე ფორმებისას, რაც არის X საუკუნის იშხანის ჯვარცმაში. დეგრადაცია მაინც საგრძნობია. რელიეფი სიბრტყობრივობისაკენ მიიწევს, მოდელირება შესუსტებულია, ტანის ნაკვთების აღნიშვნაში პირობითობა და სქემატურობა არის გამეფებული.

სამთავისის დროშა-ჯვარი XV საუკუნის ხელოვნების დამახასიათებელი ძეგლია, მით უფრო საყურადღებო, რომ ამ დროიდან ჩვენამდე ძალიან ცოტა რამ არის მოღწეული.

—

ამ პერიოდის ქართულ დროშებიდან შესაძლო შეიქმნა განგვეხილა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა და სხვადასხვა თანამდებობის პირის დროშები.

მასალა ძვირფასია, რამდენადაც მრავალფეროვანია და წარმოდგენილია ისეთი ფორმები, რომლებიც სხვა ქვეყნებში შერჩენილი არა ჩანს.

ზოგიერთი დროშა შესრულების მხრივ თავისი დროის საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს.

[1] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი, 1936, გვ. 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# III

## ქართული დროშები საქართველოს სამეფოებად დაყოფის შემდეგ (XVI–XVIII საუკუნეებისა)

უკვე XIII საუკუნიდან ჩნდება საქართველოს მთლიანობის რღვევის ნიშნები. XV საუკუნის დამლევს საქართველო დაყოფილია რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ. დაქუცმაცებული საქართველო წარმოადგენს ოსმალეთისა და ირანის ინტერესების ასპარეზს და ებრძვის ამ სახელმწიფოებს. საქართველოს სამეფონიც განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს. პოლიტიკური მთლიანობის მოსპობას მოჰყვა საქართველოს ძლიერების, გავლენის, ეკონომიკის უდიდესი დასუსტება და დაქვეითება. XVII საუკუნიდან ქართლი და კახეთი სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო დასავლეთი და სამხრეთი საქართველო (უკანასკნელი XVI საუკუნის ბოლოდან) ოსმალთა გავლენის ქვეშ. გარეშემორტყმულ მტრებთან ბრძოლაში საქართველო მთელი ამ ხანის განმავლობაში ცდილობს მოკავშირე მოიპოვოს რუსეთსა და ევროპაში. მძლავრ შემოსევათა გარდა საქართველოს ძალას აცლის ლეკების განუწყვეტელი თარეში. დაწყნარებული ცხოვრება ხერხდება მხოლოდ ხანმოკლე ინტერვალებში მტრის შემოსევათა შორის. ამისთანა პერიოდებში მსწრაფლ იწყება მუშაობა ქვეყნის აღორძინებისათვის, „განახლებისათვის“ ყველა დარგში[1]. სახელმწიფოს უდიდეს დაბრკოლებად წინ უდგება ბატონყმობის გამარჯვება. მთელი საქართველო დაყოფილია კარჩაკეტილ მეურნეობებად, სათავადოებად, რომლებიც, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელნი არიან.

სიძლიერის მთავარ პირობას—მთლიანობას — მოკლებული საქართველო მაინც მიისწრაფვის რუსეთსა და სხვა ქვეყნებს მისდიოს, ისწავლოს მათგან, შემოიტანოს განათლება, ბეჭდვა, სამხედრო ტექნიკა. ჩამოყვანილ ოსტატებს შორის არიან ხელოვანნიც, ეკლესიათა მომხატველნი და ხატების ოსტატები.

XVI—XVIII საუკუნეთა დროშებზედ ცნობებს გვაძლევენ საქართველოს ისტორიკოსთა თხზულებები, ლიტერატურული და ეპიგრაფიკული ნაწარმოებნი, საბუთები და თვით შენახული დროშები.

რაც შეეხება მათ შესწავლას, სპეციალური ნაშრომები მიძღვნილია მუხრან-ბატონის დროშისათვის ექვთ. თაყაიშვილის მიერ და ვახტანგ VI-ის დროშისათვის ალ. ხახანაშვილის მიერ (იხ. ქვემოთ).

თვითეულ სამეფოს თავისი სახელმწიფო დროშა ჰქონდა. როგორც წინა საუკუნეებში, ახლა სახელმწიფო დროშა იგივე სამეფო დროშა იყო და, როგორც მეფის ძალაუფლების სიმბოლო, მამიდან შვილზედ გადადიოდა. დამამტკიცებელი ცნობა მოიპოვება მიმოხილვაში, რომელიც ეხება რუსეთისა და საქართველოს მეფეებისა და მთავრების დიპლომატიურ ურთიერთობას. იგი შედგენილია ფრანცისკ პლოენის მიერ, რუსეთის მთავარ არქივში შენახული დოკუმენტების საფუძველზე:

«Сие побудило князя Давида потребовать от отца своего царское знамя, шапку и саблю с поясом, обладание коими, по обычаю сей страны, равнялось помазанию на царство»[1].

ცნობა ეხება XVII საუკუნის დამდეგს.

საქართველოს სამეფოთა ვასალური დამოკიდებულება გარეგნულად გამოიხატებოდა მასშიც, რომ მათ დროშა სჲუზერენისაგან ეძლეოდათ. ასე, მაგალითად, შაჰნავაზის ძის არჩილის მეფედ დამტკიცების დროს სპარსეთის შაჰმა მისცა მას დროშა:

„მოუტანინა ნაღარა, მასთან დროშა და ქანარა,
ნაფირი, ზურნა საჭმობლად...“[2]

ამასვე ვხედავთ XVIII საუკუნეში: „ქორონიკონს ულბ... მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფეს თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ძესა მეფისასა ერეკლეს...“

„მოვიდა იბრეიმ-ბეგ, მხლებელი ყმა ხელმწიფისა, და ხალათები და რაყმები მოუტანა მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს... მივიდა ეს იბრეიმ-ბეგ ყბარზე, გამოართო ალი-ხანს დროშა და მოხელენი კარისანი, მოართვა მეფეს თეიმურაზს და იქმნა მეფედ ქართლისად“[3].

ასეთი დროშები, ცხადია, სჲუზერენის (სპარსეთი) ქვეყანაში მზადდებოდა. ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ.

როდესაც XVIII საუკუნის ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა და ქართლის მეფესა და სპარსეთის შაჰს შორის დამყარდა ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, არა პატრონ-ყმური, არამედ მოკავშირეობრივი, და თეიმურაზ II-მ მოიპოვა მეფედ კურთხევის უფლება, კიდევ ერთმა გარემოებამ გაუსვა ხაზი ამ ახალ ურთიერთობას: ძალაუფლების გამომხატველი ერთ-ერთი ნიშანთაგანი — სამეფო დროშა — მეფემ უკვე სპარსეთის შაჰისაგან კი არ მიიღო, არამედ დროშა დამზადდა ადგილობრივ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 32; საქართველოს ისტორია, თბილისი, 1946, გვ. 256, 301, 302, 324, 352, 356, 357 და სხვ.

[1] „Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г.“, СПб, 1861, გვ. XII.

[2] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, ტფილისი, 1935 (გიორგი ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით), გვ. 163.

[3] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 369.

ხოლო შემდეგ, XVIII საუკუნის მიწურულში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველომ სცნო რუსეთის მფარველობა, მაშინ კვლავ სამეფო ძალაუფლების ნიშნები, მათ შორის დროშა,.მეფე ერეკლე II-ს გამოეგზავნა რუსეთისაგან:

„წელსა 1783 მეფემან ირაკლიმ სთხოვა მფარველობაჲ იპერატრიცა ეკატირინას. მან ფარველობის ტრაკტატი უბოძა მეფისავე თანხმობითა. იპერატრიცამ უბოძა მეფესა სამეფო ნიშანნი, ესე იგი: გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და დროშა“[1].

ერეკლე II-ს მემკვიდრეც, გიორგი XII (XIII) სამეფო ტახტზე ასვლისას სამეფო ნიშნებს კვლავ რუსეთის იმპერატორისაგან, სჲუზერენისაგან, იღებს: „(გიორგი მეფემ დესპანსა) ....ამცნო რათა ითხოვოს მეფისათვის მშვიდობით დაცვა და მფარველობა, ვითარცა წერილ იყო ტრაკტატსა შინა მეფის ირაკლისასა და იპერატრიცა ეკატირინესასა“.

„...უბოძა იპერატორმან პავლე მეფესა ტახტი, გვირგვინი, სკიპტრა, ჴმალი, დროშა“[2].

რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა საქართველოს სხვა კუთხეთა მფლობელთათვისაც დაკავშირებული იყო რუსეთისაგან დროშისა და სხვა ინსიგნიების მიღებასთან:

„ხოლო ჴელსა 1804 გარდაიცვალა დადიანი გრიგოლ, და იპერატორმა ალექსანდრემ მოიყვანა ძე გრიგოლისა ლეონ... და დასო დადიანად... და უბოძა ღიანარალ-მაიორობა, ხმალი, დროშა და ანნას კავალერია“[3].

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება ვახტანგ ბატონიშვილის ცნობას, რომ მეფეს ორი დროშა ჰქონდა[4]. ერთი ამ დროშათაგანი მეფის პირადი დროშა უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ეს იყო წინა საუკუნეებში[5].

სამეფო დროშების გარდა, ძალაუფლების გამომხატველი იყო ბატონიშვილთა დროშებიც: ტახტის მემკვიდრეს მეფედ კურთხევამდე ჰქონდა საგანგებო დროშა. ამ დროშის ჩაბარება მისთვის გარკვეულ ასაკში ხდებოდა( იხ., ქვემოთ „დროშა საუფლისწულო“) და გარკვეული ცერემონიალით იყო მოწყობილი.

დროშები ჰქონდათ მეფის ხელისუფალთაც და ფეოდალთაც, კვლავ როგორც ძალაუფლების ნიშანი. ამ საუკუნეებში „დროშა-ნაღარის პატრონობა“ სინონიმი იყო და დიდი ფეოდალური სამფლობელოს პატრონობისა:

„მე ესე წიგნი შევამკვე გიორგი მალაქიამან,
უფლისწულ ციხისა თავმან და გვარად აბაშიძემან,
სვერ-შორაპნისა მქონემან, თავ-სახლად ჭალატყიანმან,
და დროშის ნაღარის პატრონმან
მორჭმით, სიმდიდრით მე ამან“[1]

გამოთქმა „დროშა-ნაღარის პატრონი“ „შაჰ-ნამე“-ში ხშირია. შაჰნავაზიანშიც ასე გამოიხატება მფლობელობა მეფისა[2].

წინა საუკუნეებში ფეოდალებს დროშა მეფეთაგან ეძლეოდათ („ძეგლი ერისთავთა“), ასევე იყო ახლაც, მაგალითად, როსტომ მეფის დროს[3]. XVIII საუკუნის ნახევარში სადროშოების უფროსებს დროშები მიეცა მეფის თეიმურაზ II-ის მიერ.

ახლაც საქართველოს ციხე-სიმაგრეებზე დროშები იყო ამართული. კასტელის ალბომში ვხედავთ დროშას დასავლეთ საქართველოს რომელღაც ციხეზე[4] და გორის ციხეზე[5]. ასევე იქნებოდა, უნდა ვიფიქროთ, ქალაქებზე და გემებზედაც.

დროშების ერთ-ერთი უძველესი როლთაგანი საქართველოში — მონაწილეობა საზეიმო შემთხვევებში—ცოცხალია. ახლაც, სამეფოთა დამოუკიდებლობის მომენტებში მეფის კურთხევის დროს სამეფო დროშა იღებს მონაწილეობას, როგორც ეს ჩანს XVIII საუკუნისათვის პაპუნა ორბელიანის საისტორიო ნაწარმოებიდან. მონაწილეობას იღებენ სადროშოთა მთავარი დროშებიც:

„...გათენდა დილა, მოფარდაგნეს სეფე და მოიტანეს დროშანი ოთხივე და აღმართნეს მეფესა წინ და თვის თვისი ჯარი გარსა შემოეხვივნენ...

...„მოიწვივეს ბატონი ეკკლესიად. წარუძღვნენ ეგრევ დასნი სამღვდელონი... მორთულთა აქლემთა კიდებულნი ქოს-ნაღარანი და სპილენძ-ჭურნი მიუძღოდეს და ამას დროშა სარდლისა მისდევდეს... სამივ დროშანი თვისის ჯარებით ამიერ და იმიერ მოსდევდეს: რა მიეახლნეს ეკკლესიასა, სამი დროშა მარტივად კარზე დააყენეს... ბატონის დროშა... შეიტანეს საყდარსა და აღსავლის კარზე დააყენეს...“[6]

ვხედავთ დროშებს საზეიმო პროცესშიაც მეფის წინაშე:

„კათალიკოზი მიუძღუის...
დიდთა დიდგვართა თავადთა
დროშა მიუძღუის ქავია;
მიჰყუების აზნაურები, უანგარიშო,
ზუავია“[7]

სხვა მაგალითები, თითქოს, არა გვაქვს. როგორც ამ დროის ქართველ ისტორიკოსთა ნაწარმოებებიდან გამორკვეულია, სახალხო ზეიმის ხასიათი XII, XIII საუკუ-

---

1 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 58.
2 იქვე, გვ. 71.
3 იქვე, გვ. 87.
4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, გვ. 208.
5 იქვე, გვ. 208.

1 Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифл. Церковн. Музея, Тифлис, 1903, გვ. 204—206, 1705 წ. ლექსი.
2 ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 163, 105.
3 „საისტორიო მოამბე“, I, 1925 წ. გვ. 258.
4 იხ. სურათი წიგნში „საქართველოს ისტორია“, 1946, გვ. 354.
5 იხ. სურათი წიგნში: W. E. Allen, A History of the Georgian People, London, 1932, 130—131 გვერდებს შორის.
6 პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 384.
7 ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 10.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეების ზეიმებთან შედარებით, შეცვლილი ჩანს. არც დროშები იღებენ მასში მონაწილეობას.

ძალიან მნიშვნელოვანია დროშების როლი ჯარში. ახლაც ისევე, როგორც ძველად, ბრძოლებში მიჰქონდათ სამეფო დროშა: XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარს, გარდახდილი ომის შემდეგ, ხელში ჩაუვარდა იმერეთის მეფის და კახეთის მეფის დროშები[1]. თეიმურაზ II-ის ის დროშაც, რომელიც მეფედ კურთხევისათვის იყო დამზადებული, სალაშქროდ იყო განკუთვნილი, სადროშოების სხვა სამ დროშასთან ერთად.

ვახუშტის ცნობით, საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ, ქართლი, კახეთი და იმერეთი ოთხ-ოთხ სადროშოდ იყო გაყოფილი[2]. ჯარი საომრად სადროშოების მიხედვით იკრიბებოდა. თვითეულ სადროშოს წინამძღოლს თავისი დროშა ჰქონდა, ისევე როგორც სადროშოში შემავალს, მასზე უფრო მცირე ელემენტებსაც, მაგალითად, საერო თუ საეკლესიო საპატრონყმოებს. დროშა ჰქონდა თვითეულ რაზმსაც, როგორც ჩანს „დიდმოურავიანიდან“, რომლის ავტორი ძლიერი სიტყვებით ახატვინებს გიორგი სააკაძეს ომის სურათს:

„არ მომიგონებთ, რას იტყვით, როს მუზარადი
ელევდეს,
რაზმი გასწორდეს დროშებით,
ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვირთ ხმა იყოს, ცხენნი კაცთ ფეხით
ქელევდეს“[3].

ს. ორბელიანის განმარტება მკაფიოდ ახასიათებს დროშის როლს ჯარში: „დროშა-დრაუჟი, მწყობრთ ნიშანი (+ ლართაგან B), ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი“,

აქ გასმულია ხაზი იმისათვის, რომ ჯარში დროშა არის „ქვეგანაწევრების დასაყრდენი პუნქტი, რომლის გარშემო მწყობრად ლაგდებიან მებრძოლნი. მათ მოძრაობას ბრძოლაში აწესრიგებს სარდალი და აღწევს მასის ხელმძღვანელობას მთლიანი გეგმის მიხედვით...„(die Stutzpunkte der Unterabteilung, um welche sich die Kämpfer ordnen, und indem der Feldherr ihre Bewegungen im Gefechte regelt, gelingt um die Leitung der Masse nach einem einheitlichen Plane“)[4].

---

[1] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ტექსტი („ენიმკის მოამბე, XIII, თბ. 1943, გვ, 157). იხ. აგრეთვე, „Посольство дьяка Федота Елчина и священника Захарьева в Дадианскую землю 1639—1640 г. Материалы для Русской истории“, Москва, 1888, გვ. 348).

[2] „...იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოთ განყოფილი... ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳს-თჳსად წესნი ესენივე... იყუნენ ოთხ სადროშოთვე კვალადცა. ვითარცა აღესწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 22).

[3] იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, თბილისი, 1939, (გიორგი ლეონიძის რედაქციით), გვ. 48.

[4] A. Domaszewski, Die Fahnen im römischen Heere („Abhandlungen des archäologisch-epigraphischen Seminars der Universität, Wien“), Heft V, Wien, 1885, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის საომარ მდგომარეობაში ყოფნა გამოიხატებოდა დროშის ამართვით:

„გამოდგნენ მეწინავენი იმა მეგრელთა ჯარისა;
ვამეყის დროშა ამართეს, ელვა ჩანს იგ
აბჯარისა“[1].

—

„ამართეს დროშა მაღალი, ქაიანურის ჴელისა,
მოვიდენ ყოვლგნით ლაშქარი“...[2]
ჯარს მიუძღვის წინ დროშა მეფისა;
„დროშა მიუძღუის მეფესა, მთასა
გარდაჴდა მალია;
იმერეთ ჯარი იქ დაჭუდა“...[3]

დროშების დიდი საბრძოლო სხვა მნიშვნელობაც, დაკავშირებული გამარჯვებასა და დამარცხებასთან, ახლაც, როგორც წინა პერიოდში იყო, ცოცხალია; დროშის წართმევა მტრის დამარცხების ნიშანია:

„დროშა წაართუეს ერეკლეს, ლაშქარი დაუჭოცესა“[4].

„წარივლტო, ვითარცა მეოტმან სირცხვილეულად აზატ-ხან, და გამარჯვებასა ამას შინა დარჩა მეფესა ირაკლის 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თვისის ასის აქლემით და დროშა მრავალი და ორი ათას ხუთასი კარავი, და ტყვისა და საქონლის რიცხვი არ შეიძლებოდა...[5]

დამარცხებას მოასწავებდა მტრის დროშების შეჭრაც ჯარში: „ყიზილბაშის ჯარზე ქართველნი და კახნი ასე გამამაცებულ იყვნეს, რომ ერთი ჩვენი კაცი ას ყიზილბაშს არ დაერიდებოდა... ხმალ და ხმალ გაერივნეს (ქართველნი და კახნი), პირველზე ისინიც კარგად იყვნეს, რომ ალმები ჩვენს ჯარში შემოიტანეს, მაგრამ რა ქართველნი და კახნი თავგამომეტებით იმათ ჯარში შეცვივდნენ, ველარ დადგნენ ყიზილბაშნი და გაიქცნენ“[6].

დროშა-ტროფეების შეწირვა ღვთაებისადმი ახლაც, როგორც წინა საუკუნეებში, გრძელდება; გამარჯვებულმა დადიანმა შესწირა ილორის ხატს იმერეთის და კახეთის მეფეებისათვის ბრძოლაში წართმეული დროშები[7].

უცხო ზეგავლენის ქვეშ შემოჭრილია ახალი ჩვეულება. საქართველოს ცხოვრების ფურცლებზე XV საუკუნეში პირველად შემზარავად გაისმა ცნობა ომში დაღუპულ ქართველ მეომართა თავთაგან მტრის მიერ მინარის აგების შესახებ: „ჯეჰან-შაჰმა ალბად თავისი გამარჯვების სახსოვარ ძეგლად სამშვილდეს კარებ წინ 1664 მოჭრილ თავისაგან მინარა დაადგმეინა“[8].

---

[1] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 66.

[3] იქვე, გვ. 66.

[4] იქვე, გვ. 185.

[5] ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა („ქართლის ცხოვრება“ ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ, 1854, გვ. 486).

[6] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 425—426.

[7] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ტექსტი, გვ. 157.

[8] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, ტფილისი, 1924, გვ. 34 (სომეხი ისტორიკოსის თომა მეწობელის ცნობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ-კი თვით ქართველებში შეჭრილია ეს ჩვეულება: XVII საუკუნეში ქართველთა — აჯანყებულ თუშთა—თავები თვით ქართველი მეფის ბრძანებით „აუმზადებიათ“, ზედ „დროშა მიუყენებიათ“ და ასე გაუგზავნიათ სჲუზერენისათვის:

„დანარჩომი მტერთა დროშა თავებთანა
მივაყენოთ,
ყუელა ერთად გავუგზავნოთ, თავი ლომთა
შევაწონოთ“,
ამაზედა აამზადეს დაკუეთილი თუშთა თავი“[1].

(უნდა ითქვას, რომ ქართველ მეომართა მიერ მტრის თავის და ჴელის მოჭრა სარდლისათვის წარდგენა გვხვდება ადრინდელი დროისთვის ჯუანშერის ისტორიაშიც: „ყოველი კაცი, რომელი დარჩეს სიკუდილისაგან, მტერთა ჩუენთაგანისა თავი ანუ ჴელი არა გამოიტანოს, ჩუენ მიერ მოკუიდინ იგი“)[2].

დამარცხებული მტრის დროშები ჩვეულებრივ, ალბათ, იარაღის საწყობში ინახებოდა.

—

როდესაც ამ გვიანი ხანის დროშებზეა ლაპარაკი, უნდა მოხსენებული იყოს აღმოსავლეთი საქართველოს მთის საომარი დროშებიც. მთის პოეზიაში ისინი ცოცხლობენ ძველ საქართველოს ზოგიერთ საომარ ჩვეულებასთან ერთად; მაგალითად, ომში გასვლის წინ მეომრები ფიცსა სდებენ, რომ ერთურთს არ უღალატებენ:

„ბექურის ძისი ლაშქარმა
ფიცი ჰქნა მეუფისაო:
— ნუ ვუღალატოთ ერთურთსა —
დროშის ქვეშ ფიცავდისაო“[3].

მეომართა ფიცი დროშის ქვეშ დამოწმებულია ლომისის წმ. გიორგისადმი შეწირულ ერთი ვერცხლის ჯამის წარწერით, რომელიც გამოცემულია სერგი მაკალათიას მიერ:

„ქ: შენ წ˝ისა და დიდებულისა მთავარ მოწამის გიორგისა ეკლესიას ლომისად წოდებულსა თასი ესე... ყოვლისა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა ძემან ვახტანგ მპყრობელმან არაგვისამან ოდეს: ჩღჟზ. (1797) ალამამად ხანის: მეორედ მომავლობა გვეგულებოდა და ჩვენ შენს დღესასწაულზედ მოვედით და არაგველნი სრულ აქ გვახლდენ და შენი დიდებული ბავრაყი ნაღვარევის ეკლესიაში ჩამოვასვენეთ და აქ იფიცეს ერთობით არაგველთ ჩვენს ერთგულობაზედ და უნაკლულოდ ლაშქრობაზედ და თუ ვინმე შემოსახიზნავად მოსულ იყვნენ იმათ კეთილად დაცვაზე და ამისათვის შენის დიდებულის ბავრაყის პატივის საცემლად მოგართვით თასი ესე“[4].

---

[1] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 189.

[2] ჯუანშერი, ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლის, („ანასეული ქართლის ცხოვრება“, გვ. 138).

[3] „ძველი საქართველო“, II, განყ. V, თუშური ლექსები, გვ. 41.

[4] სერგი მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930, გვ. 34.

დროშაზე ჰდეებს ყრიან მთეულთა მოკავშირე ტომები ერთგულების ნიშნად:

„თუშთა, ჴევსურთა, მშაველთა ლაშარს პირობა
შაკრიან.
უბრძანებს ლაშარის ჯვარი: აქვაში ჩასვლა
მწადიან“.
„ერთმანეთს ნუ ვუღალატებთ“, ჰდეებ
დროშაზედ ხყარიან“[1].

მოწინააღმდეგის დამარცხება მისი დროშების აღებით გამოიხატება:

„ჴევსა თქვეს მაჴევეებმა: ჴევსურნი მავაქციენით:
წითელ-ყვითელან დროშანი საბაკეს
მავაყრიენით:
იმათ ნასრევნი ისარნი იმათავ შავესრიენით“[2]

ლაშქარი (მისი—სიმბოლო-დროშა) ველარ დაბრუნდა სახლში:

„ქავთრის დროშაი არ მოვიდა...
...ნეტარ, ქავთარს რა მახკლავდა?
შიბი ცხრა-კეცი ედვა ყელსა
ლაშარის ჯვარის ჩადებული“[3].

პატრონის-გმირის დაღუპვას ბრძოლაში სტირის ციხე, დროშას შესწყდა ზარი:

„ციხე სტირს შუქიაურთა, უჴმობს ქვიტკირის კარია,
სიკვდილსა მარტიაისას იწყენს წყალ-შუის ჯვარია;
ორივ დამექცა ბეღელი, დროშას შამიწყდა
ზარია“[4].

დაღუპულ მეომრებს თავით დაუდგეს დროშა:

„თავით დაუცეს ალამი, უბრიალებდეს
ქარიო,
ფეხთით დაუბეს ლურჯაი, — დასტირის, როგორც
ქალიო[5].

ფშავურ ვარიანტში:

„გვერდით დაურჭვეს დროშაი,
ნამტვრევი შუბის ტარიო,
დაჰბერავს დილის ნიავი
და აჟრიალებს ქარიო“[6].

ბრძოლიდან მეომრები არ დაბრუნდნენ. გმირებს გლოვობენ დროშები გაჩუმებით:

---

[1] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 74.

[2] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 47.

[3] იქვე, გვ. 294.

[4] ბესარიონ გაბუური, ხევსურული მასალები, პროფ. აკ. შანიძის რედაქციით და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ („წელიწდეული“, I, 1923, გვ. 237).

[5] პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, ტფილისი, 1937, გვ. 54 (ხევში ჩაწერილი 1881 წ.).

[6] ფშაური ლექსები, შეკრებილი დავით ხიზანაშვილის მიერ, ტფილისი, 1887, გვ. 45.

„დ ა ს ჩ უ მ ე ბ ი ა ნ დ რ ო შ ა ნ ი, ა ღ ა რ ც ე რ თ ი ძ ა ხ ს ზ ა რ ი ო,
ციხეთა ბაცალიგურთა, მაღალთ, დახარეთ თავიო,
დაგიგვიანდათ ლომნი, აღარ მოგივათ ქარიო,
ქალო და ზალო იგვლიეთ, საყურ დაყარეთ,
ცვარიო“[1].

ეს უკანასკნელი ლექსი ძვირფასი ნიმუშია მთის პოეზიისა. ხევსურული ლექსები, საზოგადოდ, გამოირჩევა თავისი მაღალი მხატვრული თვისებებით: რიტმით, მუსიკალობით, გულწრფელი პათოსით, ფორმით. ზოგიერთი ლექსი ან ნაწყვეტი პირველხარისხოვანი პოეტის ქმნილებას წარმოადგენს. ხევსურული პოეზიის შეფასება შესაძლო შეიქნა მისი მეცნიერულად გამოცემის გამო აკადემიკოს აკაკი შანიძის მიერ. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ალბანელის დაკვირვება, რომ „თუშ-ფშავ-ხევსურების სიმღერები... გადახლართულია ერთმანეთში“[2].

—

'აღებული ხანისათვის ცნობები გვაქვს კვლავ სამხედრო მ ე დ რ ო შ ე თ ა შესახებ 1722 წლით დათარიღებულ „ღვთაების გუჯარში“, რომლის ნაწილი მიძღვნილია რუსთველის „დროშისა სპათათვის, რომელნი განუწესებიათ პირველთა მეფეთა“[3]. განწესებას მეფე დავით იმამყულიხანი კვლავ ამტკიცებს[4].

საბუთიდან ირკვევა, რომ რუსთველის დროშის მტვირთველობა ერთი გვარის ყველა ვაჟკაცს ჰქონდა მინდობილი. 1722 წლისათვის ასეთები იყვნენ ნორიაში ჰიჭინაძენი. დროშის წასვენების დროს დროშა ებარა ერთს „ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა... და სხვანი ჰიჭინაძენი გარე შემოეხვეოდენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა, და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა აძათ მიანდონ დროშისა“[5].

ამ საბუთის საფუძველზე გასაგები ხდება იოანე ბატონიშვილის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელმა განაწესა მოხელენი და მათ შორის „ბავრაყის მეფისა უხუცესი“.[6] თანამდებობის ამ სახელს და ამ ცნობას ცნობილ ქართულ ისტორიულ თხზულებებში და საბუთებში დადასტურება არა აქვთ, მაგრამ ის, რომ მედროშეთა ინსტიტუტი არსებობდა ძველადაც, მტკიცდება თვით რუსთველის სადროშოს განწესებით, რომელიც მედროშეთაც ეხება: „აქა აღვწეროთ დროშისა სპათათვის, რომელი განუწესებიათ პირველთა მეფეთა უწინარეს ჩვენსა და აწ კ~დ ჩვენცა ესრეთ დავამტკიცეთ“[7].

რუსეთში ასევე იყო XVII საუკუნეში: „Для охранения знамен выбирали из городовых дворян, лучших выборных людей, добрых отеческих детей, людей полных, конных и оружных, которым служба за обычай. Из выборных составлялись сотни, начальство над к о т о р ы м и п о р у ч а л о с ь г о л о в е у з н а м е н и; голова у знамени равнялся правами с прочими сотенными головами в полку“[1]. როდესაც რუსეთის მეფე სალაშქროდ მიდიოდა, „из стольников, ...из стряпчих, из дворян и из жильцов выбирает царь из своего полку добрых людей, с тысячу человек, которым быть всегда при нем к бою и не к бою, и для оберегания его царского знамени“[2].

მედროშისათვის სხვა თანაშემწეთა გარშემოხვევა ჩანს სვანეთში შენახულ ჩვეულებიდან: როდესაც ულიშობას ლომს (დროშას) ჩაიბარებს დროშის მტვირთველი (ერთ-ერთი „ლელჯგრაგუ“-თაგანი, ე. ი. წმ. გიორგის მსახური), მას ჰყავს ერთი დამხმარე და გარდა ამისა 10—12 ცხენოსანი ახლავს[3].

საფიქრებელია, რომ საქართველოს ძლიერების ხანაში სახელმწიფო დროშის მტვირთველების რაზმი სდგებოდა მეფის მიერ დანიშნულ პირთაგან და არა ერთ რომელიმე საგვარეულოს წევრთაგან.

XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დროშა ხევისბერებს ებარათ. ხევისბერის თანამდებობა სვანეთის მელომის თანამდებობის (XIV—XV საუკუნეების) შესატყვისი ჩანს:

„ხევისბერობა ფშავში მემკვიდრეობითი არ არის... ირჩევენ ხატის ნებით თუ მკითხავის მითითებით. მისი არც გადაყენება შეიძლება... ხევისბერი სიკვდილამდის ხევისბერობს.

„ხევისბერებში პირველია თ ა ვ ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი, რომელიც... ლაშარის ხატშია და მას ყველა ხევისბერები ემორჩილებიან... წინათ სათემო საბჭოში თავმჯდომარეობდა... ლაშქრის „მკადრე“ წინამძღოლი იყო...: ჭირში თუ ლხინში თემს ხელში ლაშარის დ რ ო შ ი თ წინ მიუძღოდა“[4].

(ფშავ-ხევსურეთში) „თუ ძველს დროს ხევისბერი „ლაშქართა თავადი“ იყო, ეხლა იგი „სალოცავების“ და „ხატების“ თავადია.“

„ყველა სათემო ხატს თავისი დროშა აქვს, და ეს დროშა ხევისბერს აბარია, მხოლოდ იგი მაღლა აღმართამს ხოლმე მას ჯვარობას, ხატობას... ხევისბერი თავისის დროშით ამ ხალხის ბატონია, მისი მბრძანებელი...

„ეხლაც ხევისბერობა საკუთრებაა გვარისა... ეხლაც... ხევისბერს, მეტადრე ხევსურეთში, გავლენა აქვს ხალხის სამართალზე“ და სხვა[5].

---

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია“, I, ხევსრული, გვ. 18.

2 იქვე, წინასიტყვაობა გვ. 05.

3 „ღვთაების გუჯარი 1722 წლისა“ („ისტორიული საბუთები“, I, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1913, გვ. 42).

4 იქვე, გვ. 42.

5 „ღვთაების გუჯარი 1722 წლისა“, გვ. 42.

6 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, (საქ. მუზ. ხელნაწერი H 2134, გვ. 610 v).

7 „ღვთაების გუჯარი 1722 წლისა“, გვ. 42.

---

1 Л у к и а н Я к о в л е в, Русские старинные знамена (Дополнение к III отделению, „Древностей Российского государства“, Москва, 1865, стр. 37.

2 იქვე, გვ. 37.

3 ცნობები ჩაწერილია ჩემ მიერ სვანეთში, სეტში, 1946 წ. აგვისტოს ბესლან ფალიანისაგან და ივდით ჯაფარიძისაგან (სოფ. სეტი). იხ. ზემოთ.

4 ს ე რ გ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, ტფილისი, 1934, გვ. 179, 180.

5 ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (ურბნელი), ფშავ-ხევსურეთი („ეთნოგრაფიული ნაწერები“), თბილისი, 1940, გვ. 15, 19.

ზემომოყვანილს ადასტურებს ხევსურულ ლექსში შენახული სურათი, თუ როგორ ჰკაზმავენ დროშებს ხევისბერნი, ომში გამგზავრების წინ:

„ბეღელჩი ესხდეს უფროსნი, ვინც უწინდელნი
ბერნია,
სალაშქროს დროშას ხკაზმევდეს ბჟენი და ქევის
ბერნია“[1]

კაზმვა გამოიხატება დროშების აბმაში და ზარების შებმაში[2].

ლექსი გვიხატავს შეიარაღებულს მედროშეს დროშით ხელში:

„დავნატრი დაბადებასა
ხოშარას ხახაისასა!
აისხამს იარაღებსა,
ანგელოზსა ჰგავ ცისასა,
მხარზედ გაიდებს დროშასა
ლაღის ლაშარის ჯვრისასა;
გამაუძლვება ფშავლებსა,
სახელს ახსენებს ღვთისასა“[3].

—

„ბეწინას მედროშაესა მშვილდს უმზადებენ,
ისარსა;
მჯართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიჯვში ნარჩევის
რქისასა“[4].

სალაშქროდ განწყობილი მედროშეები აჟღერებენ დროშებს (ზარებს):

„ფაცხვერსა ბაჯინცაურსა გავლა სწადიან მთისაო,

გადმოსვლა ახიელჩია, ჟღერება დროშაისაო“[5].

ლაშქრის გამგზავრება ბაირახტარების დაძვრით გამოიხატება:

„შაყრილან ფშავლის შვილები, ლაშარსა
გროვდებიანო,
გადავლენ ალაზნის თავსა თუშეთს
მუქარაზედაო,
საგათენობოთ დაეცნენ თუშეთს
მხაროვანზედაო.
შაიტყეს წოვათ ბიჭებმა, აბჯართ გაიღეს
ჟღრიალი;
უთხრიდით ჩალმა გომეწართ, დაძრან
ბაირახტარები“[6].

დროშის როლი საღვთო საგნისა ამ დროსაც ცხადია: ისევე, როგორც ხატებსა და ჯვრებს, მათ სწირავენ ეკლესიებს.

---

1 ა. შანიძე, ქართ. ხალხ. პოეზია, I, ხევსურული, გვ. 222.

2 იქვე, გვ. 73.

3 „ფშაური ლექსები“ გვ. 71.

4 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 229.

5 იქვე, გვ. 51.

6 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 47. ჩაწერილი თუშეთში.

„ბეკუა, შვილმა. დროშა. ა მისხალი. მ~ზ ....
„იოკიმიანთ ისაიამ. დროშა. ა~მისხალი კ~ვ[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშის ეს როლი განსაკუთრებით ჩანდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ქართულ მთაში. აქაც ვხედავთ დროშების შეწირვას, ხოლო ზ. სვანეთში შერჩენილი ყოფილა ძალიან საყურადღებო ნაშთი შეწირვასთან დაკავშირებულ ღვდელმსახურებისა. მის შესახებ მომითხრო 1947 წლის ზაფხულს სოფ. ადიშის მცხოვრებმა გიორგი ალმაიზის-ძე ავალიანმა (68 წლისამ). დროშის შეწირვა, მისი სიტყვით, სრულდება, როდესაც ვაჟი ერთი წლისა გახდება. მას წაიყვანენ ხუთშაბათს „ლიჩანიშში“ (ადიშმა იცის ეს დღეობა კვირიკობის თვეში, ე. ი. ივლისში) „წმ. გიორგის კარზე“, — ჯგრაგის ეკლესიაში, რომელიც სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული ადიშიდან. ვაჟის პატრონს მიჰყავს საკლავად ცხვარი და მიაქვს აბრეშუმის დროშა — „დურშაი“ („დურშაი“—სალოცავია, ბაირახი — „ვაენისა“ არის“).

„მოლაპარაკე“ ანუ „სოფლის გამორჩეული“ კაცი, ე. ი. განსაკუთრებით საპატიო პირი, დალოცავს ვაჟიშვილს: „წმ. გიორგი, შეეწიე ამ ვაჟიშვილს“. სოფლის თორმეტიოდე წლის ბიჭები, ყველა დროშით ხელში, უპასუხებენ: „ამინ“. დროშას ვაჟის პატრონი შესწირავს ეკლესიას“.

ჩვეულებრივ დროს ხსენებული დროშები ინახება ადიშის მაცხოვრის ეკლესიაში. 1947 წლის ზაფხულს ვნახე ერთი ბოხჩა დროშები, დაკიდებული ჭერთან, მეორე დაბლა იდვა ეკლესიაში. „დურშაი“ წარმოადგენს სამკუთხა ხილაბანდისებურ ნაჭრებს—„ლაჩაქებს“. ისინი, რომლებიც გავსინჯე, ახალი იყო, მორთული. მაგრამ სწორედ ასეთ დროშათა რიცხვში კვირიკეს ეკლესიაში (კალა) ვნახე ორი ძველის-ძველი სპარსული ალამი, როგორც ეტყობა წართმეული მტრისაგან, ამის გამო საჭიროა ზ. სვანეთის ეკლესიების გამოკვლევა ამ მხრივაც.

ზემო აწერილი საინტერესო წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც ჰპოვებს დადასტურებას: საორბისის ეკლესიაში (ქართლი) ინახებოდა თეთრი ალმებიანი ჯოხები ვაჟების ბედზე შეწირული; მთიულეთშიც უცოლო ვაჟები სწირავდნენ წიფორის წმ. გიორგის ეკლესიას დროშებს[2].

ეს წესი ძველიდან უნდა იყოს შერჩენილი: გიორგი უფლისწულისათვის (შემდეგში გიორგი XII) დროშის შემზადება, მის 7 წლის ჰასაკში, და სპეციალური ზეიმის მოწყობა დროშის კურთხევის გამო შეიძლება ამ წესის ანარეკლი იყოს.

ღვთაების წარმომადგენლად ჩანს დროშა, როდესაც ხევსურს ჯვარი ჰყავს სახლში სტუმრად („ჯვარის სტუმრება შინ“). ჯვრის სტუმრება ფაქტიურად არის დროშის სტუმრება: დროშა მიაქვთ მასპინძელთან, აქ ხდება თავისებური ღვდელმსახუ-

---

1 ტფილისის სიონის საბუთი 1740 წლისა („ისტორიული საბუთები“, V, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1913, გვ. 59).

2 ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 165—166.

რება, „ხუცობა“ „მედროშაეს“ მიერ, რომელიც მსხვერპლის შეწირვასაც ასრულებს[1].

დღეობაშიც დროშას უჭირავს ღვთაების ადგილი:

„ეს დროშა ბევრს ხიფართს აშორებს ხალხს. აღარ შუღლობს ხალხი: „დროშაიავ გარმაყუდებულივ, ჯვარ გაგვიწყრებისავ“, ეტყვიან ერთუცს: „მთხილად ვიყვნათავ, ჯვარს არ შავსცოდდათავ“[2].

ამ მაგალითებიდან ჩანს პატივისცემა დროშისადმი, როგორც ღვთაებისადმი, მაგრამ სხვა შემთხვევებში ჩანს სხვა „ფუნქციებიც“ დროშისა: „მაცილ-ეშმაკისაგან მოხიბლულს ხევსურები კარატის დროშით „აკოჭვინებენ“[3], „ზვავისა და წყლისაგან დამხვრჩალის „სულის გამოხსნა“ მხოლოდ კარატის ჯვარს შეუძლია... ხუცი წამოიღებს კარატის დროშას, მივა იქ, სადაც შემთხვევა მომხდარა, დროშის ტარს დაჰკრავს და იტყვის: „კარატის ჯვარო, უშველე სულთა კაცისათა“[4]; დროშას სთხოვენ მადლს[5]; დროშით დააფიცებენ[6]; დროშით ხელში ამწყალობებენ[7]; დროშას ჯვარულად გადასახავენ[8].

ყველა ეს აიხსნება სწორედ დროშის „ღვთაებრივობით“: „დროშა ხომ ისეთი წმინდა რამეა, რომ უბრალო კაცი ახლო ვერ მიეკარება, თითსაც ვერ შეახებს“[9].

საქართველოს ეთნოგრაფია ადგენს, რომ ხევსურეთში სწორედ ის ჯვარი, რომელიც დროშის ბუნზეა დამაგრებული, წარმოადგენს ღვთაების მატერიალურ გამოსახვას და თაყვანისცემის ობიექტია[10].

დროშა ღვთაების როლში განსაკუთრებით ჩანს არხოტში. სოფელ ახიელში ხატის დარბაზში გამართულია დროშის სპეციალური საბრძანისი. დროშის ჯვარი ატარებს მთავარ-ანგელოზის გამოხატულებას. ლოცულობენ ამ დროშის წინ, სხვა ხატები სამლოცველოში არ არის[11].

როგორც ვხედავთ, დროშა საქართველოში ძველ დროს ითვლებოდა ღვთაებრივობის მატარებელ საგნად ისევე, როგორც ეს იყო ძველ აღმოსავლეთში: ასურეთში, მაგალითად, დროშის წინაშე ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა[12].

ამ ძველ წარმართულ ჩვეულებას მოგვაგონებს 1722 წლის „ღვთაების გუჯრის“ ერთი ადგილი:

„დროშისათვის ღ~თაებისა პატივად სხვათ მეფეთაც

---

1 ბესარიონ გაბუური, ჴევსურული მასალები, გვ. 121—122.

2 ბესარიონ გაბუური, ჴევსურული მასალები. გვ. 124.

3 ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 241.

4 იქვე, გვ. 240, 241.

5 ბესარიონ გაბუური, ჴევსურული მასალები, გვ. 123.

6 ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ფშავ-ხევსურეთი, გვ. 60

7 ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 165.

8 იქვე, გვ. 161.

9 ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ფშავ-ხევსურეთი, გვ. 28.

10 „Установлено, что в Хевсуретии термин, обозначающий крест (Джвари, Хати) является также общим наименованием божеств. Крест на древке знамени представляет собой материальное выражение божества и служит объектом поклонения“ („Краткий очерк советской науки за 25 лет“, Тбилиси, 1946, გვ. 27).

11 ს. მაკალათია, ხევსურეთი, 261—263.

12 Heinrich Schäfer, Assyrische und ägyptische Feldzeichen, „Klio“, Band VI, Heft 3, 1906, გვ. 395—6.

შეეწირა, და ჩვენც ესრეთ განვაჩინეთ, რათა ჩვენნი ყმანი: თავადნი, ეპისკოპოზნი, აზნაურნი და გლეხნი ღ~თაებისა დროშისანი ყოვლისაგან ნაშოვებისა ხუთის თავს უზრუნველად ღ~თაების დროშას სამადლობელად მიართმიდენ, რომელ მისისა საფარველითა წარმოუტყვენავთ მტერნი თვისნი და დაუმორჩილებიათ“[1].

ზემოხსენებულის გამო საინტერესო საკითხს წარმოადგენს, დაკავშირებულია თუ არა დროშებთან ტერმინი „დროშმი“, რომელიც ს. ორბელიანით ნიშნავს კერპებს: „დროშმი ყოველთა კერპთა სახელი არს“.

—

XVI—XVIII საუკუნეთათვის რამდენიმე ფორმის დროშებს ვიცნობთ: ერთია ლითონიდან გაკეთებული, დისკოს სახის დროშები. ასეთები დაამზადეს მეფის კურთხევის ძველი ცერემონიალის აღდგენის გამო XVIII საუკუნის ნახევარში. ჩვეულებრივ კი ამ დროს, როგორც ჩანს, ესენი ხმარებაში აღარ იყო.

განაგრძობენ არსებობას სხვა ძველი დროშებიც: გველეშაპის სახის დროშა სვანეთში და სხვ.

კვლავ ხმარებაშია დროშა-ჯვრები და ლაბარუმის მსგავსი დროშები (მაღალაძიანთ დროშა).

განსაკუთრებით გავრცელებული იყო დროშები, რომელნიც შედგებოდა ბუნის სიგრძეზე დამაგრებულ ალმისაგან, ჰქონდა „თავი“-ც. ალამი იყო ან სწორკუთხედის ფორმისა (ვახტანგ VI-ის დროშის ალამი და ალმები ვახუშტის რუკების გერბებზე), ან სწორკუთხედ ნაწილზე სამკუთხედი კალთები ჰქონდა (სწორკუთხედი და კალთები ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე იყო გამოჭრილი). იყო სამკუთხედი ფორმის ალმებიც. როგორც ნათქვამი იყო, ტერმინი „დროშის კალთები“ გვხვდება ერეკლე II-ის დროშის აღწერილობაში სოლომონ ლეონიძის ნაწარმოებში. მღელვარე პათოსით სავსე, ძლიერ მხატვრულ გამოთქმებში მჟღავნდება ლეონიძის მჭერმეტყველური ნიჭი:

„მზე... და მთოვარე... მეფის ერეკლის გამარჯვებულს დროშას წინ უძღოდენ...

„...ვის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბავრაყი“...

„...რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა, თუ კი მტერზედ გარდახურვილს შენის შიშის ფარდას აჰხდიდი?.

„...რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა?...

...ვის დროშას ვემსახურო! ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვჰკვდე?[2].

როგორც ვხედავთ, ეპიტეტი „გამარჯვებული“, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური

---

1 „ღვთაების გუჯარი 1722 წლისა“, გვ. 25.

2 სოლომონ ლიონიძე, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ღირსისა, გვ. 54, 55, 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერების დროს მიკუთვნებული ჰქონდა სამეფო დროშას, ახლაც ჩანს ერეკლე II-ის დროშის მიმართ.

XVII საუკუნეში ილორის ხატის წარწერაში და შაჰნავაზიანში გვხვდება მეფის დროშისათვის მეორე ეპიტეტი: „ქაიანური“: „ჩუენ.... (დადიანი პატრონი ლევან) ...შევებენით იმერელ მეფესა გიორგის... ვსძლიეთ..: გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა: ჯუარი ხალასათ შეკერული ალმითა“[1].

„ამართეს დროშა მაღალი, ქაიანურის ჴელისა“[2].

შაჰ-ნამეს ლექსიკონში სიტყვას „ქაიანი“ აქვს შემდეგი განმარტება: „قاآن“ ქაიან მრ. რ. სიტყვისაგან قا ქაი— 1) სამეუფო, მეფური, 2) გმირი, მეფე. აქედან: „ქაიანური დროშა—სამეფო სახელმწიფო დროშა“[3].

მართლაც, იმერეთის მეფის დროშა, ზემოთაც იყო ნათქვამი, სახელმწიფო დროშა ჩანს, და ეს ტერმინიც უდგება.

დროშის სახელი „ქაიანური“, გადმოცემით, რომელიც „შაჰ-ნამე“-ში არის მოთავსებული, ლეგენდარულ მჭედელ ქავასთან არის დაკავშირებული. ქართულ პროზაულ თარგმანში მჭედლის სახელის ოდნავი ფონეტიკური სხვაობაა: „გავა“.

„ქაიანური“ თითქოს მხოლოდ სამეფო დროშას არ ერქვა. ეს ჩანს შაჰნავაზიანის სხვა ადგილიდან, რომელშიც თავადების დროშები ქავის სახელს ატარებენ:

„დიდთა დიდგვართა თავადთა დროშა მიუძღუის,
ქავია“[4].

სამკუთხედი ფორმის ალმებს ვხედავთ კასტელის ალბომის გორის ციხეზე (XVII საუკ.)[5]. ამ ფორმის ალამს მოუღწევია ჩვენამდის. იგი ინახება ლეჩხუმის მუზეუმში (ქ. ცაგერი). მისი ფოტო-სურათი, ინსტიტუტის თხოვნით, გამოგზავნილ იქნა მუზეუმის დირექტორის ივანე მახარობლიძის მიერ.

ალმების ქსოვილად აბრეშუმი იყო გამოყენებული.

რა ფერისა იყო ქართლის სახელმწიფო ალმები, არ ჩანს. ვახუშტის რუკებზე მოთავსებული გერბების მიხედვით, თითქოს, შვინდისფერი უნდა ყოფილიყო (შვინდისფერია ვახტანგ VI-ის პირადი სამეფო დროშის ალამი), მოწითალო ფერისა („ვარდისფერი“) ყოფილა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ალამი.

ვახუშტისავე რუკების მიხედვით, კახეთის მეფის ალამი, თითქოს, მომწვანო, ფუსტულისფერია, სამცხე-საათაბაგოსი — თეთრი.

---

[1] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ტექსტი, გვ. 157.

[2] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 66.

[3] აბულ ყასიმ ფირდოუსი ტუსელი, შაჰნამე, II, (ლექსიკონი), ტფილისი, 1934, გვ. 621.

[4] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 10.

[5] იხ. წიგნში: W. E. Allen, A History of the Georgian people, London, 1932, 130—131 გვერდებს შორის, და სხვა გამოცემები.

ალამზე მოთავსებული გამოხატულებანი ან მოხატულია (ორივე მხრიდან ან ერთი მხრიდან), ან „შეკერილია“ (ნაქარგი). ილორის ხატის წარწერის თანახმად, XVII საუკუნეში იმერეთის მეფის ალამი „ხალასად შეკერულია“[1].

რუსეთის ელჩების სიტყვები ამ უკანასკნელ ცნობას ავსებენ: „И как Башечицького царя Григория царь Леонтей воевал и царя Григория и знамя его взял и то знамя приложил к спасову образу, а на знамени вышит образ Дмитрия Селунского, а округ знамени шиты слова золотом“[2].

ვახტანგ VI-ის ალამი მოხატულია. მოხატულია სოლომონ I-ის დროშის ალამიც.

სამეფო ალამთა გამოხატულებანი ძირითადად სარწმუნო ხასიათისაა.

ვახუშტის რუკებზე მოთავსებულ გერბებში ყურადღებას იპყრობს ის, რომ საქართველოს გერბები სხვადასხვანაირია: ერთზე წარმოდგენილია ცხენოსანი წმ. გიორგი, მეორეზე—მთავარანგელოზი, მესამეზე მოთავსებულია ბაგრატიონთა საგვარეულოსთან დაკავშირებული ემბლემები სვეტი-ცხოვლის ამართვისა და დავით წინასწარმეტყველის ისტორიიდან.

პირველ ორ გერბზე წარწერილია, რომ ეს „საქართველოსი“ გერბები არის, ხოლო მესამეზე — „სამეფო კვართიან დავითიანი საქართველოსი“, ე. ი. ეს ბაგრატიონთა გერბია. ძირითადად, ეს გერბივე გამოხატულია ვახტანგ VI-ის 1711 წლის დროშაზე, რომელიც ამის გამო უნდა ჩავთვალოთ მეფის პირად დროშად. საქართველოს გერბის წმ. გიორგი კი სახელმწიფო დროშის ემბლემაა. წმ. გიორგი გამოხატულია გიორგი III-ის ბეჭედზედაც. ამ დასკვნას მხარს უჭერს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაც, რომ სამეფო დროშაზედ წმ. გიორგი იყო ხოლმე გამოხატული[3]. დამამტკიცებელ ცნობებს ამის შესახებ ვპოვებთ რუსეთის ჰერალდიკაშიც[4].

აქედან ჩანს, რომ ქართლი თვლიდა თავს მთლიანი საქართველოს მემკვიდრედ. საყურადღებოა, რომ ვახუშტის მიერ ქართლის გერბი — „ქართლისა“ — არის წარმოდგენილი ცალკეც. მას შეადგენს გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მათ აქეთ-იქით კი დამსხდარი ლომი და ხარი.

XVII საუკუნეში იმერეთის მეფის დროშაზედ წმ. დემეტრე ყოფილა გამოხატული. წმ. გიორგი და წმ. დემეტრე ერთი მნიშვნელობის წმინდანებს წარმოადგენენ: ორივე მეომარია, ორივე გველეშაპის გამგმირავია.

როგორც ვხედავთ, ვახუშტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს გერბი საფუძველს ჰპოვებს ისტორიულ

---

[1] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ტექსტი, გვ. 157.

[2] „Посольство в Дадианскую землю“, გვ. 348.

[3] თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა..., გვ. 19.

[4] А. Лакиер, Русская геральдика, СПб, 1855, таб. XVII და გვ. 521.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროებში და ძეგლებშიც. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სხვა შემადგენელ სამეფოთა გერბები ვახუშტის ნაშრომში, ნაწილობრივ მაინც, რეალური იყო. საკითხია მხოლოდ, მთავართა პირად გერბებთან გვაქვს საქმე, თუ სახელმწიფო მნიშვნელობის გერბებთან. გერბების სანდოობას ისიც ადასტურებს, რომ, როდესაც ვახუშტის რუკებზე სხვადასხვა სამთავროთა გერბები განმეორებით არის მოყვანილი, ძირითადად ერთგვარობას ვხედავთ (თუმცა განსხვავებათაც აქვთ ადგილი). რადგანაც მოსალოდნელია, გერბების გამოხატულებანი დროშების გამოხატულებებს ხვდებოდეს, მოკლედ მომყავს სია გამოხატულებათა საქართველოს ძირითადი ნაწილების გერბებზე:

| | |
|---|---|
| აფხაზეთის გერბი: | ჯიხვი და სამი ნახევარმთვარე მის ზემოთ. |
| სვანეთის გერბი: | დათვი მთების წინ. |
| ოდიშის გერბი: | ტახი, წინა ფეხებში უჭირავს თეთრი დროშა. დროშაზე გამოხატულია თეთრი ფრინველი პროფილში მარცხნივ, მის აქეთ-იქით ვარსკვლავები ოთხგან. |
| გურიის გერბი: | შველი, მის ზემოდან მნათობი. |
| იმერეთის გერბი: | ირემი, მის რქებს შუა—ჯვარი; ჯვრის ზემოდან — ახალი მთვარე. სურათის ცენტრში წითელი გვირგვინი. |
| სამცხე-საათაბაგოს | გერბი: ერთს შემთხვევაში მწოლარე ცხვარს, ხოლო მეორე შემთხვევაში მწოლარე ლომს წინა ფეხებში თეთრი დროშა უჭირავს. დროშაზე გამოხატულია მოხრილი ხმალი; ხმლის ზემოდან და ქვემოდან—თითო ვარსკვლავი. |
| კახეთის გერბი: | ფრთოსან ნაცრისფერ ცხენს ფეხით ფუსტულისფერი დროშა უჭირავს, ზემოდან გვირგვინია. ერთს შემთხვევაში კახეთის გერბის დროშაზე ზამბახისებური ნიშანია, მეორე შემთხვევაში—ორი ვარსკვლავი. |

ბატონიშვილ იოანეს ცნობით, აზიაში გერბები მიღებული არ იყო. მათი შემცვლელი იყო ბეჭდები[1]. საფიქრებელია, რომ ბოლო საუკუნეებში საქართველოში გერბები მაინც შემოღებული იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გამო. XVII საუკუნის დასასრულს ქართლის მეფეს თავისი გერბი ჰქონია.[2] ვახტანგ VI-ის გერბზე ევროპული გერბისებური დანაწილება და პრინციპები ცხადია.

გერბების ემბლემები საბეჭდავების ემბლემებს უნდა ხვდებოდეს, ხოლო საბეჭდავებს („ბეჭდებს") საქართველოში ღრმა წარსული აქვთ, და მათ როლზე მიუთითებს ბატონიშვილი იოანეც.

ჩვეულებრივ, ქართულ დროშებზედ (ალმებზე) ვხედავთ წმ. გიორგის (ძველი სინათლის ღვთაების) გამოხატულებას. მაგალითად, ასეა სოლომონ I-ის, პაპუა მოურავის, მუხრან ბატონის, გურიის ერისთავის, მაღალაძის და სხვ. დროშებზე.

დროშის თავები ამ დროს, ძირითადად, ორგვარი ჩანს. ერთი სახე დროშის თავისა ჯვრის ფორმისაა, როგორც ძველად. ასეთია, მაგალითად, კახეთის მეფის დროშაზე: „მოვედით ტაძარსა შენსა და შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი—ბროლის ჯუარი".[1] ეს დროშის თავი უნახავთ XVII საუკუნეში რუსეთის ელჩებს: „Того-же числа пришли в Егорьевский монастырь (მოქვიდან). По другую сторону престола поставлен крест хрусталной, долгое и прекое у креста в меру трех четвертей аршина, а по середине креста серебряная цка в меру вершечка, а по той цке вылит образ Тройца. А сказывали Андрей епископ да поп Гаврила: как де царь Леонтей ходил на Башечицкого царя и в те поры Темряз царь з Башечицким царем в собрании были заодно против царя Леонтея, а тот де крест хрусталной поверх знамени Темрязова был... и царю де Леонтею бог поручил Башечицкого и Грузинского царя побил и знамена у них побрал и в те поры и тот крест хрусталной з знаменами взят"[2].

ვერცხლის ჯვარი ჰქონია სოლომონ I-ის დროშას, როგორც დროშის თავი.

ჯვრის სახისაა ყველა ქართული დროშის თავები ვახუშტის რუკებზედ. ჯვრის სახის საყურადღებო დროშის თავმა მოაღწია ჩვენამდე. იგი შეწირულია ხირსის ეკლესიისათვის როსტომ მეფის მიერ.

სამეფო დროშის თავის მეორე სახე შუბის პირია, როგორც ეს წინა საუკუნეებშიც იყო.

ცნობა დროშის შუბის შესახებ მოთავსებულია ხონის ეკლესიის ხელნაწერის—„დავითნის და სახარების თარგმანი"—მინაწერში: „ყდის მარჯვენა ნახევრის წინა ყაერდზედ აწერია გარკვეული მხედრული ნუსხურით: „საჯენ, უფალო, მავნებელი ჩემნი და ბრძოდე ბრძოლათა[3] მათ ჩემთა, აღიღე ჭური და ფარი და აღდეგ მწედ ჩემდა. განფინე მახვილი შენი და შეკრიბე წინ კერძო მდევართა ჩემთასა: ეს ფსალმუნის მუხლები ნიკოლაი დამიწერიეს ბაირაღის შუბზედ აწერია"[4].

რადგან დავითნის სწორედ ეს ტექსტი ვახტანგ VI-ს

---

1 „კალმასობა", საქ. მუზ. ხელნაწ. H 2170, გვ. 93 r.

2 А. Лакиер, Русская геральдика, I, СПб, 1885, გვ. 236 ტაბ. XVII.

1 კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ტექსტი, გვ. 157.

2 „Посольство в Дадианскую землю", გვ. 353. ილორის ხატის ცნობები შეფარდებული აქვს რუსეთის ელჩების ცნობებთან დოცენტ კ. გრიგოლიას („ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა"...)

3 უნდა: მბრძოლთა.

4 ექვთიმე თაყაიშვილი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, „ძველი საქართველო", III, განყ. I, ტფილისი, 1913—1914, გვ. 283.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშის ალამზე წერია, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ეს შუბი სამეფო დროშის (პირადი დროშის) თავს წარმოადგენდა.

თვით სამეფო საბრძოლო დროშის შუბის პირს მოუღწევია ჩვენამდე. იგი ახალციხის მუზეუმში ინახება. მასზედაც დავითნის ტექსტი წერია. ფოტო გადმოგვცა მუზეუმის დირექტორმა სოფიო სადათიერაშვილმა.

შუბის პირის ფორმისაა დროშის თავი ქიზიყის მოურავისა (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) და იულონ ბატონიშვილისა. პირველი არის საზეიმო შემთხვევებისათვის განკუთვნილი (ვერცხლისაა), მეორე — ნამდვილი საბრძოლო.

შირვანის და დაღესტნის დროშის თავები ვახუშტის რუკებზე განსხვავებული სახისაა და არა ჯვრის სახისა, როგორც ეს თამარის დროს იყო ყმადნაფიც სახელმწიფოთა დროშებზე. ისინი წარმოადგენენ ბირთვს, რომელზედაც დასმულია ან სამფურცლისებური ფიგურა, ან დანისპირისებური: ამის აქეთ-იქით კი მორჩებია. ფიგურა მოგვაგონებს სპარსულ დროშის თავებს[1].

ეს დახვედრა საგულისხმოა, რამდენადაც ვახუშტის ცნობების სისწორეს გვიჩვენებს.

დროშების თავები კვლავ ჭედურია, ძვირფასად ნამუშევარიც გვხვდება. ყოფილა ძვირფასი მასალისაც.

XVII საუკუნის ცნობით სამეფო დროშას ჰქონია ძვირფასი ქსოვილის ბუდეც.

წარწერებს ვხედავთ როგორც ალმებზე, ისე დროშის თავებზედაც. ისინი ან გამოხატულებებს განმარტავენ, ან დროშის პატრონებს და შემწირველებს აღნიშნავენ, ანდა ლოცვას შეიცავენ.

სამეფო დროშის ბუნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. შენახული ბუნები (პაპუა მოურავის დროშისა და სხვ.) ხისაა და ან შეუღებავია, ან შეღებილია შავად, თუ მოწითალო-ყავისფრად.

ბუნებს ჰქონიათ მიწაში სარჭობი წვეტებიც. ასეთს, მაგალითად, ვხედავთ პაპუა მოურავის დროშის ბუნზე. XVIII საუკუნის ბოლოს დროშებზე ვხედავთ თასმებს ხელის გასაყრელად და ცხენოსნის ფეხის ჩასადგმელად.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული დროშების ბუნები სოფ. მჭადიჯვარიდან. დროშის თავის გარდა მათზე ვხედავთ გამოხატულებებს ბუნის სიგრძეზედაც, როგორც ეს იყო რომაულ დროშებზედ[2]. ბუნებზე სპეციალურ დაფებზე ამოჭრილი გამოხატულებანი მზის კულტთან არის დაკავშირებული ძველიდან. კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ, როგორც სხვა აზიანელებისათვის, ქართველი ტომებისათვისაც, ქვეყნის ნაყოფიერების ღვთაებათა თაყვანისცემა მთავარ კულტს შეადგენდა. ამ გამოხატულებათა ორნამენტი და ტექნიკური შესრულება (ამოჭრილი სამკუთხედების სახით) ისეთივეა, როგორც მთეულთა ავეჯზე და სხვ. ხოლო V—VI საუკ. ჩვენი წ. ეს ორნამენტი გვხვდება ქვაზედაც.

ფორმა იმ დაფებისა, რომელზედაც გამოხატულებანია მოთავსებული, წარმოადგენს ან ჩაზნექილწიბოებიან ოთხკუთხედს, ან ასეთსავე რვაკუთხედისებურ ფიგურას. ფორმა დაახლოებით ლომისას ხატს[1] და გერის ეკლესიის დროშის ლაბარუმებისებურ ფორმას მიემსგავსება.

—

როგორც ვხედავთ, გვიანი საუკუნეების ქართული დროშების საინტერესო მხარეს წარმოადგენს მათში შენახული ძველი ქართული და ძველი აღმოსავლური ტრადიციები. ეს სხვა დროშებზედაც თვალსაჩინოა. განსაკუთრებით მჟღავნდება ეს მზის სიმბოლოების სფეროში. არა ნაკლებ საყურადღებოა დროშების ფორმები, რომლებსაც აქვთ კავშირი სუბარულ, ლურისტანისა და ასურეთის პირველი ათასეულის დროშებთან.

მისწრაფება ტრადიციის შენახვისა სავსებით ცხადად მტკიცდება იმით, რომ XVIII საუკუნის ნახევარში მეფის ბრძანებებით შექმნილი იყო დროშები „ძველის რიგითა", ე. ი. ძველის სტილითა.[2] თუმცა მეფის ეს ბრძანება შესრულდა, ძველი ფორმა აღდგენილ იქნა, გამოხატულება განმეორდა, მაგრამ სტილისტიკურად იგი უკვე თავის ეპოქის პროდუქცია აღმოჩნდა.

ირანთან ურთიერთობის ზრდამ გააძლიერა ირანის ხელოვნების გაცნობა. სეფიანთა დროის სტილისტიკური მომენტები, „ირანული მხატვრული ელემენტების მძაფრი შესუტვა"[3] ცხადად იგრძნობა ვახტანგ VI-ის ალამისა და ქიზიყის მოურავის დროშის შუბის მიხედვით. საგულისხმოა „გარდაქმნაც ქართულ ძირითადს თემებში მისგან განსხვავებულის ირანული თემებისა"[4] (ვახტანგ VI-ის ალმის გული, ჯვრებით შემკული).

გამოხატულებათა (ხატების) კომპოზიციები დროშებზე ამ დროს ძირითადად იგივეა, რაც განვითარებულ შუა საუკუნეებში იყო, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ტლანქდება, ხელოსნურ იერს იღებს. დიდი ხანია მოიშალა სიმყუდროვე მონასტერთა, სადაც მუშაობდნენ ოქრომქანდაკებელნი. ქალაქის სიმაგრეები აღარ იცავენ ოსტატებს რბევათაგან, ცხოვრება სამეფო სახლისაც, რომელიც მფარველობდა ხელოსნობას, ახლა მღელვარეა და ცვალებადი. ამიტომ წინსვლა არ

---

[1] იხ. XVI საუკ. სპარსული დროშები წიგნში „A Survey of Persian Art", Pl. 1433, და XV საუკ. დროშები წიგნში: Schulz „Die persisch-islamische Miniaturmalerei", II, Leipzig, 1914, Taf. 47.

[2] A. Domaszewski, Die Fahnen im römischen Heere Wien, 1885, fig. 19 და სხვ.

---

[1] სერგი მაკალათია, მთიულეთი, სურ. 68 (გვ. 168).

[2] ტერმინის „რიგი" განმარტება იხ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1947, გვ. 3.

[3] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ. 134.

[4] იქვე, გვ. 134.

არის. დასავლეთ ევროპის მხატვრული თავისუფალი მიდგომა სხვადასხვა საღვთო ხასიათის სჲუჟეტებისადმი აქ სრულიად არ ჩანს. აქ ისევ გაყინული ბიზანტინიზმაა, ახლა უსიცოცხლო და დაცემული. მიძინებული ჩანს მხატვრული ალღო ადამიანების და ცხოველების გამოხატვაში. რაც უფრო დრო გადის, უფრო ტლანქ, მძიმე და უშნო ფორმებში გვევლინება ესენი. ტექნიკაც ღარიბდება. დასავლეთ ევროპის კულტურის გაცნობა ზოგიერთი დეტალით მაინც იჩენს თავს ამ ძველ გამოხატულებებში, ხოლო ძლიერ მკაფიოა მეფის პირად დროშებზე (გერბიანზე). რუსული გავლენა განსაკუთრებით ძლიერდება XVIII საუკუნეში. ამგვარად, დროშების მიხედვითაც ცხადი ხდება ანარეკლი იმისა, რომ „საქართველო განუწყვეტლივ ეძებდა ზურგის გამაგრებას უმეშვეოდ ევროპიდანაც და რუსეთიდანაც“.[1]

საყურადღებოა, რომ დროშებზე საერო ხასიათის სიუჟეტებიც გვხვდება (ვახუშტის რუკების დროშების ნაწილი).

დეკორატიული მხარე მაღლა დგას ნაქარგობასა და მხატვრობაში. ფერების სასიამოვნო შეხამებას მუდამ მიედევნება თვალი. მყვირალა ფერები მდარე ნაწარმოებშიაც არა გვხვდება. გამმა ფერებისა ყოველთვის კეთილშობილია და მოხდენილი.

ჩვენამდე არ მოუღწევია ძვირფასად შეკერილ და მოქარგულ ალმებს, რომლის შესახებ წერილობითი ცნობები გვაქვს (იმერეთის მეფის ხალასად შეკერილი ალამი, კუჭაიძის მიერ შეწირული ოქროქსოვილი ალამი), მაგრამ მათაც უნდა ეტარებინათ თავიანთი დროის ბეჭედი.

დროშებმა ასახეს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. დაქსაქსული და სისხლდაცლილი საქართველო ველარ ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებითაც იგი დასავლეთ ევროპაზედ წინ იდგა X—XI საუკუნეებში[2]. საგულისხმოა, რომ ამისდა მიუხედავად ხელოვნების ნაწარმოებნი ქართულ იერს მაინც არ ჰკარგავენ, „თავის ნათქვამობა“[3] მკაფიოა.

როგორ მზადდებოდა დროშები ამ გვიან საუკუნეებში, გვაქვს ცალკეული ცნობები: 1745 წელს მეფის კურთხევისათვის დამზადდა დროშები სადროშოების უფროსთათვის, მათ შორის იყო მეფის დროშა. დროშების ფორმა და სახე მეფის მიერვე იყო ნაბრძანები: „ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება: გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული“[4]. ასევე თეიმურაზ მეორის ბრძანებით იყო დამზადებული გიორგი უფლისწულის დროშა (ამაზე ქვემოთ). სხვა დროშების დამზადებაზე პირდაპირი ცნობები არა გვაქვს.

---

[1] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ. 145.

[2] გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იშხანიდან, გვ. 309.

[3] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, გვ. 145.

[4] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 383.

## ქისიყის დროშა

ეპოქის ყველაზე ადრინდელ დროშას წარმოადგენს ქისიყის დროშა, უფრო სწორედ, დროშის თავი ჯვრის სახისა (ტაბულა XIX). ეს იმ ნივთთაგანია, რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნებულია საქართველოში სხვა ისტორიულ ნივთებთან ერთად. ამჟამად იგი ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში (კატალოგით, № 2414). საუკუნის დასაწყისში ჯვარი ყოფილა სოფ. ქოდალოს ეკლესიაში დაცული.[1] ჯვარი ჩამოცმულია ბუნის პატარა ნაშთზე.

ჯვარი ვერცხლის მასიური სქელი ფურცლისაა, მოოქროვილი. მისი სიგრძე ტარიანად—56,5 სმ, უტაროდ ჯვრის სიგრძე—19 სმ, სიგანე—15, 5 სმ.

ჯვრის მსხვილი, ლონიერი შტოები ბოლოსაკენ განიერდება და ოდნავ მომრგვალებულია. ზედაპირი სადაა. მთელ შემკულობას შეადგენს მხოლოდ წარწერები. ერთს მხარეზე წარწერები დაწერილია მხედრული, სუფთა, უპრეტენზიო ასოებით. ზემო შტოზე ამოჭრილია: „დიდება ღ̃თსა,“ ქვემოზე: „ქსა: ტლვ“. უკანასკნელი წარწერის ზემოდან ამოფხაჭნილია შემდეგში: „სრდლ მაყვლი აბელ“ (სარდალი მაყაშვილი აბელ).

გვერდითი შტოები კი მთლიანად გაუვსია ოთხსტრიქონიან წარწერას:

I ქ:. ნებითა: ღთისათა: ჩუენ: ქართლისა: და კახეთისა ორ

II ისავე: მპყრობელმა: მეფეთ: მეფემა: პატრონმან: რსტ

III ომ: გავაკეთებინეთ: დროშა ესე: ქისიყისა სახელსა ზედან: ხი

IV რსას: წმინდის: სტეფანისა: ჩუენად: გასამარჯვებლად:

ჯვრის მეორე მხარეზე მხოლოდ ასომთავრულ ასოებს ვხედავთ. ესენი სიმეტრიულად განლაგებულია ჯვრის შტოების ბოლოებზე: ოთხი ასო—მარცხნივ, ოთხი—მარჯვნივ, ორი—ზევით, სამი—ქვევით. ყველა ოთხივე შტოს ასოებს თითო ქარაგმა აქვს.

ზევითკენ: ჯ̃ი
ქვევით: ქ̃სი
მარცხნივ: ძვ̃ლჲ
მარჯვნივ: მტ̃თჲ

აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის წაკითხვით: „ჯვარი ქრისტესი ძლევაჲ[2] მტერთაჲ“. ასოები მსხვილი, მძლავრი ხაზებითაა ამოჭრილი და ძალიან საინტერესოდ გადაბმული. სიტყვაში „ძვ̃ლჲ“ ასოები ძ, ვ, ლ შეერთებულია ზედა-კიდურებით. სიტყვაში „მ̃ტოჲ“ ასევე გადაბმულია მ და ტ. ეს მძლავრი მოხაზულობის ასოები შესაფერი შემკულობაა მასიური ჯვრისათვის. ამ მხარეზე, შტოების გადაკვეთის ადგილას, ოთხკუთხი კოლოფისებური

---

[1] პ. კარბელაშვილი, ქართველთა საერო დროშის გამ (,,ივერია“, 1904, № 284).

[2] ასოები ვ და ნ გადასმულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაწილეა, იგი იკეტება მანის ფორმისებური საკეტის გადაწევით, ეს საკეტი გიორგი უფლისწულის დროშის ბუდის საკეტისებურია (იხ. „დროშა საუფლისწულო“ გიორგი XIII-ისა).

სანაწილეში რაღაც ნივთიერების ნაშთია.

აქ კვლავ ვხედავთ როსტომ მეფისათვის ძალიან დამახასიათებელ ამბავს: მაჰმადიანი მეფე ჯ ვ რ ი ა ნ დროშას აკეთებინებს ქრისტიანი წმინდანის სახელზე (სტეფანე—ქიზიყის მხარის წმინდანია), სწირავს მას ამ დროშას და ზედ აწერს თავის სახელს.

ჯვრის ტარი შედგება ლულისაგან, რომელიც წაკვეთილ კონუსისებურია, იგი ფართოვდება ქვემოთკენ. ორი რელიეფური ხაზი ამკობს კიდეს. დანარჩენი ზედაპირი სადაა. ლულას ზემოდან ვხედავთ მასივურ სფეროიდალურ ბუშტს, გაწეულს გვერდებისაკენ. ლულა და ეს ბუშტი მთლიანად ერთად არის ჩამოსხმული. მირჩილვის ადგილი არა ჩანს. ბუშტის შემდეგ ზევითკენ სწორე ცილინდრული მილია, უფრო მცირე დიამეტრისა. იგი ზემოდან დახურული ყოფილა, გაჭრილია შუაში მთელ დიამეტრზე და გაჭრილში ჩასმულია ჯვარი. ჯვარი დამაგრებულია ორი ლურსმნით, რომლებიც გატარებულია მილში და ჯვრის შტოს ბოლოში. მილის ორივე მხრიდან ლურსმნების თავზე ჩამოცმულია ნახევარსფეროსებური ქუდები. დამაგრების ხერხში არის მსგავსება მუხრან ბატონის დროშისასთან (იხ. ქვემოთ).

მთელი აღნაგობა ჯვრისა ტარითურთ საკმაოდ მწყობრია და სიმტკიცის ბეჭედს ატარებს.

ბუნის ნაშთი ოდნავ მოწითალო-წაბლისფერია და უსწორ-მასწოროდ წახნაგებული; ცეცხლში ჩანს მოყოლილი, ჰიას გაუკეთებია მასში ხვრელები.

### ვახტანგ VI დროშა

საქართველოს ცალკე სამეფოებად დაყოფის დროიდან შერჩენილია ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ალამი. ვახტანგ VI-ს თავისი დროშა წაუღია თან რუსეთში. პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობით, ვახტანგ VI-ს შვილის ბაქარის ჩამომავლისაგან დროშა მემკვიდრეობით რგებია გოლიცინს, ხოლო მას იგი მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივისათვის შეუწირავს:

„ეს დროშა, როგორც არხივის დოკუმენტებშია მოხსენებული (1899 წ. მაისის 7, 284), თავადს გოლიცინს მემკვიდრეობით რგებია გრაფინია ტოლსტოისაგან, ქართველთა ბატონიშვილის ასულისაგან“.[1] დროშასთან ერთად გოლიცინს შეუწირავს „სპილენძის ტარი 7 ვეოშოკის სიმაღლისა“. ეს ტარი, ხახანაშვილის სიტყვით, „ქართული ხასიათისა და ხელოვნებისა არ უნდა იყოს. აქ სპილენძზე გამოყვანილია შუაში ჯვარი და გარშემო ეკლის გვირგვინი, დასაკრავად აწეული ხელი, სამი ლურსმანი, მახვილი, კიბე, ბოძი, ჩაქუჩი და გაზი. ამას ხევით მოსჩანან მამა ღმერთი და ძე ტახტზე და სული

---

[1] ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაციონალური დროშა (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2738).

წმინდა“.[1] 1922 წელს ალამი დაბრუნებულ იქნა საქართველოში. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კატალოგში შემდეგი ჩანაწერია, გაკეთებული სერგო გორგაძის ხელით:

„ქართული დროშა მუქი შვინდის ფერისა, ზომით 2 მ 10 სმ×1 მ 70 სმ, რომელიც ინახებოდა რსფსრ-ის სახელმწიფო არქივში და დაბრუნებულ იქმნა რუსეთიდან 1922 წელს, 9 სექტემბერს. დროშა ოქროს ვარაყითა და ფერადი წამლებით მოხატულია; ერთი მხრით დავით წინასწარმეტყველი და ბაგრატიონთა ღერბის ემბლემებია (ქნარი, შურდული, კომბალი, სასწორი, სკიპტრა, ხმალი, სფერო), ხოლო მეორე მხრით: კვართი და სვეტიცხოველი, აქეთ-იქით მირიან და წმ. ნინო: აგრეთვე მზე და მთვარე და ვარსკვლავები. ირგვლივ ორსავ მხარეს აქვს ვრცელი ასომთავრული ჩართული წარწერა (სიტყვები ამოღებულია დავითის ფსალმუნებიდან[2]), ხოლო ბოლოში ზის თარიღი: ჩღია, ე. ი. 1711 წელი“.

ამჟამად ალამი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება (ისტორ. განყ. № 663).

ალამი სწორკუთხედის ფორმისაა (ტაბულა XVII—XVIII) მისი სიგრძე არის 2 მ 14 სმ, სიგანე—1 მ 70 სმ. ალამი შედგება სამ გრძივ ნაჭრისაგან, ე. ი. ორგან არის მთელ სიგრძეზე გადაკერებული.

ქსოვილი თხელი გამჭვირვალე აბრეშუმისაა. აბრეშუმის შვინდისფერი ახლა ძალიან გახუნებულია. ორივე ზედაპირიდან ალამზე, შეკეთების მიზნით, გადაკრულია შვინდისფერი ვუალი. შეკეთება მომხდარა იმ დროს, როდესაც ქსოვილი ალაგ-ალაგ გაცრეცილი ანდა მთლად განადგურებული იყო. ეს მკაფიოდ ჩანს მზის გამოხატულებაზე. ვის მიერ იყო ალამი შეკეთებული, არა ჩანს. შეკეთების ეს მეთოდი ახლოა მოსკოვის საობჯრო პალატის დროშათა შეკეთების მეთოდთან: იქ გაწყალებულ ადგილებს ტჲულის დაკრობის საშუალებით ამაგრებდნენ.[3]

ვუალის დაკრობის გამო დროშა გახამებულის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ალამი ტარზე ჩამოსაცმელი ყოფილა, რადგან ერთ გვერდზე ყულფები აქვს შერჩენილი. ამჟამად ცხრა ყულფია. ათი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეათე ახლა დაკარგულია. ზონრები აბრეშუმისაა. ზონარზე ოქროსფერი და მონარინჯისფერო-წითელი სწორკუთხედები ცვლიან ერთი მეორეს. მათზე სტილიზებულად გამოყვანილია გრძელ-კისერა ფრინველი, ბოლოსაკენ მიტრიალებული თავით: ხან ოქროსფერ არეზე მონარინჯისფერო-წითელი ფრინველია, ხან პირუკუ: მონარინჯისფერო-წითელ არეზე ოქროსფერი ფრინველი.

ალ. ხახანაშვილი დროშის ამ ალამის გამოხატულებათა აღწერილობის დროს ხმარობს სიტყვას „ამოქარგუ-

---

[1] იქვე.

[2] წარწერა წაკითხული აქვს ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს (იხ. „ნაციონალური დროშა“).

[3] Ю. В. А р с е н ь е в, О геральдических знаменах в связи с вопросом о государственных цветах древней России, СПб, 1911, გვ. 119.

ლი“, „ამოკერილი“, მაგრამ, სინამდვილეში, ალამი მთლიანად მოხატულია და არა ნაქარგი.

როგორც ჩანს, გამჭვირვალე ქსოვილის წყალობით მხატვრობა ისეა მოთავსებული, რომ ორივე მხარის გამოხატულებანი ხვდებიან ერთი მეორეს: მზე ხვდება მზეს, მთვარე-მთვარეს, მედალიონი-მედალიონს, ოლეოლეს.

რადგანაც ასოები ალმის სხვადასხვა მხარის ოლეებზე სხვადასხვა ფერით არის შესრულებული, არა ბრკოლდება წაკითხვა სიტყვებისა, ერთი მხარის ასოები არ გამოსჭვივიან ერთმანეთში, ეს ხდება მხოლოდ სინათლეზე გახედვისას.

კომპოზიციის ცენტრის ფიგურული ჩარჩო შედგენილია ტალღისებურ ზნექილ ოლეთი. ოლე ოქროსფერია, საზღვრულია შავი ხაზებით.

ოლეს ქვემო და ზემო ნაწილში შავი ფერადით დახატულია ყვავილები და ფოთლები, რომლებიც საკმაოდ სათუთად არის განლაგებული. ჩრდილების განაწილება ყვავილებსა და ფოთლებზე კარგად შესრულებულ დედანზე მიგვითითებს (თემა: ყვავილი ფრონტალურად მოცემული, ორ დიდ, ტოტის მსგავს, მოხრილ ფოთოლს შუა).

ფიგურული ჩარჩოს სიგრძე—65 სანტიმეტრია, სიგანე — 45,6 სმ. ჩარჩოს ზემოთ და ქვემოთ ჯვრებია. ჯვრების ბოლოები პალმეტისებურია. თვით ჯვრები ოქროსფერია, მათი კონტურები შავი ხაზებით არის შესრულებული. ჯვრის ბოლოებში ჩახატულია ოთხკუთხედები: გული—ოქროსფერი, კონტურები—შავი. ესენი ალბათ ძვირფას თვლებს გამოხატავენ. ჯვრის ცენტრში ოქროსფერივე წრეა, კვლავ—ძვირფასი თვალისებურად ალამის მეორე მხარეზე ეს ძვირფასი თვლები წითელი ფერით არის შესრულებული.

მედალიონისებურ ჩარჩოში, შვინდისფერ არეზე, ალმის ერთ მხარეზე მოცემულია ეპიზოდი სვეტიცხოვლის აღმართვის თქმულებიდან: კომპოზიციის შუა ნაწილი უჭირავს სვეტს, რომელიც ზეციდან ეშვება. სვეტის აქეთ-იქიდან სიმეტრიულად მოთავსებულია ორი ანგელოზი: ერთს მარცხნიდან, მეორეს მარჯვნიდან შემოუხვევიათ სვეტისათვის ხელები. სვეტის ბაზის მარცხნივ დგას მირიან მეფე, ერთ ხელში სკიპტრა უჭირავს.

სვეტის ბაზის მარჯვნივ წმ. ნინოა, სვეტის ზემოდან ჩანს შუქმფენი წრის ნაწილი. სვეტის ბაზის ქვემოდან განსაზღვრულ მანძილზე, რაც ნიადაგის სისქეს უნდა გამოხატავდეს, ჩანს კვართი უფლისა. ის ჰორიზონტალურად მდებარეა, გაშლილი სახით, ფრონტალურად მოცემული. მხატვარს განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა მიწაში დაფლული კვართი, მაგრამ მირიანი და წმ. ნინო კვართის ქვედა კიდის დონეზე დგანან.

დროშაზე კვართი შეღებილია მუქ წითლად, ქობის არშია მოვარდისფრო ზოლებიანია, ხოლო ჩრდილები შავი ფერით არის შესრულებული. წითელი ფერითვეა შემოხაზული ანგელოზთა ოქროს ნიმბები. ოლეზე ასომთავრული წარწერაა: ოქროსფერ არეზე ოქროსფერი ასოები, შავ კონტურებში ჩასმული. მარცხენა მხარეზე:

✝ ႾႭႪႭ: ႩႠႰႧႨ: ႨႢႨ: ႰႭႫႤႪႨ: ႨႷႭ.

(ქ. ხოლო კართი იგი რომელი იყო). მარჯვენა მხარეზე:

ႭႩႤႰႥႤႪ: ႦႤႨႧ: ႢႠႫႭႵႱႭႥႨႪ: ႷႭႥႪႠႣ

(უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად) .

ალმის მეორე მხარეზე, ცენტრში, ასეთივე მედალიონისებურ ფიგურაში არე ოქროსფერია; გამოხატულებანი შავი ხაზებით არის მოცემული; აქა-იქ, სამკაულისათვის უფრო, მოშველებულია წითელი ფერი. სამეფო ტახტზე ზის დავით წინასწარმეტყველი, რომელიც ქნარზე უკრავს. სამეფო ტახტის აქეთ-იქიდან გამოხატულია ლომები, რომლებიც ტახტის ნაწილს შეადგენენ. ესენი სხვადასხვა მხარეს იყურებიან: ერთი ყელმობრუნებით არის, მეორე მოტრიალებულია მთელი სხეულით. მედალიონის არეშივე მოთავსებულია ემბლემები: სასწორი, სფერო, მწყემსის კვერთხი, შურდული. მეფის ზეციდან დახატულია ფარდა, იგი გაწეულია აქეთ-იქით და ჩანს ხმალი, სკიპტრა. უკანასკნელი სწორედ ისეთივე მოხაზულობისაა, როგორიც უჭირავს მირიანს. ფარდის ზევიდან დახატულია გვირგვინი სხვა ფორმისა, ვიდრე ის, რომელიც დავით წინასწარმეტყველს ადგას თავზე; იმ მეორე მხრის მედალიონის ოლეზედ ასომთავრული წარწერებია, შავი ასოებით ოქროს არეზე. მარცხნივ წერია: ႨႱႫႨႬႤ: ႠႱႭႳႪႭ: ႣႠ: ႨႾႨႪႤ (ისმინე ასულო და იხილე); მარჯვნივ — ႣႠ: ႫႭႾႤႣႤ: ႱႠႾႪႱႠ: [Ⴋ]ႠႫႨႱႠ: ႸႤႬႨႱႠႱႠ (და მოხედე სახლსა [მ]ამისა შენისასა). ამ მხარეს მედალიონის ოლე ყვავილებით შემკული არ არის. მედალიონის შიგნით წარწერაა: ႣႧ ႼႼႷႪႨ (დავით წინასწარმეტყველი).

მედალიონის აქეთ-იქით (დაშორებით) მოთავსებულია მზისა და მთვარის გამოხატულებანი.

მზის დისკოს აქვს ადამიანის სახე, დიდრონი თვალებით, პატარა პირით. ოდნავ დადებულია ჩრდილები: ლოყებზე, ქვედა ტუჩის და ნიკაპის შუა ჩაღრმავებულ ადგილზე, ნესტოებზე და ქუთუთოებზე. ერთ მხარეზე ნაწილი მზის სახისა, ქვედა ქუთუთოსა და ცხვირს შუა, განადგურებულია (დახეულია ქსოვილი).

მზის შარავანდედი შედგება ორგვარ სხივთაგან: შუბისპირისებური სხივები და ალის ენებისავით კლაკნილი სხივები. ეს სხივები მონაცვლეობით შემოსჯრიან მზის სხივებს (ათი—ცეცხლისალისებური, ათი შუბისპირისებური). შარავანდედის სხივთა ეს სახე ძალიან საყურადღებოა. იგი შემთხვევითი არ არის, გვხვდება XVIII საუკუნისვე ლითონის დროშებზე და თავისი ღრმით მიგვითითებს ძველი აღმოსავლეთის ტრადიციაზე, როგორც ნათქვამი იყო რუსუდანის დროშაკის გამო.

ამ შუქთა ფუძეებში, დისკოს ნაპირის ახლო, შტრიხებია.

მთვარის დისკო ისეთივე ზომისაა, როგორც მზისა, სწორედ ისეთივე შარავანდედითაა მოსილი. დისკო მრუ-

ლე ხაზით ორად არის გაყოფილი. ეს ხაზი ნახევარ მთვარის კონტურს მოხატავს ზედ.

ალმის მეორე მხარეზე მზე და მთვარე შებრუნებით არის, ე. ი. თუ ერთ მხარეზე მზე მედალიონის მარჯვნივ არის, მეორე მხარეზე მზე მარცხნივ არის. მთვარისათვის და მზისათვის ადამიანის სახის მოცემა უფრო დასავლეთის ხელოვნებაში გვხვდება ძველი დროიდან[1], მაგრამ აღმოსავლურ ნიადაგზედაც ვხედავთ ამას,[2] მაგალითად, სირიულ ბარძიმზე უშგულიდან, და აგრეთვე ქართულ მინიატურაზე (ფსალმ. საქ. მუზ. ხელნაწ. H 1665).

ალმის ბორდიური-ოლე იწყება ნაპირიდან მოშორებით. მისი სიგანე არის 18,5 სმ. იგი ჩასმულია ორ-ორ შავი მსხვილი ზოლების ჩარჩოში. კუთხეებში ოლეები გადაჯვარედინდება. ოლეში მოთავსებულია წარწერა.

იმ მხარეზე, რომელზედაც იწყება წარწერა (სიტყვებით: „ქ. საჯენ“...), ბორდიურის არე—ფონი თვით ქსოვილია, მისი შვინდისფერით. ასოები მოცემულია ოქროსფერით. მეორე მხარეზე ბორდიურის ასოები შავებია ოქროსფერ არეზე. ასოები ჩართულია. როგორც აღნიშნული იყო, წარწერაში მოყვანილია დავითნის სიტყვები.

ალამის ერთ მხარეზე ვკითხულობთ ზემო სტრიქონზე (ოქროსფერი ასოები შვინდისფერ არეზე):

+: ႱႠႿႤႬ: ႳႴႠႪႭ: Ⴋ´ႥႬႤႡႤႪႬႨ: Ⴙ´ႫႬႨ: ႣႠ ჀႡႰႻႭႣႤ: ႫႡႰႻႭႪႧႠ Ⴋ´Ⴇ: ႹႫႧႠ: ႠႶႨႪႤ: ႽႳႰႨ: ႣႠ:. Ⴔ´ႰႨ:. ႣႠ:. ႠႶႣႤႢ:. ႫႼႤႣ:. ႹႫႣႠ

ალამის მარჯვენა მხარეზე:

ႢႬႤ:. Ⴋ´ႾჃႪ:. Ⴘ´Ⴌ:. ႣႠ:. ႸႤႩႰႨႡႤ:. ႼႨႬႠ ႩႤႰႻႭ:. ႫႣႤႥႠႰႧႠ:. ႹႫႧ´ႱႠ:. ႠႰႵႥ:. Ⴑ´ႪႱႠ: Ⴙ´ႫႱႠ:.

ამავე გვერდის ქვემო მხარეზე:

ႫႩႱႬႤႪ:. Ⴘ´ႬႨ:. ႥႠႰႨ:. ႫႤ +:. ႸႬ:. Ⴓ´ႴႪႭ:. ႢႤႱႠႥ:. ႬႳ:. ႫႰႚႾႳႤႬႤႡႨႬ:. ႫႤ:. Ⴓ´ႩႤ:. ႱႨႫႠႰႧႪႨႧ ႠႧ:. ႸႬႨႧႠ:. ႫႨჄႱႬ:. ႣႠ:. Ⴂ´ႬႫႠႰႨႾႤ:. ႫႤ:. ႫႭႷႠႥ:.

მარცხენა მხარეზე:

ႹႫႣႠ:. ႷႳႰႨ: Ⴘ´Ⴌ:. ႣႠ:. ႨႱႼႰႠႴႤ:. ႢႬႰႨႬ-ႤႡႠႣ: Ⴙ´ႫႣႠ:. ႫႤႷႠႥ ႫႤ ႫႴႠႰ´Ⴅ

დროშის მეორე მხარე (ოქროს ოლეზე შავი ასოები) ზემო სტრიქონი:

ႥႮႭႥႤ: Ⴃ´Ⴇ: ႫႭႬႠ: Ⴙ´Ⴄ: ႱႚႾ´ႡႤႪ: ႼႫ Ⴙ´Ⴄ ႥႱႚႾႤ:. Ⴋ´Ⴑ:. Ⴐ´: ჄႤႪ: Ⴙ´Ⴄ: ႸႤႤႼႨႭႱ: ႫႱ: ႣႠ: ႫႩႪ´ႥႫ´Ⴌ:. ႹႫႬ:. ႢႬႠႻႪႨႤႰႭႱ:. ႨႢႨ: ႠႰႠ:. ႨႰႢ-ႭႱ:. Ⴋ´ႲႰႫႬ:. ႣႠ: ႸႥႨႪႫ´Ⴌ:.

მარჯვენა მხარის სტრიქონი (ყულფების მხარე):

ႳႸႿႳႪႭႤႡႨႱႫ´Ⴌ: ႥႤႰ: ႸႤႱႻႨႬႭႱ: ႥႬႤႡႠႣ: ႫႨႱ: ႫႭႥႱႰႬႤ: ႮႨႰႨႱ: ႫႨႱႨႱႠႢႬ: ႫႲႤႰႬႨ: ႫႨႱ-ႬႨ: ႣႠ: ႫႭႻ´ႪႤႬႨ: ႫႨႱႬႨ: ႣႠႥႠႫჄႳႬႤ: ႼႷႠႪႭႡႠ: Ⴙ´Ⴄ:

ქვემო სტრიქონი:

ႫႨႱႧႠႬႠ ႣႠ: ႱႠႾႤႪႨႧႠ: Ⴙ´ႫႨႧႠ: ႠႫႠႶႪႣႤႱ: ႰႵႠ: ႫႨႱႨ: ႣႠႥႣႥႠ: ႦႶႥႠႱႠ: ႦႤ: ჄႤႪႨ: ႫႨႱႨ: ႣႠ: ႫႣႨႬႠႰႤႧႠ: ႦႤ: ႫႠႰႿႳႤႬႤ:. Ⴋ´Ⴄ: ႮႰႫႸႭႣ: ႣႠႥႠႣႢႨႬႭ: ႨႢႨ: ႳႫႠႶႪႤႱ: ႳႴႰႭႱ: ႫႤႴႤႧႠ: ႵႥႤႷႠႬႨႱႠႧႠ:.

მარცხენა მხარის სტრიქონი:

Ⴓ´Ⴉ ႣႠႳႫႠႰႾႭ: ႫႱ: ႼႷႠႪႭႡႠ:. Ⴙ´Ⴄ: ႣႠ ႠႶႧႵႫႠ: Ⴙ´Ⴄ: ႤႰႼႫႳႬႭႱ: ႫႱ: ႣႠ: ႤႢႭႱ: Ⴓ´ႩႧ: Ⴓ´ႩႤ: ႧႤႱႪႨ ႫႨႱႨ: Ⴙ´Ⴁ´ႨႠ ⸗⸗⸗

წარწერა მხედრული ტრანსკრიპციით და ქარაგმების გახსნით:

„ქ. საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა. აღილე ჭური და ფარი და აღდეგ მწედ ჩემდა. განჰფინე მახვილი შენი და შეკრიბე წინა კერძო მდევართა ჩემთასა. არქვ სულსა ჩემსა მკსნელი შენი ვარი მე[1]. შენ, უფალო, გესავ, ნუ მრცხუენებინ მე უკუნისამდე, სიმართლითა შენითა მიჴსენ და განმარიხე მე. მოყავ ჩემდა ყური შენი და ისწრაფე განრინებად ჩემდა, მეყავ მე მფარველ.[2]

„ვპოვე დავით მონა ჩემი, საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას, რამეთუ ჴელი ჩემი შეეწიოს მას, და მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი. არა ირგოს მტერმან, და შვილმან უშჯულოებისამან ვერ შესძინოს ვნებად მისა. მოვსრნე პირისა მისისაგან მტერნი მისნი და მოძულენი მისნი დავამჴუნე. წყალობა ჩემი მისთანა, და სახელითა ჩემითა ამაღლდეს რქა მისი. დავდვა ზღვასა ზედა ჴელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუჱნე[3]. მე პირმშოდ დავადგინო იგი უმაღლეს უფროს მეფეთა ქვეყანისათა. უკუნისამდე დაუმარხო მას წყალობა ჩემი, და აღთქმა ჩემი ერწმუნოს მას, და ეგოს უკუნითი უკუნისამდე თესლი მისი[4]. ჩღია“.

დროშის თარიღი, 1711 წელი, მიაკუთვნებს მას იმ პერიოდს, როდესაც ავღანებთან ბრძოლაში დაიღუპა მეფე ქაიხოსრო, ხოლო ვახტანგმა ითხოვა ირანის შაჰისაგან მეფედ დამტკიცება[5].

დროშის წარწერის ტექსტი მცირეოდენ განსხვავებებს შეიცავს, როგორც ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემულ (1711 წელს) დავითნთან, ისე ბაქარის დაბადების დავითნთან შედარებით:

| წარწერა დროშაზე | 1711 წლის „დავითნის „ტექსტი“ | ბაქარის „დაბადებიდან“ „დავითნის“ ტექსტი |
|---|---|---|
| მტერმან<br>უშჯულოებისამან<br>პირისა მისისაგან<br>წყალობა ჩემი | მტერმან მისგან<br>უშჯულოეებისამან<br>პირისა მისისაგან<br>წყალობა ჩემი და<br>ჭეშმარიტება ჩემი<br>და სხვა. | მტერმან მისგან<br>უსჯულოვებისამან<br>პირისაგან მისისა<br>და წყალობა ჩემი და<br>ჭეშმარიტება ჩემი |

[1] A. Roes, Greek Geometric Art, its symbolism and its orygin, Haarlem, Oxford, London, fig. 38.

[2] Г. Н. Чубинашвили, Сирийская чаша в Ушгуле („საქ. მუზ. მოამბე“, XIB, ტფილისი, 1941, გვ. 6).

[1] ფსალმ., 34 (1—3); 30 (1—2);

[2] ფსალმ., 30 (2).

[3] ფსალმ., 88 (20—25).

[4] ფსალმ., 88 (27—29).

[5] „საქართველოს ისტორია“, გვ. 330.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატიონთა საგვარეულოსთან დაკავშირებულია გერბი დავით წინასწარმეტყველის სურათით და ემბლემებით. დავითნიდან აღებული წარწერებიც ღვთაების განსაკუთრებულ მფარველობაზე მიგვითითებენ. სიტყვები შერჩეულია დროშისათვის, როგორც მაგიურნი—მაკურთხეველნი ბრძოლებში ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ. დროშის გამოხატულებანი და წარწერანი გახსენებაა ბაგრატიონთა ნათესაობისა დავით წინასწარმეტყველთან. საყურადღებოა, რომ ნათესაობის გამბმელია ქეტელ ურიას ცოლი, ბერსაბე, როგორც ეს ჩანს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებით. საფიქრებელია, რომ საქართველოში არსებობდა კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს რაღაც წყაროები, რომლებიც ქართველთა და ხეთების ნათესავურ ურთიერთობაზე მიუთითებდა.

ზემოაწერილი ჩარჩოს ოთხივე კუთხე შევსებულია ყვავილოვანი ორნამენტით. მცენარის ღერო ორადაა გაყოფილი ძირშივე, კუთხის მწვერვალთან. ეს ორი განშტოება კვლავ ერთდება და კუთხის შუაგულზე იძლევა მრავალფურცლიან ძლიერ სტილიზებულ ყვავილს, თუ ფიჭვის ხის კოკოლასებურ სახეს. ყვავილის ქვემოდან, ღეროს აქეთ-იქიდან, მიიმართება სრულიად სიმეტრიულად განშტოებანი, შედგენილი მოხდენილად ზნექილ რკალებისაგან, გრძელ ძლიერად ამოჭრილ კუწუბა ფოთლებით, ან პატარა ყვავილებით. თვით ყვავილების ფურცლები გადახრილია ღეროსაკენ. ყვავილის გულიდან ამოდის ლამაზი მოხაზულობის რქისებური მორჩი და შტო, რაც კვლავ გვიჩვენებს ორნამენტის ძლიერ სტილიზაციას. შიგადაშიგ განშტოებად შემოჰრკალია აბზინდისებური სამკაული. ორნამენტის ჩრდილები მოცემულია შორი-შორი შტრიხებით. წარწერიანი ოლეს მიერ შექმნილ ჩარჩოს შიგნით ელემენტები (შუაში—მედალიონი, მის აქეთ-იქით მზე და მთვარე, ჩარჩოს კუთხეებში—სამკაული) განლაგებულია იმგვარად, რომ მათ შორის იქმნება დიდი სივრცის შთაბეჭდილება.

ცენტრალური ნაწილის მედალიონი ისე ძლიერად არა ტვირთავს კომპოზიციას, როგორც ამას ვხედავთ სხვა დროშების ალმებზედ, კომპოზიციის სხვა ელემენტები არ არის მძლავრად დაჩრდილული მის მიერ: საკმაოდ მსხვილი მასშტაბით ცენტრთან შედარებით მოცემულია მზე და მთვარე, კუთხეების შემკულობა და აგრეთვე თვით მშვენიერი ოლეები წარწერებით.

მთელი კომპოზიცია მისი გულმოდგინედ და მკვეთრად გამოხატული ელემენტებით საკმაო სიმსუბუქის და გადაუტვირთველობის ხასიათს ატარებს.

კომპოზიციას საერთო მხარეები აქვს ქსოვის და ქარგვის დარგების აღმოსავლურ, ქართულ და სპარსულ ნაწარმოებებთან, მაგ., ისეთივე ფართო წარწერებიანი ოლე ოთხკუთხივ შემოვლებული, როგორც ალამზეა, გვხვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ნაქარგობაზე (ელისაბედ ბატონიშვილის სამარის ლოდის საბურველი 1770 წლისა[1] და სხვა ასეთივე საბურველი 1775 წლისა[2]).

უფრო ადრეც ვპოვებთ პარალელს იეზდის ასეთივე დანიშნულების საბურველზე 1600 წლისა[3]. ამ უკანასკნელის ოლეს აქვს საერთო მხარეები მოხაზულობაში ვახტანგ VI-ის ალმის ასოებთან—ერთნაირ შთაბეჭდილებას სტოვებს მკვეთრი აქცენტით მოცემული ასოების გრძელი ღერძები.

წარწერებიან ოლეების გადაჯვარედინების ადგილებში შექმნილი ოთხკუთხედებიც ისევეა მოცემული, როგორც ქართულ ერთ-ერთ დორზე[4] და იეზდის XVII საუკუნის აბრეშუმზე[5].

ალამზე ამ ოთხკუთხედების ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ექვსფრთება სერაბიმები.

სერაბიმისებური მოხაზულობის ორნამენტი მოთავსებულია შესატყვის ოთხკუთხედში იეზდის ზემოხსენებულ ქსოვილზე XVII საუკუნისა.

ჩარჩოს შიგნით მოქცეული სწორკუთხედის კუთხეების შემკობის ანალოგიას ვხედავთ ზემოდასახელებულ ქართულ დორსა და სპარსულ ხალიჩებზე[6].

ეს კუთხეები ხაზებით არის შესაზღვრული, ალამზე კი მათ შესაზღვრა ხაზებით არ არის მოცემული, ორნამენტი თავისუფლადაა გაშლილი.

კომპოზიციის ცენტრში მოთავსებული მ ე დ ა ლ ი ო ნ ე ბ ი, მათი ტალღისებური მოხაზულობა ჩვეულებრივია ახალ საუკუნეთა ქართულ ნაქარგობისათვის. მას ვხედავთ ყაჯარზე[7], ბალიშის პირზე[8], დორზე[9] და სპარსულ ხელსაქმეში.

მ ე დ ა ლ ი ო ნ ი ს ზ ე მ ო და ქ ვ ე მ ო ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს შ ე მ კ ო ბ ა ჯვრებით მსგავსია ასეთივე შემკობის პ ა ლ მ ე ტ ე ბ ი თ, რომელსაც ვხედავთ როგორც

---

1 სარა ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, „ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი" („საქ. მუზ. მოამბე", X, თბილისი, 1940, გვ. 209).

2 Professor Dr. G e o r g T s c h u b i n a s c h w i l i, Die georgische Kunst und die Probleme ihrer Entwicklung, Berlin, 1930, გვ. 45. Abb. 14.

3 „A Survey of Persian Art", Pl. 1037.

4 იხ. მეცნ. დამსახ. მოღვაწის იროდიონ ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი „გზამკვლევი ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენისა" (საქ. მუზეუმი), ტფილისი, 1932, ტაბ. IV.

5 „A Survey of Persian Art", Pl. 1095.

6 იქვე, Pl, 1193 (XVI საუკუნის მესამე მეოთხედის ხალიჩა).

7 „გზამკვლევი ქართული ხელსაქმის ნიმუშების გამოფენისა", ტაბ. II.

8 იქვე, ტაბ. III.

9 იქვე, ტაბ. IV.

ზემომოყვანილი ქართული ნიმუშების მედალიონებზე, ისე სპარსულ ხელსაქმეში[1]. თვით ჯვრების შტოების ბოლოების პალმეტისებური გაფორმება აქეთკენ მიდის.

ალამი 1711 წლით რომ არ ყოფილიყო დათარიღებული, საკმარისი იყო მისი სტილი, რომ ვახტანგ VI-ის მეფობის დროისათვის მიგვეკუთვნებინა. ალმის მოხატულობაში ქართულთან ერთად თავს იჩენს ევროპის ხელოვნების შტრიხებიც. ამაზე ლაპარაკობს საგვარეულო გერბის მოცემა, სხეულთა მოდელირება, მოძრაობები, ტანსაცმლის ნაოჭთა დალაგება. სტილი იგივეა, რაც ვახტანგ VI-ის გამოცემებში[2]:

1. დავით წინასწარმეტყველის გამოხატულებისათვის დროშაზე იხ. ახლო პარალელი „დავითნში", ტფილისი 1712;

2. ლომებისათვის—„ლოცვანში" (ტფილისი, 1710 წ.) „დავითნში" (ტფილისი, 1711 წ.), „ჟამნში" (ტფილისი, 1710 წ.);

3. ემბლემები ისევეა წარმოდგენილი, როგორც „ჟამნში" (ტფილისი 1710 წ.);

4. კვართი ისეთივე მოხაზულობისაა, როგორც 1710 წელს დაბეჭდილ „ლოცვანში";

5. ალმის კუთხეების მსგავსი ორნამენტი ამშვენებს ძველ ბეჭდურ ქართულ წიგნებს. ეს ყვავილოვანი ორნამენტი ახლოა ე. წ. გერმანული რენესანსის სტილთან (იხ. მაგალითად, ორნამენტი ლორენცის წიგნში[3]).

მედალიონის ოლეს ფოთლებიც ამავე გემოვნებისაა. მედალიონის და კუთხეების ორნამენტის მოგრძო ფოთლები ძლიერად ამოჭრილი კუწუბებით ჩვეულებრივია გერმანული რენესანსის ნაწარმოებისათვის, მაგრამ მათ ვხედავთ XVII საუკუნის ზემოხსენებულ სპარსულ ქსოვილზედაც შაჰ-აბაზის პირველის დროისა[4], ვხედავთ მათ XVI საუკუნის ქართულ ოქრომჭედლობაშიც"[5].

ეს ორნამენტი ამ დროს რუსეთშიც ხშირია:.

В середине XVI в. получил развитие немецкий орнамент из готических зубчатых трав с элементами гравюрной штриховки и объемности... Вся роскошь этого живописного немецкого орнамента развернулась в печатных книгах, начиная уже с анонимных изданий, а особенно в Апостоле 1564 г., где находятся наилучшие его варианты в большом разнообразии[6].

---

[1] „A Survey of Persian Art", Pl. 1193.

[2] 1952 წელს გამოვიდა შ. კვასხვაძის გამოკვლევა „ვახტანგ VI სტამბის წიგნი", რომელიც მიეძღვნა საკითხს ვახტანგ VI-ის ქართული წიგნის მხატვრული სახის ორიგინალობის შესახებ.

[3] Лоренц, Орнамент всех времен и стилей, СПб, 1898 ტაბ. 80, № 12, Немецкий ренессанс. Украшения типографского искусства; 16 век.

[4] „A Survey of Persian Art", Pl. 1235.

[5] იხ. ტაბ. $39_{1,2}$: Ренэ Шмерлинг, Золотой сосуд из Чхороцку („ქართული ხელოვნება", თბილისი, 1942).

[6] А. И. Некрасов, Древнерусское изобразительное искусство, 1937, გვ. 313.

გრძელკუწუბებიან ფოთლებიან ორნამენტს ვხედავთ წმ. გიორგის ხატზე, რომელიც რუს მხატვრებს XVII საუკ. შეუსრულებიათ ალავერდის მონასტრისათვის[1].

ამ ორნამენტს ქართველი ოსტატები, შესაძლოა, უშუალოდ ევროპელ მხატვართაგან ეცნობოდნენ. იმავე ალავერდის მონასტერში XVI საუკუნეში მუშაობდნენ ევროპელი მხატვრები. ერთი მხარე ტაძრისა მათი მოხატული იყო: „...Русские мастера расписывали правую сторону храма; левую сторону,... писали „немцы", т. е. западно-европейские художники"...[2].

წარწერებიან ოლეების ჩართული ასოები ახლოა, თუმცა არაიდენტიურია, ნაბეჭდ წიგნების ასომთავრულ ასოებთან (იხ. 1709-1722 წელს თბილისში დაბეჭდილ „დაბადებაში" ფიგურული მოხდენილი ასოები[3]).

წარწერას, თითქოს, ორი ოსტატის ხელი ეტყობა; ზოგიერთი ოლე ირჩევა Ⴗ და Ⴈ-ს სოლისებურ მოხდენილ ბოლოებით, იმ დროს, როდესაც სხვებში სწორკუთხედად წაკვეთილი ბოლოებია, Ⴍ პირველებში უფრო ვიწროა, მეორეში—განიერი; განსხვავდება ქარაგმების სახეც.

ალმის მოხატულობის ზოგიერთი ელემენტი XVI საუკუნეზე მიგვითითებს. შესაძლოა დავასკვნათ, რომ ალამში რამოდენადმე ცოცხლობს ტრადიცია უფრო ძველი დროშებისა.

ალამი მოხატულია შვინდისფერ არეზე ოქროსი და შავი ფერით. ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება შიგადაშიგ წითელი ფერი. ამჟამად შვინდისფერ ვუალის წყალობით ალამი მეტისმეტად მკვეთრ ფერს იძლევა, მაგრამ თვით ძირითადი ქსოვილი უფრო ნაზი და კეთილშობილი ელფერისა იყო (როგორც ჩანს, იმ ადგილებიდან, სადაც ვუალი აცლილია) და შეხამება უფრო სასიამოვნოა თვალისათვის.

ამ ძალიან შეზღუდულ გამმას დროშის მომხატავი ოსტატურად იყენებს: ის რაც ალმის ერთ მხარეზე შვინდისფერია, მეორე მხარეზე—ოქროსფერია, რაც ერთ მხარეზე შავია, მეორეზე—ოქროსფერია. ოლეს ასოებში გან-

---

[1] М. Полиевктов, Новые данные о Московских художниках XVI—XVII вв. в Грузии, Тбилиси, 1941, გვ. 17. (პოლიევქტოვის წიგნში მოთავსებულ რეპროდუქციაზე (ტაბ. 1) წმ. გიორგი წარმოდგენილია ვერცხლის ჭედურ ტანსაცმელში. ეს ტანსაცმელი და ვერცხლის არე შემდეგში მოხსნილი იყო მძარცველების მიერ. ჭედურ ვერცხლის ქვეშ აღმოჩნდა წმ. გიორგის ტანსაცმელზე ზემოხსენებული ორნამენტი. ხატი ამჟამად საქ. ხელოვნების მუზეუმში ინახება).

[2] იქვე, გვ. 16.

[3] „ქართული წიგნი", თბილისი, 1941, გვ. 32.

საკუთრებით საყურადღებოდ არის მოცემული ფერების ცვლა.

დროშის აღმართვისას—ალამის გამჭვირვალების გამო — ორი მხარის შენაჯგუფ ასოების მოხდენილი ხაზები და სხვადასხვა ფერები ამდიდრებენ სურათს.

—

მთლიანად, ვახტანგ VI-ის დროშა, კომპოზიციის მხრივ, იძლევა ანალოგიებს ქართულ და სპარსულ ხელოვნების ნიმუშებთან. პარალელურად ვხედავთ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნების გაცნობას კომპოზიციის ცალკეული ელემენტების შესრულებაში. XVIII საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოების მისწრაფება ევროპის კულტურისაკენ მკვეთრად აღიბეჭდა დროშაზე.

ეს მეფის პირადი დროშაა, რადგანაც მასზე ვხედავთ ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის ემბლემებს.

### სოლომონ I-ის დროშა

სოლომონ I-ის დროშა ინახებოდა ხონის ტაძარში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. მისი მოკლე აღწერილობა მოყვანილია ხონის საეკლესიო ქონების დავთარში,[1] Mourier-ს წიგნში „La Mingrélie“ [2], პროფ. ექვთ. თაყაიშვილის ნაშრომში „ხონის ეკლესია და მისი სიძველენი“[3], ხოლო პროფ. გორდეევს მოყვანილი აქვს ცნობები ამ დროშის შესახებ, ხონის საეკლესიო ქონების 1819 წლის დავთრის გამოცემისას[4]. ეს დროშა ამჟამად ინახება ქუთაისის მუზეუმში. იგი შედგება ალმიდან, რომელიც ბუნზეა დამაგრებული, და დროშის თავიდან. ალმის მასალა აბრეშუმი იყო წინათაც, როგორც ეს ჩანს ხონის ტაძრის ქონების დავთრიდან: „Хоругвь из шолковой красной материи“. მურჟე წერს, რომ ალამი ვარდისფერი იყო. ესევე ფერი აღნიშნულია ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომში. ახლა იგი ყვითელია, თითქმის ნარინჯისფერი.

მურჟეს ჩანახატის მიხედვით ალამი ორკალთიანია, მაგრამ ძველ ფოტოსურათზე იგი სამკალთიანია. ასევე აღნიშნული აქვს აკად. ექვთ. თაყაიშვილს: „დროშა საეკლესიო ს ა მ ფ ა რ დ ი ა ნ ი“, და ეხლაც ასეა (ტაბულა XX). შესაძლოა, ეს სხვაობა აიხსნებოდეს დროშის შუალედში ალმის ქსოვილის შეცვლით, თუმცა უნდა ითქვას, რომ მურჟეს წიგნში მოთავსებული ნახატი მოკლებულია სიზუსტეს.

ალმის ორივე მხარეზე გამოხატულებანია მოთავსებული: „Хоругвь... с изображениями с одной стороны св. великомуч. Георгия, а с другой стороны—св. архистратига Михаила“ (ხონის საეკლესიო დავთარი).

მურჟე ახსენებს მხოლოდ წმ. გიორგის გამოხატულებას. ,,Dans l'église se trouvent une croix de Bagrat et l'étendard de guerre du roi Salomon I-er. La hampe surmontée d'une croix d'argent, porte une peinture sur toile: St. Georges, le sabre à la main, qui est encadrée de soie rose à franges d'or fanées''.

დროშაზე გამოხატულია ერთი მხრივ ცხენოსანი წმ. გიორგი, რომელიც გველეშაპს კლავს, ხოლო მეორე მხრივ მთავარ-ანგელოზი აწვდილი ხმლით—ორივე სურათი ატარებს იტალიის მაღალი რენესანსის სურათებით სარგებლობის ბეჭედს.

მურჟეს ნახატზე ხატი მოთავსებულია ჩარჩოში, რომლის კუთხეებში ყვავილის მსგავსი სახეებია. ძველ ფოტო-სურათზე ეს სახეები არა ჩანს და არც ამჟამად არის.

ალამი, მურჟეს სურათის თანახმად, დამაგრებული ყოფილა ბუნზე რაღაც სპირალური ზოლის საშუალებით. ფოტოსურათზე ალამი მიკერებულია ისევე, როგორც ახლა. ეს კვლავ მოწმობს ალმის ქსოვილის შეცვლას (ხატის გარდა)

ხონის საეკლესიო დავთრიდან ვიგებთ, რომ დროშის თავს ვერცხლის ჯვარი წარმოადგენდა, სამი აყიყით შემკული.

აკად. ექვთ. თაყაიშვილი იძლევა ჯვრის აღწერილობას: „ხეტარს ზემოთ ჯვარი არის, რომელზედაც გამოხატულია ჯვარცმული, ზემოთ საბაოთი, ქვემოთ მთავარანგელოზი გრაგნილით, აქეთ-იქით ჯვარცმულისა დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი; მეორე მხარეზე ჯვარისა წარმოდგენილია წმიდა გიორგი ფეხზედ მდგომარე“.

დროშის ჯვარზე წმ. გიორგი რომაელი მეომრის სახითაა, იგი ქვეითია. სტილისტიკურად თითქოს XIII—XIV საუკუნეების ნიმუშებს მიაგავს. ჯვრის შტოების ორნამენტი გვიანია, XVIII საუკ. ჯვარი შეკეთებულია.

ჯვრის სამი შტოს ბოლო პალმეტისებურია. მსხვილი აყიყი ჩასმულია თვითეული ბოლოს ცენტრში. ქვედა შტო სწორწიბოებიანია, უპალმეტოა და უთვლებო. მურჟეს ნახატზე ჯვრის ოთხივე შტო პალმეტისებურია.

ჯვრის ქვემოთ არის ბუშტი, ისე როგორც პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობითაა: „ბუშტზედ მხედრულად აწერია: „ქ. მეფე სოლომონ“. წარწერა უნდა ეკუთვნოდეს იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს“.[1]

---

[1] Опись ризничным вещам и утвари церковной Хонского Кафедрального Собора“... (Дмитрий Г о р д е е в, Материалы к обследованию хонских древностей, საისტ. მოამბე, I, 1924, გვ. 203).

[2] J. M o u r i e r, La Miingrélie, Odessa, 1883, გვ. 410—411 სურათი, გვ. 408—409 შორის.

[3] ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „ხონის ეკლესია და მისი სიძველენი“, („ძველი საქართველო“ III, განყ. I, ტფილისი, 1913—14, გვ. 279—280).

[4] Д м и т р и й Г о р д е е в, Матер. к обслед. хонск. древн; გვ. 203, შენიშვნა № 49.

[1] ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, გვ. 279.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმის სიგრძე 121 სმ, სიგანე—70 სმ; ჯვრის სიგრძე—26 სმ, სიგანე—22 სმ; ბუნის სიგრძე—3 მ 27 სმ, ბუნი წაკვეთილია.

დროშა იღებდა მონაწილეობას წმ. გიორგის დღესასწაულების დროს: „ძველად ხონში 23 აპრილს, გიორგობის დღეს, დიდი დღესასწაულის გადახდა იცოდენ. ხონის გიორგობა განთქმული იყო მთელს იმერეთში. საყდრის წინ... უწინ დიდი მინდორი იყო. აქ იმართებოდა შესანიშნავი ბურთაობა, ჯირითი, ცეკვა, თამაში და სიმღერა. ბურთაობის წინ ჯერ გამოასვენებდენ ეკლესიიდან დიდ წმიდა გიორგის ხატს. ჭანტურიშვილები ამ დროშით გამოუძღვებოდენ ხატს, წულუკიძეებს ბურთი მოქონდათ, ჯერ პარაკლისს გადიხდიდნენ უზარმაზარი ცაცხვის ძირში, და მერმე გაიმართებოდა ბურთაობა. ერთ ასეთ დღესასწაულს დასწრებია მურავიოვი და აუწერია თავის წიგნში“[1].

თუმცა დროშის ალამზე მეფე სოლომონის სახელი წერია, მაგრამ საგერბო რამე სპეციფიკური ნიშნები არა აქვს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს იყო იმერეთის სამეფოს დროშა და არა მეფის პირადი დროშა.

## სამეფო დროშის თავი ახალციხის მუზეუმში

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება შუბის პირი (ტაბულა XVIII), რომელიც, გადმოცემით, მეფის დროშის თავს წარმოადგენს.

მის შესახებ ივ. გვარამაძე („ვინმე მესხი“) გაზ. „დროება“-ში წერდა (1881 წ. 1/XII, ახალ ამბებში):

„ახალციხეს ვნახე ერთი ვიცლა ჩინოვნიკის ალექსანდრე კრუპოვსკისთან ქართველთ მეფის დროშის შუბი 7 ვერშოკის სიგძით. ზედ აწერია ოქროს ასოებით მხედრულად:

„ქ. მომეც შენ უფალო შეწევნა
ჭირსა, რომელ ღვთისა მიერ
ვჰყოთ ძალი: და მან
შეურაცხ ჰყოს მტერნი ჩვენნი“

„ეს დროშის შუბი თფილისში ვიღაც თავადის შვილს უჩუქებია თუ დაუთმია ზემოხსენებული პირისათვის ამ რამდენიმე წლის წინად“.

დიმიტრი ბაქრაძეს ცნობა ამოუჭრია გაზეთიდან და სხვა ხელნაწერ მასალებთან ერთად შეუნახია[2].

როგორც ჩანს, შუბის პირი შეუძენია „ვინმე მესხს“, რადგან ახალციხის მუზეუმში მის სახლიდან არის მოხვედრილი.

შუბის პირი (ახალციხის მუზ. № 1325) მთლიანად რკინიდან არის ნაჭედი. ლულა, რომლითაც ის ბუნზეა დამაგრებული, მრგვალია დიამეტრში, წაკვეთილი კონუსისებურია, ვიწროვდება ზემოთკენ, სრულიად სადაა. ლულასა და წვერს შუა არის ჯერ ბირთვისებური, რელიეფური სალტე, ხოლო შემდეგ ბრტყელი, წახნაგებული სალტე. წვერი ძირში რვაწახნაგაა, ზემოთკენ-კი გადადის ოთხ ძლიერ წახნაგში, რომლებიც წვეტისაკენ თანდათან ვიწროვდება და ოდნავ მრგვალდება. წახნაგების შუაზე, მთელ სიგრძეზე, ძალიან მცირე ჩაღრმავება ეტყობა. თვითეულ წახნაგზე ზარნიშით დაწერილია თითო სტრიქონი („ვინმე მესხი“-ს მიერ გამოქვეყნებული ტექსტი სრული სიზუსტით ვერ გადმოგვცემს წარწერას):

ქ. მომეც ჩვენ უ͠ო შეწევნა
ჭირსა რ͠ლ ღ͠თისა მიერ
ვყოთ ძალი და მან
შეურაცხყოს მტერნი ჩვ[ნ]ი

გაწაფული ქართული ხელიდან მჟღავნდება, რომ შუბი ქართველი ოსტატის ნამუშევარია.

წარწერის ხასიათი XVIII საუკუნეზე მიგვითითებს, აგრეთვე თვით საგნის ფორმაც. იგი ძალიან ჰგავს პაპუა მოურავის დროშის (იხ. ქვემოთ) სარჭობ წვეტის ფორმას.

ტექსტი „დავითნი“-დან არის აღებული (ფსალ. 107, 12-13).

ტექსტი განსხვავდება წვრილმანებში, როგორც 1711 წელს დაბეჭდილ დავითნთან, ისე ბაქარის „დაბადების“ დავითნის ტექსტთან შედარებით.

1711 წლის დავითნის ტექსტი: „მომეც ჩვენ შეწევნა ჭირსა რამეთუ... ღ͠თისა მიერ ვყოთ ძალი და მან შეურაცხყვნეს მტერნი ჩვენნი“.

ბაქარის „დაბადების“ დავითნის ტექსტი: „მომეც ჩჳენ შეწევნა ჭირსა: რამეთუ... ღუთისა მიერ ვყოთ ძალი და, მან შეურაცხყუნეს მტერნი ჩუენნი“.

რადგანაც დავითნის ტექსტებს ვხედავთ სამეფო ალამზე (ვახტანგ VI-ის დროშა) და სამეფო დროშის თავზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ახალციხის მუზეუმის შუბის პირიც, მართლაც, სამეფო დროშის შუბის პირია.

მისი მასალა—რკინა—უნდა გვიჩვენებდეს, რომ დროშა საომარი იყო.

## „დროშა საუფლისწულო“ გიორგი XIII-ისა

პლატონ იოსელიანის გამოკვლევის თანახმად, გიორგი უფლისწულს, ერეკლე II-ის ძეს, როდესაც იგი შვიდი წლისა გახდა, მეფე თეიმურაზის ბრძანებით მოუმზადეს დროშა საუფლისწულო. მირთმევას საგანგებო ცერემონიალი სდევდა: „კათოლიკოსმან ანტონი უკურთხა დროშა ესე და მიართვა მეფის ძესა მეტეხისა ეკლესიასა შინა, პარაკლისისა გარდახდითა.“[1] შვიდი წელი, როგორც ჩანს, უფლისწულთათვის იყო ის ასაკი, როდესაც მას უკვე მომწიფებულად სთვლიდნენ სწავლისათვის და სხვადასხვა წვრთნისათვის.

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, გვ. 279.

[2] იხ. მისი არქივიდან შემოსული ხელნაწერი, № sd 3037, საქ. მუზ. ხელნაწერების განყოფილებაში.

[1] პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936, გვ. 26.

დროშის მირთმევა ბატონიშვილისათვის დაკავშირებული იყო ეკლესიისათვის შესაწირავის გადაცემასთან. ამ დღეს იყო სასახლეში დარბაზობის მაგვარი შეკრება:

„დღესა ამას იყო დიდი პატიჟობა სტუმართა სასახლისა პალატებში, ქალთა და კაცთა. ამასავე დღესა აღსაზრდელად მეფის ძისა, შესწირეს მეტეხისა ეკკლესიასა, ვითარცა კარისა ძველად საყდარსა და კათოლიკოსისა მეტოქსა, ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი... სამი კომლი კაცი, და ერთი ხელი შესამოსელი, და მიუბოძეს წინამძღვართა მისთა ოქმი შეწირულობისა“[1].

პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს ამ დროშის შემდგომ თავგადასავალს: გიორგი XIII (XII) დაუსვენებია ეს დროშა კარის ეკლესიაში:

„განმაახლებელმან წმინდის გიორგის ეკკლესიისა, აღშენებულისა სვიმონ ზანიშინისაგან, დასდვა იგი კარის ეკკლესიად; მას შინა დაასვენა დროშა თვისი და შესწირა ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა“[2].

დროშის შენახვა ღვთაების ტაძარში, შესაძლოა, საქმის კეთილად წარმართვის რწმენასთან არის დაკავშირებული.

გიორგი XIII-ს გარდაცვალების დღიდან დროშის ალამი ბუდეში ჩაუდვიათ და შეუნახიათ ამავე ეკლესიაში.

„დროშა ესე იყო ბუდეში ჩადებული და კრძალვით და კარის წმინდის გიორგის ეკკლესიასა შინა, დღითგან მეფის გარდაცვალებისა“[3].

დროშის შემდეგი თავგადასავალი გადაბმულია იოსელიანის სახლთან. კარის ეკლესიის მღვდელი ყოფილა ჯერ პაპა პლატონ იოსელიანისა, შემდეგ მამა პლატონისა ეგნატე. 1830 წელს (1830 წელი შეთქმულების წელს წარმოადგენს) ეგნატე იოსელიანს შეშინებია, რომ მეფის მთავრობას არ მიეცა იგი პასუხისგებაში, გიორგი უფლისწულის დროშის შენახვის გამო. ამიტომ დაუწვია დროშის ბუნი („ხე“), ხოლო დროშის თავი—„ვეცხლის ბუშტი“ („ხისა ამის თავზედ ნაკეთი ვეცხლისა ბუშტი“) გაუყიდია. აღებული ფულით გაუკეთებია ხის ბუდე. მასში ჩაუდვია დროშა ხატის სახედ, ე. ი. დაუკეცია დროშის კალთები ისე, რომ მაყურებელისაკენ იყო მიმართული ალამზე ამოქარგული ხატი. ბუდეს ზემოდან გაკეთებული ჰქონია მინა:

„ბუშტი ვეცხლისა და თვით ძელი, რომელზედაც იყო დამყარებული სახე ღვთისმშობლისა, განაქარვა მამამან ჩემმან 1830 წელსა შიშისათვის რუსთა მთავრობისა: ეშინოდა, არა ჰკითხონ, რად გაქვს დროშა ესეო... შეშინებულმან დასწვა ხე, რომელზედაცა იყო ბმული თვით ხატი. ხისა ამის თავზედ ნაკეთი ვეცხლისა ბუშტი გაყიდა და ფასითა ამით უქმნა კიოტი ფიცრისა, დაკეცა დროშასა ამას სამსხივად გრძელი ფრთეში და ჩასდვა კიოტსა შინა მინითა დაფარული“[1].

ამის შემდეგ ეგნატე იოსელიანს ეს შენიღბული დროშა-ხატი თავის სახლში დაუსვენებია: „დაისვენა თაყვანის საცემლად სახლსა შინა თვისსა“[2].

იოსელიანთა ოჯახში ინახება ამჟამადაც ეს დროშა და მისი შესწავლისათვის (აკად. გ. ჩუბინაშვილის თაოსნობით) დროებით დათმობილია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორის დავით იოსელიანის მიერ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისათვის. პროფესორი ჩამომავალია პლატონ იოსელიანის ძმის ონისიმესი. იგი ცხოვრობს თბილისის ძველ ნაწილში, ჩახრუხაძის ქუჩაზე, სახლში, რომელიც, პატივცემული პროფესორის სიტყვით, აშენებულია, დაახლოებით 50 წლის წინათ. პლატონ იოსელიანის დროს კი აქ დარბაზი მდგარა. დარბაზის ქვემო სართული დარჩენილა. დროშა, ხატის ბუდეში ჩადებული, ამ სახლში ინახებოდა, დარბაზის თახჩაში. უბნის ხალხი შედიოდა სახლში და ხატს სანთელს უნთებდა.

ეს ბუდე (ტაბულა XXI) არის მოწითალო-წაბლისფერად შეღებილ ხისა (სიგრძე—52, 3სმ, სიგანე—43, 7, სიმაღლე — 5,5); ბუდეს აქვს კარი. მის დასამაგრებლად ხის 2 საკეტია, რომელთა გადაწევით კარი იღება. ერთი საკეტი დაწვენილი პირამიდისებური ფორმისაა, იმავე ფერის ხისაა, როგორც ბუდე; დამაგრებულია განიერი თავიანი რკინის ლურსმნით. მეორე საკეტი მომრგვალებულია თავისაკენ.

სპილენძის საკიდარი დამაგრებულია ბუდის კარის ერთ გვერდზე. იგი ბრტყელია, სტილიზებული ფოთლის მსგავსი. როგორც ეტყობა, კარის გაღებისათვის—გამოსაწევად—არის განკუთვნილი.

დროშა დაუჭედიათ ლურსმებით ცალკე ფიცარზე და ისე ჩაუდვიათ ბუდეში. ფიცარი შეუღებავია. აქვს მოგრძო სწორკუთხედის ფორმა. ფიცრის სიგრძე არის 43, 7 სმ, სიგანე—31,4, სისქე—1,2. ქსოვილი დაჭედილი იყო ფიცარის მხოლოდ ზედა ზედაპირზე, კართან შეფარდებით გაკეთებულის ხის ვიწრო ჩარჩოს საშუალებით, რომელიც 4 თამასასგან შედგებოდა. თამასები მკრთალ ყავისფერად იყო შეღებილი[3].

თამასების ჩარჩო მისდევდა ხატის ოლეს, რომელიც შედგენილია მუქ ყავისფერ და ვერცხლისფერ გადახლართულ ძაფებისაგან.

ხატის ბუდის 2 მხარეზე (ზემოზე და მარჯვენა გვერდისაზე) დამაგრებულია რკინის კილოები. მათში თოკებია გაყრილი, ხატის დასაკიდად.

ხატის ბუდის ზურგზე (გარედან) დაწერილია შავი მელნით:

---

1 პლატონ იოსელიანი, ცხოვრ. გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედაქციით, თბ. 1936, გვ. 26—27.

2 იქვე, გვ. 39.

3 იქვე, გვ. 27.

1 იქვე, გვ. 27.

2 იქვე, გვ. 27.

3 ალამს რესტავრაციის შემდეგ თამასები აღარ გაუკეთდა და ქსოვილი აღარ დაიჭედა ზედა, რომ ლურსმნებს არ გაეფუჭებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 $\frac{10}{21}$ 24

ჩ ყ კ ე სა

ოკდომბრისა კასა[1]

ეს თარიღი უნდა ეწინააღმდეგებოდეს პლატონ იოსელიანის მიერ მოყვანილ თარიღს დროშის დაშლისა და შეთქმულების სამზადისის წლებს უნდა ეხებოდეს. დროშის შესასწავლად საჭირო იყო ალამის განთავისუფლება ფიცრისაგან. პროფ. დ. იოსელიანის თანხმობით და აკად. გ. ჩუბინაშვილის განკარგულებით ფოტოგრაფიულად გადაღებულ იქნა დროშა ჯერ ბუდეში ჩადებული, შემდეგ ბუდიდან ამოღებული, მაგრამ ჯერ დაკრული ფიცარზე, შემდეგ სპეციალურმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე იყო მეცნ. დამსახურებული მოღვაწე იროდიონ სონღულაშვილი და წევრები ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ზ. მაისურაძე და ს. ბარნაველი, გაანთავისუფლა დროშის ალამი ფიცრიდან. შედგენილ იქნა აქტი იმის შესახებ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ალამი[2].

ქსოვილი ძალიან დაგლეჯილია კიდეებზე. ამოგლეჯილია ადგილი მარჯვნივ, ზემო კუთხეში ოლეს შიგნით. დახეულია ქსოვილი მარცხენა მხარისაკენ, ოლეს შიგნითვე, ანგელოზის ფრთის ქვემოდან და სავარძლის ფეხთან. სხვა ადგილებშიც ქსოვილი ბევრგან გაწყალებულია[1]. ფერები გადახუნებულია, განსაკუთრებით ეს ჩანს გამოხატული პერსონაჟების ტუჩების ფერზე.

ალმის ფორმა (ტაბულა XXII) არის სწორკუთხედი, რომლის ერთი მხარე თავდება სამი გრძელი სამკუთხედი კალთით. სიგრძე ალმისა—1 მ 40 სმ, სიგანე—1 მ 2 სმ, სიგრძე კალთებისა — 63-65 სმ, სიგანე — 31-33,5 სმ. როგორც ვხედავთ, მართლდება პლატონ იოსელიანის ცნობა, რომ დროშის „სამ სხივად გრძელი ფრთები დაკეცილი იყო". ალამზე, კალთების საწინააღმდეგო მხარეზე მიკერებულია სამ ალაგას წყვილწყვილად აბრეშუმის ზორტი, ალმის ასაბმელად ბუნზე.

სამივე კალთის ბოლოზე დაკიდებულია ფუნჯები. ალმის სწორკუთხედ ნაწილზე დაკერებულია ხატი. იგი ნაქარგია აბრეშუმზე, რომელსაც სარჩულად თეთრი ტილო უდევს (ორივეზე ერთად არის ნაქარგი). ხატის ადგილას ამრიგად აბრეშუმი ორმაგი გამოდის. ხატი დაკერებულია გეზად. მიკერების ადგილებზე მოვლებულია გადახლართული ძაფებისაგან გაკეთებული ყაითანი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი.

ალმის ფიცრიდან ახსნის შემდეგ დადასტურდა პლ. იოსელიანის ცნობა: ალმის შუა ნაწილი, მართლაც, ყვითელი ფერისა აღმოჩნდა, გაშლამდე თეთრი ჩანდა. ეს არის რბილი, სასიამოვნო, მოოქროსფერო ფერი. ამ ყვითელ მასალას პლ. იოსელიანი ატლასს უწოდებს, მაგრამ ეს ატლასი კი არ არის, არამედ მშვენიერი, მჭიდროდ ნაქსოვი აბრეშუმია, ყანაოზი[2]. ძალიან საინტერესოა, რომ მეორეგან პლატონ იოსელიანი ამ ქსოვილს „მოვს" უწოდებს[3].

დროშა ერთფერი კი არ არის, როგორც პლ. იოსელიანს დაუსკვნია ხატის ფერის მიხედვით, არამედ ორფერია: ყვითელი და მოცისფრო-ოდნავ ფუსტულისფერი. ეს მეორე ქსოვილიც ყანაოზია. ალმის სწორკუთხედის შუა ნაჭერი მოყვითალოა, აქეთ-იქითა (ზემო და ქვემო) — მოცისფრო; შუა კალთა—მოყვითალოა, აქეთ-იქითა მოცისფრო.

ალამს აქვს კარგი და ცუდი პირი. ხატი კარგ პირზეა დაკერებული. ცუდ პირზე გამოხატულება არ არის. ცუდი პირიდან ალამის ყველა ნაკერავზე წაკერებული არის ატმისფერი აბრეშუმის ზოლები. ატმისფერია აბრეშუმის ზორტები დროშის ასაბმელი, ხოლო ფუნჯები ფუსტულისფერია. სწორკუთხედის კიდეებზე (გარდა იმ კიდისა, სადაც ზორტებია დაკერებული) და

---

[1] რიცხვ 10-თან აქ გაურკვეველი ნიშნებია, თითქოს რუსულად წერია: „Октябр[ь]".

[2] მომყავს ოქმის პირი:

ქ. თბილისი

1944 წელს 14 ნოემბერს ჩვენ ქვემო ხელის მომწერთ, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. გ. ნ. ჩუბინაშვილის განკარგულებით დანიშნულ კომისიის წევრთ, ხელოვნების მუზეუმის მეტეხის მცირე ხელოვნების განყოფილების გამგემ იროდიონ სონღულაშვილმა, ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა სარა ბარნაველმა და ზაქარია მაისურაძემ, ინსტიტუტის დირექტორის დავალებით, ამოვიღეთ კუბოდან გიორგი ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძის) ხატად დაკრული ლურსმნებით ფიცარზე გვერდებ და ბოლოებ შემოკეცილი დროშა, რომელიც შესწავლის მიზნით დროებით მოტანილია პროფ. დავით გიორგის-ძე იოსელიანის სახლიდან (ჩახრუხაძის ქუჩა № 6) და რომელზედაც არის ნაქარგი ღვთისმშობელი, მჯდომარე ტახტზე ყრმითურთ, თითო ანგელოზი ტახტის მარჯვნივ და მარცხნივ და დომენტი თბილელი, მუხლმოყრილი ღვთისმშობლის მარჯვნივ, და წარწერები, — ავაძრეთ ფიცრიდან და გავშალეთ. გაშლისას დროშა აღმოჩნდა შემდგარი მოცისფრო და მოყვითანო აბრეშუმისაგან, ნაკეც ადგილებში ხატის ირგვლივ დახეთქილი ალაგ-ალაგ; მარჯვენა ტოტი იღლიაში შეხეული, ამავე ტოტის ბოლოზე ალაგ-ალაგ დაფხრეწილი, გვერდის მარცხენა ტოტის იღლიის გასწვრივ გამოგლეჯილი და ამ იღლიის თავშიც და ბოლოშიც დაფხრეწილი, თავზე ორი შვეული ნაფხრეწით; მარცხენა მხარეზე დიდი ლაქებით და საერთოდ, სხვადასხვა ადგილას მრავალი წვრილმანი ზიანით.

ხელის მომწერნი: 1. ირ. სონღულაშვილი

2. ს. ბარნაველი

3. ზ. მაისურაძე

---

[1] ამჟამად ალამი შეკეთებულია ძველი ქართული ხელსაქმის გამოცდილი რესტავრატორის ანასტასია ჯანდიერის მიერ, პროფ. დ. იოსელიანის თანხმობით.

[2] ქართული ხელსაქმის სპეციალისტის ანასტასია ჯანდიერის დასკვნით.

[3] ა ნ ტ ო ნ  პ ი რ ვ ე ლ ი, წყობილსიტყვაობა, ტფილისი, 1853, გვ. 219 (პლატონ იოსელიანის მიერ გაკეთებული შენიშვნა).

ტოტების კიდეებზე შემოვლებულია, მხოლოდ ცუდი პირიდან, კვლავ იგივე ატმისფერი აბრეშუმი.

დროშა დამზადებულია თეიმურაზ II-ის ბრძანებით. მის მიერ არის შერჩეული ფერიც ალმისა და გამოხატულებაც მასზედ. პლატონ იოსელიანი ხატის დამზადების ტექნიკისათვის ხმარობს ტერმინს „ქსოვა", (ხოლო მეორე ნაშრომში: კერვა („ნაკერი")[1]. სინამდვილეში ხატი, მართლაც, „ნაკერია", ნაქარგია. ხატი მოუქარგია სამეფო კარის მანდილოსანს:

„მეფემან ქართლისა თეიმურაზ მეორემან,.... მეფის ძესა გიორგის... ბრძანა მოუმზადონ დროშა საუფლისწულო. მისისავე ბრძანებითა მოიღეს ყვითელი ატლასი და მასზედ მოქსოვეს ხატი მეტეხთა ღვთისმშობლისა ფერადებითა და კილიტებითა.

„მომქსოვი მისი იყო ამირეჯიბისა როინისა ასული და ქვრივი როსტომ ციციშვილისა ანასტასია, რომელიცა ახლდა დედოფალსა ანახანუმს, თეიმურაზ მეფისა მეუღლესა და არია შორდება მეფისა სასახლესა, და რომელიცა იყო საყვარელი და დაახლოვებული დედოფალისა თამარისა, პირველისა ცოლისა თვით თეიმურაზ მეფისა"[2].

მოქარგვის დროს დედნად ჰქონიათ ხატი, რომელიც გაუკეთებინებია დომენტი კათოლიკოზს[3].

„ხატისა ამის კოპიოსა ანუ პირისაგან სჩანს, რომელ თვით ნამდვილი იყო შემზადებული დომენტი კათოლიკოსისაგან. ამისათვის რომელ ქვე ხატისა ღვთისა დედისა ხატია თვით დომენტი მუხლმოდრეკით და ხელთა განპყრობითა ღვთისა დედისადმი მვედრებელი"[4].

როგორც ძველი ქართული ხელოვნების სხვა მაგალითებიდან ჩანს, მვედრებელის გამოხატვა ხატზე ზოგჯერ შეკეთების დროსაც ხდება[5], მაგრამ ხატის სტილი, რომელზედაც შემდეგ იქნება ლაპარაკი, გვიან საუკუნეებზე მიგვითითებს.

პლატონ იოსელიანის სიტყვით, ხატის დედანი დაკარგულა აღამაჰმადხანის შემოსევის დროს:

„....ხატნი ესე ძველი თვით ნამდვილი დაიკარგა თფილისის აღებისა დღესა 1795 წელსა სპარსთაგან"[1].

ხატი (სიგრძე—37,4 სმ, სიგანე 27,3 სმ) ნაქარგია ფერადი აბრეშუმის ძაფით, ვერცხლის ძაფით, რომელიც დაგრეხილია თეთრ აბრეშუმის ძაფზე, მოოქროვილი ვერცხლის ძაფით, და შემკულია სპილენძის მოოქროვილი კილიტებით (ნაჩვრეტიანი ცენტრში, თხელი, პატარა დისკოები).

ხატის ცენტრში (ტაბულა XXI) მოთავსებულია ღვთისმშობელი, საყდარზე მჯდომარე. მარცხენა ხელში იესო ქრისტე უჭირავს. მარჯვენა ხელი მიმართულია იესოსაკენ, ყრმა ზის ხელზე, თითქმის დგას, ცალფეხზე დაბჯენით ერთი ხელი მაკურთხებელია, მეორე ხელში ძალიან დამახინჯებული გრაგნილი უჭირავს. საყდრის ზურგით, აქეთ-იქით, დგას 2 ანგელოზი. ჩანს მათი თავი, ღვთისმშობლისაკენ მიბრუნებით, და მხარის ნაწილი ფრთებით.

ღვთისმშობელი მოცემულია შემკვეთელისაკენ მიტრიალებით.

შემკვეთელს ბერის ტანისამოსი აცვია. მის თავთან ამოქარგულ წარწერიდან — **ႣႭႫႤႬႲႨ ႧႡႨႪႤႪႨ** — ვიგებთ, რომ ეს შემკვეთელი თუ მხვეწარი არის დომენტი თბილელი.

ერთი დომენტი თბილელი მოხსენებული ჰყავს ალ. ხახანაშვილს: „1701—1727 წ. დომენტი მესამე ორბელიშვილი, წოდებული თბილელ-ბოვნელად"[2].

მაგრამ პლატონ იოსელიანის ცნობით აქ გამოხატულია დომენტი III კათოლიკოზი, ბატონიშვილი:

„დომენტი მესამე განაგებდა ეკკლესიასა ქაიხოსრო მეფისა ანუ ვახტანგ VI ჟამსა და იყო მრავლად ღუაწლდებული ეკკლესიისა..."

„თფილისს მეტეხთა ღუთის-მშობლის ყვთელს მოვზედ ნაკერს ხატზედ, რომელიცა შემდგომად მიიღო დროშად მეფის ძემან და მერეთ მეფემან გიორგი მეათცამეტემან, იყო გამოსახული კათოლიკოსი ესე დომენტი მუხლმოდრეკით მლოცუელი"[3].

დომენტი თბილელი დაჩოქილია საყდრის (სავარძლის) მარჯვნივ. პერსპექტივის უცოდინარობის გამო, იგი მოთავსებულია საყდრის გალმა. იგი გამოხატულია უფრო პატარა ტანისა, ვიდრე ყრმა იესო—ძველი აღმოსავლური მანერა: ადამიანის პატარად გამოხატვა ღვთაების წინაშე[4].

კომპოზიციის ზემოდან არის ამოქარგული წარწერა.

---

1 ა ნ ტ ო ნ პ ი რ ვ ე ლ ი, წყობილსიტყვაობა (პლატონ იოსელიანის შენიშვნა, გვ. 219).

2 პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 26.

3 საინტერესოა, რომ იოსელიანების გვარში არსებული თქმულება ამ ძველი დროშის შესახებ არ ეთანხმება პლატონ იოსელიანის ცნობებს. ამ თქმულებით ერთ-ერთ იოსელიანს ალამი ბრძოლის დროს მოუგლეჯია ბუნიდან, შემოუხვევია ტანზე, ასე მოუტანია გადარჩენილი ალამი სახლში, და ამის შემდეგ ალამი სახლში ინახება.

პ. კარბელაშვილს ჩაწერილი აქვს სხვა თქმულებაც:

„1725 წ. რომ დომენტი ბატონიშვილი კათალიკოზი სტამბოლში დატყვევდა, მისმა დამ, დედოფალმა თამარმა (ერეკლე მეფის დედამ), ყვითელ მოვზე ამოკერა აბრეშუმის ძაფით მეტეხის ღვთისმშობლის ხატი და დომენტი კათალიკოზი, მუხლმოდრეკით მლოცველი. ეს ხატი გიორგი ბატონიშვილმა 1767 წლიდან მიიღო საბატონიშვილო დროშად" („ქართველთა საერო დროშის გამო", „ივერია", 1904, № 284).

4 პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 27.

5 Н. Кондаков, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890, გვ. 106.

1 პლატ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 27.

2 ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ, 7. დაბეჭდილია შეცდომით: „ბელაკნად". შესწორება ხერხდება იმ საბუთის საფუძველზე, რომლის შენიშვნაში მოთავსებული აქვს ეს ცნობა ალ. ხახანაშვილს.

3 ა ნ ტ ო ნ პ ი რ ვ ე ლ ი, წყობილსიტყვაობა (პლატონ იოსელიანის შენიშვნა გვ. 219-ზე).

4 ივრიზის რელიეფი (G. Contenau, Manuel d'archéologie orientale, III, Paris, 1936, fig. 743).

იგი ორ სხვადასხვა დროს უნდა ეკუთვნოდეს. ზემო 2 სტრიქონი ვერცხლის ძაფით არის შესრულებული (ეს ძაფები დამაგრებულია მოყვითალო ძაფით):

ႧႤႧႠ Ⴁ~ႶႤႱႠ[1]

ႫႤႴႤႱႠ Ⴁ~ႫႤႱႫႸႭႬႤႧ

შემდეგი 3 სტრიქონი შავი ძაფით და სხვა ტექნიკით არის შესრულებული. ღვთისმშობლის თავის აქეთ-იქიდან:

1 სტრ. ႫႠႩႤႠႫ ႧႤႧႭႴႠႬႤ ႱႠႱႭႴႤ

2 სტრ. ႣႤႬႤႱႠ

3 სტრ. Ⴋ~Ⴇ Ⴜ~Ⴀ

იესო ქრისტეს თავის ზემოთ კვლავ შავი ასოებით წერია: Ⴈ~Ⴑ Ⴕ~Ⴄ

იესოს წარწერა უშუალოდ მისდევს ღვთისმშობლის წარწერის Ⴜ~Ⴀ ს, მკაფიოდ არ არის გამოყოფილი.

კომპოზიცია ოდიგიტრიის ტიპისაა, საზეიმო ხასიათისა, იმ ვარიანტთაგანი, რომლებშიც ღვთისმშობელი შემკვეთელისა თუ მლოცავისაკენ არის მიბრუნებული, საყდარიც არაფრონტალურად ჩანს, მაგრამ ძალიან დამახინჯებულია რაკურსში.

კომპოზიციას საერთო აქვს XV საუკ. ბერძნულ-იტალიურ ხატთან[2] (ანგელოზების სახეები, ნაწილობრივ მათი პოზები, საყდარი და სხვ.). მსგავსება ეხება მხოლოდ კონტურებს, ცხადია, არსებობდა ხატის ამ ვარიანტისათვის ზუსტი ნიმუში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია უნდა ჰქონდეს. შეცვლილია ან დამატებულია მხოლოდ მლოცველის ფიგურა ხატის შეკვეთის დროს. ძირითადი კომპოზიციის პირვანდელი ნიმუში კარგი უნდა ყოფილიყო. ხატი, ცხადია, პირის პირს წარმოადგენს.

დასავლური სკოლის და გვიანი საუკუნეების მაჩვენებელია ღვთისმშობლის გვირგვინი. გვირგვინსვე ვხედავთ ივერიის ღვთისმშობლის ქართული ხატის გვიან მოჭედილობაზე ათონში[3].

თუმცა კომპოზიცია და ზოგიერთი შტრიხი კარგ დედანზე მიგვითითებს, ხატის შესრულება ძალიან ტლანქია მოხაზულობისა და დეტალების მხრივ (მასიური სახეები, მოკლე ფიგურები). გაცილებით უფრო უმწეოა და ტლანქი დომენტი თბილელის ფიგურის პროპორციები: ძალიან დიდი თავი, უხერხულად დასმული მხრებზე, სახის ტლანქი ნაკვთები, თვალების მცდარი მიმართულება. ღვთისმშობლის და იესოს ხელებთან შედარებით, დომენტი თბილელის ხელები ძალიან ტლანქი მოხაზულობისაა. ტანსაცმელში სრულიად გაუგებარია რაღაც ყავისფერი ნაწილი. შეუფერებლად დალაგებულია ტანის ნაწილებთან ნაოჭები.

პერსონაჟთა სახეების, ხელების და ფეხების კონტურები შავი ფერის ძაფით არის ნაკერი. შავი ფერის ძაფითვე ნაკერია ქრისტეს ფიგურის კონტურები. დანარჩენი კონტურები და ტანსაცმლის ნაოჭები კი აღნიშნულია თეთრ აბრეშუმის ძაფზე ნაგრეხ მსხვილ ვერცხლის-ძაფით შესრულებული ხაზებით. ტანსაცმლის ნაოჭები ფორმებს არ ხატავს, მათი მიმართულება არ ეწყობა სხეულის ნაკვთებს. ზოგჯერ ნაოჭები ორი ხაზისაგან შედგება. ფერებში თითქოს კვალია იმისი, რომ დედანში ფერების ნიუანსებით მოდელირებული იყო ტანსაცმელით დაფარული ნაკვთები.

ხატის სხვადასხვა ნაწილებზე ქარგვის ტექნიკა სხვადასხვაა.

ღვთისმშობლის პირისახე, ხელები, თითქმის მთელი მისი ჩაცმულობა, იესოს პირისახე, ხელები და ფეხი, ანგელოზების სახე და დომენტის ხელები ნაკერია ბუნდ ვერცხლისფერ, თეთრზე გადაგრეხილ ძაფით (დომენტის სახე თეთრი ძაფით არის შესრულებული, რაც შეკეთების შედეგს უნდა წარმოადგენდეს). ლამბები უწესრიგოა. ისინი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, თითქოს ხატის დედანი მოზაიკური იყო—ლამბები სახის ნაკვთებს მისდევს, რაც კვლავ მოზაიკურ ხატებს გვაგონებს.

იესოს ნიმბი (არა ჯვარედი) და ქიტონი, ღვთისმშობლის გვირგვინი შეკერილია სხვა ტექნიკით: ტალღისებურად დამაგრებული ძაფების კონებით (სამ-სამი დიდი ლამბით). გრძელი ლამბებით გაკეთებულია ანგელოზების ფრთები და საყდარი. ამ უკანასკნელთათვის მხოლოდ აბრეშუმის ძაფია ნახმარი.

ანგელოზების თმებზე მკაფიოა ძაფების მდინარება. ერთნაირი ფერის ძაფის ლამბები გადმოგვცემს ხვეული თმების ტალღებს. გვირგვინის ძვირფასი თვლები თითქოს რელიეფური მარცვლებით არის შეკერილი. ქარგვა სხვადასხვა ტექნიკით და ძაფით ერთგვარ ცხოველსახულობას ქმნის. მოზაიკისებური ნაქარგი თავის სიმჭიდროვით განსაკუთრებით გამოიყოფა.

ფერები მთელი ჯგუფისა ძალიან რბილია. მოცემულია მრავალი ელფერი, მაგრამ კილიტები ჰფარავენ და ანადგურებენ კარგ შთაბეჭდილებას. კილიტებით დაფარულია სავარძელი და ანგელოზის ფრთები, რომელიც მტრედისფერია—მოცისფრო-თეთრი.

ფერების სინაზე, თითქოს, კვლავ იტალიურ სკოლის გაცნობაზე მიგვითითებს: აქ ვხედავთ მოოქროვილ-ვერცხლისფერს, ვერცხლისფერს, ფირუზისფერს, მოიასამნისფერო-წაბლისფერს, შვინდისფერს[1].

დროშის შემსრულებელს ეკუთვნის ხატის ფერების შეხამება ალმის ფერებთან. ქიტონის ფირუზისფერი, მომწვანო-მოცისფრო, ასეთივე თვლები გვირგვინზე, ასეთივე ფერი საყდარზე და ანგელოზის ფრთებზე შეხამებულია დროშის ალმის ქსოვილის ფუსტუღისფერ-

---

1 Ⴈ -ს თავი შეცდომით მიბრუნებულია მარჯვნისაკენ.

2 Н. П. Кондаков, Иконография богоматери. Связи греческой и русской иконописи с итальянскою живописью раннего Возрождения, СПб, 1910, გვ. 120.

3 Н. П. Кондаков, Иконография богоматери, II, Петроград, 1915, გვ. 103.

1 Н. П. Кондаков, Иконография богоматери. Связи греческой и русской иконописи с итальянской, გვ. 111.

მოცისფროფერთან და ფუნჯების ფერთან. ასევე ჰპოვებს შეხამებას ხატის ნარინჯის და ატმის ფერი ალმის ძირითად მოოქროსფერო-ყვითელთან. თვით ხატის მოცისფრო ფერებთან ჰარმონიას ქმნის სახეების და ხელების ბუნდი ვერცხლისფერი. საზოგადოდ, ფერები კარგად არის შესრულებული, სიჭრელის შთაბეჭდილება არ იქმნება.

ძველი საქართველოს ეს ნაშთი, სათუთად შენახული თაობიდან თაობამდე, ძალიან საყურადღებოა მთელი თავისი თავგადასავალით და თქმულებითაც.

## პაპუა მოურავის დროშა

პაპუა მოურავის დროშა ინახება ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (№ 539/467).

დროშის ალამი (ტაბულა XXIII) შედგება სწორკუთხედისაგან და სამი სამკუთხედი კალთისაგან.

ალმის სიგრძე კალთებიანად—134 სმ, გარეთა კალთების სიგრძე 77—81 სმ, შუალასი (შეკეთებულია)—49 სმ, ალმის სიგანე—87 სმ.

ალამი ორფერი აბრეშუმისაა (ყანაოზი), თეთრისა და შვინდისფერის. სწორკუთხედის შუაგული და კალთების შუაგული თეთრია. სწორკუთხედის სამ მხარეზე, გარდა იმ მხარისა, რომელზედაც კალთებია მიკერებული, შემოვლებულია შვინდისფერი განიერი ოლე. ასეთივე შვინდისფერი აბრეშუმის ოლე შემოკერებულია აქეთ-იქითა კალთების განაპირა მხარეებზე. მათ შიგნითა მხარეებსა და შუაკალთაზე კი შემოკერებულია ვიწრო შვინდისფერი ოლე. შუა კალთაზე შერჩენილია მომწვანო-ლურჯი აბრეშუმის ფუნჯი.

ორივე კალთის ბოლო რესტავრირებულია ახალი ნაჭრების ჩაგდებით და დაკემსვით. მაინც სიძველის გამო თეთრი აბრეშუმი დამსკდარია. იგი დალაქავებულია ადგილ-ადგილ ყვითელი ლაქებით.

სწორკუთხედზე, კალთების საწინააღმდეგო მხარეს, დაკერებულია ზორტები დროშის ასაბმელად: ერთი წყვილი—ზემოთკენ, ერთი—შუა ადგილას; ქვემოთ, როგორც ჩანს, აგლეჯილია.

თეთრი სწორკუთხედის ზემო კუთხისაკენ, ცოტა ირიბად, მოთავსებულია ხატი, ნაქარგი ყვითელ, ოდნავ მოყავისფერო ტილოზედ.

ხატი (ტაბულა XXIV) მოგრძო, სწორკუთხედის ფორმისაა. ჩარჩო გაკეთებულია ორ, ერთმანეთისაგან დაშორებული ზოლით. ეს ზოლები შედგება ერთმანეთზე გადაგრეხილ წითელ და ნაცრისფერ (წვრილ) ძაფებისაგან. გრეხილები ერთიმეორის პარალელურად ისეა დამაგრებული (ორ-ორი თითო ზოლის გასავლებად), რომ თევზის ფხის სახეს ქმნიან.

ერთმანეთზე ნაგრეხ ძაფებით შესრულებულია გამოხატულებაც. ეს გადახლართული ძაფები, დამაგრებული ქსოვილზე, ქმნიან არაგლუვს, ოდნავ ხუჭუჭ ზედაპირს.

ნაგრეხივე ძაფებით, როგორც ვნახეთ, შეკერილია გიორგი უფლისწულის დროშა, მაგრამ იქ ძაფები გლუვად არის დაფენილი. ნაგრეხი ძაფების დამაგრებით შეკერვა XVIII საუკუნისათვის მიღებული ტექნიკა ჩანს.

გიორგი უფლისწულის დროშის ალამთან ახლოა თვით თარგიც ალმისა, მისი მოცემაც ორი ფერით იმგვარად, რომ სწორკუთხედის შუაგული და კალთები ერთი ფერისაა, ხოლო კიდეები მათი მეორე ფერისა. ორივე ალამზე ხატი მხოლოდ ერთ მხარეზე არის მოთავსებული, ოდნავ ირიბად. დაახლოებით ერთნაირადვეა გაკეთებული ხატის ჩარჩოებიც ნაგრეხი ძაფების საშუალებით.

ხატის სრულიად სადა არეზე მოთავსებულია წმ. გიორგის გამოხატულება. წმ. გიორგი შუბით გმირავს გველეშაპს. მისი ცხენი უკანა ფეხებით შემდგარა გველეშაპზე, წინა ფეხები ჰაერში აქვს გაჩერებული.

მწყობრი კომპოზიცია სამკუთხედშია ჩაწერილი. იგი საყურადღებოა, რამდენადაც გველეშაპის ტანი, მოცემული ხლართებად, თითქოს პიედესტალის როლს თამაშობს. სხვა კომპოზიციებისაგან განსხვავებით გველეშაპის პროპორციები დიდია გამოხატულების დანარჩენ ნაწილთან შედარებით. ის დიდ, განიერ ზოლად არის, სამკუთხედის მძლავრ ფუძეს წარმოადგენს. პიედესტალიდან იწყება კომპოზიციის ოსტატური შეკუმშვა ზევითკენ. მხედრის ზემოდან, თითქოს სწორწონაობის დასაცავად სამკუთხედის საფუძვლის მიმართ, მოთავსებულია ჩარჩოს კუთხეებში მზისა და მთვარის გამოხატულებანი და მათ შორის გაბნეული მნათობები. ამგვარად, მნათობებისაგან თითქოს ბალდახინია შემდგარი.

მხატვრული თვალსაზრისით, გველეშაპის ტანის ხლართები, მისი კუდი და ამართული მხედრისაკენ თავი, კარგ ხაზებშია მოცემული. ესევე ითქმის ცხენის ტანსა და ფეხებზე. მოძრაობანი გველეშაპისა, ცხენისა ოსტატურია. ნამდვილი ხელოვანის მიერვეა მოფიქრებული გველეშაპის მოცემა დიდ, საშიშ ურჩხულად და არა უმწეო ჭიად, როგორც ეს არაიშვიათია სხვა ხატებზე.

აქედან ჩანს, რომ დედანი, რომლიდანაც ხატი მომდინარეობს, ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები უნდა ყოფილიყო.

პირის გადამღებს ძალიან დაუმახინჯებია მხედრის ფიგურა. იგი ვერ გარკვეულა მხედრის ტანსაცმლისა და ტანის ფარგლებში. მას მოუცია ყოველგვარ მოდელირებას მოკლებული, უშნო, თითქოს ჩხირებისაგან გაკეთებული მანეკენი. მისი არაპროპორციულობა, მოკლე, სუსტი ფეხები, ჩვეულებრივია XVIII საუკუნის ცხენოსან წმინდანთათვის. პირის გადამღებს თავის ცვლილებები უნდა ჰქონდეს შეტანილი გამოხატულებაში. მხედარი მცდარადაც არის დასმული ცხენზე.

მისი სახე ძალიან არის დამახინჯებული. თვალები არის en-face, ერთი ყვრიმალი კი გაწეულია, ცხვი-

რისებურად, პროფილში. გაუმართლებელია შავი ძაფით აღნიშვნა მხედრის საწვიმრის ნაკეცებისა და ყვითელი ძაფით სახელოების ნაკეცებისა. ამომქარგავს ვერ გაუგია შუბის გამოხატულებაც. ზევით, მხედრის მხარამდე, ის წარმოდგენილია შავი ზოლით, ქვემოთკენ კი მოყვითალო ზოლით. ზოლი რყეულია და გაუბედავი ისე, რომ მის მიმართულებას ოდნავ მიედევნება თვალი. შუბის პირი ვერცხლისებურია, წვეტი არა აქვს. ცხენსაც ვერ ვატყობთ ვერავითარ მოდელირებას, იგი ერთი ფერით არის მთლიანად დაფარული. ოსტატს დაუმახინჯებია, ვერ გაუგია გველეშაპის ხლართებიც.

საფიქრებელია, რომ გამოხატულება არა ერთხელ გადაიტანეს გაცვეთილ ან ძალიან გახუნებულ ალმიდან ახალ ალამზე. პირის გადამღებთაც, ალბათ, ძალიან დააზარალეს გამოხატულება. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ალამზე გველეშაპის თავი წითელია, ენა-კი თეთრი, და სისხლის წვეთები შუბის პირის ირგვლივ თეთრია, და არა წითელი. ამგვარად, ნაწილი ხატისა გახუნებულ დედნის ფერებს იმეორებს, ნაწილი კი რესტავრირებულია.

მთვარის შარავანდედი ნახევარ წრეს წარმოადგენს. ადამიანის სახე აქვს, პროფილში ცალი თვალი ჩანს, მაგრამ პროფილის მოხაზულობა ვერ არის მოცემული. მთვარის სახე მუქი ცისფერით არის ნაქარგი და არა ოქროსფერით, როგორც მზისა. ამას თავის აზრი უნდა ჰქონოდა: ვახტანგ VI-ის დროშაზე მთვარის სახე, თუმცა en-face მოცემული, ნახევრად არის დაფარული.

საინტერესოა მზის შარავანდედი. მისი სხივები მრუდე კუწუბებად არის, ერთ მხარისაკენ მიმართულია. აქ გვაქვს ე. წ. „ბრიალას“ სახე[1]. მზის ამგვარი სახე ხატებზე ჩვეულებრივი არ არის. აქ ხალხური შემოქმედების ზეგავლენა ჩანს. ამგვარი ფიგურა ქართული მთის ცნობილი ორნამენტთაგანია, გვხვდება ადრეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებში და უფრო ადრე ტორევტიკაში.

მზის და მთვარის გამოხატულებანი ტრადიციული ჩანს დროშებზე (1711 წლის დროშა ვახტანგ VI-ისა, მუხრან-ბატონის დროშა).

ხატის გამოხატულების დამახინჯების მიუხედავად მაინც იგრძნობა პირვანდელი კომპოზიციის სილამაზე, გარე კონტურების მოხაზულობისა და კომპოზიციის მხატვრულ შეკუმშვის მიხედვით. ამისივე მაჩვენებელია ფერები. როგორც გიორგი უფლისწულის ალამზე, აქაც ეს ფერები მოხდენილია და ნაზი. მხოლოდ გიორგი უფლისწულის ალამზე უფრო მრავალფეროვანი და მხიარული გამმაა. აქ გამმა შეზღუდულია: თეთრი და მუქი ცისფერი, მუქი მოოქროსფერო-მიწისფერი, ერთი-ორი შვინდისფერი ლაქა; ძირითადად ბატონობს ვერცხლისფერი. თეთრი ჰუნე მოცემულია თეთრი და მოცისფრო აბრეშუმის ერთმანეთზე ნახლართ ძაფებით, რაც იძლევა მოვერცხლისფრო ფერს. ასეთივე ვერცხლისფერით ნაქარგია გველეშაპის ამართული რთული ფრთები და წმ. გიორგის შარავანდედიც. ასეთივე ფერის ფართო შარავანდედი მსუბუქ სხივებად ფიფქივით მოსდებია მზესა და მთვარეს. ცისფერი ფერის ოსტატური შერევის გამო იქმნება მოციაგე ფერი. მუქი ცისფერი უფრო დიდ ლაქებად ჩართულია ცხენის ყაჯარში, წმ. გიორგის ტანსაცმლის კუწუბებში.

მთელი ხატის ფერების გამმა საკვირვლად ნაზია, მთვარის შუქისებური. ოდნავ ხუჭუჭად დალაგებული ღამბები ცხოველსახულობას იძლევა.

ხატის ჩარჩოს ორ ზოლს შუა მოთავსებულია ასომთავრული წარწერა. იგი იკითხება ალმის შიგნითა მხრიდან. წარწერის ნაწილი შეკერილია თვით ხატზე, წმ. გიორგის გამოხატულების ზურგით:

I სტრიქ: †ႲႷႳႤႧႠ· ႢႬႫႬႧႨႱႳႴႪႤႡႪႭ, ႣႠ ႢႪႾ

II სტრიქ: (მარჯვენა): ႩႧႠ· ႵႤႪႨႱႠ· ႠႪႫႷႰႭ-ႡႤႪႭ· ႱႬႤႭႪႧႠ ႫႩႭႰႬႤ

III ქვემო: Ⴍ. ႫႤႴႤႧႠ. ႭႳႻႪႤႥႤႪႭ. ႼႨႬႠႫႡႰႻႭႪႭ

IV მარცხენა: ႶႥႠႼႪႨႧ: ႸႤႫႭႱႨႪႭ. ႣႨႣႭ. ႫႭႼ-ႠႫႤ. ႤႥႤႣႰႤ. †Ⴉ ႶႩ

ზედ ხატზე ჩარჩოს შიგნით:

1 სტრიქ: ႰႠႧႠ· ႫႤႭჃ. ႤႷႭႱ. ႮႠ

2 —„—: ႮႭႠ. ႫႭႠႰႱ. ႫႲႤ

3 —„—: ႰႱႠ ႦႤႣႠ

წარწერა ტრანსკრიპციით მხედრულზე და ქარაგმების გახსნით: „ქ. ტყვეთა განმანთავისუფლებელო და გლახაკთა ქელისა ალმპყრობელო, სნეულთა მკურნეო, მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამე, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა მეოხ ეყოს პაპუა მოურავსა[1] მტერსა ზედა“.

საინტერესოა ამ წარწერაში წმ. გიორგისათვის წინამბრძოლის ეპიტეტის მიკუთვნება, რამდენადაც წმ. გიორგი საომარი დროშების ემბლემა არის,[2] აგრეთვე საინტერესოა წმ. გიორგის დაჩაგრულთა მფარველადაც გამოყვანა.

წარწერის მოთავსება ჩარჩოზე ჩვეულებრივი ხერხია XVIII საუკუნის დროშებზე, როგორც წინათაც იყო აღნიშნული. ალამი, მართლაც, XVIII საუკუნისაა. წარწერაში მოხსენებული პაპუა იყო ქიზიყის მოურავი ანდრონიკაშვილების გვარისა. ქიზიყის ამ გვარის მოურავების ხსენება ხშირია XVIII საუკუნის ისტორიკოსთა თხზულებებში, საომარ მოქმედებათა აღწერილობების დროს.[3]

ქიზიყის ჯარის აქტიურ მეთაურად ამ საუკუნეში სწორედ მოურავები ჩანან.

---

[1] ტერმინი იხ. ლევან მუსხელიშვილის ნაშრომში, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბილისი, 1941, გვ. 32.

[1] წერია: „მოარს“.

[2] საყურადღებოა, რომ თითქოს წმ. გიორგის გამოხატულებას ვხვდავთ დროშების ალმებზე მე-16 საუკ. ხელნაწერ ფსალმუნის ი. 182 (საქ. ხელოვ. მუზეუმი) მინიატურაზე.

[3] იხ. „შედეგი ქართლის ც(ხოვრე)ბისა“ („ქართ. ცხოვრ“. ჩუბ გამოც. სპბ, 1854, გვ. 508, 512).

პაპუა მოურავი ერეკლე II-ის დროს მოღვაწეობდა. ის იღებდა მონაწილეობას აბდულა-ბეგ ბატონიშვილზე გალაშქრების დროს[1]. პლატონ იოსელიანიც ასახელებს პაპუნა მოურავს. პაპუას ქალი გიორგი XII-ის პირველი ცოლი ყოფილა: „1767 წელსა შეირთო ცოლად ქეთევან, ქალი პაპუნა ქიზიყის მოურავისა ანდრონიკაშვილისა 13 წლისა... ქალსა ამას არღა ჰყვანდა მამა ცოცხლად“[2].

პაპუა მოურავის დროშის ბუნი ხისაა, მოხდენილი, საკმაოდ წვრილი[3]. ბუნი ამჟამად მოყვითალო ფერისაა. შესაძლოა, იგი სხვადასხვა ფერით იყო შეფერადებული: მასზე თავიდან ბოლომდე სპირალურად გასდევს დანით დაჭდეული ხაზები. ბუნი ქვევითკენ დავიწროვებულია და მასზე ჩამოცმულია სპილენძის მასრა, რომელიც მრგვალია დიამეტრში, ბოლოსაკენ გადადის ვიწრო, გრძელ, პირამიდალურ წვეტში—მიწაში სარჭობში—გამოშვერილი სამკუთხედების საშუალებით.

ზემოთკენ ბუნი წათლილია და ზედ ჩამოცმულია დროშის თავი, რომელიც შუბის პირს წარმოადგენს (ტაბულა X̄XIV). შუბის პირის მასრა დამაგრებულია ხის ბუნზედ ლითონის ორი ლურსმნით. იგი მრგვალია დიამეტრში, ზემოთკენ ვიწროვდება. ბუნთან მას აქვს სალტე, რომელიც უფრო სქელია, უფრო გამოწეული. სალტეს მისდევს რელიეფური ზოლი.

ბუშტის ადგილას არის ფიგურა, რომელიც შემდგარია ორ წაკვეთილ კონუსისაგან (შეერთებულია კონუსის ფუძეები). მას მიჰყვება ძალიან მოხდენილი, ვიწრო და გრძელი საკუთრივ შუბის წვერი, რომელსაც შუაზე ღარი აქვს ჩავლებული. შუბის პირი ძალიან შემკულია: შუბის წვერის ძირში, ორივე მხარეზე, რელიეფური, ფოთლისებური ფიგურაა—კარტუში, ამაღლებული შუბის წვერის დანარჩენ არესთან შედარებით. ის საზღვრულია ნაპირისაკენ რელიეფური ვიწრო ზოლით (ხაზით), რომლის მოხაზულობას იმეორებს შიგნითა ოქროს ზოლი. კარტუშის ერთ მხარეზე ზარნიშით გამოყვანილია სტილიზებული ხე. ხის ტანის აქეთ-იქეთ სიმეტრიულად განლაგებულია ფოთლებიანი და ყვავილებიანი ტოტები, მაგრამ სრული სიმეტრია დაცული არ არის. კენწეროზე ვხედავთ ჩიტს პროფილში მარცხნივ. ფოთლები წვრილია და მოხდენილი. ხის ტანის შუაზე ყვავილისებური სახეა.

წაკვეთილი კონუსებისაგან შემდგარ ფიგურაზე დახატულია სტილიზებული ცალკეული სამფოთლოვანი სახეები, ხოლო მათ შორის გარკვეულ მანძილზე ცრემლისებური. ესეც კვლავ ზარნიშითაა გამოყვანილი.

მასრაზე სპირალურად ირკალება რელიეფური ზოლები, რომლებსაც ეგუება ბუნის სპირალები. რელიეფური ზოლები შავი ფერით არის შეღებილი, დასვრებული. მათ მოლურჯო ფერი გადაჰკრავს. მათ შორის მოქცეულია უფრო დაბალი ოლეები, რომლებიც მოყავისფროა (ჩამუქებული რკინის ჟანგისფერი). სულ სამგვარად შემკული ოლეა, ესენი ერთიმეორეს მისდევენ: პირველ ოლეზე მოთავსებულია წარწერა, მეორეზე—სტილიზებული მცენარეული ორნამენტი—ყლორტი, რომელიც ტალღისებურად მიიმართება; თვითეული ზნექილის ქვეშ არის სპირალისებური ხვეული; ზნექილის აქეთ-იქით ძალიან წვრილი ულვაშებია. მესამე ოლეს ორნამენტს შეადგენს ვარდის კოკრისებური სტილიზებული სახე, რომელიც ძეწკვად არის გაბმული. წვრილი, ნაზი მორჩები აჰყვება კოკორს ძირთან და შუანაწილთან, აქეთ-იქეთ.

ორნამენტის ხაზები, ხან წვრილი, ხან მსხვილი, მოხდენილად არის შეხამებული. წარწერის ოლეც მისი ქართული მხედრული ასოებით, ზნექილ და მომრგვალებული მოხაზულობისა, ორნამენტიან ოლეთა შორის არ გამოირჩევა, თვით ორნამენტსა ჰგავს.

წარწერა შემდეგია: „ქ. ირაკლი: მეფე: მტერთ: მძლეი: ორგულთ განმგმერი: შემძლეი.“

პაპუა მოურავის ერთგული სამსახური ამ წარწერითაც მტკიცდება.

დროშის შუბის პირი თავისი ფორმის და მოხდენილობის მიხედვით ჩვენამდე მოღწეული ქართული იარაღის ერთ-ერთი საუკეთესო ეგზემპლართაგანია. მისი პროპორციები დახვეწილია. შესაძლოა, გამომჟღავნებული სიძლიერის იერი მას არ ახასიათებდეს.

ფორმა და პროპორციები, ძირითადად, ემსგავსება სეფიანთა დინასტიის დროის, X̄VII საუკუნის ტიპიური შუბის ფორმას და პროპორციებს (შეად. შუბის პირი Pope-ს გამოცემაში)[1]. ამ შუბის პირის შესახებ მკვლევარი Hans Stöckelin წერს: „The seventeenth century type of lauce point is well exemplified by a handsome piece in the City Art Museum, St. Louis (Pl. 1429)“[2].

შემკულობითაც დროშის შუბის პირი საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მას სეფიანთა დროის იარაღის შემკულობა ეთანხმება. აქ ჩვენ ვხედავთ დროშის თავის ისეთსავე ფორმის კარტუშს, რანაირიც ამკობს სპარსულ ზემომოყვანილ შუბის პირსაც. კარტუშის ეს ფორმა გავრცელებულია სპარსულ ხელოვნებაშიც, მას ვხედავთ ხალიჩებზედაც.[3]

რაც შეეხება ხის გაზნექილ, მცირე ფოთლებს და სამნაწილედ ზამბახისებურს ყვავილებს, ეს მოტივი ამ დროის ქართულ და სპარსულ ხელოვნებაში ცნობილია ლითონის საგნებზე[4].

სეფიანთა დინასტიის დროის იარაღზედაც და ლითონის ნივთებზევე ხშირია სპირალური ზოლები, რომ-

---

1 პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ამბავნი ქართლისანი“, გვ. 460.

2 პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი XIII, ტფილისი, 1936, გვ. 8, 9.

3 სიგრძე ბუნისა (შუბის პირის ჩაუთვლელად) ბოლომდე — 2 მ 33 სმ, შუბის პირის სიგრძე — 29,4 სმ, სიგანე — 2,9 სმ.

---

1 „A Survey of Persian Art“, Pl, 1429 E.

2 „Arms and Armour“, in: „A Survey of Persian Art“, vol. III, London and New-Jork, 1939, გვ. 2578.

3 „A Survey of Persian Art“, Pl. 1137, XVI საუკ. ხალიჩა.

4 იქვე, Pl. 1383.

ლებიც გარს ევლება საგანს (Pl. 1382,—სასანთლე XVI თუ XVII საუკ; Pl. 1417—მრგვალი ფარი და Pl. 1427—ხანჯლის ტარი XVI საუკ. დასაწყისის). სპარსულ მრგვალი ფარის რელიეფური ზოლები და ოლეები მათ შორის, პაპუას დროშის თავის მსგავსად არის გაკეთებული. ოლეების ორნამენტიც იცვლება ისევე, როგორც შუბის პირზე.

ვარდის კოკრების გაბმული სახის მოტივისათვის თითქოს შეიძლება ანალოგია მოინახოს XVI საუკ. სპარსულ ხავერდზე[1].

ქართული წარწერა ამტკიცებს, რომ შუბის პირი საქართველოშია დამზადებული.

მთელი საგანი გემოვნებით და ერთ სტილზე არის გამართული.

## იულონ ბატონიშვილის დროშა

ამ დროის დასასრულს მიეკუთვნება საქ. ხელოვნების მუზეუმის დროშა № ქ. 461. კატალოგში მის შესახებ შემდეგი ჩანაწერია:

„ქართული საომარი დროშა, რომლის ქვეშაც, გადმოცემით, იბრძოდა იულონ ბატონიშვილი მე-19 საუკუნის დასაწყისში. შუბი მოცილებული და დაკარგული აქვს“. ნივთი შემოსულია სოფ. ბელოთიდან.

შენახულია დროშის ალამი და ტარი.

ალმის მასალა თეთრი ტილოა. სწორკუთხედ ნაჭერზე თეთრივე სამი გრძელი სამკუთხედი კალთაა მიკერებული. დროშის ტარზე, ზემოთკენ, თეთრი აბრეშუმის ნაჭერია შემოვლებული და ამ ნაჭერზე მიკერებულია ალამი.

ალმის ორივე მხარეს საღებავებით დახატულია წმ. გიორგი. სწორკუთხედი ჩარჩო ხატის ჩარჩოსაც წარმოადგენს. ოთხივე მხრიდან ჩარჩოს მოვლებული აქვს განიერი მოოქროვილი ზოლი, ხოლო კალთების მიკერების ადგილზე ორივე მხრიდან დაკერებულია ოქროსფრად შეღებილი ზონარი, აბრეშუმის ძაფზე დახვეულ მოოქროვილ სპილენძის ძაფისაგან.

კალთებზე შემოკერებულია ასეთივე მასალის ფოჩი.

საღებავიანი ტილო ხანგრძლივად დაკეცილ მდგომარეობაში ყოფნის გამო დარჩენილია გაქვავებულ ნაოჭებში და დახეთქილია (ტარისაკენ).

წმ. გიორგი მოცემულია თეთრ არეზე, ცხენზე ზის, გველეშაპს გმირავს შუბით. ცხენი პროფილშია. წმ. გიორგის თავი უკანისკენ არის მიბრუნებული. ხატის ზემო კუთხეებში, ჩარჩოს შიგნით, ანგელოზების თავებია.

წმ. გიორგის სახის მოყვანილობა, ტანის პროპორციები, ცხენის კონტური უკვე განსხვავებულია XVIII საუკუნის ასეთსავე გამოხატულებათაგან, რომლებსაც ვნახავთ მუხრან-ბატონის და გურიის ერისთავის დროშებზედ.

ალმის მეორე მხარის წმ. გიორგი სწორედ ისეთივეა, როგორც პირველ მხარეზე, ოღონდ მობრუნებული არის მასთან შედარებით. კონტურებში განსხვავება არ არის. აქაც ხატის ზემოდან ანგელოზებია დახატული.

თვითეულ კალთაზე თითო მწვანე ფერის თევზია დახატული. შუა კალთაზე თევზი მცენარეულ ჩარჩოშია მოთავსებული. ეს ჩარჩო თევზის თავისკენ იხსნება და აქ წარმოდგენილია მრავალფურცლოვანი ყვავილი. აქეთ-იქითა კალთებზე დახატულ თევზებს პირში მცენარე უჭირავთ. ალამზე ვხედავთ მისწრაფებას ფერების შეხამებისაკენ. ძირითადი სამი ფერია: თეთრი, მწვანე და ოქრო. მწვანეა წმ. გიორგის ტანსაცმლის ნაწილი, მწვანე ფერი გადაჰკრავს გველეშაპის ფრთებს, მუქი მწვანეა ბალახი, ძალიან ღია მწვანე ფერისაა თევზები კალთების თეთრ არეზე.

ოქროსფერი აძლევს ალამს საზეიმო ხასიათს: ოქროსფერია წმ. გიორგის შარავანდედი, ცხენის ორთუკი, დროშის ზონარი, ფოჩები. წითელია მხოლოდ წმ. გიორგის საწვიმარი და შარვალი და აქა-იქ თითო შტრიხი. მოყავისფროა გველეშაპი, მოყავისფრო-მონაცრისფროა ცხენი.

იულონ ბატონიშვილის ხატი რუსული ახალი ხატების სტილისაა. დროშის ბუნი ხისაა, შავად შეღებილი. ქვემოთკენ საღებავი გადასულია. ტარის სიგრძე უდრის 3 მ 35 სმ. ამაში შედის ის ნაწილი, რაზედაც ჩამოცმული ყოფილა შუბის პირი. ეს ნაწილი კონუსისებურია, შეღებილი არაა. მასზე შერჩენილია სპილენძის ბუშტი. შუბის პირი აღარ არის. ტარი ბოლოში 4 სმ-ზე ჩათლილია, მაგრამ ნაწილი მოტეხილი ჩანს. აქ იქნებოდა რკინის წვეტი. ამ ჩათლილ ნაწილში ხის ლურსმნის თავებია ერთიმეორის პირდაპირ, ხოლო ჩათლილი ბოლოს ზემოდან ორი დიდი ნახვრეტია, ისინიც ერთი-მეორის პირდაპირ. ეს ნახვრეტები ტარის შეღებვის დროისავე არის.

## საომარი დროშები სოფ. გერის ეკლესიიდან

№№-ით ქ. 460 ა და ქ. 460 ბ საქ. ხელოვნების მუზეუმის კატალოგში 2 დროშაა აღნიშნული, შემოსული სოფ. გერის ეკლესიიდან. კატალოგის ცნობით ეს ქართული საომარი დროშები არის.

დ რ ო შ ა ს № ქ. 460 ა შენახული აქვს ალამიც, დროშის თავიც და ბუნიც.

ალამი შედგება სწორკუთხედისაგან, რომლის ერთი გვერდი ბუნზეა დამაგრებული, ხოლო მეორეზე მიკერებულია სამი კალთა სამკუთხედის ფორმისა. სწორკუთხედის სიგრძე 89 სმ, სიგანე—99 სმ, კალთების სიგრძე—51 სმ, სიგანე შუალასი — 32 სმ, აქეთ-იქითასი — 28 სმ და 29 სმ. სწორკუთხედი თეთრი ტილოსია, მასზე დახატულია ხატი. ხატის ზემოდან და ქვემოდან შვინდისფერი აბრეშუმის (თავთის) ნაჭრებია წაკერებული. კალთები აბრეშუმისაა, შუალა—მომწვანო, აქეთ-იქითა კი შვინდისფერი.

---

[1] „A Survey of Persian Art“, Pl. 1029 B.

ალმის სწორკუთხედს სამი მხრიდან და კალთებზე წაკერებული აქვს ფოჩები მომწვანო აბრეშუმის ძაფისა, კალთების ბოლოებში-კი დაკიდულია ოქროსფერი აბრეშუმის ფუნჯები.

ხატები მოთავსებულია ალმის ორივე მხარეს. ხატს მთელი სწორკუთხედი უჭირავს. ჯერ მოდის ბრტყელი სწორკუთხედი ჩარჩო, შემდეგ ფიგურული ჩარჩო, რომელშიც მოთავსებულია გამოხატულება. ფიგურულ ჩარჩოსა და სწორკუთხედ ჩარჩოს შუა ოთხივე კუთხეში ანგელოზების თავებია. ალამზე ზეთის საღებავებით დახატულია ერთ მხარეზე საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმითურთ, მეორეზე ცხენოსანი წმ. გიორგი, რომელიც გველეშაპს ჰკლავს.

ფერები (მწვანე და წითელი) და გამოხატულებათა სტილი ახლოა XVIII საუკუნის ქართულ ხატებთან.

კალთები დაგლეჯილია, მოითხოვს შეკეთებას. ალამი მიკერებული ყოფილა ტილოს ქსოვილზე, რომელიც შემოკერებულია ბუნის ზემო ნაწილზე. ეს ტილო შეღებილია აგურისფერი საღებავით.

დროშის ბუნი ხისაა. მისი სიგრძე (იმ ნაწილის გარდა, რომელზედაც თავია ჩამოცმული)—3 მ 8 სმ-ია, თავის სიგრძე—37 სმ. ბუნი მუქი წაბლისფერია. იგი ზემოდან წათლილია და ზედ ჩამოცმულია დროშის თავი — რკინის შუბის პირი. ქვემოდან ბუნი წათლილია წაკვეთილ კონუსისებურად და მის ზემოდან ბრტყელთავა ლურსმნებით მიმაგრებულია ფეხის გასაყრელი თასმისა. ერთი ასეთი უფრო მაღლაა დამაგრებული. ალმის ადგილას ბუნზე მსხვილთავიანი ლურსმნებია ვერტიკალურად ჩამწკრივებული. მათი საშუალებით იქნებოდა წინათ მიმაგრებული ალამი ბუნზე, როგორც ჩანს შემდგომ დროშიდან (№ ქ. 460 ბ).

დროშის თავს — შუბის პირს — აქვს ჩამოსაცმელი ლულა, მთლიანად ჩამოსხმული შუბის პირთან ერთად. მათ შუა რგოლია, ისიც მათთან ერთად ჩამოსხმული. ლულა თავდება ამაღლებული სალტით. ამ სალტესა და რგოლს შუა ჩამოცმულია ვერცხლის ფრად შეღებილი სპილენძის ბუშტი. ამობურცული ჰორიზონტალური ზოლით ის ორ ჰემისფერად იყოფა. ბუშტის ქვედა ნაპირი დამტვრეულია.

მ ე ო რ ე   დ რ ო შ ი ს ა (ქ. 460 ბ) დარჩენილია ალამი და ბუნის ნაწილი, რომელზედაც ალამია შემოკრებული და შემდეგ მიჭედილი მსხვილი ლურსმნებით.

ალამი შედგება სწორკუთხედისაგან, რომელიც ერთი მხრით ტარზეა მიმაგრებული, ხოლო საწინააღმდეგო მხარეზე წაკერებული აქვს კალთები სამკუთხედის ფორმისა.

სწორკუთხედი თეთრი თხელი ტილოსია. მისი სიგანე —82 სმ, სიგრძე—65, 5 სმ. კალთები ყანაოზისაა. მათი სიგრძე არის 53 სმ, სიგანე—33, 29, 30 სმ (სამკუთხედის ფუძესთან).

აქეთ-იქითა კალთები შვინდისფერია, შუალა—მწვანე. კალთები თავში ერთმანეთზეა გადაკერილი და შემდეგ გაშვებულია (ასევეა წინა ალამზედაც).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწორკუთხედსა და ალმის კალთებზე შემოკერებულია მომწვანო აბრეშუმის ფოჩი და მოცისფრო-მწვანე აბრეშუმის ფუნჯები. ალმის ორივე მხრის სწორკუთხედები მთლიანად უჭირავს ზეთის საღებავებით დახატულ ხატებს: ერთ მხარეზე—ღვთისმშობელი ყრმითურთ, მეორეზე — წმ. გიორგი.

მათ ზემოდან მხედრული წარწერაა: „წმ. გიორგი", „ღვთისმშობელი". ფერები ხატისა: მომწვანო, მონაცრისფერო-ლურჯი, და წითელი. სტილი იგივე, რაც წინა ხატისა.

### გურიის ერისთავის დროშა

ეპოქის ფეოდალთა დროშათაგან გვაქვს დროშა დასავლეთ საქართველოს ფეოდალებისა. ეს არის გურიის ერისთავების დროშა (ალამი). იგი საქ. ხელოვნების მუზეუმში ინახება (№ 657). კატალოგში (B) შემდეგი ჩანაწერია: „დროშა--ბაირაღი შვინდისფერი აბრეშუმისა. იქითაქეთა მხარეზე წმ. გიორგისა და დიმიტრის ცხენიანი სურათები. გადმოცემით გურიის ერისთავთა საგვარეულო დროშა ყოფილა".

დროშის ალამი კ. ერისთავის სახლიდანაა. ეს ერისთავები შერვაშიძეთა გვარისანი არიან.

ალამი (ტაბულა XXV) შვინდისფერი აბრეშუმისაა (ყანაოზის).

მასალა პირვანდელი არ არის, შეკეთების შედეგს წარმოადგენს. ძველია მხოლოდ ის ნაწილი, რომელზედაც ხატია დახატული, და ის ნაწილი, რომელიც ხატის ზემოთ არის. ხატის ერთ დაზიანებულ ადგილიდან ცხადად ჩანს ძველი ალმის ფერი—მწიფე, გასრესილი შვინდისა. ეს ფერი უფრო მუქია, ვიდრე იმ აბრეშუმისა, რომელიც შემდეგ მიუკერებიათ. ალამი შედგება სწორკუთხედისა და სამი კალთისაგან, რომლებსაც სამკუთხედის ფორმა აქვს[1]. ასეთი ფორმისაა ზოგიერთი სხვა, ჩვენამდე მოღწეული ალმებიც XVIII საუკუნისა.

კალთებს წვეროები შეკვეცილი აქვთ. ბოლოებზე დაკიდებული ყოფილა მოაგურისფრო ძაფიდან გაკეთებული ფუნჯები. ესენი დარჩენილია მხოლოდ გვერდის კალთებზედ.

ალმის ნაპირებზე წაკერებულია ჭრელი ჩითი (ოდესღაც ცისფერი ყოფილა. აყრია ყვავილისებური და ფოთლისებური სახეები).

ქსოვილის შეკეთების გამო არა ჩანს, ალამი რითი იყო ბუნზე მიმაგრებული.

ალმის სიგრძე უდრის 1 მ 24 სმ, სიგანე—81 სმ, შუა კალთის სიგრძე—58 სმ. აქეთ-იქეთა კალთები უფრო გრძელია და განიერი.

[1] გადმოცემით ალამი მთლად სწორკუთხედის ფორმისა ყოფილა შეკეთებამდე.

ალმის სწორკუთხედის ორივე მხარეზე, აბრეშუმზე, ზეთის საღებავებით დახატულია ხატები. ახლა ხატები ჩაკერებულია, წინათ თვით ალმის ქსოვილზე იყო დახატული. ერთს მხარეზე წმ. გიორგის ხატია, მეორეზე—წმ. დიმიტრისა. წმ. გიორგის ხატზე წარწერაა ႼႫ ႢႨ. წმ. დიმიტრის ხატზე—ႼႫ ႣႫႨႲႰႨ (უკანასკნელი ჩართული ასოებითაა).

ხატებს სიგანეზე ნაკეცები გაჰკეთებია. ამ ნაკეცებზე აცლილია საღებავი. ეს ნაკეცები ალბათ იმ ნაოჭებისაგანაა, რომლებიც ალამს უკეთდებოდა ბუნზე დამაგრებისას. შენახვის მიზნით ხატს ლაქი აქვს წასმული და დაბზარულ, გაწყალებულ ადგილებზე მჭვირვალე ქსოვილია დაკრული. გარდა ამისა გასამაგრებლად ხატი ჩასმულია ოთხკუთხედ ჩარჩოში, რომელიც შედგება ვიწრო და ბრტყელი ჩხირებისაგან (ესენი დაკრულია ქსოვილზე).

საყურადღებოა, რომ ორივე ხატზე ერთი კატეგორიის წმინდანებია—ცხენოსანი მეომრები, რაც შესაფერ გამოხატულებას წარმოადგენს საბრძოლო დროშებისათვის.

წმ. გიორგი შუბით გმირავს ფრინველისთავიან, ფრთებიან გველეშაპს, წმ. დიმიტრი—ცხენოსან კაცს. აღებულია მომენტი ცხენის წაქცევისა, როდესაც გადმოვარდნილი მხედრის საწვიმარი ჯერაც გაფრიალებულია ჰაერში.

წაქცეული ცხენის თავი ექსპრესიას არ არის მოკლებული. მწოლარე ფიგურა სრულად არა ჩანს, დაზიანებულია.

დიდი სიტლანქით ხასიათდება ცაში გამოჩენილი ქრისტეს გამოხატულება ნარინჯისფერ არეზე (დიმიტრის ხატზე), როგორც განვითარებულ შუა საუკუნეებში, ახლაც ვხედავთ ტანისამოსის გაფრიალებულ კალთას, შეუფერებელს ქრისტეს სტატიკურ პოზასთან.

ორივე ხატი ერთი მხატვრის ხელს ეკუთვნის. გამოხატულებები ენათესავებიან წმ. გიორგის XVIII საუკუნის ხატებს (იხ. საქ. ხელოვნ. მუზ. ხატები №№ ქ. 714, ქ. 890, ქ. 1159 და მუხრან-ბატონის დროშის ხატები): იგივე კონტურები, იგივე სიმძიმე, სიტლანქე, იგივე პროპორციები, იგივე გაყინული პოზები; ადამიანების დიდი სახეები, მრგვალი თვალები, სქელი, მოკლე ფეხები. ამ ახალ საუკუნეებში ვერ ვხედავთ ახალი მიდგომით დამუშავებას.

ხატი ხელოსნური პროდუქციაა, „ლუბოკი". საინტერესოა, რომ გურიის ერისთავთა ალამზე ვხედავთ ისეთსავე სტილის მხედართ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ხატებზე. ვეღარ ვხედავთ იმ შესანიშნავ ხელოვნებას, რომელმაც XIV—XV საუკ. შექმნა უბისის წმ. გიორგის ხატი, დახვეწილი გემოვნებას ფერადებით, მოხდენილი მოხაზულობით ცხენისა, მხედრისა და სხვა.

ალმის ხატებზე სჭარბობს მწვანე ფერები: ხან მუქი მწვანე, ხან მორძისფერო-მწვანე, ხან მოცისფრო. მწვანეა მიწა, მწვანეა სივრცე, მწვანეა ცა. ლურჯი ფერი ამოკვეთილია. ბევრია წითელი, იგი აბრეშუმის წითელს ესამება. წარწერები შესრულებულია ამავე წითელი ფერით.

## ნაკურალეშის წმ. გიორგის დროშის ალამი

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება საინტერესო ექსპონატი—სამკუთხედი ალამი დროშისა (ტაბულა XXV). მისი სიგრძე — 1 მ 20 სმ, ბოლო—სამკუთხედის მწვერვალი—აკლია. სიგანე უდიდესი—41 სმ, უმცირესი—16 სმ, ალამი მოყვითალო-თეთრი ფერის ყანაოზისაა.

ალამი ერთი მხრიდან მოხატულია (თითქოს ყალამქრის ტექნიკას ჰგავს), რეგისტრებად დაყოფით. ზემოდან (თუ სამკუთხედის ფუძიდან დავიწყებთ) პირველ რეგისტრში ცხენოსანი წმ. გიორგია დახატული. იგი რუსული ხატების წმ. გიორგისა ჰგავს (სამწუხაროდ, ფოტოზე ბუნდად არის გამოსული გამოხატულებანი).

მეორე რეგისტრში დახატულია ყვავილებით და სხივებით შემკული ჯვარი. ჯვრის ზემოდან წარწერაა: „იესო ნაზარეველი მეუფე ურიათა".

მესამე რეგისტრში ანგელოზის თავია, რომელიც კვლავ რუსული სტილისა ჩანს. რადგან ბოლო ალმისა აღარ არის, გაურკვეველია, მოხატული იყო თუ არა მეოთხე რეგისტრიც.

ალმის მეორე გვერდზე მოთავსებულია მხოლოდ შემწირველის წარწერა:

„გი[ო]რგი. გველესიანმან
შემოვსწირე დროშა ესე
წმინდასა ეკკლესიასა და დიდსა
მთავარ მოწამესა, გიორგის
ნაკურალეშისასა: საოხად. და
[მ]ოსახსენებლად. სულისა
ჩემისა ამინ.

მთელი ბორდჟური ორნამენტირებულია სხვადასხვაგვარ მარტივ სახეებით.

ალამი, წარწერის ხასიათის მიხედვით, ან XVIII საუკუნის ნახევარს, ან XIX საუკუნის დასაწყისს უნდა მიეკუთვნებოდეს.

იგი საინტერესოა მით, რომ მისი სახით შენახული გვაქვს სამკუთხედი ფორმის ალამი.

## მჭადი-ჯვრის დროშები

საქართველოს მთის დროშებს მიეკუთვნება მჭადიჯვრის დროშები №№ ქ. 788 ა და ქ. 788 ბ (საქ. ხელოვნების მუზ.).

დროშის № 788 ა თავს წარმოადგენს სლავური წარწერიანი რკინის ჯვარი. ის ჩასმულია ხის ბუნში, რომელიც ამისთვის ამოფუღუროვებული არის.

დროშის ალამი რამდენიმეა, ისინი მიმაგრებულია ბუნზე კანაფების შემოხვევის საშუალებით. ერთი ალამთაგანი არის მსხვილი ტილო წითლად შეღებილი, მეორე—მოყვითალო-მოყავისფრო სახეებიანი ხელსახოცია, მესამე—კვლავ ხელსახოცია ცისფერ-მოყვითალო უჯრებიანი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე—ოქროსფერი აბრეშუმის ნაჭერი, ვერცხლისფერ ფოჩიანი. ამ ალამზე დაკერებულია ვერცხლისფერ ზონრიდან გაკეთებული ჯვარი. დროშის თავთან დაკიდებულია ყელსაკიდი პატარა ვერცხლის ჯვარი და არაბული წარწერიანი გახვრეტილი ფული[1].

განსაკუთრებით საინტერესოა ამ დროშის ბუნი (ტაბულა XXVI ). თავსა და ბოლოში იგი მომრგვალებულია, შუასკენ ორგან ბრტყელდება, ფართოვდება სიგანისკენ და ქმნის ბრტყელ ოთხკუთხედ ფიგურას, რომლის გვერდები შეზნექილია. ზემო და ქვემო გვერდები ოთხკუთხედისა ორფერადაა, აქეთ-იქითა გვერდები-კი ბრტყელი. ამ ოთხკუთხედებზე ორივე ზედაპირიდან ამოჭრილია საღვთო ემბლემები: 1) ბრიალა, ცნობილი აღმოსავლეთში და საქართველოში უძველეს ხანიდან; 2) ჯვარი, რომლის შტოები შედგება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ზოლების გადაჯვარედინებით; 3) ჯვარი, რომლის შტოები ოთხკუთხედის გარდიგარდმოა; 4) ამ ორი სახის ჯვრების შერწყმა.

ეს ემბლემები სოლარულ ნიშნებს წარმოადგენენ[2] და ხშირად დაკავშირებულია დროშებთანაც[3].

ჯვრის შტოების ბრტყელი ზოლის ორნამენტის ელემენტი არის სამკუთხედი, ზოლი დაყოფილია სამკუთხედებად. თვითეული სამკუთხედის სიღრმეში ამოჭრილია სამკუთხა სოლისებური ფიგურა ტექნიკით, რომელსაც ხევსურეთში ეწოდება „ცერად ჩაჭრა"[4]. ამავე ტექნიკით შესრულებულია ქვაზე ბოლნური ჯვარი.

მთლიანად ოთხკუთხედის არე ლამაზი ტონის მკრთალი ყავისფერია. ეს ფერი თითქოს განზრახ არის მიცემული ორნამენტისათვის იმ მიზნით, რომ სიღრმეში ამოჭრილი სამკუთხედების კონტური უფრო თვალსაჩინო შეიქმნეს.

ბრიალაც ამავე ელემენტებისაგან შედგება (სამკუთხედები ამოჭრილი სიღრმეში).

დროშის № ქ. 788 ბ თავს სპილენძის ჯვარი წარმოადგენს. იგი ტარზეა გამაგრებული. ჯვარსა და ტარს შუა პატარა ზომის ვერცხლის ბუშტია. ვერცხლი მდარე ხარისხისაა, სპილენძ-ნარევი. ჯვარზე დამაგრებულია რელიეფური გამოხატულებანი: ერთის მხრივ ანგელოზისა და ქრისტესი, მეორე მხრივ ღვთისმშობლისა. ბუშტის ზემოდან დაკიდულია სპილენძის პატარა ზარი, რუსული წარწერიანი.

კვლავ რამდენიმე ალამს ვხედავთ: 1) წითლად შეღებილი ტილოს დიდი ნაჭერი, რომელიც შემოკეცილი არ არის; 2) თეთრი, მადეპოლამის მსგავსი, უბრალო ქსოვილი; 3) ვუალისებური თხელი, მოოქროსფერო ნაჭერი; 4) ასეთივე ნაჭერი მოოქროსფერო-მოყავისფერო ზოლებიანი აბრეშუმისა, რაღაც სხვა პატარა ნაჭრებიც. ეს ყველაფერი ბუნზეა კანაფების საშუალებით დამაგრებული, ან პირდაპირ ზედ არის შემოკრული.

ბუნი მრგვალია. მასზე ორგან ვხედავთ კვლავ გამოშვერილ ფიგურებს (ტაბულა XXVI), რომლებიც უფრო რვაკუთხედებს ჰგვანან, ვიდრე ოთხკუთხედებს, რადგან ბუნთან ხაზები მაღლდება.

ფიგურის გამოყვანისას ბუნს სიბრტყე არ ეძლევა—რვაკუთხედიც ისეთივე სისქისაა, როგორც ბუნი. ქვემოთ და ზემოთ ნაპირებს პატარა დაქანება აქვთ.

საყურადღებოა, რომ ლომისას წმ. გიორგის თავისებური ხატის ფორმა დაახლოებით ჰგავს ბუნთა ოთხკუთხედებს თუ რვაკუთხედებს[1].

ზემო ფიგურის ორივე მხარეზე ამოჭრილია ბრიალა[2]. ქვემო ფიგურის ერთ მხარეზეც ბრიალაა, რომელიც ადამიანის თავზეა დაბჯენილი. მრუდე ხაზით აღნიშნულია ადამიანის თავი. სწორე პარალელური ხაზები, რომლებიც უშუალოდ თავიდან იწყება, ფეხებს გამოხატავს; ფეხების ტერფები ერთი მხრისაკენ არის მიქცეული. თავის აქეთ-იქით ჰორიზონტალურად გაწვდილია ხელები, თვით ხელის მტევნები კი ზევით არის ამართული.

ხელები და ფეხები თითო მსხვილი ხაზით არის აღნიშნული, ისე როგორც თითები. თვალების და პირის ადგილას ამოჭრილია წერტილები.

ბრიალა, დაყრდნობილი ადამიანის თავზე, საინტერესო კომპოზიციას წარმოადგენს. შესაძლოა, აქ მზის ღვთაების გამოხატულებაა, ახალწლის ბასილასებური.

რვაკუთხედის მეორე მხარეზე გარდიგარდმოდ ამოკვეთილია ჯვარი. ერთი შტო ფოთლისებურია. ეს კვლავ გვაგონებს ფოთლებისაგან შემდგარ ჯვრებს ძველ გამოხატულებებზე, რომლებიც სოლარულ ნიშნებად არის მიჩნეული[3].

ამ გამოხატულების ზემოდან, ბუნის გაგრძელებაზე, 2 სამკუთხედია ამოკვეთილი სიღრმეში.

ჯვრის შტოები და ბრიალა კვლავ სიღრმეში ამოკვეთილ სამკუთხედებისაგან შედგება. რვაკუთხედების ზედაპირი კვლავ ყავისფერია, ამოჭრილი სამკუთხედები კი ბუნის ფერია.

ბუნების შემკობას ანალოგია მოეპოვება რომაულ დროშების შემკობაში, მაგრამ თვით გამოხატულებანი და სტილი მთლად თავისებურია, ადგილობრივი.

---

[1] ნუზიმატ დ. კაპანაძის დასკვნით ფული წარმოადგენს თბილისში 1776—1777 წელს მოჭრილს სირმა შაურიანს.

[2] A. Roes, Greek Geometric Art, its symbolism and its origin, fig. 1; 24 A, D; 30.

[3] იქვე, გვ. 33, 43.

[4] იხ. ამ ტერმინზე: ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ხევსურული ორნამენტი, თბილისი, 1939, გვ. 25.

---

[1] იხ. სურათი ლომისას ხატისა ს. მაკალათიას წიგნში, მთიულეთი, გვ. 168.

[2] ამ ფიგურის ხევსურული სახელი არის „ბორჯღლიან-მირგვალაი" (ბარდაველიძე, ჩიტაია, ხევსურ. ორნამენტი, ტაბ. IV—V).

[3] A. Roes, Greek Geometric Art, გვ. 43, fig. 36.

## მუხრან-ბატონის დროშა

საომარ დროშათა განსხვავებულ ტიპს მიეკუთვნება მუხრანის სადროშოს სარდლის კონსტანტინეს დროშა, რომელიც პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს საუკუნის დასაწყისში სოფ. დიღომში, კონსტანტინე მუხრან-ბატონის სახლში. სად არის ამჟამად დროშა, ცნობები არა გვაქვს.

პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობით[1], დროშა წარმოადგენს ვერცხლის მრგვალ ფირფიტას (12, 5 სმ). ფოტოზე მის ნაშრომში იგი გადიდებულია. ფირფიტა დაგვირგვინებული ყოფილა ჯვრით, მაგრამ ექვთ. თაყაიშვილის მიერ ნახვის დროს იგი მომტვრეული იყო. დისკოზე ემჩნეოდა ხელჩართულ ბრძოლათა კვალი: ხაკაწრები და ერთ ადგილას ჩაჭრილიც.

დისკო მოქცეულია ორი შვერილის შუა. იგი მათზეა დამაგრებული და შემდეგ ლულის საშუალებით ჩამოცმული ბუნზე. ამ შვერილებით ნაწილობრივ დაფარულია ქორონიკონი (ტაბულები XXVII და XXVIII).

როგორც პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, ეს ის დროშა არის, რომლის შესახებ წერდა ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის აღწერილობაში: „ბძანა მეფემ: დროშათა გაკეთება: გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე მუხრან ბატონს კოსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა“[2].

დროშის ორივე მხარეზე მოთავსებული წარწერა ამ აზრის დასაყრდენს წარმოადგენს. პირველ მხარეზე წერია: „ქ. ჩვენ. კეთილმსახურმან. მეფემან: Ⴇ ეიმურაზ: შეუბოძეთ დროშა ესე: დიდად ჩინებულსა: და ერთგულად ნამსახურსა ნატმსა[3] მეფეთასა: მუხრანის. ბატონს. კოსტანტინეს ორისავე საერისთოს“... მეორე მხარეზე გაგრძელებაა: „წინა საძღვანად ოდეს ცხებულ ვიქმენით. საცხებელითა მეფეთათა[4] ნებითა ღ~ თისათა თთვესა ოკდონბერსა:[5] პირველსა. დღესა. დღესასწაულსა[6] სვეტისა ცხოველისასა:.“ დისკოზე გამოხატულ ჯვრის თავში წერია: ქ~ეს აქეთ ქ~კს ჩღმე. ჯვრის ბოლოში: ქკს უ!ლ გ!.

მუხრან-ბატონის დროშასთან ერთად დამზადებული ასეთივე დროშა ქაიხოსრო ორბელიანისა უნახავს პ. უმიკაშვილს[7].

პაპუნა ორბელიანი გვაცნობებს, რომ დროშები შექმნილი იყო ძველითა რიგითა. მართლაც, ძირითადი ფორმა დროშისა იგივეა, რაც რუსუდანის XII საუკუნის დროშაკისა. მუხრან-ბატონის დროშაზედაც გამოხატულებანი ორივე მხარეზედაა. აქაც დისკოზე ვხედავთ წრეთა სისტემას.

დისკოს შუაგულში მოთავსებულია გამოხატულება. ამ წრეს შემორტყმული აქვს ფართო ოლე, რომელსაც თავის მხრივ შემოვლებული აქვს სხვა უფრო ვიწრო ოლე. ოლე ოლესაგან ისაზღვრება ვიწრო ხაზით. ვიწრო ოლეში მოთავსებულია ზემომოყვანილი წარწერა. მეორე ოლეზე ოთხ მხრიდან: ზემოდან, ქვემოდან და აქეთ-იქით მოჩანს ჯვრის ფიგურული ბოლოები იმგვარად, თითქოს ჯვრის შუა ნაწილი გამოხატულებიან წრის ქვეშ არის დაფარული. ჯვრის ბოლოების შუა ორგვარი სხივებია: წვეტისებური და ცეცხლის ალის კლაკნილისებური; ჯვრის ყოველ ორ მტოს შუა სამი სხივია; წვეტისებურ სხივის შუა ერთი კლაკნილია. ჯვრის ბოლოები შემკულია ორმაგი ხაზით. ამ ხაზების შუა წერტილებია დასხმული. ჯვრის ბოლოები, წვეტისებური სხივები სწორე ხაზთა რიგითაა შემკული, კლაკნილი სხივები—მრუდე ხაზებით.

ეს სხივებიანი ოლე მზისა და მთვარის გამოხატულების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ვახტანგ VI-ის დროშაზედაც, ძირითადად, ასეთი სხივები აქვს მზესა და მთვარეს[1]. ამ სხივებით მუხრან-ბატონის დროშაზედ მოცულია წრე, რომელზედაც წმ. გიორგია გამოხატული ორივე მხარეს.

გამოხატულებანი გრავირებულია. ეს არის საჭრისით გაკეთებული ნახატი, სრულიად ბრტყელი. არავითარი რელიეფი მოცემული არ არის. ძალიან მსხვილი დაშტრიხვით ამომჭრელი ცდილობდა ფიგურების მოცულობის გამოხატვას.

წმ. გიორგის სახე ჩვეულებრივია XVIII საუკუნის ხატებისათვის: მრგვალი თვალები, მასივურ-ბოლოიანი ცხვირი, სუსტი, მრგვალი ნიკაპი. თვალების მიმართულება საწინააღმდეგოა თავის დახრის მიმართულებისა. თვალებს მეოცნებე იერი აქვთ. მეომარი მოხდენილი არ არის: დიდთავაა, მახინჯმხრებიანი, არაპროპორციული სხეულით, მოკლე ბავშური ტერფით.

განმგმირავი მოძრაობა არაბუნებრივად არის მოცემული; ხელს ძალდატანება არ ეტყობა. ცხენს სქელი, მოკლე ფეხები აქვს.

კომპოზიციის დიდ სისუსტეს შეადგენს გველეშაპის მცირე ტანი. იგი არასაშიში სახისაა, ფინიას მსგავსი.

ამგვარად, რუსუდანის დროშაკს თუ შევადარებთ, აქ, ტექნიკის მრავალსახეობის მაგიერ, ვხედავთ ერთი ტექნიკით—გრავირებით—შესრულებას. გამოხატულება სადა არეზეა, იგი წრის კონტურებს მისდევს, მაგრამ არაოსტატურად. კომპოზიცია იმეორებს შუა საუკუნეების კომპოზიციას.

XII საუკუნის თითქმის სკულპტურულად მოცემული ფიგურის ნაცვლად აქ მხოლოდ მონახაზს ვხედავთ,

---

[1] Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. III, Тифлис, 1907, გვ. 55—56 და **2** ტაბ.

[2] პ ა პ უ ნ ა  ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი („ქართლის ცხოვრება“, ჩუბ. გამ., სპბ, 1854, გვ. 383).

[3] ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვით: „ნატომსა“

[4] „ „ „ „მეფეთა“

[5] „ „ „ „ოკტონბერსა“

[6] „ „ „ „დღესასწაულისა“.

[7] „დასტურლამალი მეფე ვახტანგ VI-სა“. ტფ. 1880 წ. ლექსიკონი.

[1] ასეთი სხივები ევროპის ჰერალდიკაშიც გვხვდება. გამოხატულება მომდინარეა ძველ აღმოსავლეთიდან.

მშვენიერი პროპორციების ნაცვლად—ტლანქს და ულამაზოს. მთელი ნაწარმოები ხელოსნურია, უბრალო ბაზრული ნამუშევარი. მაღალი გემოვნებით გაკეთებული ორნამენტის მაგივრად ტლანქი ხაზებიანი ორნამენტია.

## მაღალაძიანთ ეკლესიის დროშა

მაღალაძიანთ ეკლესიის დროშა (ტაბულა XXIX) ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში. კატალოგში იგი ჩაწერილია ქ. № 474-ით. იგი ტარიანი ხატის სახისაა, გამოკვეთილია ერთი ფიცრიდან. ხატს წინა მხრიდან გადაკრული აქვს ვერცხლის სქელი ფურცელი, ჭედური გამოხატულებით. ზურგის მხარე ხატისა ამობურცულია. ხე ამჟამად ჩაშავებულია, დახეთქილი. ვერცხლი კარგადაა შენახული.

სიგრძე ხატისა—18, 5 სმ, სიგანე—8, 5 სმ, სიგრძე ტარისა—8,5 სმ, სიგანე—2, 5 სმ.

ტარზე შემოხვეულია შვინდისფერი აბრეშუმის ნაჭერი, რაც კვლავ შეიძლება მოწმობდეს, რომ ეს საინტერესო ფორმის ხატი მართლა დროშის დანიშნულებას ასრულებდა, ალამი ჰქონდა მიმაგრებული.

ფორმის მიხედვით დროშა შეიძლება ლაბარუმებს მივაკუთვნოთ.

დროშის გამოხატულება წმ. გიორგის წარმოადგენს. აღებულია ეპიზოდი, როდესაც ცხენოსანი წმ. გიორგი გველეშაპს კლავს. მეფის ასული გამოხატულია ქათიბისებურ ზევითა ტანსაცმელში. გიორგის ზურგის უკან ზის ცხენზე ყმაწვილი, ჭურჭლით ხელში. ასევეა შუა საუკუნეების იკვის ფრესკაზე.

ეს დეტალი დაკავშირებული ჩანს თქმულებასთან, რომლის გამო წმ. გიორგი „ტყვეთა განმანთავისუფლებელად“ იწოდება (პაპუა მოურავის დროშის ალმის წარწერა). წმ. გიორგის ცხორებაში არის მოთავსებული ამბავი ტყვის განთავისუფლების შესახებ, რომელსაც სათაურად აქვს „აქა მოიყვანა წმიდამან გიორგი ტყუჱდ წარყვანილი მნე ეკკლესიისა თჳსისა და განათავისუფლა[1]“, ხოლო მოთხრობილია შემდეგი: „...ერი აგარიანთა ბრძოლად მოუხდა (და) მრავალნი წარსტყუენნეს... ჭაბუკი, ვინმე... ვინაჲთგან სხჳათა უმჯობესი იყო სიკეთითა, განუწესეს იგი მონად მთავარსა მათსა...“

„...იხილა მხედარი ვინმე... რომელმან... აღიღო იგი ქედსა ზედა თჳსსა და მყის წარემართა და მიუშვა ცხენი თჳსი სრბად...“[2]

ზემომოყვანილ ლეგენდას ბევრი საერთო აქვს შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ ლეგენდებთან წმ. გიორგის შესახებ:

1) „და ესე ჯუარი წმიდისა მოწამისაჲ სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარ-მოწამისსა, რომელმან ჩემგან თუალით ხილული და ამის სასწაულისა მომთხრობელი ყრმაჲ ვინმე გამოიყვანა, ვითარცა ძუელ ოდესმე ბორლალეთით, აღიტაცა განძაჲთ და დასუა [illegible] კარსა წმიდისა მოწამისსა“[1].

2)... „დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი, მუნ მყოფნი ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაჲსმე... და მუნ მყოფთა გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუე იქმნნეს, ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარმოსხმულთა გულისჴმაყვეს ღუესასწაული წმიდისა გიორგისი.... მეყსეულად მოვიდა წმიდაჲ მოწამე, აღიტაცნა ორნივე“[2] და მიიყვანა ერთი საქართველოში, ხოლო მეორე—„საზღვარსა ქრისტეანეთასა და წარმართთასა“[3].

წმ. გიორგის მითი კაპადუკიასთან არის დაკავშირებული, უკანასკნელთან კი თავის ფესვებით დაკავშირებულია საქართველო.

იკვის ფრესკაზე და მაღალაძიანთ წმ. გიორგის ხატზე აღბეჭდილი კომპოზიცია დასაბამს ჰპოვებს ქართულ წარმართულ გარემოში, რომელიც ლურისტანთან და კაპადუკიასთან არის დაკავშირებული.

წმ. გიორგი მიეკუთვნება ქვეყნის ნაყოფიერებას და სინათლის ღვთაებებს, ხოლო წარმართული ნაყოფიერების ღვთაების ერთს სახეს ვხედავთ ან ცხენზე, ან რაღაც ფანტასტიკურ ცხოველზე მჯდომარეს, და მას ზურგით უზის რაღაც სხვა არსება: ამ კერპს მიაქცია ყურადღება, ახალგორის განძის შესწავლის დროს, ჯერ სმირნოვმა, შემდეგ ჰანჩარმა:

„Ein nackter Mann, eine Kegelmütze auf dem Kopfe, in Pose und schematischer Wiedergabe des Körpers dem Kasbekern ganz ähnlich, sitzt auf einem gehörnten Reittier... Hinter ihm auf der Kruppe steht ein wunderliches Geschöpf. J. I. Smirnov deutet als Hirsch oder Wiedehopf, A. N. Kasnakov, entsprechend einem kaukasischen Jägerbrauch, als Hund“[4]...

„Das späte Auftreten, das seltene Vorkommen und das meist eigentümliche Gepräge des Ross-und Reitermotivs in der darstellenden Kunst des urgeschichtlichen Kaukasus erklärt sich aus dem sakralen Gedankengehalt als Wiedergabe einer Fruchtbarkeitsgottheit, zu denen Verehrung und Darstellung die gegen Ende des 2. Jahrtausends v. Chr. auf dem Metallhandel umgestellte Viehzüchterwirtschaft die ökonomischen Voraussetzungen und mentalen Bedingungen schuf“[5].

მაღალაძიანთ ეკლესიის დროშის წმ. გიორგის სახე არ არის ისეთი ტლანქი, როგორც შემდგომ, XVIII საუკუნეში ეს იყო ჩვეულებრივ, არამედ საკმაოდ მო-

---

[1] „საქართველოს სამოთხე“, სპბ, 1882, გვ. 66.

[2] იქვე, გვ. 66—67.

---

[1] ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წლ. ტექსტი, თბილისი, 1941, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, გვ. 62.

[2] იქვე, გვ. 64.

[3] იქვე გვ. 64.

[4] Fr. **Hančar**, Ross und Reiter im urgeschichtlichen Kaukasus („Jahrbuch für prähistorische und ethnographische Kunst“, I Band, 1935, გვ. 54).

[5] იქვე, გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდენილია, დიდ-თვალება, წვრილცხვირიანი და პატარა პირიანი. გველეშაპი ფრინველისა და ქვეწარმავალის შერწყმას წარმოადგენს. საინტერესოა ცხენის გამოხატულება თანაბარი ძლიერი ამობურცვით გაკეთებული, ისე როგორც ელინისტურ ქართულ ბალთებზე მთავარი ცხოველია წარმოდგენილი. ფაფარი, გრეხილი ხაზით მოცემული, ისეთივე ორნამენტალურ სახედ გვევლინება, როგორც იმავე ბალთებზე. ეს საინტერესო შეხვედრაა ახლისა ძველთან.

ხატზე წარწერაა, რომელიც დროშის შემკვეთელს და თარიღს აღნიშნავს: „ქ. წმიდავ:. გ~ი კავთისავ. შეიწყალე ნიკოლოზ:. მაღალაძე ამინ:. ქკსა: ტ დ“ (ქორონიკონი ტდ=1616 წელს).

ამ პერიოდიდან, წინა პერიოდთან შედარებით, უფრო მეტი დროშაა შერჩენილი. ხელოვნების თვალსაზრისით საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს დროშა ქიზიყის მოურავისა. მაინც ის ძლიერება და სრულყოფა, რომელსაც ვხედავთ წინა პერიოდში რუსუდანის დროშაკზე, ამ პერიოდში ველარ მოინახება.

# ႣႠႱႩႥႬႠ

როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე ყოველ მთავარ ეტაპისათვის მოიძებნება დროშები (ანდა ცნობები დროშების შესახებ) და მათში ჩაქსოვილია საქართველოს ისტორია.

დროშათა შორის აღმოჩნდა უნიკალურებიც.

აღებულ ეტაპების მანძილზედ შეიძლება თვალი მივადევნოთ შემდეგი სახის დროშებს: „დროშაკები“, ღვთაების ქანდაკებიანი ნიშნები, ლაბარუმები, ლომის სახის დროშა, დროშა-ჯვრები, ალმიანი დროშები.

დროშაკები[1] — ტარზე დამაგრებული ლითონის დისკოს ფორმის დროშები—დაკავშირებულია ძველ აღმოსავლეთთან. ეს ტიპი გვხვდება სუბარის ქვეყნის ხელოვნებაში, ხოლო შემდეგ—ასურეთში. ჩვენამდი მოღწეულ ორ ქართულ დროშაკთაგან ერთი საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დროისაა, მეორე — სამეფოებად დაყოფის დროისა. მათზე მრგვალ ორნამენტირებულ ჩარჩოში მოთავსებულია ორივე მხრიდან გამოხატულებები, ერთ შემთხვევაში გაკეთებული მოჭედვით, მეორეში—გრავირებით.

ძირითადად ეს საომარი დროშებია.

ღვთაების ქანდაკებიანი დროშა წარმოადგენს გამოხატულებას ღვთაებისა, რომელიც შემდგარია ცხოველების რქებზე. ქანდაკება ბრინჯაოდანაა გაკეთებული, ჩამოცმულია ტარზე. ასეთი დროშები განათხარ მასალას შეადგენს და თარიღდება პირველი ათასეულის პირველი ნახევრით, ძველი წელთაღრიცხვით.

ამ დროშებს აქვთ საერთო მხარეები ასურულ დროშებთან და კაპადუკიასა და ლურისტანში ნაპოვნ დროშებთან, საფიქრებელია წარმოადგენენ ქურუმთა ან სხვა წარჩინებულ პირთა ნიშნებს.

ასეთი ნიშნების ტიპისაა სვანური და ხევსურული კვერთხები.

უვაროვას სამართლიანი აზრით, დროშები და კვერთხები თავისი მნიშვნელობით ძალიან ახლოა ერთმანეთთან[2].

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ, რომ ყაზბეგში განათხარ კვერთხის თავთან[1], აგრეთვე შაპურ III და ვარაჰრან IV დროშებთან[2], ახლოა, თავისი აღნაგობის ძირითადი ხაზულებით, კვერთხი, რომელიც ინახება ზ. სვანეთში, სოფ. ჩვაბიანის ჯგრაგის ეკლესიაში.

ლაბარუმები წარმოადგენენ სწორკუთხედს (ზოგჯერ ოდნავ შეზნექილ გვერდებიანს), ანდა ისეთ ფიგურას, რომელიც უახლოვდება ხუთკუთხედს: უფრო ხშირად მისი ზემო ნაწილი სწორკუთხედია, ქვემო-კი— სამკუთხედი. ტარი დამაგრებულია შუაზე.

ლაბარუმები ან მთლიანად ხისაა, ან ხეზე გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი.

ზოგჯერ ხის ლაბარუმის ორნამენტირებულ ჩარჩოში ჩასმულია დახატული ხატი, ზოგჯერ კი ხატის ადგილას თავისავე ფიცარზე ამოკვეთილია სხვადასხვა სახეები.

ვერცხლის ფურცელ-გადაკრულ ლაბარუმებზედაც ორნამენტირებულ ჩარჩოებში მოთავსებულია გამოხატულებანი. შენახულ ლაბარუმებზე ორნამენტიც და გამოხატულებაც ჭედური ტექნიკით ან შტამპის[3] ტექნიკითაა გაკეთებული.

სამეფო ლაბარუმები (ანდა ლაბარუმის სახის კვერთხები) მოოჭვილი ყოფილა ძვირფასი თვლებით და ძვირფასი თვლებიანივე საკიდრებით.

ლაბარუმის სახის დროშები ირანში უკვე აქემენიანთა ეპოქაში არსებობდა. საქართველოში შენახული ლაბარუმები უფრო გაერთიანებულ სამეფოს დროისაა, არის ბოლო საუკუნეებიდანაც.

ლომის სახის დროშა—განთქმული ისტორიული დროშა ზემო სვანეთისა, ე. წ. „ლემ“ (ლომი), მიეკუთვნება ცხოველის სახის დროშებს.

დროშა წარმოადგენს აბრეშუმის ქსოვილიდან სქემატურად გამოჭრილ ლომის გამოხატულებას. როდესაც მედროშე ცხენს გააჭენებს, ეს თარგი იბერება და

[1] პირობითაა მათთვის მიკუთვნებული ეს სახელწოდება.

[2] Уварова, „Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию („Материалы по археологии Кавказа“, X, Москва, 1904, გვ. 131).

[1] იქვე, გვ. 131.

[2] Fr. Sarre, Die altorientalischen Feldzeichen, fig. 19, 20.

[3] ახლად აღმოჩენილი ლაბარუმი ბეთლემში.

ცხოველის ფორმებს ღებულობს. შესაძლოა, თავდაპირველად ლომის თავი მთლიანად ლითონისა იყო, ამჟამად ლითონისაა მხოლოდ ყბები და კბილები.

ლომი, ძირითადად, სამხედრო ნიშანი ყოფილა ძველად, „ერთობილი სვანეთის“ ჯარის გამაერთიანებელი დროშა.

ლომი სკვითურ და სარმატულ გველეშაპის სახის დროშათა ტიპისაა. ეს დროშები ცნობილია II საუკუნიდან ახ. წ.

დროშა-ჯვრები წარმოადგენენ ე. წ. „საწინამძღვრო“ ჯვრებს, შესდგებიან მაღალ ტარზე დამაგრებული ჯვრებისაგან. დროშა-ჯვრები შერჩენილი გვაქვს გაერთიანებული სამეფოს დროიდან დაწყებული.

ალმიანი დროშების არსებობა დასტურდება ყველა აღებულ პერიოდისათვის. ალმები უფრო ხშირად აბრეშუმისაა, დამაგრებულია ბუნის სიგრძეზე ან აბმით, ან მიჭედვით. ალმის ზემოდან ბუნზე მოთავსებული იყო დროშის თავი. შესრულების ტექნიკის მხრივ ალმები ან მოხატულია, ან მოქარგული. ზოგჯერ მოხატულია ალმის ორივე მხარე. ორნამენტით ამკობენ ან ალმის კიდეებს მთლიანად, ანდა მხოლოდ იმ ხატისას, რომელიც ალამზეა მოთავსებული. ხატის მაგიერ შესაძლოა ყოფილიყო სხვა გამოხატულებაც.

ალმებიანი დროშების დანიშნულება მრავალგვარია.

დროშების თავები ძალიან საყურადღებო საგანს წარმოადგენენ. ესენი ხან ჯვრის, ხან შუბის პირის ფორმისაა, ხან შუბის პირს მიმსგავსებული, ხან კი აქვთ დამახასიათებელი ფორმა ხუთკუთხედისა (ზემო ნაწილი—სწორკუთხედი, ქვემო—სამკუთხედი), ასეთები ჯერჯერობით ჩანს მხოლოდ გაერთიანებული საქართველოს დროისათვის.

შუბის პირის ფორმა დროშის თავისათვის უნდა უძველეს დროიდან მომდინარეობდეს.

ხშირად დროშის თავები ორნამენტირებულია, შემკულია გამოხატულებებით და წარწერებით. მათი მასალა ან ხეა, ვერცხლის ფურცელ გადაკრული, ან ვერცხლი, ანდა რკინა.

დროშის ბუნები ხისაა, ზოგჯერ ორნამენტირებულია ამოკვეთით. არის უნიკალური ფიგურული ბუნები (მთიულეთიდან) მზის ნიშნებით. ზოგჯერ ბუნი დაფარულია ვერცხლის ფურცლით, რომელიც ან სადაა, ან ჭედური ორნამენტიანი.

ხანდახან ბუნები მთელ სიგრძეზე ადგილ-ადგილ ბუშტებითაა შემკული.

შენახულია ვერცხლით მოჭედილი ბუნები გაერთიანებული სამეფოს დროიდან.

გამოხატულებები, ძირითადად, საღვთო ხასიათისაა. არის საერო ხასიათის გამოხატულებები, მაგრამ ასეთები, შერჩენილია უფრო ბოლო საუკუნეებიდან.

მზისა და მთვარის გამოხატულებებს ხშირად ვხედავთ დროშებზე. ისინი მომდინარეობენ წარმართობის დროიდან, როგორც ეს ჩანს დროშაკების მაგალითებიდან.

როგორც ვნახეთ, ქართულ წარმართულ დროშებზედ (ყაზბეგში ნაპოვნი ნიშანი) წარმოდგენილია ნაყოფიერების ღვთაებათა შესატყვისი ღვთაება. მზისა და ნაყოფიერების ღვთაებათაგან მოდის წმ. გიორგის ხშირი გამოხატულება დროშებზე. ამ მხრივ მნიშვნელობით ახლოა იონას და კვირიკეს სახეებიც. წმ. გიორგი მეომარ ღვთაებათა შესატყვისიც არის და მისი გამოხატულების მოთავსება დროშებზე ნიშნავს მის მფარველობის მოპოვებას ბრძოლაში. დიმიტრიც მეომარ წმინდანს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ქრისტე და ღვთისმშობელიც მზისა და ნაყოფიერების წარმართულ ღვთაებათა გარეგნულ სახეების განმგრძობია ქრისტიანობაში.

ამგვარად, ქრისტიანობის ხანის დროშებზედ ერთი მხრივ უნდა გრძელდებოდეს წარმართულ დროშათა ტრადიცია.

შესწავლილი მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული დროშების გამოხატულებებში არის სტილისტიკური კავშირი როგორც წინა აღმოსავლეთთან, ისე დასავლეთთან. ყოველთვის მაინც სჭარბობს, განსაკუთრებით მკაფიოა ქართული ხასიათი.

თვითეულმა დროშამ აირეკლა თავისი დრო ორნამენტაციისა და გამოხატულებათა სტილის მხრივ. ზოგჯერ დროშების სახით გვაქვს განსაკუთრებით მკაფიო გამოხატვა ეპოქის ხელოვნებისა და ამასთანავე საუკეთესო ნიმუშებიც (რუსუდანის დიდებული დროშაკი, რაჭული ლაბარუმი, ვახტანგ VI-ის დროშა, ქიზიყის მოურავის დროშა). ამგვარად, შესწავლამ დაამტკიცა ქართული დროშების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეც: ესენი ხელოვნების ნაწარმოებთ წარმოადგენენ.

# ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომს „ქართული დროშები“ დართული აქვს ლექსიკონი — სიები იმ ტერმინებისა, რომლებიც დროშას ეხება. ტერმინები ამოღებულია თანმხლებ ტექსტითურთ სხვადასხვა ხასიათის ისტორიული ქართული ძეგლებიდან, ძველი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, ლექსიკონებიდან, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალებიდან. შეძლებისდაგვარად ამოწერილია მთავარი მასალა დროშების შესახებ. მასალები ავსებენ ერთმანეთს.

ტერმინები დაჯგუფებულია დროშების ან მათი ნაწილების აღმნიშვნელ სახელებთან. ხალხურ ლექსებში წყაროს აღნიშვნის გარდა ნაჩვენებია აგრეთვე ადგილი, სადაც ჩაწერილია ლექსი, და ჩაწერის თარიღიც (თუ ასეთი მოიპოვება).

ლექსიკონში შეუძლებელი იყო თითოეულ ტერმინთან სრული დასახელება წყაროსი, ამიტომ ეს ცალკე დამატებად არის მოცემული.

ტერმინების თანმხლები ტექსტი ამოწერილია ვრცლად, რომ დროშას ვხედავდეთ მის საკუთარ გარემოში. დეტალებში ზოგჯერ გამომჟღავნებულია ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ აზიანელთა, წარმართობის გადმონაშთები — დროშების კულტთან დაკავშირებული წესები, ბევრი რამ ისეთი, რაც შენახულია მხოლოდ საქართველოში, და არა მარტო შენახული, ცოცხალიც იყო სულ ახლო ხანში: მაგალითად, როდესაც ვაკვირდებით ხიზანიშვილის მიერ ჩანაწერ ცნობას დ რ ო შ ი თ დ ა ფ ი ც ე ბ ი ს შესახებ, ვხედავთ, თითქოს, ძველი აღმოსავლური ხელოვნების გამოხატულებათა სიუჟეტებს: ძველი სუმერი შიშველი ან ნახევრად შიშველი იდგა ღვთაების წინაშე[1]. ეს იყო „საღვთო სიშიშვლე“. ხევსურეთში დროშით დაფიცებაშიც მოფიცარი ნახევრად შიშვლდება: „როცა ბჭეებისაგან მოდავეს ფიცი დაედება, თუ მამული დიდია, ფიცი უეჭველად დროშით უნდა მოხდეს; დროშით დაფიცება სხვა საქმეზედ არ შეიძლება... მოფიცარი უნდა გაიწმინდოს... როცა დაფიცება დაიწყობა, მოფიცარმა პერანგისა და შარვლის ამარა, საკინძგახსნილმა და ფეხშიშველმა დროშა ხელში უნდა დაიჭიროს და ისე შემოუაროს მამულს გარშემო“[1].

მოფიცარი დროშასთან მიჰყავს თავსმდებს, „ხელის მამკიდე“-ს, შუამდგომელს: „მოფიცარს გვერდით „ხელის მამკიდე“ უნდა ედგას... ისიც უნდა გაიბანოს, როგორც თვით მოდავე, გვერდით მოუდგეს და მოდავის სიტყვა დააჭეშმარიტოს, — მართალიაო, თუ არა, მრისხავდეს დროშა და ხატიო“[2]. სუმერულ გამოხატულებებზედ დამხმარე ღვთაება ნამდვილად „ხელის მამკიდეა“, მას უჭირავს ხელი მთხოვნელისათვის და მიჰყავს მთავარ ღვთაებასთან, მთხოვნელს შესაწირი ცხოველი უჭირავს ხელთ. G. Contenau ასე აწერს, მაგალითად, ქვაზე გამოხატულ სცენას: „Une divinité assise... Devant elle l' autel à libations... Derrière elle un dieu intercédeur conduit par la main un adorateur porteur d'un chevreau[3]... Le fidèle vêru d'un simple jupon“[4]. (დაფიცების დროს ხევსურეთშიც ხდება ცხვრის შეწირვა: მოჩივარმა და მოპასუხემ ცხვრები უნდა მისცენ ბჭეებს[5]).

სხვა ცნობები დროშაზე, მაგალითად, საღვთო ცეკვა დროშის გარშემო, დასტურის ცეკვა დროშით ხელში[6] და სხვ. განსაცვიფრებელი პლასტიკურობის სახეებია ღრმა წარსულიდან.

---

[1] G. Contenau, Manuel d'archéologie orientale, I, Paris 1927, გვ. 370.

---

[1] ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (ურბნელი), „ფშავ-ხევსურეთი“ („ეთნოგრაფიული ნაწერები“), თბილისი, 1940, გ. ჩიტაიას რედაქტორობით, გვ. 60.

[2] ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ფშავ-ხევსურეთი, გვ. 60.

[3] „Plaque en pierre gravée. Provient de Nippour. Vers 3000 avant J. C.“ (G. Contenau „Manuel d'archéologie orientale“ I, გვ. 444, სურათი).

[4] იქვე, გვ. 470.

[5] ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ფშავ-ხევსურეთი, გვ. 60.

[6] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, თბილისი, 1934, გვ. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალამი:**

„ა ლ ა მ ი — სპარსულად დროშა, ქართულად სამკრე ზორტი, გინა ნიშანი დროშისა, შუბთა და მისთანათა“.

ს. ორბელ. ლექსიკ.

„ა ლ ა მ ი.... სამფეროვანია: წითელი... თეთრი და ლურჯი. ა ლ ა მ ს წვერზე შუბიანი თითბრის ბურთი უკეთია ასეთი წარწერით: „ა ლ ა მ ი არაგვსა და ქსნის ლომისის წმინდა გიორგისა სახელზედა“ შეწიოს მათი სოტნის კამადერი ბადურ კაზიბეგი ჩუნთ (1859) წელსა“.

მაკალ. „მთიულ.“, გვ. 171.

„ბაირაღი შემოსილია ფაბრიკულ თავშალით (ა ლ ა მ ი)“.

მაკალ. „თუშეთი“, 174.

„ყველაზე დაწინაურებული ცხენოსანი მონაგებ ა ლ ა მ ს სახლში წაიღებს და იქ ოთახში ჩამოჰკიდებს... არის ოჯახი, სადაც ათამდი ასეთი ა ლ ა მ ი ა კედელზე გამწკრივებული“.

იქვე, 177.

**ალამი დიბისა:**

ქ. დიბის ალამი ერთი.

სვეტი-ცხოველ. სიგ. დამატება, გვ. XI.

**ალამი დროშისა:**

„...თოლაქ დემურ.. აღვიდა ქედსა და აღაბა ა ლ ა მ ი რამე სხვა დ რ ო შ ი ს ა.

ჟამთააღმწერ. მარიამის., 709.

**ალამი ლომისასი:**

მაკალ. „მთიულ.“, 171.

**ალამი მეფისა:**

„მეფისა ალმის მპყრობელი“

აღწ. სამეფ. საქ., 22.

**ალამი ნატენი მარგალიტითა:**

„ა ლ ა მ ი ჩინეთს ნაქმარი, მ ა რ გ ა ლ ი ტ ი თ ა ნ ა ტ ე ნ ი“

შაჰნამე I, 475 (1734)[1].

**ალამი ნაქმარი ჩინეთს:**

„ა ლ ა მ ი ჩ ი ნ ე თ ს ნ ა ქ მ ა რ ი, მარგალიტითა ნატენი

იქვე. I, 475 (1734).

**ალამი სეფე:**

„დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავ-გადაჭედილ[ნ]ი,
ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი ს ე ფ ე ა ლ მ ი თ ა“.

კარის გარიგება, 9—10.

**ალამი შეკერული ხალასად:**

„შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა, ჯუარი ხ ა ლ ა ს ა დ შ ე კ ე რ უ ლ ი ა ლ მ ი თ ა“.

ილორის ხატის წარწ., 156.

**ალამი წითელ-შავი:**

„ავმართე დ რ ო შ ა მეფისა ალ მ ი თ ა წ ი თ ე ლ-შ ა ვ ი თ ა,
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა“.

ვეფხისტყაოს., 85 (404).

**ალამი ხატისა:**

(ათნიგენობა. ჩიღოს ლაშარის ჯვრის ხატობა):

„... გალავანს ოთხი თავწვეტიანი ბოძი აქვს, რომელზედაც ხ ა ტ ი ს ა ლ ა მ ი ა აღმართული“.

მაკალ. „თუშეთი“, 197.

**ალამი (დროშა—ალამი):**

„მოვიდა, შეჯდა ტახტზედა, სად უდგა დროშა-ალამი“.

შაჰნამე I, 87 (284).

**ალამნი ღაწვთა:**

„ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალითგან ცრემლნი დალამნეს,
სამთავე ღაწვთა ალამნი არღავნის ფერად ალამნეს“.

ვეფხისტყაოს., 197 (943).

**ალამის აბმა** (იხ. აგრეთვე „ალამის აღბმა“):

„შავ ვეშპის სახე დროშა აქუს, ტ ა რ ს ა ა ლ ა მ ი უ ბ ი ა,
წინ-უკან ოქროთ ნაკაზმი, ცხენსა ზის დიაღ კაცია“.

შაჰნამე I, 555.

ინდოთა დ რ ო შ ა ტარიელს აქვს და ა ლ ა მ ი უ ბ ი ა“.

ვეფხისტყაოს., 328 (1607).

**ალამის ამართვა** (იხ. აგრეთვე „ალამის აღმართვა“):

(ოთარ) „...მოვიდა ბატონთან...
მარჯვნივ დადგების ლაშქრითა, ა მ ა რ თ ე ბ ს თავის
ა ლ ა მ ს ა“.

კათალიკოზ-ბაქარიანი, 20 (112).

**ალამის აღბმა:**

„...თოლაქ-დემურ... აღვიდა ქედსა და ა ღ ა ბ ა ა ლ ა მ ი რამე სხვა დროშისა“.

ჟამთააღმწ., მარიამის. 709

**ალამის აღმართვა:**

„გალავანს ოთხი თავწვეტიანი ბოძი აქვს, რომელზედაც ხ ა ტ ი ს ა ლ ა მ ი ა ა ღ მ ა რ თ უ ლ ი“.

მაკალ. „თუშეთი“, 197.

**ალამის ბრიალი:**

„თავით დაუცეს ალამი, უ ბ რ ი ა ლ ე ბ დ ე ს ქ ა რ ი ო,
ფეხთით დაუბეს ლურჯაი, — დასტირის, როგორც ქალიო“.

ხალხ. სიტყვ. 54, ხევი, 1881 წ.

**ალამის გადაკვეთა:**

„გ ა დ მ ი კ ვ ე თ ი ა ა ლ ა მ ი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“.

ვეფხისტყაოსანი, 267 (1309).

**ალამის გაძღვანება:**

„მოვიდეს ორნივ ლაშქარნი, მეფეთა მისცეს სალამი,
შესხდეს და სადგომისაკე გ ა მ ო ი ძ ღ ვ ა ნ ე ს ა ლ ა მ ი.

შაჰნამე I, 144 (486).

**ალამის გაწევა ცად:**

„რა გასდიდდი, შენი ა ლ ა მ ი და დროშა ც ა დ გ ა ი წ ი ა“.

ვისრამიანი, 270.

1 ფრჩხილებში ნაჩვენებია ტაეპები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალამის დაცმა:**

„თ ა ვ ი თ დ ა უ ც ე ს ა ლ ა მ ი, უბრიალებდეს ქარიო,
ფეხთით დაუბეს ლურჯაი, — დასტირის, როგორც ქალიო.

ხალხ. სიტყვ., 54. ხევი, 1881.

**ალამის დგომა:**

„მოვიდა, შეჯდა ტახტზედა, სად უ დ გ ა დ რ ო შ ა-ა ლ ა მ ი.

შაჰ-ნამე I, 87 (284).

—

**ალამის მოკაზმვა ტურფად:**

„ქაიანურსა დროშასა ოქროთ მოსჭედეს ტარია.
ა ლ ა მ ი ტ უ რ ფ ა დ მ ო კ ა ზ მ ე ს — ლალ-მარგალიტის გვარია.

შაჰ-მანე, I, 65 (202).

**ალმისა მპყრობელნი:**

აღწ. სამეფ. საქ., 22.

**ალამის წაძღვანება წინ:**

„ა ლ ა მ ი ტურფად მოკაზმეს, — ლალ-მარგალიტის გვარია.
და წ ი ნ წ ა უ ძ ღ ვ ა ნ ე ს, წავიდეს, იმათი ომი მწარია“.

შაჰ-ნამე, I, 65 (202).

**ალამისათვის წელის მოწყვეტა:**

„ციგოშვილმა მალხაზამა ა ლ ა მ ს მ ო გ ვ ი წ ყ ვ ი ტ ა წ ე ლ ი“.

ხალხ. სიტყვ. 119, კახეთი.

**ალმების შეტანა ჯარში:**

„პირველზე ისინიც (ყიზილბაშნი) კარგად იყვნეს, რომ ა ლ მ ე ბ ი ჩ ვ ე ნ ს ჯ ა რ შ ი შ ე მ ო ი ტ ა ნ ე ს, მაგრამ რა ქართველნი და კახნი თავგამომეტებით იმათ ჯარში შიგ შეცვივდ[ნ]ენ, ვეღარ დადგნენ ყიზილბაშნი და გაიქცნენ“.

პაპ. ორბელ. 425—426.

**ალმებით ნათობა:**

„შუბის პირითა ქვეყანა წითლით, ყვითელ და ისფრითა
ა ლ მ ე ბ ი თ ა ნ ა თ ო ბ დ ა“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 373.

**ალმებითა შუბის სიმრავლე:**

„იდგა შ უ ბ ი ს ს ი მ რ ა ვ ლ ე წ ი თ ე ლ-ყ ვ ი თ ლ ი თ ა ა ლ მ ე ბ ი თ ა“.

ი ქ ვ ე, 434.

**ალამიანი:**

„სალუქის ქავსა გადმოჩნდა თეთრი ა ლ ა მ ი ჩითია.
წინ-წინ თეთრ ცხენი გადმახყვა, ზედა მჭედარი ქისტია.
სალუქის კარსა სალუქი ეს მოცადური ვისია?
გადვარდა ა ლ ა მ ი ა ნ ი: პატრონ ვინა ხართ მკვდრისია?“.

შანიძე „ხევსურ.“, 47.

**ბავრაყი** (იხ. აგრეთვე, ბოვრაყაი“, „ბოვრაყი“ „ბოურაყი“):

ბ ა ვ რ ა ყ ი — სამღვდელო (ეკლესიის) დროშა.

ს. ორბელ. ლექსიკ.

„ვის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბ ა ვ რ ა ყ ი“.

მოთქმით ტირილი, 54.

**ბავრაყი:**

ქილილა და დამანა. 99.
მაკალ. „მთიულ.“ 166.

**ბავრაყი დავით აღმაშენებელისა:**

„ხოლო წელსა 1811 მოიკრიბნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი... მოადგა ახალციხესა.... იძლივნენ რუსნი და ამერ-იმერნი, და მიუღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბ ა ვ რ ა ყ ი დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა, მით რამეთუ კერძოსა ძლით იმერთასა იძლივნენ რუსნი.

დ~თ ბატონ. „ახალი ისტორია“, 38.

**ბავრაყი დიდებული:**

(წარწერა ლომისის წმ. გიორგისადმი შეწირულ ერთ ვერცხლის თასზე):

„ქ: შენ წ~ისა და: დიდებულისა მთავარ მოწამის გიორგისა ეკლესიას ლომისად წოდებულსა თასი ესე... მეფისა ირაკლი მეორისა ძემან ვახტანგ მპყრობელმან არაგვისამან ოდეს: ჩღჟზ: (1797) წელსა აღამამად ხანის: მეორედ მომავლობა გვეგულებოდა და ჩვენ შენს დღესასწაულზედ მოვედით და არაგველნი სრულ აქ გვახლდენ და შენი დ ი დ ე ბ უ ლ ი ბ ა ვ რ ა ყ ი ნაღვარევის ეკლესიაში ჩამოვასვენეთ და იქ იფიცეს ერთობით არაგველთ ჩვენს ერთგულობაზედ... და ამისათვის შენის დ ი დ ე ბ უ ლ ი ს ბ ა ვ რ ა ყ ი ს პატივის საცემლად მოგართვით თასი ესე, შეიწირე...“

მაკალ. „მთიულ.“ 34.

**ბავრაყი ლომისასი:**

იხ. დროშა ლომისასი.

ი ქ ვ ე, 171.

**ბავრაყი [ლ ო მ ი ს ა ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს ა]:**

იხ. ბავრაყი დიდებული (მაკალ. „მთიულ.“, 34).

**ბავრაყი [ნინოწმინდისა]:**

(მეფის ძემან გიორგიმ ინება დასაფლავება ცოლის გვამისა დავით გარესჯისა მონასტერსა): „...ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ი ს ა ბ ა ბ ა ვ რ ა ყ ი თ ა თ ვ ი ს ი თ ა დ ა დ რ ო შ ი თ ა, დავით რუსთველი და დანიილ ბოდბელი მიტროპოლიტნი შეერთდნენ და მიეგებნენ ლოცვითა“.

ც~ა გ~ი XIII, 11

**ბავრაყი ქებული:**

ქილილა და დამანა, 445.

**ბავრაყი ქალიფასი:**

(ომი ბასიანში) „სულთანიცა შეიპყრეს... კ~დ წარმოიღეს ბ ა ი რ ა ხ ი ც ა მისი ხალიფისაგან გამოგზავნილი... (თამარმა) ბრძანა იმა ქალიფისა ბ ა ვ რ ა ყ ი ს ა მოღება.

„კალმასობა“, 640v, 641r.

**ბავრაყის აშართვა:**

ქილილა და დამანა, 77.

**[ბავრაყის] ზანზალაკი:**

„ბავრაყი წითელ დროშითაა (ნაჭრებით) შემოსილი და ზედ ზანზალაკი ჰკიდია“.

მაკალ. „მთიულ.“, 171.

**ბავრაყის მიბოძება:**

„მეფე გიორგი (ლაშა) წავიდა ფშავს... მოეგებნენ ფშაველნი. მეფემან... უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ჰქმნა მცირე ეკლესია... მ ი უ ბ ო ძ ა ბ ა ვ რ ა ყ ი და აგრეთვე ხევსურეთსა შინაცა მიბძანდა და მათ მისცა ჯუარი და ბ ა ვ რ ა ყ ი“.

კალმასობა, 649v—650r.

**ბავრაყის პატივისცემა:**

„შენი დიდებული ბავრაყი ნაღვარევის ეკლესიაში ჩამოვასვენეთ... შენის დიდებულის ბავრაყის პატივის საცემლად მოგართვით თასი ესე“.
(1797 წლის წარწერა).

მაკალ. „მთიულ“., 34.

**ბავრაყის შემოსვა დროშით:**

„ბავრაყი წითელ დროშითაა (ნაჭრებით) შემოსილი და ზედ ზანზალაკები ჰკიდია“.

იქვე, 171.

**ბავრაყის ჩამოსვენება:**

იხ. ბავრაყი დიდებული.

იქვე, 34.

**ბავრაყთა ბოძება:**

„...1788 წელსა... დუშეთიდამ დარიალადმდე სლვა მეფის ძისა იყო სლვა მოციქულთა. ყოველთა ნიშთა და წმინდათა ხატთა თაყვანის საცემლათა ადგილთა ზედა მოვიდოდნენ და გალობდენ პარაკლისსა, და დაასვენებდენ ჯვართა, მიუბოძებდენ ბავრაყთა... ისადგურებდენ მუნ, სადაცა ძველადვე აქვნდათ მემკვიდრეთა მუნ ხატნი ანუ ნიშნები ანუ ხატისა ტყეებნი... წილკნელი ამბროსი უკურთხევდა ბავრაყთა და სხურებითა აიაზმისა განსწმენდდა ადგილთა და მკვიდრთა დასახლებულთა გარემო... სტუმრობისა დროსა თვით მცხოვრებნი იმღერდენ სიმღერათა თვისთა მათითა წესითა. დეკანოზთა ერისა მათგან დადგენილთა მიეცემოდა მათგან უფლება, რათა იცვიდენ ადგილსა პატივითა, ხატთა, ჯვართა, ბავრაყთა და სხვათა შეწირულობათა“.

ც~ა გ~ი XIII, 46—47.

**ბავრაყთა კურთხევა:**

იხ. ბავრაყთა ბოძება.

ც~ა გ~ი XIII, 47.

**ბავრაყისა ზედა წარწერა:**

„ბავრაყსა ზედა ბრძანა წარწერად იამბიკოთა“.
(თამარ მეფემ).

„კალმასობა“, 641 v

**ბაირალი** (იხ. აგრეთვე ბაირახი):

„საჯენ უფალო მავნებელი ჩემნი და ბრძოდე ბრძოლათა[1] მათ ჩემთა. აღიღე ჰური და ფარი და აღდეგ მწედ ჩემდა. განფინე მახვილი შენი და შეკრიბე წინ კერძო მდევართა ჩემთასა: ეს ფსალმუნის მუხლები ნიკოლაი დამიწერიეს, ბაირალის შუბზედ აწერია“.
(წარწერა დავითნის და სახარების თარგმანზე).

ექ. თაყაიშვ. „ხონის ეკლეს.“, 283

(დალაობა) „...მხედრებიც ხელში ბაირალით მიცვალებულის დედისძმისას მიდიან. ბაირალი შემოსილია ფაბრიკულ თავშალით (ალამი)...“

მაკალ. „თუშეთი“, 174.

(დალაობა. დოღი)... „მებაირახტე აიღებს ნიშანზე დასვენებულ ბაირალს და ჰენებით მივა დანიშნულ ადგილზე და ბაირალსაც იქვე ჩასვამს... ბაირალთან დგას მეთვალყურე... პირველ ცხენოსანს ერგება ალამი...

იქვე, 176, 177.

**ბაირალის შემოსვა.** იხ. ბაირალი.

იქვე, 174.

---

1 უნდა: მბრძოლთა

**ბაირალის შუბი.** იხ. ბაირალი.

ექ. თაყაიშვილი „ხონის ეკლ.“ 283.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ბაირალის ჩასმა.** იხ. ბაირალი.

მაკალ. „თუშ.“, 176.

**ბაირალების მოტაცება:**

„ლეკთა ბაირალები, მოტაცებულნი მძლეველთაგან, მოაქვნდათ თვით ლეკთა ტყვედ შეპყრობილთა, ეგრეთვე ზურნა და დაფი ლეკისა“.

ც´ა გ´ი XIII, 191

**ბაირალელთ დადგომა:**

„არ გეჯერებათ, ქართველნო, შეგვეხსნა რკინის კარები.
აღარ გვყოვ მეფე ერეკლე, არც მაგის საომარები..
.დამდგარან ბაირალელნი...“

ხალხ. სიტყვ. 105, ხევი, 1890.

**ბაირალტარი:**

„ეს სელიმ ფაშამ შეიტყო, ჰერსისგან შეიქმნა მთვრალი,
ჩახალ-ოღლი დაიბარა და იმისი ბაირალტარი.

ძვ. საქ. III, 245, მესხეთი.

**ბაირახი ქალიფასი:**

„სულთანიცა შეიპყრეს, კ~დ წარმოიღეს ბაირახიცა მისი ხალიფისაგან გამოგზავნილი... (თამარმა) ბრძანა იმა ქალიფისა ბავრაყისა მოღება.

კალმასობა, 640 v, 641 r.

**ბაირახების დადგომა:**

„ვერ გაიგეთა, ქართველნო? შაგეჯსნათ რკინის კარია.
აღარ გყავთ ნეფე ერეკლე, არც მისი საომარია,
დამდგარა ბაირახები, აღარ ჰეხს ზარბაზანია.“

შანიძე, „ხევსურ.“, 23.

**ბაირახების დაჩუმება:**

„ვერ გაიგითა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია...
დაჩუმდა ბაირახები...

ხალხ. სიტყვ., 105, ილია ჭავჭავაძის ჩაწერ., 1871.

**ბაირახების ყოლა:**

„ქართველებთ ვერ გაიგითა, რკინის შეგესხნათ კარიო,
მეფე ერეკლე აღარ გყავთ, ბაგრატიონთა გვარიო,
აღარ ყავ ბაირახები...
ამა ქართულის მათქვამი მე კი ხევსური ვარიო.

ხალხ. სიტყვ. 104—105.

**ბაირახდარი:**

ხალხ. სიტყვ., 133, აჭარა 1859.

**ბაირახტარი:**

„მე ვნახავ აისოფიას... ბაირახტარი წაგვიძღვა, მივყავართ ჩვენ სიდიდითა“.

კათალიკ.-ბაქარ., გვ. 34.

წამიძღვა ბაირახტარი, იქივ ჩავსხედით ნავშია,
კარგა შევექეც იმ დღესა, ნავი ვაცურვეთ ზღვაშია.

იქვე, 38.

**ბაირახტარი:**

„... შეიყარა გურჯის ჯარი...
აწყვრის ციხეს შემოადგა, შეუშალა ცალი მხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროლა და ჩამოყარა ბედნებიდგან ბაირახტარი".
(ასპინძის ომი).
ძვ. საქ. III. (განყ. 2), 241, მესხეთა.

---

**ბაირახტარის წაძღოლა:** იხ. ბაირახტარი.
კათალ.-ბაქარ., 34.

**ბაირახტარების დაჭერა:**
„შაყრილან ფშაველის შვილები. ლაშარსა გროვდებიანო,
გადავლენ ალაზნის თავსა თუშეთს მუქარაზედაო,
საგათენობოთ დაეცნენ თუშეთს მხაროვანზედაო.
შაიტყეს წოვათ ბიჭებმა, აზჯართ გაიღეს ქდრიალი.
უთხრიდით ჩაღმა გომეწართ, დაჭრან ბაირახტარები,
...„აქ რა გინდოდათ, ჯლან-დიდნო....
ყადოვანს დაგაგდებინეთ დროშა ლაშარის ჯვრისაო".
ხალხ. სიტყვ. 47, თუშეთი.

**ბოვრაყაის თავი:**
„ქ. ეს ბექაურ-წიკლაურების წმინდის გიორგის პირიმზის
ბოვრაყაის თავი მე იასონ ერისთვის შვილმა სახლთ-ხუცესამ
თეიმურაზმ გავაკეთე სამწყალობლათ ჩვენთათვის ქკს ტჳვ"
(1707).
მაკალ. „მთიულ.", 159.

**ბოვრაყაის თავის გაკეთება:** იხ. ბოვრაყაის თავი.
მაკალ. „მთიულ.", 159.

**ბოვრაყი (კოპალას დროშა):**
მაკალ. „ხევსურ.", 255.

**ბოვრაყის გაკეთება:**
„ქ. ყაჩეთის გესამანიის მღთის შობლისა ბორაყი... გავაკეთებინე... წელსა ქკს ფა". (1813).
Археолог. экск. V, გვ. 119.

**ბორაყის დადგომა:**
„თავზე ნახურავს ჩაჩქანსა ჯამს ნატყვიარი სჭირსაო.
მაგას ვინ ეტყვის მამასა, ვინ გარმაავლებს პირსაო?
ყველაის საწყინარია დადგომა ბორაყისაო,
აღარ ხუოდას დროშაი ლაღის კარატის ჯვრისაო".
შანიძე, „ხევსურ.", 24.

**ბორაყის დარჩომა:**
„ყველაის საწყინარია დარჩომა ბორაყისაო,
ჭარში გავიდა, ამბობენ, დროშა კარატის ჯვრისაო".
ხალხ. სიტყვ., 117.

**ბორაყის წაღება:**
„ღმერთმა იცოდეს, მეწყინა, სიკვდილი ერეკლისაო,
დარჩომა ნაროვანზედა მედროშე ბლარაისაო,
ლეკებისაგან წაღება ბლარაის ბორაყისაო".
შანიძე, „ხევსურ.", 24.

**ბოურაყი (დროშა სათემო):**
მაკალ. „მთიულ.", 152.

**ბუდე დროშისა:**
„შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი—ბროლის ჯუარი, იმ დროშის ბუდე ოქროქსოვილი სარასლისა, გარდაგბურეთ".
ილორის ხატის წარწ., 156.

„დროშები ვეცხლისა ორი საის ბუდით".
სვეტი-ცხოველ. სიგ. დამატ., XI გვ.

**ბუნი დროშისა:**
„საგრილობელი... მრგვალი, მაღალსა ხესა[1] ზედა, ვითარცა ბუნსა დროშისასა განრთხმული იყვის".
ჟამთააღმწერ., ბროსე, 379.

**ბუნნი დრაუჳთანი:**
„მოუწოდა პილატე რ῀ლთა იგი ეპყრნეს დროშანი და ბუნნი იგი დრაუჳთანი პირვლ῀დ".
აპოკრიფ. ვნების. მაცხ. (სინის მთ. 195).

**დრაოჳი (დრაოჳნი):**
„ეპყრნეს დრაოჳნი იგი პილატესნი".
აპოკრიფ. ვნებ. მაცხოვ. (Марр), 025.

**დრაოჳთა ძელნი:**
„მოდრკეს ძელნი იგი დრაოჳთანი და თაყუანისცეს იესუს. და იტყოდეს ჰურიანი მათ მიმართ, რომელთა ეპყრნეს დრაოჳნი რაჲსათვის მოსდრიკენით ძელნი ეგე დრა<ო>ჳთანი.
იქვე, 025.

**დრაოჳთა ძელთა მოდრეკა:** იხ. დრაოჳთა ძელნი.
იქვე, 025.

**დრაოჳთა ძელთა პყრობა:** იხ. დრაოჳთა ძელნი.
იქვე, 025.

**დრაუჳი:**
„დროშა—დრაუჳი, მწყობრთ ნიშანი (+ლართაგან B), ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი".
ს. ორბელ. ლექსიკ.

**დრაუჳნი:**
„ექუს-ექუსთა პყრობა῀დ სცნეს დრაუჳნი იგი.
აპოკრიფ. ვნების. მაცხოვარ. (სინის მთ. 194) (39).

**დრაუჳთა ბუნნი:**
„მოუწოდა პილატე რ῀ლთა იგი ეპყრნეს დროშანი და ბუნნი იგი დრაუჳთანი პირვ῀ლდ."
იქვე, 195 (1).

**დრაუჳთა მოდრეკა:**
„ვ῀ რ გუეპყრნეს ძელნი დრაუჳთანი, თავით თჳსით მოდრკეს..." „გამოერჩიენით (!) კ῀ცნი თქ῀ნგ῀ნნი მჴნენი და **ძრიელნი (!), რ῀ლთა იპყრნენ დრაუჳნი იგი, და უკ῀თუ** მოდრკენ თავით თჳსით, ვიხილოთ".
იქვე, 194 (37).

„უკ῀თუ არა მოდრკენ დრაუჳნი ესე შემოსლვასა იჳ῀სსა, თავნი თქ῀ნნი აღვიხუნე თქ῀ნგ῀ნ".
იქვე, 195 (3).

კლ῀დ მოდრკეს დრაუჳნი იგი.
იქვე, 195 (7).

**დრაუჳთა პყრობა:**
„რ῀ლთა ეპყრნეს დრაუჳნი იგი.
იქვე, 194 (26).

---

1 მარიამისეულში: შეშასა.

„ექუს-ექუსთა პყრბ~დ სცნეს დრაუჟნი იგი.
იქვე, 194 (39)

დრაუჟთა ძელნი:

„ვ~რ გუეპყრნეს ძელნი დრაუჟთანი, თავით თჳსით მოდრკეს და თყ~ნისც~ს მას“.
იქვე, 194 (33-34).

„ვ~რ- იგი მოდრკეს ძელნი დრაუჟთანი?
იქვე, 194 (27-28).

დრაუჟთა ძელთა მოდრეკა: იხ. დრაუჟთა ძელნი.
იქვე, 194 (33-34, 27-28).

დრაუჟთა ძელთა პყრობა: იხ. დრაუჟთა ძელნი.
იქვე, 194 (33-34, 27-28).

დროჟი:
აპოკრიფ. ვნების. მაცხოვ., (Марр), 025.

დროჟანი:
იქვე, 025.

დროჟათა ძელნი:
იქვე, 025.

დროშა || დროშაჲ:

„დროშა-დრაუჟი, მწყობრთ ნიშანი (+ ლართაგან B), ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი“.
ს. ორბელ. ლექსიკ.

დროშა (სპ. درفش დრაფშ)—მწყობრთ ნიშანი, ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი (ს. ო.). ძველი დროშა ანუ ბაირაღი არის მრგვალი, ბრტყელი რკალი ვერცხლისა ანუ სპილენძისა, რომელშიაც ჯვარია გამოსახული, ან მხოლოდ ურკალო ჯვარია, რომელიც დაერჭობოდა თვით შუბზე, ან შუბის ტარზე. მას ძირში შუბის ბუშტთან მიაბამდნენ ფერად ხელსახოცს და ზოგჯერ ზარს, ერთს ან რამდენსამე. დროშა ჰქონდათ დიდებულ თავადთა (ქართლის სამეფოში: არაგვის ერისთავს, ქსნის ერისთავს, მუხრან-ბატონს, ამილახვარს, ორბელიანს, ციციშვილს, როცა გაუყოფელი იყო, და თვით მეფეს). დროშა ეძლეოდა საჩუქრად მეფისაგან. მაგალითად, ორბელიანთ აქვთ უკანასკნელი დროშა ამ წარწერით: „ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე წინამძღოლსა ჩვენსა ამირ-სპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელითა სამეფოთა, თვესა ოკდონბერსა ა, დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისა ცხოველისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმე, ქრონიკონსა ულგ“. ქართლში იყო ამ თავ-დროშებს გარდა სხვა წვრილი დროშები, წვრილ თავადთა, თემობათა და სოფელთა, რომელნიც შეიკრიბებოდნენ თავ ზემოხსენებულ დროშათა წინამძღვრობით ომში, ანუ დღესასწაულში ცალ-ცალკე. თვითეული თავ-დროშის საწინამძღვრო შეადგენდა სასარდლოს ანუ არმიას და ამასთანავე გასამგებლოს.
„დასტურლამალი“ ლექსიკონი, 168, 169.

„ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და ალამი უბია;
დროშა არაბთა მეფისა მასთანა შენატყუბია“.
ვეფხისტყაოსანი, 328 (1607).

(ბუზაქარზე გამარჯვების შემდეგ)... „ზაქარია და ივანე აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ და განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუალა ტუირთითა, ცხენი ყუალა შეკაზმულნი [illegible] ყოველნი იგი ამირანი თუის-თუისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი-შემდგომად. გააწყუეს კარითგან ქალაქისათა ჴევამდე გლდანისა ტყუე ყოველი“.
ბასილი ეზოს-მოძღვ., 22.

გუზანს „მოეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი და კალმახელნი ...და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შვილისა შაჰარმენის ლაშქრით მოსვლაჲ... დალაცათუ ლაშქარდიდნი იყვნეს და პატრონნი ათორმეტისა დროშისანი და ესენი მცირენი... შეიბნეს“...
ისტ., და აზმ.“ კეკელ. 96.

(მეფის კურთხევა) „დროშა და შუბი სკჳვლისა კ~რს ემჭირნენ იმ~რ და ამ~რ“.
„მეფის კურთხ., წესი“, 6.

(მეფის კურთხევა) „წრმოემრთნენ ესრეთ ს~ხედ:. წინათ ზარი მეფეთაჲ:. და შ~დ დროშა და შუბი“.
იქვე, გვ. 5.

„ბეკუა. შჳილმა. დროშა. ა~მისხალი. მ~ზ.
ისტ. საბ. V, 59. 1740 წლ. ტფილისის სიონის სიგელი.

„იოკიმიანთ. ისაიამ. დროშა. ა~ მისხალი კ~ვ.
იქვე, 59.

(მეფემან იუსტინიანე) „მიუწოდა როსტომს (ქუცნიფნეველს) წინაშე მისსა და... მიუბოძა შვიდნი ესე ჴევნი გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრაძმის ჴევისა, და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თჳსი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი ესე მიუბოძა მეფემან იუსტინიანე როსტომს.
„ძეგლი ერისთავთა“ ქრონიკები, II, 4.

„მოუტანინა ნალარა, მასთან დროშა და ქანარა,
ნაფირი, ზურნა საჭმობლად, მან ტურფად დაუბანარა“.
„შაჰნავაზ.“, 163.

„გაგზავნა კაცი ბატონმა კახეთს და მოიწვივნა ძე თვისი მეფე კახეთისა ერეკლე და დედოფალი ანნა კახეთის დარბაისლით კურთხევისათვის... ბძანა მეფემ დროშათა გაკეთება: გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე მუხრან ბატონს კოსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა... ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვის თვისი ჯარი დროშათა.... უბძანა ორსავ ერისთვის ჯარს მუხრან-ბატონის დროშაზე მისვლა... გათენდა დილა, მოფარდაგნეს სეფე და მოიტანეს დროშანი ოთხნივე და აღმართნეს სეფესა წინ და თვის თვის ჯარი გარსა შემოეხვივნენ... ...მიიწვივეს ბატონი ეკკლესიად... ქოს-ნალარანი და სპილენძ-ჭურნი მიუძღოდეს... დროშა სარდლისა მისდევდეს. სამივ დროშანი თვისის ჯარებით ამიერ და იმიერ მოსდევდეს. რა მიეახლნეს ეკკლესიასა, სამი დროშა მარტივად კარზე დააყენეს... ბატონის დროშა მორდალს დავითს ეჭირა, შეიტანეს საყდარსა და ალსავლის კარზე დააყენეს“...
(კურთხევის შემდეგ მეფე) „მიბძანდა სეფესა შინა და დაბძანდა. დროშანი ოთხივე სეფესა წინა აღმართნეს და ჯარი გარს შემოეხვივნეს“.
პაპ. ორბელ., 382, 383, 384, 385, 386.

„მიბძანდენ მეფენიც... განაწყვეს ჯარი ქართველთ და კახთ ოთხს დროშად[1]: მეწინავედ ორბელიანი რევაზ სარდალი საბარათაშვილოს ჯარით და თათრის ქართლის ელით, ქისიყის მოურავი თამაზ ქისიყის ჯარით და ვინა დროშის კაცნი ჰყავდენ, მემარჯვნედ ამილახორი ამირინდო ზემო ქართლის ჯარით და ვინა მემარჯვნე ჯარი იყო კახის ბატონისა და ყაზახის ჯარსაც ამათთან უბძანეს მისვლა, მემარცხნედ მუხრანის ბატონი სახლთხუცესი კოსტანტინე ორივ საერისთოს ჯარით და ბორჩალუს ჯარით, ჩერქეზის ბატონიც ჯარით თან ახლდათ, იმასაც მემარცხნე დროშაზე უბძანეს მისვლა, ორისავ ბატონის დროშები თვისისა ჯარებით ბატონებს ეხვივნენ და ესე რაზმ დაწყობილი გავიდნენ საომარსა ალაგსა“...

იქვე, 421.

(აზატ ხანზე გამარჯვება) „...გამარჯვებასა ამას შინა დარჩა მეფესა ირაკლის 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემით და დროშა მრავალი.

მეფობა ირაკლი მეორისა, 486.

„არა აქვს რა შესატკივარი გულისა, არცა კოშკი მამა-პაპათა, არცა ციხე ძველი, არცა ხმალი წინაპართა, არცა დროშა, არცა მატური მეფეთა“.

ც~ა გ~ი XIII, 145

„შემდგომად განყოფისა სამეფოსათაცა რაოდენ შემძლებელ იყვნიან მეფენი... ოთხ გუნდად ჰყვანდესთ მხედრობა... ხ~ მხედართ მთავართა მათ აქვნდისთ დროშა თვითო და მეფესა ორი“.

„ისტორიებრი აღწერა“, 3.

„ხოლო მოთხრობათა შინა საეკკლესიოთა ქრისტეს მორწმუნეთა ჩვენთა ივერიისა წმიდათა მამათა და განმანათლებელთა უთქვამსთ ესრეთ: „...ვინაჲდგან წმიდა ნინა იყო მახლობელი ნათესავი წმინდისა... გიორგი კაბადუკიელისა... წმიდასა ნინასა აქვნდა მას ზედა დიდი სასოება და განუსაკუთრა წმინდა გიორგი... მოქცეულსა თჳსსა ერთა გიორგიელთა და დაუდვა სჯულად, რათა სხვათა შორის წმიდათა აქვნდესთ უმეტესი სასოება და სურვილი წმინდისა გიორგისა, ვინაჲდგან განგებულებითაცა ზევარდამოთა გიორგიელად წოდებულ იყვნეს იგინი უწინარეს... და მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა... გიორგისასა და ეგრეთვე ყოველთა ზედა საჭურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა და იქმნა სახეჲ მისი შეწყნარებულ პირველს ორდენად გიორგიისა საჭელმწიფოსა“...

თეიმურაზ ბატონიშვილი „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“, სპბ, 1848, გვ. 18, 19.

„წარმართულ ხასიათის ამ ნიშნებთან თითქმის ყველგან მთიულეთში პატარა ეკლესიებია აშენებული, სადაც ხატები და დროშებია დაცული“.

მაკალ. „მთიულ.“, 150.

„ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია... (მუხ. ი); ციხე და დროშა — აი ორი ნიშანი, რომლითაც განსხვავდებოდა ხევის-ბერი“.

ხიზან. „ეთნოგრ.“ („ფშავ-ხევსურეთი“), 12.

„მთიელების კანონი (ძეგლის დება მეფე გიორგისა) სასტიკ ყურადღებას აქცევს სამხედრო ნაწილს (მაგ. მუხ. კზ., სადაც სჯაა ციხის დაქცევაზედ და სხვ.), დიდს პატივს სცემს დროშას და ლაშქარს.

იქვე, 13.

„...თუ ძველს დროს ხევის-ბერი „ლაშქართა თავადი“ იყო ეხლა იგი „სალოცავების“ და „ხატების“ თავადია...

იქვე, 15.

„თუმცა ხევის-ბერს ციხე დაუნგრიეს, მაგრამ დროშა-კა არ ჩამოართვეს. ეხლაც ყველა სათემო ხატს თავისი დროშა აქვს და ეს დროშა ხევის-ბერს აბარია, მხოლოდ იგი მაღლა აღმართავს ხოლმე მას ჯვარობას, ხატობას... ხევის-ბერი თავის დროშით ამ ხალხის ბატონია, მისი მბრძანებელი... ეხლაც... ხევისბერობა საკუთრებაა გვარისა... ეხლაც ხევის-ბერს, მეტადრე ხევსურეთში, გავლენა აქვს ხალხის სამართალზე.

იქვე, 19.

„ყველა სოფელს თავისი ხატი ჰყავს, და ხატს კიდევ აქვს დროშა“...

იქვე, 24.

„ხატი, დროშა და განძები ხუცს და დეკანოზებს აბარიათ, და დიდ დღეობას მათ უნდა მოიტანონ იმ ადგილას, სადაც ხატობაა ხოლმე. მწუხრად ხუცი და დეკანოზები წავლენ და დილით მოასვენებენ ხატს, დროშას, თანაც განძებსაც მოიტანენ. ხატი ხუცს უჭირავს, დროშა და განძები დეკანოზებს....“

იქვე, 24—25.

„მეოთხე დღეს დროშა, ხატი და განძები მწუხრად უნდა წაასვენონ მიუვალ ადგილას... როცა ხატი და დროშა „გაემართების“, ხუცი და დეკანოზები ლუდით სავსე თასებს აიღებენ ხელში, ...ხუცი იწყებს დარისხებას,—დაარისხებს სოფლის მოღალატეს, ქურდს, ყველა მავნე კაცს... დარისხება — შეფიცვაა ხატის და დროშის წინაშე სოფლის ერთგულობაზე“.

იქვე, 25.

„ხშირად ქადაგს სხვა მოვალეობაცა აქვს... სოფ. ხახაბოში, მაგ., მედროშეც არის, და დროშა ხომ ისეთი წმინდა რამეა, რომ უბრალო კაცი ახლო ვერ მიეკარება, თითსაც ვერ შეახებს“.

იქვე, 28.

„ხატში ინახება ხატის განძეული: ვერცხლის ჭურჭელი, ხატჯვრები, დროშები და სხვა“.

მაკალ. „ფშავი“, 178.

„ხევისბერობა ფშავში მემკვიდრეობითი არ არის... ირჩევენ ხატის ნებით და მკითხავის მითითებით. მისი არც გადაყენება შეიძლება... და ხევისბერი სიკვდილამდის ხევისბერობს...“

„ხევისბერებში პირველია თავხევისბერი... რომელიც ლაშარის ხატშია, და მას ყველა ხევისბერები ემორჩილებიან.... წინათ სათემო საბჭოში თავმჯდომარეობდა... ლაშქრის „მკადრე“ წინამძღოლი იყო. თავხევისბერის სამყოფი ლაშარში იყო... ჭირში თუ ლხინში თემს ხელში ლაშარის დროშით წინ მიუძღოდა“.

იქვე, 179, 180.

„ხევისბერს... ებარა ხატის მამული, განძი და დროშა“.

იქვე, 181.

—

„წინად დეკანოზს... თემში ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა... ხშირად ხელში დროშით სალაშქროდ მიმავალ ლაშქარს წინ მიუძღოდა.

მაკალ. „თუშეთი“, 194.

(კოპალობა): „...მზე ამოვიდა... მლოცავი ხატის ნიშთან მიქუჩდა და ხევისბერმა ხელში დროშით წმ. გიორგი კოპალას სა-

[1] ჯარის მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით მეხატენი დალოცა. გააბეს წრე, შიგ ხევისბერი დრომით დადგა და დაიძახეს „ხატიონის ფერხისა“ დაიმღერეს...“
მაკალ. „ფშავი“, 193.

**დროშა ამართული:**

„აწ გაცხადება ვსთქვათ, დიდი დღესასწაული... დიდი დროშა აaბან, და მენობათენი წინათ და დროშა განაღამცა წინა ამართული...“
კარის გარიგება, 2.

**დროშა [ამირ-სპასალარისა]:**

„ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე წინამძღოლსა ჩვენსა ამირსპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმენ საცხებელითა სამეფოთა თვესა ოკდონბერსა ა, დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისა ცხოველისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმე, ქრონიკონსა ულგ.“
„დასტურლამალი“. ლექსიკონი. (სიტყვა „დროშა“), 168.

**დროშა ბაგრატოანური და გორგასლიანური:**

„წარემართა დავით წარმძღუანელი... დროშისა სვიანად ქმარებულისა ბაგრატოანურისა და უფროსლა გორგასლიანურისა“.
„ისტ. და აზმ“. მარიამის, 462.

**დროშა ბატონისა:**

„ბატონის დროშა მორდალს დავითს ეჭირა“.
პაპ. ორბელ., 384.

**დროშა ბედნიერი:**

„ვაი თუ საქართველოს საფარველად გადახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა“.
მოთქმით ტირილი, 54.

„მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება...“
იქვე, 54.

„ამართეს ბედნიერი გავიანური დროშა“.
შაჰნამე II, პროზ. 391, 434.

**დროშა [ბედნიერისა სუანეთისასა]:**

(წარწერა შუბის პირზე). იხ. დროშა სუანეთისასა.
ექსპედ. ლეჩხუმ-სვანეთში, 273.

**დროშა ბედნიერად ქმარებული:**

(თამარმა) „ვარძიის ღ~თის-მშობელსა წინაშე ცრემლით შევედრნა სოსლან-დავით და სპაჲ მისი და დროშა ბედნიერად ქმარებული“.
ბასილი ეზოს მოძღვ., 26.

**დროშა გავასი:**

„შეხედნა ფრიდონ ბედნიერის თვალითა გავას დროშასა, ძელსა ზედან მობმულსა ძროხის ტყავსა“.
შაჰ-ნამე II, პროზ. 388.

**დროშა გავიანური:**

„... აქა მოკაზმა ქაიანურის დროშისა ძროხის სახისა თავისა გავასაგან... გავას მჭედლისა წინა საკრავი ძროხისა იყო. იგი ტყავი ძელის ტყავს[ა] დაჰკიდა და დროშა დაარქვა...“
„...მოკაზმეს იგი ძროხიანი დროშა... რა მოიკაზმა, დაერქვა მნათობი დროშა ახტარ გავა ქაიანურ[ი]სა...

„იგი გავიანური დროშა მოაღებინა თვალ-მარგალიტითა მოკაზმული“.
იქვე II, პროზ. 387, 388.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეიქმნა ლაშქართა შიგან ტაბლაკთა და ქოსთა ქმა. დაეკაზმნეს და შესხდეს. ამართეს ბედნიერი გავიანური დროშა და შუბების პირი ცათამდის აამაღლეს“.
იქვე, 391.

„ამართეს ბედნიერი გავიანური დროშა“.
იქვე, 434.

„[ყარან] ამართა გავიანური დროშა“.
იქვე, 428.

**დროშა გამარჯვებული:**

„აქა ჟამამდე დროშა იგი სვიანი დავითისა, გამარჯვებული არა სადა ძლეულ იყო“.
ჟამთააღმწერ., ბროსე, 347.

„და იქმნა უკუქცევა სვე-სვიანისა ბედისა მაღლისა, და საჩინოსა დავითიანისა დროშისა, გამარჯვებულისა“.
იქვე, მარიამის., 560—561.

„მზე... და... მთოვარე... მეფის ერეკლის გამარჯვებულს დროშას წინ უძღოდენ“.
მოთქმით ტირილი, 54.

(ლეკზე გაიმარჯვეს) „...მეორესა დღესა გამოემართა გამარჯვებული დროშა კახეთისაკენ, შეიქნა ნადირობა ივრის პირზე“.
პაპ. ორბელ., 432.

**დროშა გორგასლიანი:**

„გორგასლიანი,
დავითიანი,
დროშა იახლის
მსრველად მტერთათვის“.
აბდულ-მესია, გვ. კ, 31.

„დროშაჲ იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკდებოდა“.
„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 107.

„დროშა იგი გორგასლიანი, რომელი იგი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკობდა რეცა სიზერისა სახედ“.
თამარ მეფის ისტ., ბროსე, 307.

**დროშა გორგასლიანი და დავითიანი:**

„მოიღო დროშა სუიანად ქმარებული გორგასლიანი და დავითიანი“.
„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 132.

„აქა ჟამამდი სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი“.
ჟამთააღმწერ., მარიამის, 561.

**დროშა გორგასლიანური:**

„წარემართა დავით წარმძღუანელი... დროშისა სვიანად ქმარებულისა ბაგრატოანურისა და უფროსლა გორგასლიანურისა.
„ისტ. და აზმ.“, მარიამის, 462.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დროშა გრძელი:**

„გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა“.
ვეფხისტყაოსანი, 215 (1037).

„ნიშავათ გასცა ლაშქარზედ აბჯარი, საქონელია,
ჰკრეს ნაღარასა, გამოდგეს, ამართეს დროშა გრძელია“.
შაჰ-ნამე, I, 217 (811).

**დროშა გუარითა ფრქვეული:**

„დაჰკიდეს გუარითა ფრქვეული (დროშა)“.
შაჰ-ნამე, II, პროზ. 388.

**დროშა გუდანისა:**

...ყველაზე ძლიერია გუდანისა და ხახმატის ჯვარი და აგრეთვე კვირია და კოპალა... გუდანი და ხახმატი მთელი ხევსურეთის სათემო და რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი იყო, სადაც სათემო და სალაშქრო საქმეები წყდებოდა და ამიტომ გუდანის ხატს და მის დროშას უაღრესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლეოდა.
მაკალ. „ხევსურ.“, 245.

**დროშაი გუდანის ჯვრისა:**

გუდან შეიტყო, იწამა ღვთითა და ღვთისშობლითაო,
ადგა, ააზა დროშაი ლაღის გუდანის ჯვრისაო...
ხალხ. სიტყვ., 35. ხევსურ. 1876.

**დროშაჲ დავით მეფისა აღმაშენებელისა:**

„ხოლო წელსა 1810, ნოემბრის 5 წარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოისა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობელად მხედრობითა თვისითა და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელნიცა ახლდა თანა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა... მიეტევნეს ციხესა ზედა იმერნი... იძლივნენ. და წარუღეს ოსმალთა იმერთა დროშაჲ წ~ისა დავით მეფისა აღმაშენებლისა“...
ბაგრატ ბატონიშვ. „ახალი მოთხრობა“. 114.

**დროშა დავითისი:**

„დროშა დავითისა, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა...“
ბასილი ეზოს მოძღვარი, 13.

„აქა ჟამამდე დროშა იგი სვიანი დავითისა, გამარჯვებული, არა სადა ძლეულ იყო...“
ჟამთააღმწერ., ბროსე, 347.

**დროშა დავითიანი:**

„გორგასლიანი,
დავითიანი
დროშა იახლის
მსრველად მტერთათვის“.
აბდულ-მესია, კა, 31.

„და იქმნა უკქცევა სვე-სვიანისა, სრულისა და მაღლისა, და საჩინოსა დავითიანისა დროშისა, გამარჯვებულისა“.
ჟამთააღმწერ., ბროსე, 347.

**დროშა დავითიანი და გორგასლიანი:**

მოიღო დროშა... გორგასლიანი და დავითიანი.
ჟამთააღმწერ., მარიამის., 516.

„აქა ჟამამდი სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი“.
იქვე, 561.

**დროშა დანარჩომი:**

„დანარჩომი მტერთა დროშა თავებთანა მივაყენოთ.
ყუელა ერთად გაუგზავნოთ, თავი ლომთა შევაწონოთ.
ამაზედა აამზადეს დაკუეთილი თუშთა თავი“.
შაჰნავაზიანი, 189.

**დროშაჲ დაცემული:**

(მეფემან გ~ი III) „...მოუწოდა... „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უსწრაფეს ვუხეთქნეთ დროშის მქონესა და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი“... ვითარ იხილეს დროშაჲ დაცემული მკლავითა აქილიანითა.
ისტ. და აზმ., კეკელ., 59.

**დროშა დიდი:**

„აწ გაცხადება ვსთქვათ... დიდი დროშა ააბან“.
კარის გარიგება, 2.

„დიდი დროშა“.
იქვე, 9.

„დიდი დროშა კარის შემოსავალსა დგას“.
იქვე, 16.

**დროშა დიდთა დიდგუართა თავადთა:**

„სულ შეიყარა ქართუელნი, თავადი თუ სად არისა;
...შეკრეს პირი ერთობილთა...
კათალიკოზი მიუძღუის...
დიდთა დიდგუართა თავადთა დროშა მიუძღუის, ქავი,
მიჰყუების აზნაურები, უანგარიშო, ზუავია...“
შაჰნავაზ., 10.

**დროშა[1] ენისნელთა:**

„მიეშველნენ მემარცხნენი, ენისელთა დროშა მაღლე“.
არჩილიანი, II, 63 (550).

**დროშა ვეფხის სახე:**

„თური შეჯდა სპილოზედა, გვირგვინითა მოეკაზმა,
მისი დროშა ვეფხის სახე აიმართა, დაერაზმა“.
შაჰ-ნამე, I, 117 (389).

**დროშა ვეშპის სახე:**

...მე როსტომისა მწვანე ფარდაგი ვნახია,
ლომნი, მფრეწელნი ლაშქარნი, დროშა ვეშპისა სახით.
შაჰ-ნამე, II, 111 (3744).

**დროშა[1] ზემო-ქართლისა:**

„შეუძნდა ერეკლე მეფესა, განრისხნა და წარავლინნა ზემო ქართლის დროშა“.
ვახუშტი, „საქ. ისტორ.“, 67.

**დროშა იმერელ მეფისა:**

„ჩუენ... დადიანმან პატრონმან ლევან... მას ჟამსა ოდეს შევებენით იმერელ მეფესა გიორგის... ვსძლიეთ... გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა, ჯუარი ხალასად შეკერული ალმითა“.
ილორის ხატის წარწერა, 156.

---

[1] ჯარის მნიშვნელობით.

**დროშა კანბეჩის სახე:**

შაჰ-ნამე, 11, 57 (3369).

**დროშა კანჯრის სახე:**

იქვე, II, 57 (3368).

**დროშა კარატისა:**

„როცა ვისმე ზვავი დაიტანს, მკვდრის საპოვნელად კარატის დროშაა საჭირო. ხალხის შეხედულობით, სადაც კარატის ხატიონი (ხატის ხელოსანი, მოსამსახურე) დროშას დაასჯენს, მკვდარიც იქა სძევს“.

ხიზან. „ეთნოგრ.“, 71 (ფშავ-ხევსურ.).

მაცილ-ეშმაკისაგან მოხიბლულს ხევსურები კარატის დროშით „აკოჭვინებენ“... კარატის დროშის წინ ავადმყოფს დააჩოქებენ და იქვე საკლავ ცხვარსაც დააყენებენ. ხუცი აიღებს დროშას, სამჯერ ავადმყოფ ქალს დროშის ყლარუხით შემოუვლის და იტყვის: „გძირო კოპალა... დახკარ ლახტი“.

მაკალ., ხევსურ., 241.

ზვავისა და წყლისაგან დამხრჩვალის „სულის გამოხსნა“ მხოლოდ კარატის ჯვარს შეუძლია. თავის მოკლა ხევსურების წარმოდგენით ეშმაკის საქმეა, ამიტომ მისი სულის გამოსახსნელად ხევსურეთში კარატის ხუცს მიმართავენ. ხუცი წამოიღებს კარატის დროშას, მივა იქ, სადაც უბედური შემთხვევა მომხდარა, დროშის ტარს დაჰკრავს და იტყვის: „კარატის ჯვარო, უშველე სულთა კაცისათა“.

იქვე, 240—241.

„წყალში ან ზღვაში დაღუპულ ადამიანის სულის მოსაყვანად ხევსურეთიდან იბარებენ კარატელ დეკანოზს, რომელიც თავის დროშით გადმოდის. დეკანოზი მივა მიცვალებულის დაღუპვის ადგილზე, იქ დროშას ჩაჰყოფს, შემდეგ ისევ ამოიღებს და ძუნძულით მიცვალებულის სახლში გამოიქცევა და აქ ამ დროშას დაბერტყავს... ამ დღიდან მიცვალებულის სული ოჯახში ბრუნდება“.

მაკალ. „თუშეთი“, 180.

**დროშა კარატის ჯვრისა:**

„ყველაის საწყინარია დარჩომი ბორაყისაო,
ჭარში გავიდა, ამბობენ, დროშა კარატის ჯვრისაო.

„ხალხ. სიტყვ.“, 117.

**დროშა კოპალასი:**

„ხატობა ლიქოკის ხეობაში, სადაც კოპალას ხატია... ხატის კოშკი... ხატის წინ მისი ბოვრაყი ან დროშა აყუდია. დროშა შემოსილია ფერად ხილაბანდებით“.

მაკალ. „ხევსურ“., 255.

**დროშა ლაშარისა:**

(თავხევისბერი) „ჭირში თუ ლხინში თემს ხელში ლაშარის დროშით წინ მიუძღოდა“.

მაკალ. „ფშავი“, 180.

„ლაშარშივე წყდებოდა ლაშქრობისა და ზავის საკითხი, აქ იყო დიდი ლაშარის დროშა და ფშავის ხევის თავხევისბერი, რომელიც ამ დროშით ლაშქარს წინ მიუძღოდა.

მაკალ. „ფშავი“, 195.

სანამ ლაშარობა დაიწყებოდა, ლაშარის ხევისბერები და დასტურები ლაშარის დროშებით ხევსურეთიდან გუდამაყარში გადადიოდენ თურმე და იქ ლაშარის ბეგარას აგროვებდენ.

იქვე, 201.

ლაშქრის ჯვარი საკუთარს რელიგიურს კულტს შეადგენდა.. „ლაშარს“ თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, საკუთარი ხევისბერი ჰყავდა, რომელიც ლაშქრის წინამძღოლად ითვლებოდა...

ხიზან. ეთნოგრ. („კიდევ ლაშარობაზე“), 104.

**დროშა ლაშარის ჯვრისა:**

ლაშარის ჯვარი ფშავლების საერთო სალოცავად, ბატონად, მცველად, მეფედ ითვლებოდა. ლაშქრობაში მისი დროშა მიუძღოდათ წინ. მშვიდობიანობის დროს მისი გალავანი იყო სახალხო საქმეების გარჩევის ადგილი...

თევდორაძე II, 72 (ფშავი).

შაყრილან ფშავლის შვილები, ლაშარსა გროვდებიანო,
გადავლენ ალაზნის თავსა თუშეთს მუქარაზედაო....
შაიტყეს წოვათ ბიჭებმა, აბჯართ გაიღეს ყლრიალი...
უთხრიდით წალმა გომეწართ, დაიძრან ბაირახტარები.
„აქ რა გინდოდათ, ჯლანდიდნო...
ყადოვანს დაგაგდებინეთ დროშა ლაშარის ჯვრისაო

ხალხ. სიტყვ., 47, თუშ.

**დროშა ლომისასი (ბავრაყი და ალამი):**

„ლომისას წვერის ეს ეკლესია დღეს ცარიელია. მისი ხატები და დროშები ქვემო მლეთის ეკლესიაში ინახება და ლომისობას დეკანოზები ამ ხატებს გამოასვენებენ და „ფერხისის სიმღერით“ ლომისას წვერის ტაძარში აასვენებენ... ლომისას ხატები (ჯვრებია)... ლომისას ერთი ბავრაყი (დროშა) და ალამიც აქვს. ბავრაყი წითელ დროშითაა (ნაჭრებით) შემოსილი და ზედ ზანზალაკი ჰკიდია. ალამი კი სამფეროვანია: წითელი (აბრეშუმია), თეთრი და ლურჯი (სატინი). ალამს წვერზე შუბიანი თითბრის ბურთი უკეთია ასეთი წარწერით: „ალამი არაგვსა და ქსნის ლომისის წმიდა გიორგისა სახელზედა შეწიოს მათი სოტნის კამადერი ბაადურ კაზიბეგი ჩყნთ (1859) წელსა თიბათვ. ვ-სა (6) დღესა“. ლომისას დეკანოზები ამ დროშას, ალამს და სამივე ხატს ქვემო მლეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და ფერხულის სიმღერა-გალობით ლომისას წვერზე ავლენ, სადაც ლომისას ხატობა იმართება.

მაკალ. „მთიულეთი“, 167, 171.

**დროშა ლომოსანი:**

„ლალის-ფერთა კარავთანა მას დროშა უთქს ლომოსანი“.

შაჰ-ნამე I, 744 (2763).

**დროშა ლომ-სახე:**

„გოდერძის დროშა ლომ-სახე, გივის მგლის სახე არისა“.

შაჰ-ნამე II, 55 (3353)

დროშა ჩანს ერთი ლომ-სახე, თავი ოქროსა არია.

იქვე, 84 (3555).

**დროშა ლომ-სახული:**

„ჯაჭვ-მუზარადი, ტაიჭი ოქროსა აკაზმულითა,
ბარგისტანი და ჯავშანი ჭრალ-დროშა ლომ-სახულითა“.

შაჰ-ნამე I, 472 (1724).

**დროშა მარიამწმინდისა:**

„მარიამწმინდის დროშა შემოსილია ხელსახოცით და მძივებ-გაყრილი სათმეთი და ზედ ორი ზარიც ჰკიდია“.

მაკალ. „ხევსურ.“ 228.

**დროშა მარჯუენა:**

„მარჯუენის დროშის პატრონი, ამილახორად ქმობილი“.

შაჰნავაზ., 182.

**დროშა მაღალი:**

„და იქმნა უკუ-ქცევა სვე-სვიანისა, სრულისა და მაღლისა და საჩინოსა, დავითიანისა დროშისა, გამარჯვებულისა“.

ჟამთააღმწერ., ბროსე., 347.

„ამართეს დროშა მაღალი, გამოჩნდებოდა შორია“.

შაჰნავაზიანი, 140.

„ამართეს დროშა მაღალი, ქაიანურის ქელისა“.

იქვე, 66.

**დროშა მაჩრდილებელი ქვეყნისა:**

„რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა“.

„მოთქმით ტირილი“, 55.

**დროშა მგელ-სახე:**

„თავი ცათამდის მისწვდების, დროშა მგელ-სახე არიო“.

შაჰ-ნამე II, 126 (3854).

**დროშა მგლის-სახე:**

„გოდერძის დროშა ლომ-სახე, გივის მგლის სახე არისა“.

იქვე II, 55 (3353).

„მგლის სახედ დროშა ამართეს მის ლაშქრითა სიმრავლითა,
წითელ-ყვითლად, მრავალ-ფერად, ელვა შეიქნა დროშითა“.

იქვე II, 309 (5235).

„მგლის სახე დროშა გამოჩნდა, როინ უკანა მოსდევდეს“.

იქვე II, 159 (4109).

„რაზმი დააწყე, მგლის სახე დროშა ამართე სვიანი“.

იქვე II, 338 (5456).

„თვითან შეჯდა სპილოზედა...
და წინა დროშა მგლისა სახე აიმართა, წააყენა“.

იქვე I, 117 (388).

**დროშა[1] მემარცხენე:**

„განაწყვეს ჯარი ქართველთ და კახთ ოთხს დროშად.... მემარცხვნედ მუხრანის-ბატონი სახლთ-ხუცესი კოსტანტინე, ორივ საერისთოს ჯარით და ბორჩალუს ჯარით, ჩერქეზის ბატონიც ჯარით თან ახლდათ, იმასაცა მემარცხნე დროშაზე უბძანეს მისვლა...

პაპ. ორბელ., 421.

„...ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და აწ მარტყოფი. ხო-ლო შემდგომად, რაჟამს მოოჭრდა რუსთავი, მუნებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა და ზის აწამდე... აქუსცა დროშა მე-სპასპეტო; და არიან ამის სასპასპეტოსანი გარეთ-კახეთი ქისიყამდე და მარტყოფ-საგურამო, და არს მემარცხნე ბრძოლასა“.

აღწერა სამეფ. საქართვ., 95.

**დროშა[1] მემარჯვენე:**

„განაწყვეს ჯარი ქართველთ და კახთ ოთხს დროშად... მემარჯვნედ ამილახორი ამირინდო ზემო-ქართლის ჯარით და ვინა მემარჯვენე ჯარი იყო კახის ბატონისა, და ყაზახის ჯარსაც ამათთან უბძანეს მისვლა“.

პაპ. ორბელ., 421.

**დროშა მეფისა:**

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა...
...მოკრბეს ინდოთა სპანია,
აღლუმი ვნახე...
ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა.
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა“.

ვეფხისტყაოს., 84 (402); 85 (404).

„შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა“.

„ილორის ხატის წარწერა“, 156.

**დროშა მეფის ძისა:**

„დედოფალსა დარეჯანს არა ენება, რათა მეფის ძისა გიორგისა დროშა პირველობდეს სამეფოში“.

ც̃აგ̃ი XIII, 44.

**დროშა[1] მეწინავე:**

„განაწყვეს ჯარი ქართველთ და კახთ ოთხს დროშად; მეწინავედ ორბელიანი რევაზ სარდალი საბარათაშვილოს ჯარით და თათრის ქართლის ელით, ქისიყის მოურავი თამაზ ქისიყის ჯარით და ვინა დროშის კაცნი ჰყვანდენ“...

პაპ. ორბელ., 421.

**დროშა მზის სახე:**

...დაკაზმულიყვნეს, სპანდიატს მზის-სახე დროშა მისდევდა...

შაჰ-ნამე II, 330 (5395).

**დროშა მზის ფერი:**

„პილოს სახე მწვანე დროშა ტუსისაა სფაადისა,
და მას უკანით მზისა ფერი დროშა მოვა გოსტამისა“.

შაჰ-ნამე II, 57 (3367).

**დროშა მნათობი:**

„...და მოკაზმეს იგი ძროხიანი დროშა... რა მოიკაზმა, დაერქვა მნათობი დროშა ახტარ გავა ქაიანურ[ი]სა“.

იქვე II, პროზ., 388.

„ბრძანა: „გაიღეთ მინდორთა კარვები უკეთესია!
ფარდაგი, დროშა მნათობი, ვით ქელმწიფეთა წესია,
თქვენ თამაშობა გამართეთ და ლხინი ზესთა წესია“...

იქვე II, 278 (4995).

**დროშა მოკაზმული თვალ-მარგალიტითა:**

„იგი გავიანური დროშა მოაღებინა თვალ-მარგალიტითა მოკაზმული“.

იქვე II, პროზ., 388.

---

1 ჯარის მნიშვნელობით.

1 ჯარის მნიშვნელობით.

**დროშა მოცული ჯვარითა:**

„ბძანა მეფემ დროშათა გაკეთება. გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვრითა მოცული“.

პაპ. ორბელ., 383.

**დროშა მრავალფერი:**

(ომი): ...„ჰაერი ტყესა ჰგუანდა შუბისა და დროშისა სიმრავლითა, ქუეყანა ნაძუისა ტყესა ჰგუანდა მრავალფერისა დროშისაგან; ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი“.

„ვისრამიანი“, 24.

**დროშა მუხრან-ბატონისა:**

პაპ. ორბელ., 383.

**დროშა ნაბოძები ქელმწიფისაგან:**

შაჰ-ნამე II, 70 (3460).

**დროშა ოქროქსოვილის ხავერდისა (წარწერა დროშაზე):**

„ჩუენ კუჰაიძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი, მაცხოვარო მულახისაო, და ბუკი კარგი. შემიწყალე შენს მადლსა, ამინ. სხუაჲ (?) დროშა ესე ოქროქსოვილის ხავერდისა შეიწირე და გაგვიმარჯვე“.

„ექსპედ. ლეჩხუმ-სვანეთში“, 257.

(აგრეთვე იხ. ბაქრაძე „Сванетия“ Приложение № 31, გვ. 6, 105).

**დროშა [პილოს სახისა]:**

„პილოს სახე მწვანე დროშა ტუსისაა სფაადისა“.

შაჰ-ნამე II, 57 (3367).

**დროშა პატივისა:**

ქილილა და დამანა, 419.

**დროშა სათემო:**

(ქართლის ხეობა...) „ამ ხეობის სათემო ხატობა ღვთისმშობლობაა... სათემო დროშა „ბოურაყი“ და ხატები ინახება ჰალის სოფლის პატარა ეკლესიაში“.

მაკალ. „მთიულ.“, 152.

(ხანდოს ხეობაში)... „ეკლესია. შიგ დროშა ასვენია. რომლის ჯვრის წარწერაზე მოხსენებულია მისი შემწირველი მელიქოვი 1897 წლის თარიღით...
ხატობას გვარის დეკანოზები ამ ეკლესიიდან სათემო დროშას ...გამოასვენებენ.

იქვე, 154.

„ზეგარდობას (5—10 აგვისტო) დეკანოზები სათემო ხატსა და დროშას დუმაცხოს წმ. გიორგის ეკლესიიდან გამოასვენებენ... წინ მეზარები მიუძღვით, რომლებიც ორფუთიან ზარებს მხრებით ეზიდებიან... ზეგარდობას ჩხუბი და აყალ-მაყალი ყველას ეკრძალება. (ჯარიმა)... ხატის „საკადრისის“ განახლებას ხმარდება (დროშის განახლება... და სხვ.). ზეგარდის წვერზე ხატის ნიშის მახლობლად ერთი დიდი ლოდია. ხატის წამობრძანების წინ პარასკევს ამ ლოდს გადააბრუნებენ და მის ქვეშ დატანებულ ფულებს ხატის სასარგებლოდ დეკანოზი აკრეფს. შემდევ დეკანოზი ამ ადგილს დროშის წვერით ჯვარულად ღარავს და ვინც უშვილოა, ან ვისაც ვაჟი არ ებადება, ის დროშის ამ კვალში თეთრ ფულს ჩაჰყრის“.

იქვე, 158—159.

**დროშა სალაშქრო:**

ბელელჩი ესხდეს უფროსნი, ვინც უწინდელნი ბერნია.

სალაშქროს დროშას ხკაზმევდეს ბჭენი და [illegible]

შანიძე, ხევსურ., 222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დროშა სამეფო:**

„...გვამი მეფისა... მიასვენეს სიონისა... ეკკლესიასა. მიცვალებულსა მიუძღოდა ჯარი რუსთა და ქართველთა, ზარბაზნები, დროშა სამეფო და ღერბი სამეფო და იკვროდა მუზიკა...

(წასვენება გვამისა მცხეთას)... უძღოდენ წინა ჯერეთ თავადნი და აზნაურნი, მათ შეუდგნენ ეკკლესიისა მსახურნი ხატებითა და სანთლებითა, მერეთ ორდენნი... ხმალი, სკიპტრა, გვირგვინი, ბაირაღი“.

ცხოვრ. გ˘ი XIII, 214, 227—228).

**დროშა სარდლისა**

პაპ. ორბელ., 384.

**დროშა სახპასპეტე:**

„მუხრანი... პირველ იყო მეფეთა სადგური; აწ უპყრავს შემდგომად ბაგრატისა მუხრანის ბატონსა, ამასვე აქუს დროშა სახპასპეტე არაგვ-ქსნისა“.

აღწერა სამეფ. საქ., 64.

„შემდგომად, რაჟამს მოოჴრდა რუსთავი, მუნებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა[1] და ზის აწამდე, და არა შეუცვალეს სახელი, არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს მარტყოფ-საგურამო-ხერკისა. არამედ აწ აქუსცა დროშა სახპასპეტო; და არიან ამის სახპასპეტოსანი გარეთ-კახეთი ქისიყამდე და მარტყოფ-საგურამო, და არს მემარცხნე ბრძოლასა“.

იქვე, 95.

„(ნეკრესი)... ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი. ამასვე აქუს დროშა სახპასპეტო, და არიან სადროშონი მისნი გაღმა-მჴარნი ელისენით და მემარჯვნე“.

იქვე, 99.

„(ბოდბეს ეკლესია)... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სახპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით, კონდოლამდე და მანავადმდე, და არს ბრძოლასა მეწინავე.

იქვე, 97.

**დროშა საუფლისწულო:**

„თეიმურაზ მეორემან, ჯერეთ შვიდისა წლისა მეფის ძესა გიორგის... დღისათვის... სახელწოდებისა მისისა ბრძანა მოუმზადონ დროშა საუფლისწულო. მისისავე ბრძანებითა მოიღეს ყვითელი ატლასი და მასზედ მოქსოვეს ხატი მეტეხთა ღვთისმშობლისა ფერადებითა და კილიტებითა. მომქსოვი მისი იყო ამირეჯიბისა როინისა ასული და ქვრივი როსტომ ციციშვილისა ანასტასია, რომელიცა ახლდა დედოფალსა ანახანუმს და არღა შორდებოდა მეფისა სასახლესა... კათოლიკოსმან ანტონი უკურთხა დროშა... და მიართვა მეფის ძესა მეტეხისა ეკკლესიასა შინა, პარაკლისის გარდახდითა... დროშა დღესაცა არის სახლსა შინა ჩემსა დაცული. ბუშტი ვერცხლისა და თვით ძელი, რომელზედაცა იყო დამყარებული სახე ღვთისმშობლისა, განაქარვა მამამან ჩემმან 1830 წელსა შიშისათვის რუსთა მთავრობასა; ეშინოდა, არა ჰკითხონ, რად გაქვს დროშა ესეო... შეშინებულმან დასწვა ხე,

---

1 მარტყოფს.

რომელზედაც იყო ბმულ თვით ხატი. ხისა ამის თავზედ ნაკეთი ვერცხლისა ბუშტი გაყიდა და ფასითა ამით უქმნა კიოტი ფიცრისა, დაეკეცა დროშასა ამას სამსხივად გრძელი ფრთები და ჩასდვა კიოტსა შინა მინითა დაფარული; დაისვენა თაყვანის საცემლად სახლსა შინა თვისსა. ამ დრომდე დროშა ესე იყო ბუდეში ჩადებული. და კრძალვიდა კარის წმინდის გიორგის ეკკლესიასა შინა, დღითგან მეფის გარდაცვალებისა.

„ხატისა ამის კოპიოსა ანუ პირისაგან სჩანს, რომელ თვით ნამდვილი იყო შემხადებული დომენტი კათოლიკოსისაგან, ამისთვის რომელ ქვე ხატისა ღვთისა დედისა ხატია თვით დომენტი მუხლმოდრეკით და ხელთა განპყრობითა ღვთისა დედისადმი მვედრებელი".

ცა გი XIII, 26, 27.

**დროშა საჩინო:**

„და იქმნა უკუ-ქცევა სვესვიანისა, სრულისა და მაღლისა, და საჩინოსა დავითიანისა დროშისა, გამარჯვებულისა.

ჟამთააღმწერ., ბროსე, 347.

**დროშა სახელმწიფო:**

ქილილა და დამანა, 613.

**დროშა სახელოვანი (სახელოანი):**

„ერისთევები ჰყავს მამდევად მას სახელოანს დროშასა".

შაჰნავაზიანი, 182.

„რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას". (ერეკლესადმი მიმართვა).

მოთქმით ტირილი, 55.

**დროშა სეფე:**

„ვითარ ცნა რუსუდან შემოსლვა ხვარაზმელთა სამეფოსა შინა მისსა, მოუწოდა ყმათა იმერთა და ამერთა, მოიღო დროშა სეფე, და მოუწოდა ივანე ათაბაგსა... განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა [თავად], უბოძა დროშა სეფე სვიანი, წარავლინა ბრძოლად სულთანისა".

ჟამთააღმწერ., მარიამის., 566—567.

„შეკრბეს ნაჭარმაგევსა... წარავლინა მეფემან ბრძოლად ხვარაზმელთა... დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისათვის".

იქვე, 587—588.

**დროშა სვე-სვიანი:**

„იქმნა უკუ-ქცევა სვესვიანისა, სრულისა და მაღლისა, და საჩინოსა, დავითიანისა დროშისა, გამარჯვებულისა".

ჟამთააღმწერ., ბროსე, 347.

**დროშა სვიანი:**

„აქა ჟამამდე დროშა იგი სვიანი დავითისა გამარჯვებული არა სადა ძუელ იყო".

იქვე, 347.

„ლაშქარნი გვერცა ვაახლენ, დროშა მას მივეც სვიანი".

შაჰ-ნამე II, 67 (3439).

„მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა... და მივეც (მემკვიდრეს დიმიტრის) დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი, და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუშმონი". (ანდერძი დავით აღმაშენებელისა).

„ქრონიკები" II, 51.

„ქელმწიფე რაზმთა შუა დგას ადგილსა დროშა სვიანსა",

შაჰ-ნამე I, 643 (2385).

**დროშა სრული:**

„იქმნა უკუ-ქცევა სვე-სვიანისა, სრულისა და მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა".

ჟამთააღმწერ., ბროსე., 347.

**დროშა [სუანეთისა]:**

„უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ქვესა ბედნიერისა სუანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ".

(წარწერა შუბის პირზე).

ექსპ. ლეჩხ.-სვან., 273.

**დროშად სუიანად ქმარებული:**

„და აბეს დროშად, სუიანად ქმარებული".

(დაბეჭდილში: სუიანი და ქმარებული).

ისტ. და აზმ., კეკელ. 82.

**დროშა ქავი:**

(ქართველი თავადები სთხოვენ ვახტანგს მეფეთ გახდომას).

„სულ შეიყარა ქართუელნი, თავადი თუ სად არისა...
შეკრეს პირი ერთობილთა...
კათალიკოზი მოუძღუის...
დიდთა დიდ გუართა თავადთა დროშა მიუძღუის ქავია;
მიჰყუების აზნაურები უანგარიშო, ზუავია".

შაჰნავაზ., 10.

**დროშა [ქაიან დროშა]:**

„...ჰკადრა: „ტუსი ეწოდების
და ოქროს სარმუზიანია, ქაიან დროშა ექონების..."

შაჰ-ნამე II, 58 (3372).

**დროშა ქაიანური:**

„ქაიანურსა დროშასთან ქოსთა ქმა გაქშირდებოდა".

შაჰ-ნამე I, 168 (561).

„გათენდეს, ქოსი, ნაღარა პილოსა მოაბენითა,
ქაიანური დროშანი ტახტზედან ააბენითა".

იქვე, I, 737 (2727).

„აქა მოკაზმა ქაიანურის დროშისა ძროხის სახისა თავისა გავასაგან".

შაჰ-ნამე II, პროზ., 387.

„ქაიანურსა დროშასა ოქროთ მოსჭედეს ტარია".

შაჰ-ნამე I, 65 (202).

„ქაიანურსა დროშასა მისდევდეს ერანელია".

იქვე II, 28 (3155).

„ოდეს შევებენით იმერელ მეფესა გიორგის... ვსძლიეთ... გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა, ჯუარი ხალასათ შეკრული ალმით".

ილორის ხატის წარწ., 156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დროშა ქაიანურისა:**

„გავას მჭედლისა წინა საკრავი ძროხისა იყო. იგი ტყავი ძელის თავს[ა] დაჰკიდა და დროშა დაარქვა... (ფრიდონის ბრძანებით) მოკაზმეს იგი ძროხიანი დროშა... რა მოიკაზმა, დაერქვა მნათობი დროშა ახტარ გავა ქაიანურ[ი]სა“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 387, 388.

**დროშა ქაიანურის ქელისა:**

„ამართეს დროშა მაღალი ქაიანურის ჴელისა“.

შაჰნავაზ., 66.

**დროშა შავი:**

„მათ ამართეს შავი დროშა, რა მივიდეს სიახლესა: ყურო-სტვირსა შეუბერეს“...

შაჰ-ნამე II, 257 (4837)

**დროშა შემოსილი:**

„დროშა შემოსილია ფერად თავშალით.

მაკალ. „ხევსურ.“, 262.

„დროშა შემოსილია ფერად ხილაბანდებით“.

იქვე, 255.

„დროშა-კი შემოსილია ხელსახოცით და მძივებ-გაყრილი სათმეთი და ზედ ორი ზარიც ჰკიდია“.

იქვე, 228.

„დროშა შემოსილია სხვა და სხვა ფერის ნაჭრებით“.

მაკალ. „ფშავი“, 192.

თუშური ხატის დროშა თეთრი მიტკლისაა, ოთხკუთხედია და სამ ყურზე მიკერებული აქვს წითელი გრძელი სალტა. ამ დროშას გრძელ ჯოხზე შეაბამენ და წვერზე ზანზალაკს უკეთებენ. შეხვეწილები დროშას ამასთანავე ჩამოჰკიდებენ წითელ და თეთრ ნაჭრებს. შემოსილი დროშა ინახება ხატში ან ძველ ციხეში“...

მაკალ. „თუშეთი“, 197.

**დროშა შენატყუპი დროშასთან:**

„ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და ალამი უბია;
დროშა არაბთა მეფისა მასთანა შენატყუბია.

ვეფხისტყაოსანი, 328 (1607).

**დროშა[1] შიდა-ქართლისა:**

„გიორგი წარავლინა ძმა თჳსი ლევან შიდა-ქართლის დროშით“.

ვახუშტი, „საქ. ისტ.“, 55.

**დროშა ძლეული:**

„აქა ჟამამდე დროშა იგი სვიანი დავითისა გამარჯვებული არა სადა ძლეულ იყო.

ჟამთააღმწ., ბროსე., 347.

**დროშა ძროხის სახე.**

შაჰ-ნამე II, პროზ. 387.

**დროშაჲ წარმოგზავნილი ლაზოდ:**

(ბუბაქარს) „წარუღეს დროშაჲცა, ხალიფასაგან ლაზოდ წარმოგზავნილი“.

ისტ. და აზმ., კეკელ., 107.

---

1 ჯარის მნიშვნელობით.

**დროშა წაქცეული:**

„დაჭოცილი ერანელნი...
ქოს-ნაღარა დახეული, დროშა იდვის წაქცეული.

შაჰ-ნამე II, 66 (3431).

**დროშაი წითელ-ყვითელი:**

„წითელ-ყვითელი დროშაით
ბოროლა გადიარაო“.

დ. ხიზან. „ფშაური ლექს.“, 66.

**დროშა წინა საძღვანი:**

„ჩვენ... მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე... მუხრანის ბატონს კოსტანტინეს ორისავ საერისთაოს წინა საძღვანად“.

Археол. экск. III, 55.

**დროშა ხალიფასი:**

წარმოეგზავნა ხალიფას დროშაჲ მისი... რომლისა თავსა ზედა იყო ოქროჲ ათასის ხალიფურისაჲ.

ისტ. და აზმ., კეკელ., 104.

წარუღეს დროშაჲცა ხალიფასაგან ლაზოდ წარმოგზავნილი.

იქვე,, 107.

დროშაჲ იგი ხალიფაჲსი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთის-მშობელისა.

იქვე, 109.

ხალიფაჲს დროშაჲ თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ სჯულთ-მოძღურისა ლაზოდ მოძღუნილი.

იქვე, 109—110.

„ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ, და განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუალა ტუირთითა, ცხენი ყუალა შეკაზმული. ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თუისთუისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი-შემდგომად“.

ბასილი ეზოს მოძღვ., 22.

„და აგრეთვე ბაღდადისა ხალიფამანცა წარმოუვლინა მხედარნი და დროშაჲ თვისი, რ~ლსა ზედა ეწერა ყურანთაგან ლოცვანი და მამადისა ოქროსა ჴელი ზედან იყო შუბის მაგიერ; რომელ მხილველთა ამა ბავრაყისათა თათართა დიდად განიხარეს და დაიდვეს გულსა თვისსა უეჭველად ძლევისა შემოსვა“.

„კალმასობა“, 636 г.

...მხედრობათა მოართვეს მეფესა სოსლან დავითს ბაირახი ამირისა და ათაბეგისა.

იქვე, 637 г.

**დროშა ხატისა:**

ხატ-ჯვრები ხევსურეთში სოფლის მახლობლად, ერთ რომელიმე განაპირა უბანშია მოთავსებული, და მთავარ ხატებს აქ აქვს ორი საბრძანისი, დავაკებაზე და მთის წვერზე. ჯვარის ან ხატის ადგილი ჩვეულებრივ ყორის გალავანით არის შემოზღუდული, და წმინდად და დედაკაცისათვის შეუვალად ითვლება. ხატში რამდენიმე საკულტო ხასიათის ნაგებობაა, მათ შორის მთავარია ხატის ნიში ან კოშკი, რომელიც წარმოადგენს მთაში გავრცელებულ ჩვეულებრივი ტიპის სამლოცველოს. ხატის კოშკი ოთხკუთხედია, მისი სიმაღლე აღწევს 2 მეტრამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატის კოშკზე ხატობის დროს დროშა ასვენია... შემდეგ არის ხატის დარბაზი, რომელიც წარმოადგენს მოზრდილ ოთახს. დარბაზში ხუცი წმინდობს, ხატობას კი ხატიონი დგება. აქვე ინახება ხატის დროშა და მისი საგანძური.

...ხატის დროშის გამოტანა მხოლოდ ხუცს შეუძლია... ხუცობა ხატის არჩევანზეა დამოკიდებული...

...დასტურს ხატის დროშაზე და ზვარაკზედაც ხელი მიუწვდება. დროშის ტარებაში ხუცს დასტური შეეშველება.. ხატის მსახურთა რიცხვს ეკუთვნიან აგრეთვე მედროშე, მეგანძური და ხატის დიასახლისი... მედროშეს ევალება ხატის დროშის ტარება და თვალყურის გდება: სადაც ხატიონი წავა, მათ წინ მხარზე დროშით მედროშე მიუძღვის.

მაკალ. „ხევსურეთი“, 246, 248, 250, 251.

არხოტის მთავარანგელოზის საბრძანისი სოფელ ახიელშია...

ხატის დარბაზის სვეტები ჯიხვის რქებით არის შემკული. იქვე გამართულია დროშის საბრძანისი ქვის ტახტი, რომელზედაც დაყუდებულია ხატის დროშა. დროშა შემოსილია ფერად თავშალით. დროშის შესამოსს ქალები სწირავენ, ან ზოგჯერ მას ხუცესი შემოსავს. დროშას წვერზე წამოცმული აქვს სფეროიანი ჯვარი, რომელზედაც მთავარ-ანგელოზია გამოსახული. ხატის დარბაზის მარჯვნივ თავმორღვეული ძველი „ქვიტკირია“, აქ ხატის დროშა ინახება, სადაც ხუცის გარდა ხატის დამიზეზების შიშით ვერავინ შედის...

იქვე, 261—262.

...მხევწარი ხატის დროშის წინ იჩოქებს და პირჯვარს იწერს: ზოგი დროშის საბრძანისის ქვის ტახტსაც ემთხვევა. ხუცი დროშასთან დგება.

იქვე, 263.

(ათნიგენობა. ჩიღოს ლაშარის ჯვარი)... ხატი შემოზღუდულია ყორის მაღალ გალავანით.. გალავანს ოთხი თავწვეტიანი ბოძი აქვს, რომელზედაც ხატის ალამია აღმართული.

...ხატის შესავალი კარი ამ დღეს მორთული იყო ხატის დროშებით და ალმებით. თუშური ხატის დროშა თეთრი მიტკლისაა, ოთხკუთხედია და სამ ყურზე მიკერებული აქვს წითელი გრძელი სალტა. ამ დროშას გრძელ ჯოხზე შეაბამენ და წვერზე ზანზალაკს უკეთებენ. შეხვეწილები დროშას ამასთანავე ჩამოჰკიდებენ წითელ და თეთრ ნაჭრებს.

შემოსილი დროშა ინახება ხატში ან ძველ ციხეში... ხატობის წინ დეკანოზი გამოიტანს და ხატის ნიშთან მიაყუდებს.

მაკალ. „თუშეთი“, 197.

„თამარისადმი შეწირული ფერადი (თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი) „საკადრისები“, რომლებიც თამარის ხატის გალავანში ხეების ტოტებზე ეკიდა, ჩამოხსნეს, დროშის ტარზე აабეს, შემდეგ ტარს ზემოდან პატარა ზარი ჩამოჰკიდეს და თავზე ოქროს ფრად მოელვარე ლითონის ჯვარი დაამაგრეს. ასე გაჩნდა ლაშარობაზე ხატის დროშა“.

ბარდავ. „ივრ. ფშავლ.“, 134—135.

**დროშა ხახმატისა:**

„ხატობა დღეს ხუცები გამოაბრძანებენ ხახმატის დროშებს, რომლებიც შემოსილია ფერად ნაჭრებით, ზედ მას წამოცმული აქვს ჯვრიანი სფერო და ზანზალაკიც ჰკიდია.

მაკალ. „ხევსურეთი“, 252—253.

**დროშა და ბეჭედი:**

„ესე თურის დროშა და ბეჭედი თან წარტანე მეფესა
ქერქითა ქალაქსა და ციხესა შეხვიდე...
რა ციხის თავმან... დროშა და ბეჭედიცა ნახა..
ფიცხლად ციხის კარნი გაუჴმნეს.

შაჰ-ნამე II, პროზ., 424, 427.

**დროშები ვეცხლისა:**

„ქ. დროშები ვეცხლისა ორი საის ბუდით“.

სვეტი ცხოველ. სიგ., დამატ., XI გვ.

**დროშები პირიმზისა:**

„პირიმზეობას ბექაურები და წიკლაურები თავიანთ დეკანოზებით, პირიმზის ხატით და დროშებით მთიულეთიდან ხევსურეთში სოფ. უკანა ახოში გადადიან, სადაც ამ ხატის ნიშია ამართული... პირიმზეობას... ეკლესიის კარებთან სნეულები პირქვე გაწვებიან. უხუცესი დეკანოზი დროშას აიღებს, სამჯერ ჯვარულად გადასახავს და დროშის ტარს მათ თავზე, წელზე და ორივე მხრებზე დააჭერს... პირიმზის ხატობაში... დეკანოზს თავზე თეთრი დროშა (ხილაბანდი) ჰქონდა წაკრული.

მაკალ. „მთიულ.“, 160—161.

**დროშანი:**

„თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის“.

ლაშა-გიორგ.-დროინდ. მემატ., 16.

**დროშანი მრავალფერნი:**

„გამართეს დროშანი მრავალფერნი“.

ამირ.-დარეჯ., 244.

**დროშანი მტერთანი:**

„მეფის ძენი მოვიდნენ ტფილის მამისა თვისისა თანა გამარჯვებულნი და მოართვეს ურიცხვი დროშანი მტერთანი, რომელნიცა წარგზავნა რუსეთისა კარსა ზედა.. რომლის ჯილდოდ მოუზღვა იმპერატორმან წყალობად მეფის ძეთა იოვანეს და ბაგრატს... რუსთაცა ღიანარალთა და მხედრობათა მოუბოძა... და პოლკთა მათ უბოძა ბაირახნი ძლევისანი, რომელსა ზედა წერილ იყო ესე: „ძლევისათვის ავარელისა ომარ ხანისა“.

ბაგრატ ბატონიშ. „ახალი მოთხრობა“ 75.

**დროშანი წითელ-ყვითელნი:**

„ჭევსა თქვეს მაჭევეებმა, ჭევსურნი მავაქციენით,
წითელ-ყვითელან დროშანი საბაკეს მივაყრიენით,
იმათ ნასრევნი ისარნი იმათავ შავესრიენით“.

შანიძე „ხევსურ.“, 47.

„წითელ ყუითელი დროშანი თეთრი მწვანითა მელუქად“.

შაჰ-ნამე I, 403 (1484).

**დროშის აბმა:**

„და აабეს დროშაჲ სუიანად ჭმარებული და წარიძღუანეს ძელი ცხორებისაჲ“.

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 82.

„აწ გაცხადება ვსთქვათ დიდი დღესასწაული. და წესი არის რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ, და დროშა განაღამცა წინა ამართული...
დროშა ეკლესიის კარსა დგას. რა მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წავა, და მუნვე კარის შესავ[ა]ლს ქ[ვ]ეშე დადგების“.

კარის გარიგება, 2.

„ქადაგობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჯვარი:
საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო,
სამი აабан დროშაი, სამსავ შააბან ზარიო“.
შანიძე „ხევსურ.“, 73.

„გუდან შეიტყო, იწამა ღვთითა და ღვთისშობლითაო,
ადგა, ааба დროშაი ლალის გუდანის ჯვრისაო“.
ხალხ. სიტყ. 35. ხევსურ., 1876.

**დროშის აბძანება:**
„მედროშაე აჴდების ბანზე დროშასთან, аабძანებს დროშას“.
ბეს. გაბუური, 123.

„მედროშემ დროშა საზარეზე „аабძანა“ და შიგნიდან სვეტზე დააყუდა“.
ბარდაველ. „ივრ. ფშაველ.“, 134.

**დროშის ალამი:**
„თოლაქ-დემურ... აღვიდა ქედსა და აღაბა ალამი რამე სხვა დროშისა“.
ჟამთააღმწ. მარიამის, 709.

„შავ-ვეშაპ სახე დროშა აქუს, ტარსა ალამი აბია“.
შაჰ-ნამე I, 555 (2053).

**დროშის ამართვა (იხ. აგრეთვე „აღმართვა“):**
დროშის ამართვა.
ქილილა და დამანა. 73, 99, 174, 277, 320, 568.

„მათ ამართეს შავი დროშა“.
შაჰ-ნამე II, 257 (4837).

„ყარან და ყუბად წავიდეს თავისა სადგომისაკენ,
ამართეს მათი დროშები, პირი ქნეს ჯეონისაკენ“.
შაჰ-ნამე I, 177 (591).

„დროშით წავიდეთ ყუელანი, ვინც კაცი ვიყოთ მძლენია... და ქავისა დროშა ავმართოთ, ნათობდეს ვითა მზენია“.
იქვე I, 110(363).

„ამართეს ბედნიერი გავიანური დროშა“.
იქვე II, პროზ. 391.

„ესე დროშა ავმართო“.
იქვე II, პროზ., 427.

„უბრძანა: „დროშა ამართე, ცხენსა შეჯე მსგავსი მზისა“.
იქვე II, 316 (5290).

„ავმართე დროშა მეფისა ალმითა წითელ-შავითა“.
ვეფხ. ტყაოს., 85 (404).

„ამართეს დროშა მაღალი, ქაიანურის ჴელისა,
მოვიდენ ყოვლგნით ლაშქარი“.
შაჰნავაზ., 66.

„ამართეს დროშა მაღალი, გამოჩნდებოდა შორია“.
იქვე, 140.

„გამოდგენ მეწინავენი იმა მეგრელთა ჯარისა;
ვამეყის დროშა ამართეს“.
იქვე, 68.

„როდეს დროშისა ამართვა ანუ რუსთვლისა გალაშქრება მეფეთა ბრძანონ...“
ღვთაების გუჯ., 42.

**დროშის ამართვა (სიმტკიცის ნიშნად):** იხ. დროშა.
მაკალ., „თუშეთი“, 199—200.

**დროშის აღება:**
„პირველად აღდგეს რუსთველი და აღიღოს დროშა ბ[რ]ძანებითა ჩვენითა და სადაცა ვბრძანოთ... ერთს ადგილს დაიყოვნოს...“
ღვთაებ. გუჯ., 43.

მამისავ, მამისავ სოლემან,
ხომ გეუბნებოდი, მამილამ,
ჩერქეზეთის დროშას ვერ აიღებდი.
სვან. პოეზია, 165. (№ 51).

(იგივე სვანურად)
ბუვäშ, ბუვäშ სოლემანა,
აშ ჰურ ჯაყჷლ, ბუაჯ ღვარა,
ქაშგიშ სანჯäხს დეშ ხიკäდდäს.
იქვე, 164 (№ 51).

„ორი დროშა ამიღია“.
იქვე, 163. (№ 51).

(იგივე სვანურად)
„ჲორი სანჯäხ ჟივ მიკიდა“.
იქვე, 162 (№ 51).

ჯარის მეთაურობას ვერავინ ბედავს,
ყველა დროშას (ჯარს) სწავლობს,
დროშას ვერავინ იღებს.
იქვე, 65.

(იგივე სვანურად):
ჯäრი ლითხვმის დäრ äპჷრე,
მäგ სანჯäხის ხუთურჲელე
სანჯäხს ჟჷი დäრ მოშიკედ.
იქვე, 64.

**დროშის აღმართვა:**
„(სათემო დროშა)... ხევისბერს აბარია, მხოლოდ იგი მაღლა აღმართავს ხოლმე მას ჯვარობას, ხატობას...“
ხიზან. „ეთნოგრ.“ 19.

„...(თილიძეს)... მტრობა ჰქონია ფშავლებთან, ...თუშ-ფშავლების შერიგება უთხოვია... სიმტკიცის ნიშნად თილიძეს ლაშარის დროშა თუშეთში გადმოუტანია და აქ ჩიღოს მთაზე აღუმართავს, სადაც ლაშარის ეს ხატიც აუგიათ“.
მაკალ. „თუშეთი“, 199—200.

**დროშის ბოძება:**
„მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა... განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა [თავად], უბოძა დროშა სეფე[1] სვიანი“.
ჟამთააღმწ., მარიამის, 566—567.

„ჩვენ... მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე... მუხრანის ბატონს კოსტანტინეს ორისავ საერისთოს წინასაძღვანად“. (წარწერა დროშაზე).
Археол. экск. III, 55.

---

1 წერია: „მეფე“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე წინამძღოლსა ჩვენსა ამირ-სპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელითა სამეფოთა, თვესა ოკდონბერსა ა, დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისა ცხოველისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმე, ქრონიკონსა ულგ“.
(წარწერა დროშაზე).
„დასტურლამალი. (ლექსიკონი. სიტყვა „დროშა“), 168.

(გიორგი XIII დესპანსა) „ამცნო რათა ითხოვოს მეფისათვის მშვიდობით დაცვაჲ და მფარველობა, ვითარცა წერილ იყო ტრაქტატსა შინა მეფის ირაკლისასა და იპერატრიცა ეკატირინესასა... უბოძა იპერატორმან პავლე მეფესა ტახტი, გვირგვინი, სკიპტრა, ქმალი, დროშა“...
ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, 71.

„წელსა 1783 მეფემან ირაკლიმ სთხოვა მფარველობაი იპერატრიცა ეკატირინას. მან ფარველობის ტრაქტატი უბოძა მეფისავე თანხმობითა. იპერატრიცამ უბოძა მეფესა სამეფო ნიშანნი, ესე იგი: გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და დროშა“.
იქვე, 58.

„ხოლო წელსა 1804 გარდაიცვალა დადიანი გრიგოლ, და იპერატორმა ალექსანდრემ მოიყვანა ძე გრიგოლისა ლეონ... და დასო დადიანად... და უბოძა ღიანარალ-მაიორობა, ხმალი, დროშა და ანნას კავალერია...“
იქვე, 87.

**დროშის ბუდე:**
„მოვედით ტაძარსა შენსა და შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი — ბროლის ჯუარი, იმ დროშის ბუდე ოქროქსოვილი სარასლისა გარდაგბურეთ“.
„ილორის ხატის წარწერა“, 156.

**დროშის ბუდის შეწირვა** (იხ. დროშის ბუდე)
იქვე, 156.

**დროშის ბუნი:**
(სუქურჩი) „რომელსა საგრილობელი აქუს შესაკეცელი და გასაშლელი, მრგვალი, მაღალსა ხესა ზედა, ვითარცა ბუნსა დროშისასა განრთხმული იყვის“.
·ჟამთააღმწ., ბროსე, 379.

**დროშის გადასახვა ჯვარულად:**
„პირიმზეობას... ეკლესიის კარებთან სნეულები პირქვე გაწვებიან, უხუცესი დეკანოზი დროშას აიღებს, სამჯერ ჯვარულად გადასახავს“.
მაკალ. „მთიულ.“, 161.

**დროშის გადება მხარზე:**
„დავნატრი დაბადებასა
ხოშარას ხახაისასა,
აისხამს იარაღებსა,
ანგელოზსა ჰგავ ცისასა!
მხარზე გაიდებს დროშასა
ლაღი ლაშარის ჯვრისასა;
გამაუძღვება ფშავლებსა,
სახელს ახსენებს ღვთისასა;
ავალის ქერიგოშია,
არ შასძრავს წვერის ქვიშასა.
ხიზან. „ფშაურ. ლექს.“, 71

მივნატრი დაბადებასა ხოშარის ხახაისასა,
აისხამს იარაღებსა, ანგელოსსა ჰგავს ცისასა,
მხარზე გაიდებს დროშასა ლაღი ლაშარის
ჯვრისასა.
თერეთეგოზე გაივლის, ქვიშას არ დასძრავს მთისასა.
თევდორაძე II, გვ. 76

**დროშის გამართვა:**
„დროშა ...გაემართების (წასვლის მნიშვნელობით).
იხ. დროშა.
ხიზან. „ეთნოგრ. (ფშავ-ხევსურ.), 26.

**დროშის გამობრძანება:**
„ლაშქრობა დაუგვიანდა ლაღსა გუდანის ჯვარსაო,
ჴირჩლასა ბაბურაულსა, მაგის მოკლია ქმალსაო.
გვითქვიდით ბაბურაულსა: „მჭედელ გვიკითხე ჯვარსაო!
დროშას თუ გამოგვიბძანებ, ჴევსურნ ჩვენც
გვიდგა მზასაო“.
შანიძე „ხევსურ.“, 13.

„იმედას ეხვეწებიან: გაგვიღე ბეღლის კარიო,
გამოგვიბძანე დროშაი, სამსა აგვიბი ზარიო“.
„ხალხ. სიტყვ.,“ 99. ხევსურ. 1874.

**დროშის გამოსვენება:**
„ხატობას გვარის დეკანოზები ამ ეკლესიიდან სათემო დროშას გამოასვენებენ“.
მაკალ. „მთიულ.“, 154.

„ლომისას დეკანოზები ამ დროშას, ალამს და სამივე ხატს ქვემო მლეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ.
იქვე, 171.

**დროშის გამოჩენა:**
„რა ცისკარმან მისი დროშა გამოაჩინა“.
„ვისრამიანი“, 294.

**დროშის გამძღვანება:**
„ქავამ დროშა გაიმძღვანა, გიო მოვა ყუირილითა“
შაჰ-ნამე I, 27 (84).

**დროშის განახლება:**
„(ჯარიმა)... ხატის „საკადრისის“ განახლებას ხმარდება (დროშის განახლება... და სხვა).
მაკალ. „მთიულ.“, 158—159.

**დროშის გარმაყუდება:**
...დღეობაში, როსაც ხალხ ჯვარში შაიყრების ლუდის სასმელად... ჴელოსან ადგების, გარმახყუდებს დროშას, გამაუცხადებს ხალხს: „დროშა გარმავხყუდი, ვინაც იშულლებთ, წინ-წინ შულლა გამჭდელს დაგაკვლევთ კურეტს... სანამდი შულლა—გამჭდელ ჯურუმს არ მაიყონთ, არ დახკლავთ, დროშა კარში იქნების იმის სამრისხალოდ..., დასცილდების ზოგ-ზოგს ჴელოსნის ნაუბარი და გარმაყუდებულ დროშა და კიდეც იშულლებს... სანამდი მაშულლარ საკლავს არ მაიყონს დროშა კარში იქნების და ამ დროშაის ძალით ბევრ იშლის შულლობას.. აღარ შულლობს ხალხი. დროშაიავ გარმაყუდებულიც, ჯვარ გაგვიწყრებისავ...
ბესარ. გაბუურ., 123—124.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**დროშის გაშლა:**

„როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება“.

„მოთქმით ტირილი“, 54.

„კამათობისა და ბრძოლის დროშა გაიშალა“.

ქილილა და დამანა., 309.

**დროშის გაწევა ცად:**

„დროშა მისი ცად გაიწია“.

ვისრამიანი, 316.

„რა გასდიდდი, შენი ალამი და დროშა ცად გაიწია“.

იქვე, 270.

**დროშის დაგდებინება:**

შაყრილან ფშავლის შვილები, ლაშარსა გროვდებიანო,
გადავლენ ალაზნის თავსა თუშეთს მუქარაზედაო...
შაიტყეს წოვათ ბიჭებმა, აბჯართ გაიღეს ჟღრიალი:
უთხრიდით ჩალმა გომეწართ, დაიძრან ბაირახტარები...
...აქ რა გინდოდათ ჯღანდიდნო...
ყადოვანს დაგაგდებინეთ დროშა ლაშარის
ჯვრისაო.

ხალხ. სიტყ., 47, თუშ.

**დროშის დადგმა თავით:**

„გვერდით დავუბი ლურჯაი,
ტიროდა როგორც ქალია,
თავით დაუდგი დროშაი
აფრიალებდა ქარია.

თევდორ. II, 121—122.

**დროშის დაჟღარუნება:**

(ხატობა).. ხევისბერი საწირს ჩამოართმევს, სანთლებს აანთებს, დასტური დროშას დააჟღარუნებს და ხევისბერი მხვეწარს... ამწყალობებს...

მაკალ. „ფშავი“, 187.

**დროშის დარჭმა თავით:**

„თავით დაურჭვე დროშაი,
აფრიალებდა ქარია“.

თევდორ. II, 125.

**დროშის დასვენება:**

..(მარიამწმინდობას)... პატარა ვაჟები... ანთებულ გუჯინას... წყალზე... მიაგორებენ... ბავშვები ჩქარა ბრუნდებიან და სახლის ბანზე ადიან, სადაც მარიამ-წმინდის დროშა და ჯვარი ასვენია“.

მაკალ. „ხევსურ.“, 227—228.

**დროშის დაფრეწა:**

(ერაჯის სიკვდილის გაგებისას) „თმასა და წვერსა იგლეჯდეს, თავსა მიწასა აყრიდეს; დროშა და ნაღარები დაფრიწეს, ცხენები ყველა გაპარსეს, უნაგრები უკუღმა დადგეს“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 412.

**დროშის დაშლა** (სიძველით):

„ამ დროშებს ხატს უცოლო ვაჟები სწირავენ... გალავანში ჩასვამენ. დროშას ხელს არავინ ახლებს, სანამ დროშა თვითონვე არ წაიქცევა და არ დაიშლება.

მაკალ. „მთიულ.“, 165—166.

**დროშის დაცემა:**

„მეფემან (გ~ი III).. მიიწია მედროშისად [illegible] ტანისა და ჰსცა ხმალი თავსა ზედა და განუპო ორად. მხილველთა აგარიანთა დაცემისათვის დროშისა, მყისვე იწყეს ლტოლვად“.

„კალმასობა“, 623 r, 623 v

**დროშის დაჭრა:**

„დროშა დასჭრეს, სპილო მოკლეს, სისხლნი მათნი მოეღვარნეს“.

შაჰ-ნამე I, 121 (404).

**დროშისა[1] დიდი:**

„უკეთუ ამისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, სამღთო გინა საერო, თავადი, ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებიროს, ანუ ბატონსა, ანუ ქიზიჴის ჯარსა შინა დგებოდეს.

ღვთაებ. გუჯ., 42.

**დროშისა[1] ერისთავი:**

„უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, სამღთო, გინა საერო, თავადი, ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებიროს“.

იქვე, 42.

**დროშის ზანზალაკი:**

ამ დროშას გრძელ ჯოხზე შეაბამენ და წვერზე ზანზალაკს უკეთებენ.

მაკალ. „თუშეთი“, 191.

„ბავრაყი წითელ დროშითაა (ნაჭრებით) შემოსილი და ზედ ზანზალაკი ჰკიდია“.

მაკალ. „მთიულ.“, 171.

**დროშის ზარი:**

დროშა შემოსილია სხვა და სხვა ფერის ქსოვილის ნაჭრებით და ზედ ზარიც ჰკიდია.

მაკალ. „ფშავი“, 192.

ქადაგებს გაღაური: „ბძანებს გუდანის ჯვარიო:
„საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო;
სამი ააბან დროშაი, სამსავ შააბან ზარიო“...

შანიძე, ხევსურ., 73.

**დროშის ზორტები:**

„რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა“...

„მოთქმით ტირილი“, 55.

**დროშისა[1] თავადი:**

„უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, სამღთო გინა საერო, თავადი, ანუ მოურავი და ერისთავი. სხვასა დროშასა ზედა მიებიროს...

ღვთაებ. გუჯ., 42.

---

1 ჯარის მნიშვნელობით.

**დროშის თავი:**

„წარმოეგზავნა ხალიფას დროშაჲ მისი... რომლისა თავსა ზედა იყო ოქროჲ ათასის ხალიფურისაჲ“.

„ისტ. და აზმ“., კეკელ., 104.

„უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ქვესა ბედნიერისა სუანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ“.

ექსპ. ლეჩხ. სვანეთში, 273.

„მეფის ვახტანგის შეწირული ორი დროშის თავი ვერცხლისა იმერეთს არის“.

ვეტიცხოვლ. სიგ. დამატ., გვ. III.

„იგი გავიანური დროშა. მოაღებინა თვალ-მარგალიტითა მოკაზმული, რომე თავსა ძროხისა სახე იყო“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 388.

„დროშა ჩანს ერთი ლომ-სახე, თავი ოქროსა არია“...

შაჰ-ნამე II, 84 (3555)

ვეშპის სახე დროშა ნახა, თავი ცასა მისწვდებოდა.

შაჰ-ნამე II, 152 (4058)

შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი — ბროლის ჯუარი“...

„ილორის ხატის წარწ.“, 156.

**დროშის თავის შეწირვა:**

იხ. დროშის თავი.

იქვე, 156.

**დროშის კაზმვა:**

ბეღელჩი ესხდეს უფროსნი, ვინც უწინდელნი ბერნია.
სალაშქროს დროშას ხკაზმევდეს ბჭენი და ქევისბერნია.

შანიძე, ხევს., 222.

**დროშის კალთები:**

„ვაი თუ საქართველოს საფარველად გადახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა“...

„მოთქმით ტირილი“, 54.

„რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა“.

იქვე, 55.

**დროშის კალთები ჰაერში მომცურავი:**

იხ. დროშის კალთები.

იქვე, 55.

**დროშის კალთების ახდა.**

იხ. დროშის კალთები.

იქვე, 54.

**დროშის[1] კაცი:**

„გაღმა გაველ, ენისელთა იქ დამიხვდა მოურავი,
სრულ თავისის დროშის კაცით სიმრავლითა უამრავი“.

არჩილიანი II, 32 (269).

„რაც თქვენის (ამილახორის) დროშის კაცი საშოვარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიაქენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ჯარს თავი ერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიაქეთ უნდა გაიყონ. თქვენი დროშის კაცი უთქვენოთ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის დროშის კაცს სასამართლო საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარზედ მოვიდოდნენ, თქვენც დასხდებოდეთ“.

„დასტურლამალი“, 155.

„იწყინა მეფემ თეიმურაზ დიდათ და გაუწყრა თავის დროშის კაცთა“.

პაპ. ორბელ., 422.

„ქისიყის მოურავი თამაზ ქეისიყის ჯარით და ვინა დროშის კაცნი ჰყვანდენ“.

იქვე, 421.

**დროშის კვალი:**

„ზეგარდის წვერზე ხატის ნიშის მახლობლად ერთი დიდი ლოდია... ამ ლოდს გადააბრუნებენ და მის ქვეშ დატანებულ ფულებს ხატის სასარგებლოდ დეკანოზი აკრეფს. შემდეგ დეკანოზი ამ ადგილს დროშის წვერით ჯვარულად ღარავს და ვინც უშვილოა, ან ვისაც ვაჟი არ ებადება, ის დროშის ამ კვალში თეთრ ფულს ჩაჰყრის“.

მაკალ. „მთიულ.“, 159.

**დროშის მამდევი:**

„ერისთვები ჰყავს მამდევად მას სახელოანს დროშასა“

შაჰნავაზ., 182.

**დროშის მიბძანება:**

„ხატიონნი ლაშარისაკენ დაიძრნენ... მედროშე დროშას მიაბრძანებს“.

ბარდაველ. „ივრ. ფშავ.“, 130—131.

**დროშის მინდობა:**

„ამისნი დროშის მტვირთველნი ნორიას ჭიჭინაძენი ყოფილიყვნენ და ჩვენცა მათვე მივანდევით, ეგრეთ რომე, ოდეს დროშა წაასვენონ, ერთს ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა ჴელთა მიათვალევდენ, და სხვანი ჭიჭინაძენი გარე შემოეხვეოდენ ომსა შინა, გინა ქმვიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა...“.

ღვთაებ. გუჯ., 42.

**დროშის მირთმევა:**

„კახეთი მამიცემია, ქისიყი, სრულად მაღარო;
თეიმურაზხან ჴელთა მყავს...
მამირთმევია რაყამი, დროშა, ზურნა და ნაღარო..“
(ერანის ხემწიფის წიგნი შაჰნავაზთან).

შაჰნავაზიანი, 105.

**დროშის მიძღოლა:**

„დიდთა დიდ გუართა თავადთა დროშა მიუძღუის, ქავია“.

იქვე, 10.

„დროშა მიუძღუის მეფესა, მთასა გარდაქდა ჩალია. იმერელთ ჯარი იქ დაჭუდა“.

შაჰნავაზიანი, 66.

---

[1] ჯარის მნიშვნელობით.

**დროშის მოგდება:**

„დრო შამოიგდო
დროშა მოიგდო,
მტერნი დაჭოცნის
ოხრებითა“.

„აბდულ-მესია“, გვ. 6(75)

**დროშის მოკაზმა:**

...ფრიდონის წინა[ნ]დელი საფადარი გავა, რომ უწინ დროშა მან მოკაზმა...

შაჰ-ნამე II, პროზ. , 444

„აქა მოკაზმა ქაიანურის დროშისა ძროხის სახისა თავისა გავასაგან“...

„გავას მჭედლისა წინა საკრავი ძროხისა იყო. იგი ტყავი ძელის თავს[ა] დაჰკიდა და დროშა დაარქვა, და მჭარსა შეიდვა...

„...შეიქნა ლაშქართ შიგან სიხარული. მიდგეს თავადნი და ლაშქარნი და მჭედელი გავა დროშისა მქონებელი, და ჯელმწიფეს თაყვანი სცეს და ქება შეასხეს. შეხედნა ფრიდონ ბედნიერის თვალითა გავას დროშასა, ძელსა ზედან მობმულსა ძროხის ტყავსა, მოეწონა და მოაღებინა ბერძული ძვირფასისა ატლასები, ფერად-ფერადითა დახვიეს და მოკაზმეს იგი ძროხიანი დროშა; და მოასხეს ზედან თვალმარგალიტი ოქროთა გაზიდულითა, — რაცა უკეთესი იქნებოდა, — იაგუნდი, ზურმუხტი, ლალი და ფეროზი; დაჰკიდეს გუარითა ფრქვეული და ერქვა პირველ სახელად ძროხიანი დროშა. რა მოიკაზმა, დაერქვა მნათობი დროშა ახტარ გავა ქაიანურ[ი]სა. ბნელს ღამესა, რაგვარცა მზე ისრე ნათობდა. მისგან ქვეყანასა დიდი იმედი დაედვა. ლაშქარნი მოსდიოდეს.

...იგი გავიანური დროშა მოაღებინა თვალ-მარგალიტითა მოკაზმული, რომე თავსა ძროხისა სახე იყო და მათ უჩვენა, და [უბრძანა]: „ასრე მინდა რომე ამავე დროშისა სახე ლახტი ვაქნევინო მძიმე...“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 387, 388.

**დროშის მოსვენება:**

„დიდ დღეობას... დეკანოზები წავლენ და დილით მოასვენებენ ხატს, დროშას“.

ხიზან. „ეთნოგრ.“, „ფშავ-ხევსურ.“ 24.

**დროშის მოსვლა:**

„ქავთრის დროშაი არ მოვიდა...
...ნეტარ, ქავთარსა რა მახკლავდა?
შიბი ცხრა-კეცი ედვა ყელსა
ლაშარის ჯვარის ჩადებული“.

შანიძე, ხევსურ., 294.

**დროშის მოსპეტაკობა:**

„დროშა იგი გორგასლიანი, რომელი იგი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკობდა, რეცა სიბერისა სახედ“.

თამარ მეფის ისტორია, ბროსეს. გამოც., 307.

„დროშაჲ იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკდებოდა“.

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 107.

**დროშისა[1] მოურავი:**

„უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, სამღთო, გინა საერო, თავადი, ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებიროს“...

ღვთაებ. გუჯ., 42.

1 ჯარის მნიშვნელობით.

**დროშის მოღება:**

„მოიღო დროშაჲ სუიანად ჭმარებული გორგასლიანი და დავითიანი და შეავედრა მასვე ვარძიისა ღმრთისმშობელსა; დროშა და ლაშქარი დალოცა...“.

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 132—133.

**დროშის მოყენება:**

„დროშა ადრე მოიყენეს, ჭმა გაჭშირდა დუნბულისა“.

შაჰ-ნამე II, 102 (3680)

**დროშის მოცემა:**

„მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროშა, დარაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და ჭჳობა არაგვისა“.

ახალი ქართლ. ც~ა, 51.

**დროშის მრისხალობა:**

„დღეობაში... ჭელოსან ადგების, გარმახყუდებს დროშას. გამაუცხადებს ხალხს: „...სანამდი შუღლა-გამჭდელ ჯურუმს არ მაიყონთ, არ დახკლავთ, დროშა კარში იქნების იმის სამრისხალოდ“.

ბეს. გაბ., 123.

„მოფიცარს გვერდით „ხელის მამკიდე“ უნდა ედგას... ისიც უნდა გაიბანოს, როგორც თვით მოდავე, გვერდით მოუდგეს და მოდავის სიტყვა დააჰეშმარიტოს, — მართალიაო, თუ არა, მრისხავდეს დროშა და ხატიო“.

ხიზან., „ეთნოგრ.“, (ფშავ. ხევს.) 60.

**დროშის მტვირთველნი:**

„ამისნი დროშის მტვირთველნი ნორიას ჭიჭინაძენი ყოფილიყვნენ და ჩვენცა მათვე მივანდევით, ეგრეთ რომე ოდეს დროშა წაასვენონ, ერთს ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა ჭჳლთა მიათვალევდენ და სხვანი ჭიჭინაძენი გარე შემოეხვეოდენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა“.

„ღვთაებ. გუჯ.“. 42.

**დროშის მქონე:**

„მოუწოდა... „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უსწრაფეს ვუხეთქნეთ დროშის-მქონესა და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი“...

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 59.

**დროშის მქონებელი:**

„(გავამ) ტყავი ძელის თავს[ა] დაჰკიდა და დროშა დაარქვა და მჭარსა შეიდვა... მიდგეს თავადნი და ლაშქარნი და მჭედელი გავა დროშისა მქონებელი“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 387—388.

**დროშის მცველობა:**

იხ. დროშის მტვირთველი.

ღვთაებ. გუჯ., 42.

**დროშისა[1] მცირე:**

„უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, სამღთო გინა საერო, თავადი ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებიროს“.

იქვე, 42.

**დროშაის ყერება:**

„ფაცხვერას ბაჭინცაურსა გავლა სწადიან მთისაო,
გადმოსვლა ახიელჩია, ყერება დროშაისაო“.

შანიძე, „ხევსურ.“, 51.

1 ჯარის მნიშვნელობით.

„ფაცხვერ ორ ბაჯინცაური, გავლა მწადიან მთისაო,
ახიელის ძირ ჩამასვლა, ჟერება დროშაისაო“.
ბეს. გაბუური, 236.

„მშაველს უყვარდა გარასა ჟერება დროშაისაო,
შაყრაი მშავლის ლაშქრისა, ჩავლევა შორის გზისაო“.
შანიძე, „ხევსურ.“, 61.

**დროშის საბრძანისი ტახტი:**

„ხატის დარბაზის სვეტები ჯიხვის რქებით არის შემკული. იქვე გამართულია დროშის საბრძანისი ქვის ტახტი, რომელზედაც დაყუდებულია ხატის დროშა.
მაკალ. „ხევსურ.“, 261—262.

„მხვეწარი ხატის დროშის წინ იჩოქებს და პირჯვარს იწერს; ზოგი დროშის საბრძანისის ქვის ტახტსაც ემთხვევა“.
იქვე, 263.

**დროშისა[1] საერო:**

„უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, სამღთო გინა საერო, თავადი ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებიროს“...
ღვთაებ. გუჯ., 42.

**დროშის სალტა:**

„თუშური ხატის დროშა თეთრი მიტკლისაა, ოთხკუთხედია და სამ ყურზე მიკერებული აქვს წითელი გრძელი სალტა“.
მაკალ. „თუშეთი“, 197.

**დროშისა[1] სამღთო:**

„უკეთუ ამისისა დროშისა დიდი ანუ მცირე, სამღთო გინა საერო, თავადი ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებიროს“.
ღვთაებ. გუჯ., 42.

**დროშის სანთელი:**

„თვალად და ტანად ტურფაო, ფრიდონის დროშის
სანთელო“.
შაჰ-ნამე I, 438 (1601).

„არ ვის უნახავს დავსილი მისის დროშისა სანთელი“.
„არჩილიანი“ II, 96 (828).

**დროშის სპანი:**

„აღვწეროთ დროშისა სპათათვის, რომელი განუწესებიათ პირველთა მეფეთა უწინარეს ჩვენსა“.
იქვე, 42.

**დროშის ტარი:**

„ვეფხისა სახე დროშა აქუს, ამართეს მისი ტარია“.
შაჰ-ნამე I, 128 (428).

„ქაიანურსა დროშასა ოქროთ მოსჭედეს ტარია“.
იქვე I, 65 (202).

„მედროშაე დროშაის ტარით, სამჯერ ბანს ჯვარად გაუსვ-გამაუსომს“.
ბეს. გაბუური, 123..

„ზვავისა და წყლისაგან დამხვრჩვალის „სულის გამოხსნა“ მხოლოდ კარატის ჯვარს შეუძლია... ხუცი წამოიღებს კარატის დროშას, მივა იქ, სადაც უბედური შემთხვევა მომხდარა, დროშის ტარს დაჰკრავს და იტყვის: „კარატის ჯვარო, უშველე სულთა კაცისათა“.
მაკალ. „ხევსურ.“, 240—241.

„პირიმზეობას... ეკლესიის კარებთან სნეულები პირქვე გაწვებიან. უხუცესი დეკანოზი დროშას აიღებს, სამჯერ ჯვარულად გადასახავს და დროშის ტარს მათ თავზე, წელზე და ორივე მხრებზე დააჭერს“.
მაკალ. „მთიულ.“, 161.

**დროშის ტარის დაკვრა:**

იხ. დროშის ტარი.
მაკალ., „ხევსურ.“, 241.

**დროშის ტარზე აბმა:**

„დროშა, რომლითაც ხატიონნი პროცესიას წინ მიუძღოდნენ, სახელდახელოდ გააკეთეს თამარის ხატიდან ლაშარში წამოსვლის წინ. თამარისადმი შეწირული ფერადი (თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი) „საკადრისები“, რომლებიც თამარის ხატის გალავანში ხეების ტოტებზე ეკიდა, ჩამოხსნეს, დროშის ტარზე აბეს, შემდეგ ტარს ზემოდან პატარა ზარი ჩამოჰკიდეს და თავზე ოქროსფრად მოელვარე ლითონის ჯვარი დაამაგრეს. ასე გაჩნდა ლაშარობაზე ხატის დროშა“.
ბარდაველ. „ივრ. ფშავლ.“, 134—135.

**დროშის ტარით ჯვარად გასმა-გამოსმა.**

იხ. დროშის ტარი.
ბეს. გაბუური, 123.

**დროშის უკუქცევა:**

„და იქმნა უკუ-ქცევა სვე-სვიანისა სრულისა და მაღლისა, და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა. რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდისა დავითისდა გამარჯვებათ, აქა ჟამამდე დროშა იგი სვიანი დავითისა გამარჯვებული, არა სადა ძლეულ იყო...
ჟამთააღმწერ., ბროსე, 347.

**დროშის ფრიალი:**

„გვერდით დავუბი ლურჯაი,
ტიროდა როგორც ქალია.
თავით დაუდგი დროშაი,
აფრიალებდა ქარია.
თევდორ., II, 121—122.

„თავით დაურჭვე დროშაი,
აფრიალებდა ქარია.
იქვე, 125.

**დროშის ქეშიკი:**

„ამისნი დროშის მტვირთველნი ნორიას ჰიჰინაძენი ყოფილიყვნენ და ჩვენცა მათვე მივანდევით... ოდეს დროშა წაასვენონ, ერთს ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაცსა ჭელთა მიათვალევდენ და სხვანი ჰიჰინაძენი გარე შემოეხვეოდენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა...:“
ღვთაებ. გუჯ., 42.

**დროშის ქვეშ ფიცი:**

ბექურის ძისი ლაშქარმა
ფიცი ჰქნა მეუფისაო:

---

[1] ჯარის მნიშვნელობით.

ნუ ვუღალატოთ ერთ ურთსა,
დროშის ქვეშ ფიცავდისაო.

ძვ. საქ. II, განყ. V „თუშ. ლექს“. 41.

**დროშის ყოფნა კარში:**

„სანამდი მაშულლარ საკლავს არ მაიყონს, დროშა კარში იქნების“.

ბეს. გაბუური, 124.

**დროშის ყური:**

„თუშური ხატის დროშა თეთრი მიტკლისაა, ოთხკუთხედია და სამ ყურზე მიკერებული აქვს წითელი გრძელი სალტა...“

მაკალ. „თუშეთი“, 197.

**დროშის შევედრება:**

„მოიღო დროშაჲ სუიანად ჴმარებული გორგასლიანი და დავითიანი და შეავედრა მასვე ვარძიისა ღმრთისმშობელსა; დროშაჲ და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს და მისცა დროშაჲ ზაქარია ამირსპასალარსა“.

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 132—133.

**დროშის შესამოსი:**

„დროშა შემოსილია ფერად თავშალით. დროშის შესამოსს ქალები სწირავენ ან ზოგჯერ მას ხუცესი შემოსავს“.

მაკალ. „ხევსურ.“, 262.

**დროშის შეღება** (შეტანა).

„შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი, და შევიდა თამარ და დავით ვ~ა მზისა შარავანდედი მიფენითა, და შეიღეს დროშა ნუქარდინისი“.

„ბასილი ეზოს მოძღ.“, 29.

**დროშის შეწირვა:**

„ჩუენ კუჭაიძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი, მაცხოვარო მულახისაო, და ბუკი კარგი... დროშა ესე ოქროქსოვილის ხავერდისა შეიწირე და გაგვიმარჯვე“.

„ექსპ. ლეჩხ.-სვან.“, 257.

„შევებენით იმერელ მეფესა გიორგის, ვსძლიეთ... გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა“.

„ილორ. ხატ. წარწ.“, 156.

(„წიფორის წმ. გიორგის ძლიერი ხატი)... ეკლესიის გარშემო ჩამწკრივებულია გრძელი ჭლოკები, რომელზედაც ფრიალებენ თეთრ-წითელი ქსოვილის ნაჭრები (დროშა). ხატის ამ დროშებს ხატს უცოლო ვაჟები სწირავენ. ამ მიზნით ისინი ტყეში სჭრიან წიფლის ან ნაძვის მაღალ და სწორ ჯოხს, რაც შეიძლება გრძელს, რომელსაც წვერზე ფერად ნაჭერს შეაბამენ. აღდგომა დილას ვაჟები ამ დროშით წიფორის ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან და შემდეგ მათ გალავანში ჩასვამენ. დროშას ხელს არავინ ახლებს, სანამ დროშა თვითონვე არ წაიქცევა და არ დაიშლება. ხალხის რწმენით ამ დროშის შეწირვას ის მიზანი აქვს, რომ შემომწირველი ვაჟი ხატმა ცოლ-შვილის ღირსი გახადოსო. წიფორის წმ. გიორგის განსაკუთრებით წულიანობას (შვილიერობას) და ვაჟიანობას შესთხოვენ. ამ მიზნით მას ვერცხლის თასებსა და დროშას (ბავრაყს) სწირავენ.

მაკალ. „მთიულ.“, 165—166.

**დროშის ძალი:**

„სანამდი მაშულლარ საკლავს არ მაიყონს, დროშა კარში იქნების და ამ დროშაის ძალით ბევრ [illegible] ბას“.

ბესარ. გაბ., 124.

**დროშის წაკვრა თავზე:**

„პირიმზის ხატობაში ...დეკანოზს თავზე თეთრი დროშა (ხილაბანდი) ჰქონდა წაკრული“.

მაკალ. „მთიულ.“, 161.

**დროშის წართმევა:**

„დროშა წაართუეს ერეკლეს, ლაშქარი დაუჴოცესა“.

„შაჰნავაზ.“, 185.

**დროშის წარმოგზავნა:**

„წარმოეგზავნა ხალიფას დროშაჲ მისი“.

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 104

**დროშის წარმოცემა:**

დროშაცა თჳსი წარმოეცა ხალიფას“.

„თამარის ისტ.“ ქ. ც~ა ბროსე., 304.

**დროშაჲს წარღება:**

„წარუღეს დროშაჲცა, ხალიფასაგან ლაზოდ წარმოგზავნილი“.

„ისტ. და აზმ.“, კეკელ., 107.

**დროშის წარძღვანება:**

(მეფის დავით გიორგის ძის დროს) „მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშკარნი სამისა ამის ჴევისანი... წარიძღვანეს დროშა და აღემართნეს ორსა მათ ქედსა მთასა ლომისისა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელთ გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი“.

„ძეგლი ერისთავთა“, ქრონიკები II, 9.

**დროშის წასვენება:**

„ოდეს დროშა წაასვენონ“.

„ღვთაებ. გუჯარი“, 42.

**დროშის წვერი:**

„დროშას წვერზე წამოცმული აქვს სფეროიანი ჯვარი“.

მაკალ. „ხევსურ.“, 262.

„ამ ლოდს გადააბრუნებენ... მის ქვეშ... დეკანოზი... დროშის წვერით ჯვარულად ღარავს“.

მაკალ. „მთიულ.“, 159.

**დროშის წინაშე შეფიცვა:**

„დარისხება — შეფიცვა ხატის და დროშის წინაშე სოფლის ერთგულობაზედ“.

ხიზან. „ეთნოგრ.“, (ფშავ-ხევსურ.), 25.

**დროშის ხვივილი** (იხ. აგრეთვე დროშის ხუვილი):

„აღარ ხვიოდა დროშაი, ლაღი გუდანის ჯვარია“.

„ხალხ. სიტყვ.“ 99; ხევსურ. 1874.

**დროშის ხლება:**

„გორგასლიანი,
დავითიანი
დროშა იახლის
მსრველად მტერთათვის“.

აბდულ-მესია, კა, 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დროშის ხუვილი:**
„ყველაის საწყინარია დადგომა ბორაყისაო,
აღარ ხუოდას დროშაი ლაღის კარატის ჯვრისაო“.
შანიძე, „ხევსურ.“, 24.

**დროშის ჯარი:**
„მოვიდნენ გუნდ-გუნდად ჯარები აზატხანისა და მეფის ერეკლეს სამსავ დროშის ჯარს ალყად გარს შემოერტყა“.
პაპ. ორბელ., 436.

„ერანის გზასა გამოჩნდა მტვერშიგა დროშის ჯარია“.
შაჰ-ნამე II, 84 (3555).

**დროშისათვის[1] განჩინება თავადთა:**
„ესე სახასონი და თავადნი ესრეთ განუჩენიათ რუს-თვლისა და დროშისათვის“.
ღვთაებ. გუჯ., 44.

**დროშისათვის[1] განჩინება სახასოთა:**
„ესე სახასონი და თავადნი ესრეთ განუჩენიათ რუს-თვლისა და დროშისათვის“.
იქვე, 44.

**დროშისათვის თხოვა მადლისა:**
ბეს. გაბ., 123.

**დროშისათვის სამსახური:**
„სადაც მეფის ერეკლეს რაინდობაზედ თვალი დამრჩომია, სადაც იმისის გამარჯვებული დროშისათვის მიმსა-ხურნია“.
„მოთქმით ტირილი“, 57.

„...ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე?“.
„მოთქმით ტირილი“, 57.

**დროშისათვის შაბმა ზარისა:**
„ქადავობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჯვარიო:
საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო“,
სამი ააბან დროშაი, სამსავ შააბან ზარიო,
ჭევსურებ დაამწყალობლან, უკუღმ არ გახყვას ჯვარიო;
გაბეგრან არხოტივნები, კვამლზე აიღან ცხვარიო“.
გაიგა არხვატის ჯვარმა, წელზე შაირტყა ჭმალიო“.
შანიძე, „ხევსურ.“, 73.

**დროშისათვის შაჲსნა ზარისა:**
სიკვდილსა ხახონისასა წყინობს კარატის ჯვარია:
ნაროვნის ღელე გამიტყდა, დროშას შამიჴსნეს ზარია“.
იქვე, 63.

**დროშისათვის წინგაძღომა მზისა და მთვარისა:**
„მზე... და... მთოვარე... მეფის ერეკლის გამარჯვებულს დროშას წინა უძღოდენ“.
„მოთქმით ტირილი“, 54.

**დროშების გაყრევინება:**
„სულ დაიჭირეს კრწანისი, ციხე და გარ თაბორია...
რაც ხანი იყო, ყველასა გააყრევინეს დროშები“.
„კათალიკოზ-ბაქარიანი“, 8, 9.

**დროშების დარჩენა:**
„ასეთი გამარჯვება მოუხდა მეფეს ერეკლეს, არას დროს ქართლში ამისთანა გამარჯვება არ მამხდარიყო და არც ამ რიგად ყიზილბაშს ქართლში დამარცხებოდათ. ხანებს დროშები აქ დარჩათ...“
პაპ. ორბელ., 406.

**დროშების დაყუდება:**
„ხატობის დასასრულს ზოგჯერ ხატიონს „ღამის თევაში“ გაიწვევენ, ღამის თევას ხევსური მაშინ აწყობს, როცა, მკითხავის მითითებით, მას რაიმე მიზეზი გამოუვა, და ხატიც მის ოჯახს ვნებს და ზარალს აყენებს. ...ხატიონი სახლის ბანზე დგება, დროშებსაც იქვე დააყუდებენ“.
მაკალ. „ხევსურ.“, 266.

**დროშების წაძღვანება:**
„საქართველოს ჯარები, ვითაც დროშები, წინ წაიძ-ღვანეს“.
(ოტიას, მარიამ დედოფლის შვილის, დასაფლავება).
ფარსად. გორგიჯ., 524.

**დროშათა აბმა:**
„გათენდეს, — ქოსი, ნაღარა პილოსა მოაბენითა,
ქაიანური დროშანი ტახტზედან ააბენითა“.
შაჰ-ნამე I, 737 (2727).

**დროშათა აღმართვა სეფესა წინ:**
„...მოფარდაგნეს სეფე და მოიტანეს დროშანი ოთხნივე და აღმართნეს სეფესა წინ და თვის თვისი ჯარი გარსა შემოეხვივნენ“.
პაპ. ორბელ., 384.

**დროშათა გაკეთება, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო:**
„ბძანა მეფემ დროშათა გაკეთება. გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი...“
იქვე, 383.

**დროშათ გამართვა:**
„აცნობეს დედოფალსა მისვლა ჩვენი და შეიქმნა მას ქალაქსა შიგან მზა დიადი, და წამოაყენეს ზედან მებუკე და მედაფდაფე-ნი, და გამართეს დროშანი მრავალფერნი, და სცემ-დეს ზარსა“.
ამირ-დარეჯ., 1896 წ., 244.

**დროშათ დაჩუმება:**
„დასჩუმებიან დროშანი, აღარც ერთ იძახს ზარიო.
ციხეთა ბაცალიგურთა, მაღალთ, დახარეთ თავიო, —
დაგიგვიანდათ ლომნი, აღარ მოგივათ ქარიო.
ქალო და ზალო იგვლიეთ, საყურ დაყარეთ, ცვარიო“.
შანიძე, ხევსურ., 18.

**დროშათ დგომა წინ:**
„ყმაწვილო, სეილანი ხარ წითელი ჭარმაგოსანი,
წინა გიდგია დროშანი, ლახტი გაქვს პატიოსანი“.
„ხალხ. სიტყვ.“, ქართლი, 13.

**დროშათ კაზმვა:**
გუდან ხკაზმებენ დროშათა, სალაშქროდ ლამებ-დიანო“.
შანიძე, ხევსურ., 69.

---

1 ჯარის მნიშვნელობით.

1 ჯარის მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუდან ხკაზმევენ დროშათა, სალაშქროთ ლამევ-
დიანო.

ხალხ. სიტყვ., 59, ხევი, 1870.

**დროშათა მიერ განშუენება მთათა:**

„მთანი... განშუენდეს დროშათა მიერ... ვითარცა ყუავილთა მიერ ველისათა.

ლეონტი მროველი, ბროსე., 73—74.
იხ. (შენიშვნა).

**დროშათა პყრობა:**

„მოუწოდა პილატე რ~ლთა იგი ეპყრნეს დროშანი და ბუნნი იგი დრაუქთანი პირვ´ლდ.

აპოკრიფ. ვნების მაცხოვრ., 195. (სინის მთ.).

**დროშათა სიმეწამულე:**

„მოვიდა სულტანი სპითა საზარელითა... აქათ თათართა განაწყვეს რაზმი... დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამღვრელობასა მტერთასა“.

ქამთააღმწერ., ბროსე., 363.

**დროშათა[1] შეყრა:**

„შეჰყარა დროშა თორმეტი, მოვიდა მთასა კოლისას“...

„არჩილიანი“ II, 96 (827).

**დროშათა წამოყენება:**

„სცემდეს ბუკსა და დაბდაფსა, წამოაყენეს დროშანი მრავალნი და ზმა იყო დიადი“.

ამირ.-დარეჯან., 250.

**დროშათ წევა სისხლისა:**

„წაიყვანენ ამ ქალს (დაჭელთილს) ჯვარის კარ... მავას
ხუცესი, დახჭოცს საკლავებს, უწევს დროშათ
სისხლს“.

ბეს. გაბუური, 153.

**დროშათათვის[1] მიბოძება:**

„ვინცა მეფემან, ანუ უფლისწულთ ერთი რომელიმე სახასოთა სოფელთაგანი, ანუ თავადნი, გინა აზნაურნი გამოაჴვან, ანუ თავ-თავისთვის, ანუ სხვათა დროშათა მიუბოძოს,... ესე... წყევანი... თავსა მათსა ზედა დაუქდების“.

ღვთაებ. გუჯ., 44.

**დროშასა[1] ქვეშე მიბოძება:**

„რავდენნი ფუძენი და თავადთა ძენი მიუბოძებიან დროშასა ქვეშე“.

იქვე, 42.

**დროშასა შაწყდომა ზარისა:**

„ციხე სტირს შუქიაურთა, უჴმობს ქვიტკირის კარია,
სიკვდილსა მარტიაისას იწყენს წყალ-შუის ჯვარია:
„ორივ დამექცა ბეღელი, დროშას შამიწყდა
ზარია“.

ბეს. გაბ., 237.

**დროშასა[1] შეყრა:**

„ესრეთ შემოეყარნენ მღ~თაებისა დროშასა“

ღვთაებ. გუჯ., 43.

---

[1] ჯარის მნიშვნელობით.

**დროშასავით თვალის ცემა:**

„ეგ ჩემი ვაცის ტყავები
უხდება ჩოხასავითა,
ზედ არტყავ ვერცხლის ქამარი,
თვალ უცემს დროშასავითა“.

თევდორაძე II, 94.

**დროშასთან შენატყუბი დროშა:**

„ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და ალამი უბია,
დროშა არაბთა მეფისა მისთანა შენატყუბია“.

ვეფხ. ტყაოს., 328 (1607).

**დროშაზე[1] მიბრძანება:**

„მეფე ერეკლე ხან ერთს დროშაზე მიბძანდის და ხან მეორეს დროშაზე“.

პაპ. ორბელ., 421.

**დროშაზედ ჭდეებ ყრა:**

თუშთა, ქევსურთა, მშაველთა ლაშარს პირობა შაკრიან.
უბრძანებს ლაშარის ჯვარი: აჭვაში ჩასვლა მწადიან“.
„ერთმანეთს ნუ ვუღალატებთ!“ ჭდეებ დროშაზედ
ხყარიან.

შანიძე, ხევსურ., 74.

**დროშაზედ ჯდომა (ლომისა, თუ არწივისა, თუ ფარშამანგისა, თუ ორბისა):**

„ქუეყანა ნაძუისა ტყესა ჰგუანდა მრავალფერისა დროშისაგან; ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი“.

„ვისრამიანი“, 24.

**დროშაითა აღვსება:**

„აღივსნეს მთანი იგი დროშაითა და ერითა ვ~ა ყუავილითა“.

„ც~ა წმ. ნინოსი“ (Опис. II, 751).

**დროშაით [დაბრუნება მამულისა]:**

„აბაისძემ შაიდვა დროშა მჭარზედ და ისე დაუარა ადგილს. დაიბრუნა თავის მამული“.

ბეს. გაბ., 173.

**დროშით დაკაზმვა:**

„ქოს-ნაღარითა, დროშითა დაჰკაზმნა ტან-ნაკუ
თიანი“.

შაჰ-ნამე I, 328 (1188).

**დროშით (დროშაით) დაკოჭვა:**

„მაცილ-ეშმაკისაგან მოხიბლულს ხევსურები კარატის დროშით „აკოჭვინებენ“. მოხიბლული გულმავიწყი ხდება თურმე, ხშირად ავადმყოფობს. კარატის დროშის წინ ავადმყოფს დააჩოქებენ და იქვე საკლავ ცხვარსაც დააყენებენ. ხუცი აიღებს დროშას, სამჯერ ავადმყოფ ქალს დროშის ყლარუნით შემოუვლის და იტყვის:

„გმირო კოპალა, ლაღო ლახტიანო, დაჰკარ ლახტი, იხმარე შენი ძალი, უშველე ამ ქალს შემოხვეწილსა, მოაშორე მაცილი და ეშმაკი“.

მაკალ. ხევსურ., 241.

„ეშმაკები კაცსაც ებრძვიან და დიაცსაც, უფრო კი ქალებს... (დედ-მამა) წაიყვანენ ამ ქალს ჯვარის კარ... მავას ხუცესი, დახჭოცს საკლავებს, უწევს დროშათ სისხლს. მემრ

---

[*] ჯარის მნიშვნელობით.

ქალს დასომს ერთ ალაგში და შამაუვლის მირგვლივ დროშაით, დახკოჭავს ქალს, მაშინ ეს ხთიშვილი დახპატრონდების ამ ქალს, იმ ეშმაკს მაშიავ მააშორებს.. დაკოჭვილ ქალს წლით თითო საკლავ (ბატკან ან ცხვარ) უნდ დროშათ სანათლავად იმ ხთიშვილში, რომელს ხთიშვილშიაც დაკოჭვილი ას.

ბეს. გაბ., 152—153.

**დროშით დამწყალობება:**

(გზონის ან მგზოვანის წვერის ანგელოზი)... ხატის ნიშზე დროშაა მიყუდებული... დეკანოზი ხელში ამ დროშით ამწყალობლებს ქავთარაძეების საგვარეულოს".

მაკალ. „მთიულ"., 164—165.

„მარიამწმინდობას ბავშვები რომ ბანზე ავლენ, დროშას აიღებენ და პირველად სოფელს დაამწყალობნებენ".

მაკალ. „ხევსურ.", 228.

**დროშით დაფიცება:**

„როცა ბჭეებისაგან მოდავეს ფიცი დაედება, თუ მამული დიდია, ფიცი უეჭველად დროშით უნდა მოხდეს: დროშით დაფიცება სხვა საქმეზედ არ შეიძლება... მოფიცარი უნდა გაიწმინდოს... როცა დაფიცება დაიწყობა, მოფიცარმა პერანგისა და შარვალის ამარა საკინძგახსნილმა და ფეხშიშველმა დროშა ხელში უნდა დაიჭიროს და ისე შემოუაროს მამულს გარშემო. ...მოფიცარს გვერდით „ხელის მამკიდე" უნდა ედგას. „ხელის მამკიდე" მოფიცარის ახლო ნათესავია; ისიც უნდა გაიბანოს, როგორც თვით მოდავე, გვერდით მოუდგეს და მოდავის სიტყვა დააჭეშმარიტოს,—მართალიაო, თუ არა, მრისხავდეს დროშა და ხატიო".

ხიზან. „ეთნოგრ.", (ფშავ-ხევსურ.) 60.

**დროშით ელვა:**

„წითელ-ყვითლად, მრავალ-ფერად, ელვა შეიქნა დროშითა".

შაჰ-ნამე II, 309 (5235).

**დროშით თამაშობა:**

„(კოპალობა)... ფერხისა გაგრძელდა ნახევარ საათს, შემდეგ დაუკრეს ფანდური და პირველად ხელში დროშით დასტურმა ითამაშა. მას თითქმის ყველანი გაეთამაშნენ.

მაკალ. „ფშავი", 193.

**დროშით მოყვანა სულისა:**

იხ. დროშა კარატისა.

მაკალ. „თუშეთი", 180.

**დროშით ფიცი:**

იხ. დროშით დაფიცება.

ხიზან., „ეთნოგრ." („ფშავ. ხევსურ."), 60.

**დროშით შემოვლა:**

„აღდგომა დილას ვაჟები ამ დროშით წფორის ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან".

მაკალ. „მთიულ.", 166.

**დროშით შემოსვა ბავრაყისა:**

„ბავრაყი წითელ დროშითაა (ნაჭრებით) შემოსილი".

იქვე, 171.

**დროშით წარვლენა:**

„გიორგი წარავლინა ძმა თჳსი ლევან შიდა-ქართლის დროშით".

ვახუშტი, „საქ. ისტ.", 55.

**დროშით წასვლა:**

„რა მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წავა..."

„კარის გარიგება", 2.

„მანუჩარ წინ გავიძღვანოთ, ერაჯის ქალის ძენია,
დროშით წავიდეთ ყუელანი, ვინც კაცი ვიყოთ მძლენია".

შაჰ-ნამე I, 110(363).

**დროშით ხლება:**

„მე ფარემუზს ვიახლები დროშითა და ნაღარითა,
მტერის პირსა მე შევლებავ იის ფერად ჭმლისა კრვითა".

შაჰ-ნამე II, 49 (3305).

**დროშებით გასწორება რაზმისა:**

„არ მომიგონებთ, რას იტყვით, როს მუზარადი ელევდეს,
რაზმი გასწორდეს დროშებით, ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვირთ ხმა იყოს, ცხენნი კაცთ ფეხით ქელევდეს".

იოსებ თბილელი „დიდმოურავიანი", ტფილისი 1939, 48.

**დროშად განწყობა ჯარისა:**

„განაწყვეს ჯარი ქართველთ და კახთ ოთხს დროშად".

პაპ. ორბელ., 421.

**დროშად შექმნა ჯვარისა:**

„შეუდგა ალექსანდრე კეთილსა კვალსა მამისა თავისისა გიორგი მეფისასა, მეფემან ალექსანდრემ და შექმნა ჯვარი დროშად წინამძღვარი ცხოვრებისა და წამმართებელი მეფობისა თვისისა პატივად და წინასამძღლოდ დიდისა მღვდელმთავრისა დროშად სამთავისის ეპისკოპოზისა..."

ა. ხახანაშვილი, „გუჯრები", ქუთაისი, 1891, 38.

**დროშა-ალამი:**

„მოვიდა, შეჯდა ტახტზედა, სად უდგა დროშა-ალამი".

შაჰ-ნამე, I, 87 (284).

**დროშა-ალამის დგომა:**

იხ. დროშა-ალამა.

იქვე, 87 (284).

**დროშა-კარავი:**

„ზახილით და ტირილითა დროშა-კარვები გაუშვეს".

შაჰ-ნამე II, 134 (3923).

**დროშა-ნაღარის დალეწვა:**

„დაიპარსნეს და დაშიშვლდეს, თავს მოიჭადეს ქუდები,
დროშა-ნაღარა დალეწეს, ცხენებსა დასჭრეს კუდები".

შაჰ-ნამე I, 103 (342).

**დროშა-ნაღარის მქონე:**

„სხვა დიდებულნი ოთხასი თვითოს ადგილის ბეგია,
დროშა-ნაღარის მქონები, ჩადრ-ოთაღისა მდეგია".

იქვე, 64 (200).

**დროშა-ნაღარის პატრონი:**

„მე ესე წიგნი შევამკვე გიორგი მალაქიამან,
უფლისწულ ციხისა თავმან და გვარად აბაშიძემან,
სვერ-შორაპნისა მქონემან, თავ-სახლად ჭალა-ტყიანმან
და დროშის-ნაღარის პატრონმან მორჭმით სიმდიდრით მე ამან.
მას ჟამსა მეფე მესიძა, შვილი მივეცი თამარი... (მინაწერი):
„... აბაშიძემან ბატონმა გიორგიმ... შემოგვწირა... გულანი ესე...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ დღეს ბატონ აბაშიძისთვის ვსწიროთ“. ქკ~სა ტქგ — 1705 წელსა.

Опис. рук. Церк. Муз. 204—206.

**დროშა-ნალარის ხლება:**

(„ლაშქარნი)... მასვე წამსა წამოვიდეს,
დროშ-ნალარა თან იახლნეს“.

შაჰ-ნამე I, 277 (1010).

**დროშაიანი (ხემწიფის დროშაიანი):**

(თუშეთის გმირები)
„...ქეშოს აბალოს დავითი —
ხმალია ბასრის ფხისაი;
დანოში თავბერაიძე —
პურ-წყალი თუშეთისაი;
ჩილოს ქაზნიძე მეშველე
ხემწიფის დროშაიანი.

ძვ. საქ. II (განყ. V) თუშური ლექს., 3.

**დროშიანი:**

„ცხენ აბჯართა დაკაზმული. დროშიანი რაც იშოვა და ნალარითა, ბარგ-კარვითა, ფალავნები ბევრი მოვა“.

შაჰ-ნამე I, 336 (1220).

**დროშოსანი:**

„დიდითა ლაშქრითა მოვიდა საფადარი შადიდ, ჰყვანან მრავალი დროშოსან-საგდებლოსანი საომრითა დაკაზმული ქარქისანით და საგსარით მეომარნი დევნი“.

შაჰ-ნამე II, პროზ., 432.

**დროშაკი:**

„ქ. მე: მეფეთა მეფსა დიმიტრს... ლმნ და სოლტანთა დიდთა... ლბით, კუალად[1]... ლინ და და... ან მეფისა გ~გსმ~ნ რო´ ლისა ბრძანებითა: ვიმოქმედე: დროკაში: ესე: ვი... ამისისა ს... ლოფლობასა შ~ნა: მთისა: გნყოფისა: ძლით: მახოილნი: ვილმენ: სლისა: გასალევნელად[2] ხ~ო: აწ სჯსნდ მთდა ესე შნდა: შევსწირე ქე სტყოაო ღ~თს~ა: დედოფლმნ რსდან:
(წარწერა დროშაკზე).

Путеш. по Гур. и Адч. 102.

**დროშაკის მოქმედება:**

„ვიმოქმედე დროშაკი“.

იქვე, 102.

**დროშაკის შეწირვა:**

„დროშაკი.. ესე შენდა შევსწირე, ქრისტე სიტყუაო ღმრთისაო“.

იქვე, 102.

**თავი-დროშა:**

„...დროშა ჰქონდათ დიდებულ თავადთა... ქართლში იყო ამ თავ-დროშების გარდა სხვა წვრილი დროშები, წვრილ თავადთა, თემობათა და სოფელთა, რომელნიც შეიკრიბებოდნენ თავ ზემოხსენებულ დროშათა წინამძღვრობით ომში, ანუ დღესასწაულში ცალ-ცალკე. თვითეული თავ-დროშის საწინამძღვრო შეადგენდა სასარდლოს...“

„დასტურლამალი“. ლექსიკონი. (სიტყვა „დროშა“). გვ. 168—169.

**ლომი:**

„ქ. უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ქევსა ბედნიერისა სუანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ ჩემ დიდისა მონასტრისა წინამძღურისა გრიგოლ კოპასძისაგან მოჯსენებული“.
(წარწერა ლომის შუბის პირზე).

„ექსპ. ლეჩხ.“, 273—274

---

[1] დაბეჭდილია: კუალდა.

[2] დაბეჭდილია: გასაზევნელად.

**ლომისა თავი:**

„აუწერეთ ზე მთავარ მოწამისა ხატები. ორმოცდაშვიდი ხატი ყოველი უფროს და უმცროსი. ერთი ლომისა თავი.

„სვან. საისტ. ძეგლ.“, 56.

**მებაირახტე:**

„მებაირახტე აიღებს ნიშანზე დასვენებულ ბაირაღს
იხ. ბაირაღი.

მაკალ. „თუშეთი“, 176.

**მედროშაე (იხ. აგრეთვე: მედროშე):**

„მედროშაე — ხუცესი, რომელიც დროშას ემსახურება, რომელიც დროშას საჭიროებისამებრ სადმე თან წაიღებს „ხატიდან“ და მერმე ისევ თან მოიტანს“.

შანიძე. ლექსიკონი, ბესარიონ გაბუურის მასალებისათვის, 271.

არხვატ და ქევსურეთ კშირად იციან ჯვარის სტუმრება შინ, ღამის თევა... მაწევარ მივას ჯვარში, შაატყობიებს ჯვარიონთ... მედროშაე აიღებს დროშას, შაიდებს მჯარზე... ეს მედროშაე და დასტურ-ჭელოსნები სოფელს რო მიუახლოვდებიან, ღამის მთეველ ჯვარიონთ მიაგებებს გზაში ლუდს... მედროშაე მივას ბანზედ და ერთს ალაგში დახყუდებს დროშას და დაამწყალობნებს ღამის მთეველს... საკლავს დასტურ დაიჭერს, წააყენებს მედროშაესთან, მედროშაე იხუცებს, დახკლავს საკლავს... დაიბანს ჭელთ... ჩამაჭდებიან შინ ჭერხოს.... იხუცებს კიდევ მედროშაე და დაამწყალობნებს კიდევ ღამის მთეველს, მემრ დაიწყებენ სმას... თან იმღერენ ჯვარიონთ საქებ სიმღერეებს...
ახლა საკუთრივ მედროშაეს უმღერენ ამ სიმღერებს:
„ბეწინას მედროშაესა მშვილდს უმზადებენ, ისარსა,
მჭართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიჯვში ნარჩევის რქისასა“...
...დილას კიდე ღამის მთეველ ჟამის საწირს მაიტანს... მედროშაე კიდე იხუცებს... შუადღე რო მავ... ადგების მედროშაე... დასწერს ჯვარს... აჭდების ბანზედ დროშასთან, აბძანებს დროშას... კიდე იხუცებს მედროშაე, კიდე ბანზე გალმართვენ ტოშ-ფანდურს. მემრ მედროშაე დროშაის ტარით სამჯერ ბანს ჯვარად გაუსვ-გამაუსომს, შაიდებს მჭარზე დროშას და გაემართების...

ბეს. გაბუურ., 121—123.

**[მედროშაეს] მშვილდი:**

„ბეწინას მედროშაესა მშვილდს უმზადებენ, ისარსა,
მჭართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიჯვში ნარჩევის რქისასა.

შანიძე, ხევს., 229.

**მედროშაეს ხუცობა:**

იხ. მედროშაე.

ბეს. გაბ., 121—123.

**მედროშე (მედროშეები):**

„კულტის მსახურნი არიან ხევის ბერი, მედროშე და დასტურები. ამათი მოვალეობა, ზოგადად, იგივეა, რაც ხევსურების ხუცების, მედროშეების და დასტურებისა.

თევდ. II, (ფშავი), 76.

„უწინდელი მედროშეების მოვალეობა ჩანს ხოშარელ ხახა გაბიდაურის ლექსში:
„მივნატრი დაბადებასა ხოშარის ხახაისასა,
აისხამს იარაღებსა, ანგელოზსა ჰგავს ცისასა.
მხარზე გაიდებს დროშასა, ლაღი ლაშარის
ჯვრისასა.
...თარესში წამოაყენებს ნაჩვევებს ფშავლის შვილებსა“.
მედროშეების ასეთი უწინდელი მნიშვნელობა და მოვალეობა დიდი ხანია დაკარგულია.

ხევისბერს... ასახელებდა ქადაგი, ხევისბერს ირჩევდენ უვა-
დოდ. შემდეგ ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა.
მ ე დ რ ო შ ე ს ირჩევდენ კენჭის ყრით, — დასტურებს...
ერთი წლით...

ი ქ ვ ე, 76.

„დამწყალობების შემდეგ ხატიონნი ლაშარისაკენ დაიძრნენ.
წინ ქევისბერი გაბრიელა მიუძღვით, რომელსაც შორი-ახლო
მისი დასტური მისდევს საქევისბერო შემოსავლით დატვირთული
ცხენით. გაბრიელას უკან მ ე დ რ ო შ ე დროშას „მიაბრძა-
ნებს“. (ლაშარობა).

ბარდავ. „ივრ. ფშავლ.“, 130—131.

„ქალიმ ვინ მოხვედ ჰეშოსა,
ღმერთმან გაცხონოს მკვდარიო,
ლეკი მოკალი ბელადი,
მ ე დ რ ო შ ე დაღისტნისაო“.

საქ. სიძვ. II (განყ. V) „თუშ. ლექსები“, 1.

—

ღმერთმა იცოდეს, მეწყინა, სიკვდილი ერეკლისაო,
დარჩომა ნაროვანზედა მ ე დ რ ო შ ე ბღარაისაო,
ლეკებისაგან წაღება ბღარაის ბორაყისაო.

შანიძე, „ხევსურ.“, 24.

„დროშა დარჩა. მ ე დ რ ო შ ე ს ა მათ მოჰკუეთეს წმინდად
ჰელნი“.

შაჰ-ნამე I, 148 (500).

**მედროშე სულტანისა:**
(გ~ი III-მ) „რქჳა... ვინმცა პირველად ეკვეთოს მ ე დ რ ო-
შ ე ს ა ს უ ლ ტ ნ ი ს ა ს ა, იგი იქმნების სიმხნითა ჩინებულ...
მეფემან... მიიწია მ ე დ რ ო შ ი ს ა დ მ ი ს უ ლ ტ ა ნ ი ს ა და
ჰსცა ხმალი თავსა ზედა და განუპო ორად...

„კალმასობა“, H 2134, 623r.

**მედროშე ცხენსა მჯდომი:**
„ჰელი სტაცა მ ე დ რ ო შ ე ს ა, აიყუანა ც ხ ე ნ ს ა მ ჯ დ ო მ ი.
ზედ შემოჰკრა დროშის ტარსა...

შაჰ-ნამე I, 162 (544).

**მედროშე, წინაშე სულთნისა მდგომელი:**
„წ ი ნ ა შ ე ს უ ლ თ ნ ი ს ა მ დ გ ო მ ე ლ ი მ ე დ რ ო შ ე
ქვე დააკვეთეს დროშითურთ“.

„კალმასობა“, ხელნაწ. H 2134, 709v.

**მედროშენი რუსთველისა:**
„ამისნი დროშის მტვირთველნი ნორიას ჰიჰინაძენი ყოფილიყვნენ
და ჩვენცა მათვე მივანდევით, ეგრეთ რომე, ოდეს დროშა
წაასვენონ, ერთს ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენოსანსა კაც-
სა ჰელთა მიათვალევდენ და სხვანი ჰიჰინაძენი გარე შემოეხ-
ვეოდენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა, და, ოდეს ადგილსა დაისა-
ვანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა. ოდესცა
ნებითა ღ~ისათა მტერთა სძლონ... ყოველივე ღ~თაების დრო-
შის ჯარის შოვებულისაგან ფანჯიექი საჩვენოდ და სარუს-
თლოდ ასწერდენ ჩვენნი მოჯელენი და რ უ ს თ ვ ლ ი ს მ ე დ-
რ ო შ ე ნ ი, და ერთად შეკრებდენ... ნახევარს ღთაებისა დრო-
შასა და რუსთველს მიართმიდენ, ნახევარსა ჩვენნი მოჯელენი
წარმოიღებდენ“.

ღვთაებ. გუჯ., 42—43.

**მელომე:**
„დაგიწერეთ და მოხაჯსენეთ თქუენ ვახთაგიანსა ბენდანსა და
შენსა ცოლსა მარიამს ჩუენ [ერ]თობილმან ლალვერს და უშ-
ქულს (მუამან) ჴევმან... მას ჟამსა, ოდეს შენითა ნებითა მთა-
ვარ მოწამე სეტისა და ერთობილი ჴევი გვიშვილე. [აწ] ვითა ეგ-
რე შვილებულსა გუმართებს, ეგრე საპატი[ოდ ჩუენცა] შენი
პატივი გავათაოთ. თავად ვითა შენისა გუარისა [————————]-
სა სახლსა ჰქონებია, ეგრე მ ე ლ ო მ ე დ დავაყენ[ოთ ვ...
შენ ბენდანი ცოცხალ იყო, მანამდინ არც მ[————————] მისა
ბეგარი, არცა რაი სხუაი საციხური (?) არა გ[თხო] [ვოთ, არ დი-
დი, არცა] პატარაი, ვისც წაეკიდო, თავდადებ [————————]
შენი საქმე არვის ვათნიოთ, არ მამამან შვილ[სა, არცა ძმამან]
ძმასა. ვისც წაეკიდო, რაც იმას საქმე მოჰყვ[ეს], იმისი პირი და
პასუხისა გამცემი და გარდამ[———ლე] [————————]
ჴევი ვართ. თუ ვის შეაკუდე, ანუ შენ [— — — — — — — —]
ური სრული სისხლი გარდავაჴდევინოთ [შ] [————————მო]
[სპო]ოს უშქულს და ლალვერს [————————]. ოდესც
დაგეჭიროს, ლომი [მოიტანო] [————————] მომართებ
[———]...

სვან. საისტ. ძეგლ. II, 6.

„დაგიწერე და მოგაჯსენე დაწერილი ესე თქუენ თავად მთავარ
მოწამესა და ერთობილსა ჴევსა მე ვახთანგიანმან ბენდე და
ჩემმან ცოლმან მარიამ... მას ჟამსა, ოდეს ჩემითა ნებითა მთავარ
მოწამე სეტისა და ერთობილი [ჴე]ვი გიშვილე, დაგათუალე ჩე-
მი სახლი, მამულ-ეკლესიანი, მ [————]ვარი, ტყე და ველი, მთა
და ბარი, უძრავი და მოძრავი, უძებარი და საძებარი, ყ[ოვ]ლისა
კაცისგან უცილობლად ჩემი თან დამითულია. მერმე სამართა-
ლიც სეტელსა ჰმართებდა; თქუენითა დამოწმებითა, ჩემითა
ნებითა და ნდომითა, ერთი სეტელისა შვილი ჩემსა მ[ომიყვა]ნია.
ვირე მე ვიყო, მემსახურებოდეს; მერმე თქუენითა კითხულობი-
თა თქუენ ჴევსაცა მისთან დაგეთუალა და მე ბენდანსა მისთან
დამითულია, მთავარ მოწამისა მებეგრედ და თქუენ ჴევ[სა]
მოსამსახურედ...“

სვან. საისტ. ძეგლ., II, 6—7.

**მელომე (გიორგი მელომე)** (სეტი).

ი ქ ვ ე, 50.

**მელომე** (სეტი)

ი ქ ვ ე, 51.

**მელომე** (გოშგოთელიანი აზაგ მელომე)

ი ქ ვ ე, 81.

**მელომე** (პატარა ხრთაგიანი)

ი ქ ვ ე, 48.

**მელომე** (პირნათელ ჯაფარიძე)

ი ქ ვ ე, 96.

**მელომე** (ცოცმან).

ი ქ ვ ე, 13.

**სადროშე ხილაბანდები:**
„შეხვეწილები ხატს სწირავენ თეთრსა და ჭრელ ს ა დ რ ო-
შ ე ხ ი ლ ა ბ ა ნ დ ე ბ ს ა ც, რომლებსაც დეკანოზი ართმევს
და დროშაზე შეაბამს.

მაკალ. „თუშეთი“, 199.

**სადროშო:**
„მოსრულ იყო გუზან 12 ს ა დ რ ო შ ო ს კაცითა, წასაყ-
ვანად ცოლშვილისა თვსისა“.

„კალმასობა“, H 2134, 633r.

**სადროშო:**
„ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია
ოთხ ს ა დ რ ო შ ო თ განყოფილი, რამეთუ წ ი ნ ა მ ბ რ ძ ო ლ-
ნ ი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალცი-
ხელნი. და მიმყოლი მათნი, სრულიად მესხნი და კლარჯნი, და

სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა, გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა რიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი...

...ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა... არცაღა იყუნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ქეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოჭევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ, ხოლო იმერთა—რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა-ქისიყი, ხოლო ლაშკრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა მინაწერნნი იყუნენ მოყვანებით; გარნა იყუნენ ოთხ სადროშოთვე კვალადცა, ვითარცა აღვსწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი“.

აღწ. სამ. საქ., 22.

„ნეკრესი... ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი... ამასვე აქვს დროშა სასპასპეტო და არიან სადროშონი მისნი გაღმა-მჭარნი ელისენით...

იქვე, 99.

„ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა... აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავადმდე“.

იქვე, 97.

**სადროშო მემარჯვნე:**

იქვე, 22.

**სადროშო მემარჯვნე:**

იქვე, 22.

**სადროშო მეოთხე:**

„ეს ოკრიბა-რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგვეთისა, და დასავლეთისა ნაქალაქევის საერისთოსი, შემდგომად იქმნა ქუთათისის საერისთოსი და აწ—მეოთხე სადროშო ლეჩხუმითურთ, მეფისა თანა მყოფნი.

„აღწ. სამეფოსა საქართვ.“, 165.

**სადროშო მეორე:**

„(არგვეთი)... არს მეორე სადროშო.

იქვე, 163.

**სადროშო მესამე:**

„ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთობა, და აწცა არიან იგინი ერისთვად რაჭას, და არს მესამე სადროშო.

იქვე, 162.

**სადროშო პირველი:**

„არგვეთის სამჴრით არის საჩხეიძო... აწ პირველი სადროშო.

იქვე, 163—164.

**სადროშო (წინამბრძოლთა):**

„ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი და მიმყოლი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა რომელნი ეპყრათ.

იქვე, 22.

**სანჯუხ (დროშა):**

მამისავ, მამისავ სოლემან,
ხომ გეუბნებოდი, მამილამ,
ჩერქეზეთს დროშას ვერ აიღებდი.

სვანური პოეზია, 165 (№ 51).

(იგივე სვანურად)
ბუვა̈შ, ბუვა̈შ სოლემა̈ნა,
ამ ქურ ჯაყგლ, ბუაჯ ღვარა
ქა̈შგიშ სანჯა̈ხს დეშ ხიკა̈დდა̈ს.

იქვე, 164 (№ 51).

„ჯარის მეთაურობას ვერავინ ბედავს,
ყველა დროშას (ჯარს) სწავლობს,
დროშას ვერავინ იღებს.

იქვე, 65.

(იგივე სვანურად)
ჯა̈რი ლითხვმის და̈რ ა̈ჰირე,
მა̈გ სა̈ნჯა̈ხის ხეთურჲელე
სანჯა̈ხს ყი̄ი და̈რ მოშ იკედ.

იქვე, 64.

ორი დროშა ამიღია.

იქვე, 163 (№ 51).

(იგივე სვანურად)
ჲორი სანჯა̈ხ ყი̄ვ მაკიდა.

იქვე, 162 (№ 51).

**შუბი ბაირაღისა** (ფსალმუნის მუხლები მასზე დაწერილი).

იხ. ბაირაღი.

ექვთ. თაყაიშვ., „ხონის ეკლეს.“, 283.

**შუბი სეფე ალმითა:**

„დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავგადაჭედილ[ნი], ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა“.

კარის გარიგება, 9—10.

**ძელნი დრაოჟთანი:**

აპოკრიფი ვნებ. მაცხ. (Марр) 025.

„მოდრკეს ძელნი იგი დრაოჟთანი... იტყოდეს ჰურიანი იგი მათ მიმართ, რომელთა ეპყრნეს დრაოჟნი. რაჲსათვის მოსდრიკენით ძელნი ეგრე დრა<ო>ჟთანი...

იქვე, 025.

**ძელთა დრაოჟთათა მოდრეკა:**

იხ. ძელნი დრაოჟთანი.

იქვე, 025.

**ძელთა დრაოჟთათა პყრობა:**

იხ. ძელნი დრაოჟთანი.

იქვე, 025.

**ძელნი დრაუჟთანი:**

„მოდრკეს ძელნი იგი დრაუჟთანი და თყ~ნისც~ს.

იქვე, 194, (24—25) სინის მთ.

გუეპყრნეს ძელნი დრაუჟთანი.

იქვე, 194, (33—34) სინის მთ.

**ძელთა დრაუჟთათა მოდრეკა:**

იხ. ძელნი დრაუჟთანი.

აპოკრიფ. ვნების. მაცხოვ., 194, (24—25) სინის მთ.

**ძელთა დრაუჟთათა პყრობა:**

იხ. ძელნი დრაუჟთანი.

იქვე, 194, (24—25). სინის მთ.

**ძელნი დროჟათანი:**

იქვე, (Марр) 33, 34.

**ხილაბანდები:**

იხ. სადროშე ხილაბანდები.

მაკალ. „თუშეთი“, 199..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტ ა ბ უ ლ ე ბ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქერქუკის საბეჭდავები დროშების გამოხატულებებით



მზის გამოხატულება სიპარას რელიეფიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა







ასურული დროშები

ყაზბეგში განათხარი დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა





მეფის მცველთა დროშები



დროშა ცხენოსნის ხელში

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ამილახვრიანთ საომარი დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსუდან დედოფლის დროშაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსუდან დედოფლის დროშაკი (მეორე მხარე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სვანეთის დროშა „ლომი“



სვანეთის დროშა „ლომი“ (დეტალი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



სვანეთის დროშის „ლომი“-ს შუბის პირი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სვანეთის დროშის „ლომი“-ს შუბის პირი (მეორე მხარე)

ელექტრონული
ბიბლიოთეკა





სამეფო ლაზარუმი (ბეთანიის ფრესკა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამეფო ლაბარუმი (ყინცვისის ფრესკა)



ლაბარუმები ნაკიფარის ეკლესიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა





ლაბარუმი კვირიკეს ეკლესიიდან



ლაბარუმი სოფ. ხონჭიორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაზარუმი სოფ. ხონჭიორიდან
(მეორე მხარე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლაბარუმი ბეთლემიდან



ლაბარუმი სოფ. ჩუკულიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერის წმ. გიორგის ეკლესიის დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა





სამთავისის დროშა-ჯვარი



სამთავისის დროშა-ჯვარი (დეტალი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვახტანგ VI დროშა

XVII

ეროვნული
ბიბლიოთეკა





სამეფო დროშის
თავი



ვახტანგ VI დროშა მეორე მხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქისიყის დროშის თავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა







სოლომონ I-ის დროშა
და მისი დეტალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა საუფლისწულო გიორგი XIII-ისა (ხატის ბუდეში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროშა საუფლისწულო გიორგი XIII-ისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაპუა მოურავის დროშა



პაპუა მოურავის დროშა (დეტალი)



პაპუა მოურავის დროშის თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურიის ერისთავის დროშა



დროშა ნაკურალეშიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



მჭადისჯვრის დროშა და მისი ბუნი
საქ. ხელოვნ. მუზ. № 768 ბ



სოფ. მჭადიჯვრის დროშის ბუნი
საქ. ხელოვნებ. მუზ. № 788 ა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხრან-ბატონის დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხრან-ბატონის დროშა. მეორე მხარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაღალაძიანთ დროშა